

აღ. ლ ლ ო ნ ბ ი

ქართული ლექსიკოლოგია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფილალესი
და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო
კომიტეტის მიერ დაშვებულია დამხმარე სახელმძღვა-
ნელოდ პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის

პროფ. ალ. ლლონტის ეს წიგნი ეძღვნება ქართული ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის ზოგადთეორიულსა და პრაქტიკულ საკითხებს. მასალა შეფარდებულია უმაღლესი სასწავლებლების ძირითადი საენათმეცნიერო დისციპლინების სასწავლო პროგრამებთან. ერთნაირი გეგმითაა გაშუქებული როგორც ლექსიკის რაობა, წგუფები, სიტყვის მნიშვნელობა, დიალექტური და ლიტერატურული სიტყვარი, ფრაზეოლოგიზმები და სხვ., ისე სიტყვათწარმოქმნა, ონომატოლოგია და ლექსიკოგრაფია.

შინაარსი

წინასიტყვა 7

თავი პირველი

ქართული ენის ლექსიკა

§ 1.	ლექსიკის რაობა	9
— § 2.	სიტყვა	10
§ 3.	სიტყვის მნიშვნელობა	15
§ 4.	სიტყვა და ადამიანი	17
§ 5.	სიტყვა გრამატიკულად და ლექსიკურად	19
§ 6.	ქართული სიტყვის სტრუქტურული მთლიანობა	22
§ 7.	ლექსიკის წყუფები	<u>25</u>
§ 8.	სიტყვების გადასვლა ერთი თანრიგიდან მეორეში	29
§ 9.	ლექსიკის დარგობლივი კლასები	33
§ 10.	სიტყვის მნიშვნელობის მოდიფიკაცია	34
† § 11.	სინონიმები	37
† § 12.	ომონიმები	40
† § 13.	ანტონიმები	43
§ 14.	სიტყვა და ტერმინი	45
§ 15.	ადამიანთა გვარები და ადგილის სახელწოდებანი ტერმინებად	<u>47</u>
§ 16.	აბრევიატურა	49
7 § 17.	ძველი ქართული ლექსიკა	51
§ 18.	სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა	53
§ 19.	ხმარებიდან გასული სიტყვები	57
§ 20.	დიალექტური ლექსიკა	<u>58</u>
§ 21.	ნეოლოგიზმები	62
§ 22.	არქაიზმები	66
§ 23.	დიალექტიზმები	<u>68</u>
§ 24.	დიალექტიზმები მწერალთა თხზულებებში	<u>72</u>
§ 25.	ილიოზმები	75
§ 26.	ფრაზეოლოგიზმები	77
§ 27.	ნასესხები სიტყვები	<u>78</u>
§ 28.	კალკები	<u>82</u>

თ ა ვ ი მ ე ო რ ე
ს ი ტ ყ ვ ა თ წ ა რ მ ო ე ბ ა

§ 29. მარტივი სიტყვის რაობა	84
§ 30. სიტყვათწარმოების აგლუტინაციური ხასიათი	85
§ 31. დერიაციის ადგილი გრამატიკასა და ლექსიკაში	86
§ 32. სიტყვათწარმოების საშუალებანი	87
§ 33. თანდებულებით წარმოქმნილი სიტყვები	88
§ 34. ბრუნვის ნიშნები დერიატა ფუნქციით	89
§ 35. უფრობითი და ოდნობითი სახელების წარმოქმნა	89
§ 36. ნამყოფობის სახელთა წარმოქმნა	90
§ 37. განყენებულ სახელთა წარმოქმნა	91
§ 38. განკუთვნილების სახელთა წარმოქმნა	92
§ 39. ყოლა-ქონების სახელთა წარმოქმნა	92
§ 40. უყოლობა-უქონლობის სახელთა წარმოქმნა	93
§ 41. მოსაქმეობის სახელთა წარმოქმნა	93
§ 42. აღამიანისა და ნივთის (არააღამიანის) საღაურობის სახელთა წარმოქმნა	94
§ 43. მოფერებით-ქინობითი სახელების წარმოქმნა	95
§ 44. ზმნათა წარმოქმნა	96
§ 45. ზმნიზედის წარმოქმნა	98
§ 46. საწყისის წარმოქმნა	98
§ 47. მიმღეობის წარმოქმნა	99
§ 48. რუსთველური სიტყვათწარმოქმნა	101
§ 49. რთული სიტყვის რაობა	103
§ 50. სიტყვათშეერთება	104
§ 51. სიტყვათშეერთების უახლესი პროცესი	107
§ 52. გადასულა სიტყვათშეერთებიდან რთულ სიტყვაზე	109
§ 53. კომპოზიტები ვიწრო და ფართო გაგებით	111
§ 54. რუსთველური კომპოზიცია	113

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე . . .

ქ ა რ თ უ ლ ი ო ნ ო მ ა ტ ო ლ ო გ ი ა

§ 55. ონომატოლოგიის რაობა	114
§ 56. აღამიანთა სახელები	114
§ 57. მეტსახელი	116
§ 58. წარმართული ონომასტიკა	117
§ 59. ნასესხები ონომასტიკა	120
§ 60. სვანური ონომასტიკა	122
§ 61. მეგრული ონომასტიკა	124
§ 62. გვაროვნული სახელები	126
§ 63. გვაროვნულ სახელთა წარმოება	127
§ 64. ტოპონიმია	134
§ 65. ვახუშტი ბაგრატიონის ტოპონიმეიური მასალა	136
§ 66. ტოპონიმეიურ სახელთა აგლუტინაციური წარმოება	140
§ 67. ტოპონიმეიურ სახელთა საწარმოებელი აფიქსები	141
§ 68. კომპოზიტური ტოპონიმეიური სახელები	145

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე
 ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა ფ ი ა

§ 69. ქართული ლექსიკოგრაფიის სათავეები	148
§ 70. პირველი ლექსიკონები	151
§ 71. საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“	154
§ 72. როდისაა შედგენილი საბას ლექსიკონი?	158
§ 73. საბას ლექსიკონი XVIII საუკუნის მწიგნობართა შეფასებით	162
§ 74. საბას ლექსიკონის რედაქციები და გამოცემანი	164
§ 75. ქართველურ ენათა მასალა მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში	165
§ 76. ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“	169
§ 77. დავით ჩუბინაშვილის „საუნჯე ქართულისა ენისა“	173
§ 78. დისკუსია ლექსიკონის საკითხებზე XIX საუკუნის 90-იანი წლების პრე- საში	176
§ 79. ქართული ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი	178
§ 80. ძველი ქართული ენის ძეგლთა ლექსიკონები	179
§ 81. თარგმნითი ლექსიკონები	1 2
§ 82. ენციკლოპედიური და უცხოურ სიტყვათა ლექსიკონები	185
§ 83. სიმფონიური ლექსიკონები	186
§ 84. ნიკო მარის ლექსიკოგრაფიული შრომები	188
§ 85. ტერმინოლოგიური ლექსიკონები	191
§ 86. ხატოვან, ფიგურალურ სიტყვა-თქმათა ლექსიკონები	193
§ 87. ორთოგრაფიული ლექსიკონი	194
§ 88. დიალექტთა ლექსიკონები	195
§ 89. კანური ლექსიკონები	200
§ 90. მეგრული ლექსიკონები	201
§ 91. სვანური ლექსიკონები	202
ბ ი რ თ ა ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი	204

წინასიტყვა

წინამდებარე ნაშრომში სისტემატურად დალაგებულია ქართული ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული საკითხები. იგი ემყარება საგნის სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებსა და პირადად ავტორის დაკვირვებებს.

წიგნი არ მისდევს შაბლონს. მისი თავისებური აგებულება მასალის ხასიათითა და პრინციპული მოსაზრებებით აიხსნება. სხვა ენებზე გამოცემულ ანალოგიური შინაარსის ნარკვევებში, მაგალითად, შეტანილი არ არის ონომატოლოგია; ზოგ მკვლევარს არც სიტყვათწარმოება მიიჩნია ლექსიკოლოგიის საგნად, მაგრამ, როგორც მკითხველი სათანადო ადგილას დაინახავს, ავტორი სხვა თვალსაზრისზე დგას: მისი აზრით, სიტყვათწარმოება და ონომატოლოგია სწორედ ლექსიკოლოგიის სფეროში შემოდის და აქ უნდა განიხილებოდეს. ამიტომ წიგნში შესაფერისი ადგილი ეთმობა როგორც სიტყვათწარმოების სისტემის, ისე ონომატოლოგიის საკითხთა გაშუქებასაც.

ავტორმა საჭიროდ დაინახა საილუსტრაციო მასალის, დიალექტური სიტყვარისა და ლექსიკოგრაფიული წყაროების მიმოხილვის შედარებით ვრცლად წარმოდგენა. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, პრაქტიკული დანიშნულება აქვს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ წიგნში გარკვეული ადგილი დაეთმო სვანურ-მეგრულ ონომასტიკასა და ლექსიკოგრაფიასაც. ამასაც, ცხადია, თეორიულ ინტერესთან ერთად, პირველ რიგში, პრაქტიკული მიზანი აქვს: განხილული მასალა მკითხველს მთლიან წარმოდგენას მისცემს ქართველური ონომატოლოგიის სიმდიდრესა და ქართველურ ენათა ლექსიკოგრაფიულ მემკვიდრეობაზე.

ეს წიგნი სტუდენტებთან მუშაობის პროცესში შეიქმნა. ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ავტორი წლების განმავლობაში კითხულობს ქართული ენის ძირითად

კურსებს. უკანასკნელად, ამასთან ერთად, მას დაევალა სპეციალური კურსის წაკითხვა. ასეთ კურსად გათვალისწინებულ იქნა ქართული ლექსიკოლოგია. ახლა იცემა 1961—1962, 1962—1963 სასწავლო წლებში წაკითხული სპეციალური კურსი გადამუშავებული სახით.

ამისთანა შინაარსის წიგნი, როგორც ცნობილია, ქართულ ენაზე აქამდის არ გვქონია და გამოდის პირველად. ამიტომ, ბუნებრივია, მას რაღაც ნაკლიც ექნება. მიუხედავად ამისა, გვჯერა, იგი გარკვეულ სამსახურს გაუწევს როგორც ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტობასა და ქართული ენის მასწავლებლობას, ისე ლექსიკის პრობლემებით დაინტერესებულ პირებს.

ავტორი მადლობით მიიღებს მკითხველთა საქმიან შენიშვნებს და გაითვალისწინებს მათ წიგნის შემდგომ სრულყოფაში.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია, მადლობა მოვახსენოთ პროფ. შ. ძიძიგურს, დოც. გ. კაკაბავასა და დოც. ალ. ფოცხიშვილს, რომლებიც წინამდებარე წიგნს ხელნაწერში გაეცნენ და საგულისხმო შენიშვნები მოგვაწოდეს.

1. 10. 1963 წ.

ა. ლ.

ქართული ენის ლექსიკა

§ 1. ლექსიკის რაობა. ქართული ენის სიტყვობრივი მარაგი მთლიანად შეადგენს მის ლექსიკას. ქართულ ენას უაღრესად მდიდარი და ნაირსახოვანი ლექსიკა აქვს. დროთა განმავლობაში შექმნილა ხალხის ყოფა-ცხოვრების, ეკონომიური და კულტურული ურთიერთ-დამოკიდებულების; მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ამსახველი სიტყვარი. ლექსიკური მარაგით ქართული ენა გვერდში უდგას მსოფლიოში ყველაზე განვითარებულსა და გავრცელებულ ენებს. ქართულად გამოითქმება ყოველგვარი აზრი ცოდნის სხვადასხვა სფეროდან; ქართულად შეიძლება გადმოითარგმნოს ყოველგვარი სახისა და შინაარსის ქმნილება მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკის გამოუკლებლივ ყველა დარგიდან. ამ განუზომლად დიდ შესაძლებლობას ქართულს ანიჭებს მისი თვითმყოფი და გამომსახველობის საშუალებებით მდიდარი გრამატიკული სტრუქტურა და ამოუწყავი ლექსიკა.

ლექსიკა ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა. იგი ფეხდაფეხ მისდევს ცხოვრებას, განუწყვეტლივ ივსება ახალი მასალით, საგამოთქმო ერთეულებით, რომლებიც ხალხის, საზოგადოების ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას ასახავენ. საზოგადოების ეკონომიური და კულტურული პროგრესი ქმნის ენის ლექსიკის გამდიდრების მყარ ნიადაგს. ყოველ ენას, მათ შორის ქართულსაც, მოეპოვება ლექსიკის გამდიდრების საკუთარი საშუალებები. ძირითადი საშუალებანია: სიტყვათწარმოება, დიალექტური მეტყველება და სესხება. ქართული ენა ლექსიკის გამდიდრების ამ სამივე შესაძლებლობას იყენებდა დასაბამიდან მოყოლებული და იყენებს დღესაც. ქაშაში გვარწმუნებს ქართული ლექსიკის განხილვა-შეჭერება მის დესკრიფტულსა და დიაქრონულ განვითარებაში. ჩვენი მიზანია. ქართული დესკრიფტული ლექსიკოლოგიის შესწავლა, ქართული ლექსიკოლოგიის განხილვა მის სინქრონულ მდგომარეობაში.

ლექსიკოლოგია ენათმეცნიერების დარგია, რომელიც ენის სიტყ-

ვობრივ მარაგს — ლექსიკას იკვლევს. ლექსიკოლოგია მიღებულია ორი ძველბერძნული სიტყვის შეერთებით: *léxis* და *logos*, თითოეული მათგანი ძველბერძნულად სიტყვას აღნიშნავს.

ამრიგად, ლექსიკოლოგია არის სიტყვა სიტყვის შესახებ, უფრო კონკრეტულად: მოძღვრება სიტყვის შესახებ.

ლექსიკოლოგია განიხილავს სიტყვას — ენის ძირითად ერთეულს, მის ცვლილებებს, წარმოებას, ხმარებულობას, ტიპებს, ლექსიკონებს, ამათ ნაირობას. ამიტომ მას მჭიდრო კავშირი აქვს ენათმეცნიერების მეორე დარგთან — სემასიოლოგიასთან, რომელიც იკვლევს სიტყვათა და გამოთქმათა მნიშვნელობებს და მათ დიაქრონულ ცვლილებებს.

ქართული ლექსიკოლოგია ქართული ენის ლექსიკურ მარაგს სწავლობს ორი ასპექტით: ა) დესკრიფტულად, ე. ი. იკვლევს ენის ლექსიკის დღევანდელ ვითარებას და ბ) დიაქრონულად, ე. ი. იკვლევს ქართული ენის ლექსიკის განვითარებას ისტორიულად.

ქართული ენის ლექსიკის საკითხებით დაინტერესებული იყო და არის მრავალი მკვლევარი. შექმნილია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელშიაც გაშუქებულია ჩვენი ენის ლექსიკასთან დაკავშირებული თეორიული და კერძო საკითხები. ამ წიგნში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ეს ლიტერატურა.

ქართული ლექსიკოლოგიის სახელმძღვანელო ჯერ არ შექმნილა პირველი ზოგადი ცნობები ქართული ლექსიკის შესახებ შეტანილია შ. ძიძიგურისა¹ და ლ. კვაჭაძის² სახელმძღვანელოებში. დავ. გეწაძეს კი შედგენილი აქვს ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის მოკლე პრაქტიკუმი სტუდენტთათვის³.

§ 2. სიტყვა. სიტყვა არის მნიშვნელობის მქონე ბგერათკომპლექსი, რომელიც ენის ძირითადი ერთეულია. ასეთია სიტყვის ყველაზე ზოგადი განსაზღვრა. ძნელია სიტყვის უფრო მარტივად განმარტება. ერთი, საყოველთაოდ მიღებული, განმარტება სიტყვისა არა გვაქვს.

¹ შ. ძიძიგური, ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სახელმძღვანელო პედაგოგიურ სასწავლებელთათვის, თბ., 1956, გვ. 5—19.

² ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, I, ლექსიკა, ფონეტიკა, გრაფიკა და მორფოლოგია მართლწერის საკითხებითურთ, სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტების დაწვებითი განათლების მეთოდის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, თბ., 1961, გვ. 15—33.

³ დავ. გეწაძე, ქართული ენა, ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის პრაქტიკუმი, პედაგოგიური ინსტიტუტების დაწვებითი განათლების პედაგოგიისა და მეთოდის ფაკულტეტის სტუდენტთათვის, თბ., 1962.

სიტყვის შინაგანი და გარეგანი მხარის გაგებაში ენათმეცნიერთა შორის მკვეთრი სხვადასხვაობაა. მ. პეტერსონი ერთ დროს პირდაპირ ამბობდა: „სიტყვა — ისეთი მარტივი ცნებაა, რომლის ლოგიკური განმარტება შეუძლებელია,“¹ ძალიან ძნელია სიტყვის დამაკმაყოფილებელი განმარტების მოცემაო. რუსულ ენათმეცნიერებაში ანალოგიურ აზრს იცავდა აგრეთვე აკად. ლ. შჩერბა. სიტყვის განმარტებას რთულ პრობლემათა რიგს აკუთვნებდა ო. იესპერსენიც, მაგრამ ის იმავე დროს ცნობდა, რომ „სიტყვა არის ენის ერთეულიო“².

სიტყვაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორი მომენტი: გარეგანი — ბგერები და შინაგანი — ამ ბგერათა ერთობით გადმოცემული შინაარსი, მნიშვნელობა, აზრი. სიტყვა არის არა ყოველგვარ ბგერათა ერთობა, არამედ მხოლოდ ბგერათა ისეთი კომპლექსი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს. სწორად ამბობს ფ. ფორტუნატოვი: «Отдельным словом является такой комплекс звуков речи, который имеет в языке значение отдельно от других звуков и звуковых комплексов, являющихся словами»; «Словами являются звуки речи не сами по себе, но в их значениях»³.

ლ. შჩერბა მიუთითებდა: კითხვაზე რა არის სიტყვა? სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგვარი პასუხი გვექნებაო. ამიტომ, მისი აზრით, ცნება „სიტყვა საერთოდ“ არ არსებობს. მაგრამ სავსებით სარწმუნოა მისი დასკვნა: „სიტყვა წარმოვედგება იმ აგურად, რომლითაც შენდება ჩვენი „მეტყველება“⁴. მშვენიერადაა ნათქვამი! სიტყვა, კემ-მარიტად, აგურია ენისა. ისევე როგორც სახლი აგურებისაგან შენდება, ენა — მეტყველება სიტყვებისაგან, უმარტივესი ბგერითი კომპლექსებისაგან შენდება. აქედან ჩანს, სიტყვის ზოგადი განსაზღვრა მაინცაა შესაძლებელი. რა ენასთანაც უნდა გვექონდეს საქმე, სიტყვა იქ მისი მნიშვნელობის მქონე ძირითადი ერთეულია. სიტყვის მიჩნევა „უმნიშვნელოვანეს ენობრივ კატეგორიად“⁵ — განმარტება კი არ არის, არამედ მხოლოდ იმის დადასტურებაა, რასაც სხვა ენობრივ მოვლენებთან ერთად სიტყვაც წარმოადგენს. ნამდვილად სიტყვა გვევლინება „არა მარტო ლექსიკის ძირითად ერთეულად, არამედ ენის ცენტრალურ, საკვანძო ერთეულადაც საერთოდ“⁶. სიტყვა ცალკე აღე-

¹ М. Н. Петерсон, Современный русский язык, М., 1929, гл. 27.

² О. Есперсен, Философия грамматики, М., 1958, гл. 102.

³ Ф. Ф. Фортунатов, Избранные труды, 1, М., 1956, гл. 132.

⁴ Л. В. Щерба, Очередные проблемы языкознания, ИАН СССР, IV, вып. 5, 1945, гл. 175.

⁵ Р. А. Будагов, Введение в науку о языке, М., 1958, гл. 5.

⁶ А. И. Смирницкий, К вопросу о слове, კრებ.: «Вопросы теории и истории языка»... М., 1952, гл. 183.

ბული ენის მასალაა, დაკავშირებული მეორე სიტყვასთან კი — წინადადების წევრი. ამიტომ სიტყვა აღებული ცალკე, ან სიტყვათშეერთებაში არის ენის ლექსიკური ერთეული, ხოლო წინადადებაში კი, თუ ის დაკავშირებულია მეორე სიტყვასთან გრამატიკულად — მისი წევრი. სიტყვის ერთ ზოგად განმარტებას ართულებს სწორედ მისი ამ ორი დანიშნულებით — ცალკე და შენაერთში — განხილვა.

ამჟამად მოქმედ სახელმწიფო ენოლოგებში სიტყვის ასეთი განმარტებები გვხვდება: „სიტყვა არის მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ერთეული ენისა“¹; „სიტყვა — ენის ყველაზე კონკრეტული ერთეულია“²; „სიტყვა არის არა მარტო ლექსიკური შემადგენლობის ერთეული, არამედ ძირითადი ერთეული ენისა საერთოდ“³; „სიტყვა — ენის უმნიშვნელოვანესი ერთეულია, რომელიც აღნიშნავს სინამდვილისა და ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების მოვლენებს და რომელიც ჩვეულებრივ ერთნაირად გაიგება ერთ ენაზე მოლაპარაკე და ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებულ ადამიანთა კოლექტივის მიერ“⁴. დაახლოებით ამისთანა აზრი გამოთქმული ჰქონდა კიდევ დიონისე თრაკიელს II საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდის. „სიტყვა არის გაბმული მეტყველების უმცირესი ნაწილი“⁵, — ამბობდა დიონისე თრაკიელი⁶ და ეს განმარტება გავრცელებული იყო არა მარტოდენ ანტიკურ ეპოქაში. შუასაუკუნეებშიაც და უკანასკნელადაც შორს არ წაესულვართ მისგან.

სიტყვას ორი მხარე აქვს: ბგერითი და მითითებითი. პირველს გამოთქმას ვუწოდებთ, მეორეს — შინაარსს. სიტყვა, როგორც ენის ერთეული, შეადგენს გამოთქმისა და შინაარსის ერთობლიობას. გამოთქმა თავისთავად ბგერითს მოდელს გულისხმობს. აქ ძირითადია ფონემები, რომელთა კომბინაცია გვაძლევს სიტყვასა და მის ელემენტს — მორფემას. მორფემა ფონემის, ან ფონემებისაგან შედგება, იგი ზოგჯერ თვით სიტყვაა, უფრო ნაწილია სიტყვისა, ელემენტი მისი. ეს გარემოება კარგად ესმოდათ და ხაზგასმულიც ჰქონდათ ძველ გრამატიკოსებს. დიონისე თრაკიელის ერთ სქოლიოში პირდაპირ ნათქვამია: „სიტყვა — დანაწევრებული ბგერაა, რომელიც მოფიქრებულს გამოხატავს“⁶. დიომედისის აზრით, „სიტყვა — დანაწევრებული ბგე-

¹ ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 184.

² А. А. Реформатский, Введение в языкознание, М., 1955, გვ. 33.

³ К. А. Левковская, Лексикология немецкого языка, М., 1956, გვ. 11; შტრ.: А. И. Смирницкий, იქვე.

⁴ Р. А. Будагов, Введение в науку о языке, М., 1958, გვ. 8.

⁵ Античные теории языка и стиля, М.-Л., 1936, გვ. 117.

⁶ იქვე.

რაა რომელიმე მნიშვნელობით. სიტყვებისაგან შედგება და სიტყვებად იშლება წინადადება¹.

შემდეგი ეპოქის გრამატიკოსებიდან ევ აზრი ყველაზე მკაფიოდ ა. პოტენიამ განავითარა. ა. პოტენია ამბობს: „სიტყვა წარმოადგენს დანაწევრებული ბგერისა და მნიშვნელობის ერთიანობას“². ე. ი. ავტორი ხაზს უსვამს სიტყვის ორ მხარეს: გამოთქმასა და შინაარსს.

სიტყვის ბგერით მოდელზე გარკვევით ლაპარაკობს ქართველი გრამატიკოსი პ. კვიციანიძე. „სიტყვას, — ამბობს ავტორი, — შეადგენს კანონიერად დანაკვეთებულნი და გარკვევით გამოთქმული ბგერანი, რომელთშიაც იხატვის ჩვენი გრძნობები, აზრები და წადილები სხვისდა ვადასაცემად, შესატყობინებლად“³. ამასთან სიტყვის შედგენაში მონაწილეობს არა ყოველგვარი ბგერა, რაც ბუნებაში გვხვდება, არამედ მხოლოდ სამეტყველო ბგერები, ფონემები. პ. კვიციანიძე ამასაც მართებულად გახაზავს: „სიტყვა ყოველთვის შესდგების გარკვეულთ და მკაფიოდ გამოთქმულ ბგერათაგან, რომელთაც ეწოდებისთ ნ ა წ ე ვ რ ო ვ ა ნ ნ ი, გასარჩევად ყოველი სხვა ბგერისაგან, რომელსაც ვეძახით უ ნ ა წ ე ვ რ ო ს, ანუ საზოგადო ბგერას“⁴. ავტორს მიაჩნია, რომ „სიტყვა არის აზრის ბუნებრივი, გარეგანი ნიშანი“⁵. ნიშნის თეორია უკანასკნელად ფართოდაა გავრცელებული. ყველაზე ტიპობრივად სიტყვის გაგება ამ თეორიის მიხედვით დე გროტმა მოგვცა. მისი აზრით, „სიტყვა არის ენობრივი ნიშანი დამოუკიდებელი მნიშვნელობით და მნიშვნელობის დამოუკიდებლობის ფორმით“⁶.

სიტყვა, უწინარეს ყოვლისა, ენის ფაქტია. როცა ვამბობთ, მაგალითად, ხ ე ლ ი, თ ა ვ ი, პ ი რ ი — ვგულისხმობთ არა მარტოდენ იმ შინაარსს, მნიშვნელობას, რომელთაც ეს ბგერათკომბინაციები გადმოსცემენ, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ ეს ბგერათკომპლექსები ენის ერთეულებია, ფაქტებია. ენის ყოველი ფაქტი მაშინ გახდება თვალნათლივი, როცა იგი შეისწავლება აზრსა და მის გამოსატყობობაზე ერთდროული დაკვირვებით. გამოსახატავი და გამოსატყობი ერთნაირად უნდა იქნას გათვალისწინებული. ესაა ძიების ფსიქოლოგიისა და სტილისტიკის სფერო, მაგრამ სიტყვას, როგორც ენის ფაქტს, ჩვენ სხვანაირად ვერ შევისწავლით. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ენა რთული სისტემაა, აქ ბგერათა კომბინაცია გვაძლევს

¹ Античные теории языка и стиля, М.-Л., 1936, გვ. 117.

² А. А. Потебня, Из записок по русской грамматике, Харьков, 1888.

გვ. 1.

³ პ. კვიციანიძე, ქართული სწორმეტყველება, თბ., 1888, გვ. 7.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 162. № 8

⁶ A. W. de Groot, Structurele Syntaxis, den Haag, 1949, გვ. 26.

სიტყვას, სიტყვათა კომბინაცია — ფრაზა-წინადადებას; ხოლო მთლიანად ის სისტემაა გამომსახველობის საშუალებებისა. შ. ბალი, რომელიც ენას ორგანიზმად მიიჩნევს, ფიქრობს: „უფრო დაყენებითი განხილვით ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ორგანიზმი წარმოადგენს გამომსახველობის საშუალებათა სისტემას, ე. ი. სისტემას ბგერითი სიმბოლოებისას, რომლებიც გამოყენებულია ცნობება-უწყებისა თუ უბრალოდ იმის გამოსახატავად, რაც ხდება ჩვენს თავში, ე. ი. ჩვენი აზრებისას“¹. ენა, მეტყველება განიხილება როგორც გამომსახველობის საშუალებათა თავისებური სისტემა, რომელსაც თან ახლავს აზრობლივი მხარე. მოლაპარაკე, ენობრივი კოლექტივის წევრი თავის აზრებს აძლევს ისეთ ობიექტურ სამოსელს, რომელიც მაქსიმალურად შეესატყვისება. სინამდვილეს, ხოლო არა. იშვიათად ამ გამომსახველობას აძლევს თავის ინდივიდუალურ გადახრასაც, ანუ, როგორც ამბობენ, ემოციურ იერს, ან კიდევ, ზოგჯერ. სახესაც უცვლის სოციალური პირობების გავლენით. მაშასადამე, ენის ფაქტი, თვით ენა ჩვენ წინ ისევ ორი განზომილებით წარმოდგება: ერთი მხრით, ისაა სისტემა სიტყვებისა, გამომსახველობის საშუალებებისა, მეორე მხრით, სისტემა გამომსახველობის საშუალებებისა, რომელთაც ინდივიდი თავისი წარმოდგენებისა და განცდების შესაბამისად აფერადებს. პირველ განზომილებას განიხილავს ლექსიკოლოგია, მეორეს კი — სტილისტიკა. ლექსიკოლოგიის საგანია ბგერათა კომბინაციით გადმოცემული სიტყვა, აღმნიშვნელი ობიექტური მონაცემისა; სტილისტიკის საგანს კი წარმოადგენს აზრის სიტყვობრივი გამოხატულების შესაძლებლობა და არა თვით სიტყვა, როგორც ბგერათა კომპლექსი, ან მისი მნიშვნელობა.

ამდენად სიტყვა აზრის სამოსელია, სინამდვილის ობიექტური, ენობრივი ასახვა. „სიტყვა არის „აზრის“ ერთი უმცირესი საესებით თვისთაკმარი ნატეხი“². მაგრამ ყოველივე ეს ითქმის მხოლოდ იმ ენათა მასალის მიმართ, რომელთა ფრაზა და სიტყვა განცალკევებული და განსხვავებულია. ქართულში სიტყვა ენის, დამოუკიდებელი და განუყოფელი ერთეულია, მაგრამ ყველა ენაში სიტყვა ასე არ გამოიყოფა ფრაზისაგან, ის ცალკე არ გვხვდება, კონტექსტიდან მისი მოშორება ძნელია, აზრსა და ფუნქციას უცვლის. (ამის მაგალითს წარმოადგენს ჩინური ენა). თუ ამ თვალსაზრისიდან გამოვალთ, სიტყვის ერთი ზოგადი, ყველა ენისათვის მისაღები განმარტების მოცემა, როგორც ამბობდა ე. ვანდრიესი, მართლაც შეუძლებელია.³ მაგრამ ერ—

¹ Ш. Б а л л и, Французская стилистика, М., 1961, гл. 22.

² Э. С е п и р, Язык, М.-Л., 1934, гл. 28.

³ Ж. В а н д р и е с, Язык, М., 1937, гл. 90.

თი რამ მაინც არ უნდა დავივიწყოთ. სიტყვა ყველა ენაში, განურჩევლად მისი ტიპოლოგიური სტრუქტურისა, გარკვეული აზრის გადმომცემი ბგერათა კომპლექსია. ამდენად იგი ყველგან, ჩვეულებრივ, ენის ერთეულია. ამიტომ ჩვენი განმარტება (სიტყვა არის ენის ძირითადი ერთეული) კონკრეტულიცაა, რამდენადაც სწორად გვაჩვენებს ენათა დიდი ნაწილის ფაქტობრივ ვითარებას, და ზოგადიც, რადგან შეესატყვისება ყველა ენის ტიპოლოგიურ სტრუქტურას.

§ 8. სიტყვის მნიშვნელობა. სიტყვის განმარტებისას ჩვენთვის ამოსავალია ის გარემოება, რომ იგი რაღაცას აღნიშნავს, მას მნიშვნელობა აქვს. სიტყვა საგნის, მოვლენის, წარმოდგენის, სივრცის, დროის, მიზეზის, მიზნის, თვისების, რაოდენობის, მოქმედების ასახვაა ბგერითი მოდელით. მოკლედ, სიტყვით გადმოიცემა სინამდვილის ობიექტური ფაქტი, ან მოვლენა. სიტყვის მეშვეობით სინამდვილის ეს ფაქტი, ან მოვლენა გადაეცემა ერთი ადამიანიდან მეორეს; სიტყვა, როგორც ენის ძირითადი ერთეული, ადამიანთა კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. მთლიანად ენა სწორედ სიტყვების საშუალებით გახდა გადაცემის, ურთიერთობის უძირითადესი საშუალება.

სიტყვაში გვაქვს ფორმისა და მნიშვნელობის მთლიანობა. სიტყვის ფორმა გრამატიკული კატეგორიებით არის გადმოცემული, მნიშვნელობა კი ის აზრია, რომელიც ჩაქსოვილია მასში და რაზედაც ის მიუთითებს. ვინოგრადოვის აზრით, „სიტყვა როგორც ფორმისა და მნიშვნელობის სისტემა წარმოადგენს ენის გრამატიკული კატეგორიების შეერთებისა და ურთიერთდამოკიდებულების ფოკუსს“.¹

სიტყვა თავის ნამდვილ მნიშვნელობას გვაჩვენებს კონტექსტში, წინადადებაში. კონტექსტის გარეშე სიტყვა პასიურია, ერთია, კონტექსტში აქტიურია — მეორე. ავიღოთ ასეთი მაგალითები: „ჩემი ძმა საუბარში ხშირად ურევს რ ო მ ს“, ან: „ჩემი ძმა მცირე ქალაქებში ხშირად ურევს რ ო მ ს“, ან კიდევ: „ჩემი ძმა ლვინოში ხშირად ურევს რ ო მ ს“... ხაზგასმული ბგერათა კომბინაციით ამ სამ წინადადებაში სამი სხვადასხვა სიტყვაა ნახმარი. ცალკე რომ აგველო ბგერათკომპლექსი რ ო მ ს, მას მხოლოდ ერთ სიტყვად მივიჩნევდით. ა. პოტებნია სწორად მიუთითებს, რომ სიტყვას სინტაქსური კავშირის გარეშე არა აქვს არც ლექსიკური და არც ფორმალური თვისებები.²

¹ В. В. Виноградов, Русский язык, М., 1947, გვ. 15.

² А. А. Потебня, Из записок по русской грамматике, Харьков, 1888, 33. 32.

ი. მეზჩანინოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიტყვის სემანტიკა უმთავრესად გაპირობებულია მისი სინტაქსური როლით წინადადებაში“¹.

საგანი ერთნაირად განიცდება ყოველი ადამიანის ცნობიერებაში, რა ენაზეც არ უნდა მეტყველებდეს ის. ხელი ყველა ენაზე მოლაპარაკე ადამიანისათვის ხელია, ორგანიზმის ნაწილი, კიდური, მაგრამ ქართველები მას გამოთქვამენ ასე: ხელი, სომხები — ძერქ, რუსები — рука, აფხაზები — ანარჯ, ბასკები — ეშკუ, ბერძნები — χείρ, რომაელები — manus, გერმანელები — Hand, ინგლისელები — Hand, მონგოლები — gar, თურქები — kol, ლაქები — ka, ოსები — крук... სინამდვილის ფაქტი, რეალური საგანი, ან მოვლენა სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა ბგერითი მოდელით გადმოიცემა. მაგრამ ამ მოდელში ჩაქსოვილი შინაარსი, საგნისა თუ მოვლენის არსებითი, მატერიალური მხარე ერთნაირად გაიგება მოლაპარაკისა და მსმენელის მიერ. ერთ სიტყვას ეკვივალენტი ეძებნება სხვა ენაში. ეკვივალენტი შეიძლება იყოს ან სრულად თანხვედნილი — შესატყვისი, ან თარგმანი, კალკი. მაგალითად, რუსული вертолет — ითარგმნება ქართულად ასე: ვერტმფრენი, ან შვეულმფრენი. უკანასკნელი რუსული სიტყვის ქართული ეკვივალენტია. ის, რაც ითარგმნება, მნიშვნელობაა, შინაარსია სიტყვისა. ეტიმოლოგიური შედგენილობა არ ფარავს სიტყვის მნიშვნელობას. მანდილოსანი ეტიმოლოგიურად მანდილ სიტყვისაგან (ნივთისაგან) არის მიღებული, მაგრამ ადამიანს კი აღნიშნავს. ამ სიტყვის ეტიმოლოგია ერთია, მნიშვნელობა — მეორე.

სიტყვის მნიშვნელობა გულისხმობს იმ შინაარსს, რაც ერთნაირად ესმის მოლაპარაკესა და მსმენელს. ყოველი სიტყვა, რომელიც ენის ძირითადი ერთეულია, თავისი მნიშვნელობით ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. სიტყვის მნიშვნელობას ხშირად თან ახლავს სტილისტიკური, აფექტური, სატირული, ფიგურალური, ფამილარული, გროტესკობული, ირონიული ტონი და ელფერი. თითოეული მათგანის ცალ-ცალკე გამოყოფა შესაძლებლობას მოგვცემს სწორად ამოვიცნოთ სიტყვის აზრი, გავიგოთ მისი ნამდვილი მნიშვნელობა.

სიტყვის მნიშვნელობას იკვლევს არა მარტო ენათმეცნიერება, არამედ ენის ფილოსოფიაც. მაგრამ როგორც ენათმეცნიერთა, ისე ფილოსოფოსთა შორის ეს საკითხი მუდამ მწვავე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა და წარმოადგენს. ენათმეცნიერების ისტორიამ იცის სიტყვის მნიშვნელობის შესწავლის რამდენიმე თეორია, რომელიც ცალკე უნდა იქნას გათვალისწინებული და ჩვენი მსჯელობის ფარგლებში ამქამად არ შემოდის.

¹ И. И. Мещанинов, Члены предложения и части речи, М.-Л., 1945.

§ 4. სიტყვა და ადამიანი. ენის პრაქტიკულად ცოდნა პირველ რიგში გულისხმობს მისი ლექსიკისა და გრამატიკული სტრუქტურის დაუფლებას. ადამიანი ჩვეულებრივ ფლობს დედაენის სიტყვათა გარკვეულ მარაგს და იყენებს თავის ყოველდღიურ ურთიერთსაუბარში, ზეპირსა და წერილობითს მეტყველებაში. ადამიანები სისტემატურად იყვებიან თავიანთ ლექსიკონს, ამასთან ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. ამიტომ ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ადამიანთა ლექსიკა მოცულობის მიხედვით სხვადასხვა იქნება. ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, რომელსაც სცოდნოდა მისი დედაენის ყველა სიტყვა, რეალურად და პოტენციაში არსებული. თავისი ენის ლექსიკის სრულ ცოდნას ვერ დაიჩემებდა ვერც ერთი დიდი მოაზროვნე, ან მწერალი, რომელსაც ამ ენაზე შეუქმნია თავისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. შოთა რუსთველის უქნობი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქართული ენისა და აზროვნების განუმეორებელი ქმნილებაა, ასახავს ქართული ლექსიკის მხოლოდ ნაწილს. შეუძლებელია ამ ერთ ხელთუქმნელ ძეგლში აღბეჭდილიყო მთელი ქართული ლექსიკა. ვფრემ მცირის, იოანე პეტრიწისა და გიორგი მთაწმიდლის დიდებულ თხზულებებში ჩვენ ვეცნობით ქართული ლექსიკის უმდიდრეს ფონდს, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის დაშვება, თითქოს აქ წარმოდგენილია მთელი მაშინდელი ქართული ლექსიკა. ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაქტიონის, მიხ. ჭავჭავაძის უბრწყინვალესი თხზულებანი, რომლებიც ახალი ქართული ენისა და მისი ლექსიკის განვითარების მწვერვალს წარმოადგენენ, ვერ ამოწურავენ ქართული ენის სიტყვობრივ მარაგს. ქართული ლექსიკა და თვით ჩვენი ეროვნული მწერლობის ამ გოლიათების ლექსიკა გაცილებით ფართო მოცულობისაა, ვიდრე ეს აისახა მათს ლიტერატურულ შედეგებში, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ამ თხზულებებში ნახშიარი სიტყვობრივი მარაგი, გამოვთვალოთ იგი, მაგრამ ამით სრულიად ვერ გავცემთ პასუხს კითხვებზე: რამდენი სიტყვაა ქართულში? რამდენი სიტყვა იცოდა ამა თუ იმ მწერალმა? ამ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა საერთოდაც შეუძლებელია და კითხვის ამნაირად დასმაც უმართებულოდ უნდა იქნას მიჩნეული.

ენათმეცნიერები აღიარებენ, რომ ენის ლექსიკის სრული მარაგის აღნუსხვა და გამოთვლა შეუძლებელიაო. თუ ეს ითქმის საერთოდ, მით უმეტეს შეიძლება ვთქვათ ქართულზე, რომლის გრამატიკული სტრუქტურა-აფიქსაცია განუზომლად დიდ შესაძლებლობას იძლევა ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად.

მაქს მიულერმა შეამოწმა ცალკე ადამიანის ლექსიკა. მისი გამოთვლით, ინგლისელი უწიგნური გლეხის ლექსიკა 300 ერთეულს არ აღემატება. ექსპერიმენტი ჩავატარეთ ჩვენც. ერთი კვირის განმავლობა-

ში, 1940 წელს, ვაკვირდებოდით ქართული ხალხური სიბრძნის ნიქიერი მთქმელის ფიდა კვიწინაძის მეტყველებას (ქართლი, სოფ. ბერშუეთი). ფიდა კვიწინაძე იყო გასაოცარი მეხსიერების ადამიანი, ენაწყლიანი და დინჯი მოსაუბრე. გვიამბო 167 ზღაპარ-ლეგენდა, 400-ზე მეტი ხალხური ლექსი, შაირი, ანდაზა. ამასთან ერთად ჩავიწერეთ მასთან ყოველდღიური საუბრის შინაარსი¹. შევამოწმეთ მის მიერ ადგილობრივი ტოპონიმიკისა და ონომასტიკის ცოდნაც. დაგვიგროვდა დიდძალი და მეტად საინტერესო მასალა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ ამოვწურეთ მისი რეპერტუარი. ფიდა კვიწინაძეს სკოლაში არასოდეს ესწავლა, მაგრამ ცხოვრების დიდი გამოცდილება ჰქონდა. ჩვენ მისი საუბრებიდან და ნაამბობიდან ამოვკრიბეთ ლექსიკური ერთეულები, რომლის რაოდენობა 1100-მდის აღმოჩნდა. ამაში შევიტანეთ როგორც ძირეული, ისე წარმოქმნილი და ნასესხები სიტყვები, ტოპონიმიკური და საკუთარი სახელებიც. თავისთავად საინტერესო ციფრი მივიღეთ, მაგრამ აქედან მაინც არავითარი დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. „ეს ციფრები, — როგორც სწორად შენიშნავდა ყ. ვანდრიესიცი, — არაფერს არ ამტკიცებს“². ჩვენ ვერ შევძელით ფიდა კვიწინაძის ლექსიკური მარაგის სრულად გამოვლენა და ეს არც შეიძლებოდა. ჩვენმა ექსპერიმენტმაც დაგვარწმუნა, რომ არა თუ შეუძლებელია ერთი, ცალკე აღებული პირის ლექსიკური მარაგის გამოთვლა, არამედ უაზრობაა საერთოდ ენის ლექსიკური სიმდიდრის სწორად გამოთვლაზე ოცნება. ქართული ენის ლექსიკური მარაგი — რეალურად და პოტენციურად — იმდენად თავისებური და მდიდარია, რომ მისი არა თუ სწორად, მიახლოებით გამოთვლა, კი ძნელია.

ადამიანი ფლობს ლექსიკის მნიშვნელოვან რაოდენობას და მას იყენებს თავის საზოგადოებრივ ურთიერთდამოკიდებულებაში. მან იცის ასეულობით სიტყვა და კიდევ ხმარობს მათ ყოველდღიურ საუბარში, მაგრამ მას არ ძალუძს მის მიერ ნახმარი ყველა სიტყვით გადმოცემული საგნისა თუ მოვლენის მართებულად წარმოდგენა. მაგალითების საძებრად შორს ნუ წავალთ. ამ სტრიქონების ავტორმა, მაგალითად, იცის, რომ აბელინა, აპრაქიჭა, ანძლა, ბანგა, ბუერა, ბულღავა, ბურჩხა, ბუჩქისძირა, დუღგულა, დიყინა, ზერჩო, ინჩხლა, კანკეშა, მათუთა, მარნიჭი, ოფა, პურადა, ურაშა, ლვიმილა, ჭყორი

¹ ჩვენი: ქართული ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1948, გვ. VI; ან: ქართული ხალხური ეპოსი, ფიდა კვიწინაძის ნაამბობი, ჩაწერა, გამართა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დავითო ალ. ლლონტმა, 1952, გვ. 6—7.

² Ж. Вандриес, Язык, М., 1937, გვ. 127. შდრ., შ. ძიძიგურა, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960, გვ. 38—40.

და ასეულობით სხვა სიტყვა მცენარეებს აღნიშნავს, მაგრამ ამ მცენარეებს იგი სახელებით ვერ გვარჩევს; იცის აგრეთვე, ღიკა, თავთუხი, შერია, შავფხა, მახობელი, დოლი, სვილი, ბოცორაგი, იფქლი, ქრთილი, ზანდური, მახა—პურეულია, მაგრამ ერთმანეთისაგან ვერ გვარჩევს; სოკოებიდან, რომლებიც ქართულში ასზე მეტი სახელითაა ცნობილი, მხოლოდ ორიოდეს გამოიხსენებს და ა. შ. ამ სტრიქონების ავტორი გამონაკლისს არ წარმოადგენს: ეგევე შეიძლება ითქვას ყოველ ადამიანზე.

ამ რიგად, ცალკე ადამიანი, რასილრმითა ცუნდა იცნობდეს იგი დედაენას, ფლობს მისი სიტყვარის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს და არა მთლიან მარაგს. ამასთან რაოდენობა იმ ლექსიკისა, რასაც ცალკე ადამიანი შეიძლება ფლობდეს, არც თვითონ იცის და არც არსებობს სანდო მეთოდი, რომ გამოთვლილ იქნას სწორად. ცდა ენის ლექსიკის სრული რაოდენობის, ან ცალკე ადამიანის (მათ შორის გამოჩენილი მწერლის) ლექსიკის მარაგის გამოთვლისა უშედეგოა, მათი სწორად გამოთვლა შეუძლებელია. შეიძლება გამოვითვალოთ ამა თუ იმ მწერლის მიერ ნახმარ სიტყვათა ოდენობა, მაგრამ ამით მაინც ვერ გავარკვევთ, თუ რამდენი სიტყვა იცის მან. გამოითვლება მხოლოდ გამოყენებულ სიტყვათა რაოდენობა და არა ის, თუ პოტენციურად სიტყვათა რა მარაგს ფლობს, ან შეიძლება ფლობდეს პიროვნება.

§ 5. სიტყვა გრამატიკულად და ლექსიკურად. სიტყვას სწავლობს გრამატიკაცა და ლექსიკოლოგიაც; ის ორივე მათგანის დაკვირვების ობიექტია. მაგრამ სიტყვას ისინი სხვადასხვა ასპექტით განიხილავენ. ორდენოსნები გრამატიკული ოდენობაცა და ლექსიკოლოგიურაც. გრამატიკულად ის არის მრავლობითი რიცხვის (-ებ) სახელობითი ბრუნვის (-ი) ფორმა. ამის იქით გრამატიკა არ მიდის. ლექსიკოლოგია კი ცალკე ერთეულად მიიჩნევს ორდენ სიტყვასა და ორდენოსან სიტყვას, თითოეული მათგანი დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე აღიბეჭდება ლექსიკონში.

ლექსიკოლოგია და გრამატიკა, მართალია, ერთურთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან, მაგრამ მათი დამოკიდებულება გარკვეულ საზღვრებში თავსდება. ენის ფილოსოფიის მკვლევარები, მათ შორის

ო. იესპერსენი, ფიქრობენ, რომ გრამატიკას საქმე აქვს ენის ზოგად ფაქტებთან, ლექსიკოლოგიას კი — ერთეულებთან.¹ ო. იესპერსენი ამავე დროს აღნიშნავდა, რომ ამ ორმა დარგმა შეიძლება ერთმანეთი დაფაროს. ზოგიერთი მოვლენის განხილვა უფრო მოსახერხებელი იქნებოდა გრამატიკაში, ზოგისა კი — ლექსიკოლოგიაში. მაგრამ, მართლაც, არის ერთი სფერო, რომელიც გრამატიკაში ვერ განიხილება. ესაა სიტყვის მნიშვნელობა, რომელსაც სემანტიკა სწავლობს (იესპერსენს ჩამოთვლილი აქვს ამ დარგის სახელწოდებანი: ბრეალის მიხედვით, ს ე მ ა ნ ტ ი კ ა *semantique*, ან სხვების—ს ე მ ა ს ი ო - ლ ო გ ი ა; სეისის, მურეის მიხედვით, ს ე მ ა ტ ო ლ ო გ ი ა *sematologu*, ნორეინისა — ს ე მ ო ლ ო გ ი ა *semologu*, უელბისა— ს ი გ ნ ი ფ ი კ ა *significs*).² სემანტიკა ცალკე ენათმეცნიერული დისციპლინაა, რომელსაც ლექსიკოლოგიისაგან განსხვავებული ობიექტი აქვს, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობის საკითხი მის სფეროს ასე თუ ისე მაინც ზოგადად განეკუთვნება, კონკრეტულად ის უნდა გაითვალისწინოს ლექსიკოლოგიამ. ეს უკანასკნელი სიტყვას იხილავს მნიშვნელობისა და გამოყენების მიხედვით, გრამატიკა კი — ფორმისა და სხვა სიტყვასთან დამოკიდებულება-კავშირის მიხედვით.

ცალკე აღებული სიტყვა გრამატიკული ოდენობაცაა და ლექსიკოლოგიურიც. გრამატიკულად ის მეორე სიტყვასთან ურთიერთდამოკიდებულების აღმნიშვნელი ფორმაა, ე. ი. ცვალებადი გარეგანი მოდელის მიხედვით, და წევრი წინადადებისა, ლექსიკოლოგიურად კი — ენის ერთეული, აღმნიშვნელი საგნის, მოვლენის, რაოდენობის, თვისების, მოქმედების, მდგომარეობის, განწყობისა. სიტყვა სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენება და მისი მნიშვნელობა ნაირი ასპექტით განიცდება ადამიანის ცნობიერებაში. როდესაც ამბობენ ს ა ქ ო ნ ე - ლ ი ო, არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ის წარმოქმნილია ქონ ძირისაგან და ისევეა წარმოქმნილი, როგორც იმავე ძირისაგან მიღებული სხვა ლექსიკური ერთეულები: ქონ-ებ-ა, მ-ქონ-ებ-ი, უ-ქონ-ელ-ი, მე-ქონ-ი, ქონ-იან-ი... ასევე, როდესაც ამბობენ გაჰიანურებულიო, ფიქრადაც არავის მოსდის, რომ ის მიღებულია ჰიანურ-ი-დან (ხალხური საკრავი ინსტრუმენტი, რომელზედაც გაგრძელებულად უკრავენ ხოლმე). სიტყვათწარმოების გააზრებულობა აქ საოცრად ზუსტია. ის ჩვენი სიტყვათწარმოქმნის ტიპობრივი ნიმუშია. ლექსიკურად ერთია ჰიანური, მეორე — გაჰიანურება, გაჰიანურებული. ისინი ერთი ძირისაგან მომდინარე ორა სხვადასხვა სიტყვაა. ასევე შუბი

¹ O. Espersen, *Философия грамматики*, М., 1958, გვ. 31—34.

² იქვე, გვ. 34.

ნიეთა, შუბოსანი — ადამიანი; ცხენი ცხოველია, ცხენოსანი — ადამიანი; ჭვარი ნიეთა, ჭვაროსანი — ადამიანი; ხმა—საგანია, ხმოსანი—ადამიანი...

ლექსიკოლოგიისათვის სიტყვა ენის ერთეულია რა შედგენილობისაც უნდა იყოს იგი. ლექსიკოლოგიის მიზანია სრულად გამოავლინოს ენის სიტყვობრივი მარაგი, გამოარკვიოს სიტყვათა შედგენილობა, წარმოშობა, ცვლილება და აღბეჭდოს ლექსიკონში. გრამატიკა კი სიტყვას ორი საზომით იხილავს: თუ როგორ იცვლის ის გარეგან სახეს, ფორმას (ბრუნება, უღლება), როგორ უკავშირდება მეორე სიტყვას, როგორ ეთანხმება მას, როგორ ქმნის წინადადებას. სხვა მიზნით სიტყვა გრამატიკას არ აინტერესებს.

ამრიგად, გრამატიკისათვის სიტყვა მასალაა ფორმაცვლებისა და სიტყვ-თდაკავშირების წესების შესასწავლად, ლექსიკოლოგიისათვის— მასალა მნიშვნელობის, მისი ცვლა-განვითარების, წარმოქმნის წესების შესასწავლად. მანდილი და მანდილოსანი გრამატიკისათვის ორივე სახელია, პირველი — სუბსტანტივი, მეორე — ადიექტივი — სახელობითი ბრუნვის ფორმებით. ლექსიკოლოგიისათვის მანდილიცა და მანდილოსანიც ენის ერთეულებია და ასევე შეიტანება ლექსიკონში.

გრამატიკას საქმე ზოგად ფაქტებთან აქვს, ლექსიკოლოგიას— კონკრეტულთან, არკვევს ის სიტყვის ისტორიას, ცალკე ლექსიკურ მონაცემებს. ენის ისტორიამ იცის ფაქტები, რომელთა მიხედვით ერთი სიტყვის მნიშვნელობა ისე შეცვლილა, რომ სულ სხვად ქცეულა, ან მისი ძირიდან დიამეტრულად საწინააღმდეგო მნიშვნელობის სიტყვა აღმოცენებულა. ილიას ერთ პოემაში ასეთი ადგილი აქვს: „მალია როგორც ხირიმის ტყვიაო“. დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ხირიმის ტყვია მიღებულია ყირიმის ტყვიისაგან. ყირიმში ამზადებდნენ ოდესლაც სწორედ ისეთ თოფს, რომელიც გავრცელებული იყო ჩვენში. გრამატიკა ამ სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას ვერ გამოარკვევდა, ლექსიკოლოგია კი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ასეთივე დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევენ ომონიმური წყვილებიც. კილო თავდაპირველად უმკველად გალობაში ხმის ერთგვარ ნიუანსს აღნიშნავდა, შემდეგ კი იგივე ბგერათა კომპლექსი გამოყენებულ იქნა ზმნის ერთი ფორმის (თხრობითი კილო, ბრძანებითი კილო), დიალექტის (კახური კილო, იმერული კილო), ლილის გადასაცვამის აღსანიშნავად. სიტყვის მნიშვნელობის ეს გამრავალფეროვნება საესებით შეესატყვისება ქართული ენის შინაგანი განვითარების ბუნებრივ ტენდენციას. გრამატიკა მას ვერ გაითვალისწინებს. მისი შესწავლა ლექსიკოლოგიის საქმეა. ლექსიკოლოგია ეძიებს სიტყვის მნიშვნელობა-ხმარებულობას, ხაზგასმით აღნიშნავს: გადაძ-

წყვეტია არა მარტოდენ ბგერითი კომპლექსი, არამედ მნიშვნელობაც, ერთნაირ ბგერათა კომპლექსით იმდენი სიტყვა შეიძლება გვქონდეს, რამდენი მნიშვნელობაცაა. გრამატიკის მიხედვით სიტყვა ფორმაცვალებადობის მიხედვით განიზომება, ლექსიკოლოგიისათვის სიტყვა მნიშვნელობის მქონე ბგერათკომბინაციაა.

წ. ი. ქართული სიტყვის სტრუქტურული მთლიანობა. სიტყვა — გარკვეული სემანტიკური მთლიანობა — სტრუქტურულ მთლიანობასაც წარმოადგენს. ქართული სიტყვის მაგალითზე მკაფიოდ შეიძლება დავინახოთ სიტყვის ბგერითი მოდელას, სტრუქტურისა და მნიშვნელობის სემანტიკური ერთობა. ქართულა სიტყვის ძირითადი ლექსიკურ-გრამატიკული ნიშანთვისება ისაა, რომ ძირთან ერთად მორფემიან ფუძეს გვაჩვენებს და ამასთან თითქმის ყოველ მორფემას აგლუტინაციური სახით იღებს.

სტრუქტურული თვალსაზრისით ქართული სიტყვა ოთხ ძირითად კლასად ჯგუფდება.

1. სუფთა ძირი: მთა, ტბა, და, ზღვა, ხე, კლდე, მზე, ტყე, ვაჟი, ქალი, ზოდი, ზურგი, დრო... ძირეული სიტყვა ან ხმოვანზე ბოლოვდება ან თანხმოვანზე.

ძირეული სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში გვაქვს შემდეგი ხმოვნები: ა: გზა, ცა, თხა, ვეძა... ე: დღე, ბზე, ღამე ... უ: ცრუ, ბუ, კუ, ყრუ... ო: ეზო, დრო, რკო, უთო... ი (ამ ხმოვანზე დაბოლოებული თვითმყოფი სიტყვა ახლა ქართულში აღარაა შემორჩენილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ საკუთარ სახელს, რომლის სადაურობაც ექვს იწვევს, ამიტომ საანალიზოდ დიდი ხნის წინათ ნახესხებ სიტყვებს ვიღებთ): ჩაი, ტრამვაი, აკაი, გიორგი...

ძირეული სიტყვების აბსოლუტურ ბოლოში გვაქვს 27 თანხმოვანი. მაგრამ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში შეხვედრილი ყველა თანხმოვანი ერთნაირი წარმოშობის არ არის და ამიტომ სიტყვა, ხშირად ძირეული რომ გვგონია, წარმოქმნილი ჩანს, სათანადო თანხმოვანი-ოდესლანდელი დერივატის ნაშთი — ისე შეხორცებია ძირს, ახლა მისი გამოცალკეება არა თუ ჰერს, უფრო ხშირად შეუძლებელიცაა. ეს პირველ რიგში უნდა ითქვას თანხმოვნებზე ვ, ლ, მ, ნ, რ, რომლებიც მრავალ შემთხვევაში რომელიღაც მორფემის (ავ, ევ, ოვ; აღ, ელ, ოლ; ულ; ამ, ემ, ომ, უმ; ან, ენ, ონ, უნ; არ, ერ, ორ, ურ) დანაშრევებია.

ძირეული ქართული სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში გვაქვს შემდეგი თანხმოვნები:

ბ: ზღარბ-ი, წარბ-ი, კაკაბ-ი, შუბ-ი, ხარბ-ი...

გ: ვეგ-ი, ბარგ-ი, ზურგ-ი, კარგ-ი, ზოგ-ი...

დ: ბინდ-ი, მინდ-ი, ზოდ-ი, დიდ-ი, ხვად-ი...
 ვ: თავ-ი, კავ-ი, კევ-ი, ხევ-ი, კრავ-ი...
 ზ: კუზ-ი, ბუზ-ი, თევზ-ი, ხაზ-ი, ბრაზ-ი...
 თ: თათ-ი, ზვირთ-ი, ზეთ-ი, თით-ი, ათ-ი...
 კ: ბაკ-ი, თოკ-ი, ჭაკ-ი, როკ-ი, ბუკ-ი...
 ლ: თვალ-ი, ბალ-ი, კბილ-ი, ქალ-ი, ძვალ-ი...
 მ: გემ-ი, თემ-ი, წამ-ი, დემ-ი, შლამ-ი...
 ნ: ზინი-ი, ზეგანი-ი, თიკანი-ი, კანი-ი, კაპანი-ი...
 პ: კაპ-ი, კოპ-ი, ხაპ-ი, ლლაპ-ი, სიპ-ი...
 უ: ვაჟ-ი, კაჟ-ი, ბაჟ-ი, დუჟ-ი, უუჟ-ი...
 რ: ბერ-ი, ბარ-ი, კარ-ი, წვერ-ი, ხარ-ი...
 ხ: კეს-ი, თახ-ი, ფახ-ი, ხავს-ი, ახ-ი...
 ტ: კაკუტ-ი, კვანტ-ი, კვიმატ-ი, ზანტ-ი, ხატ-ი...
 ფ: თოფ-ი, კოფ-ი, ქაფ-ი, ძაფ-ი, ხუფ-ი...
 ქ: ზაქ-ი, ჯიქ-ი, დოქ-ი, ქერქ-ი, ქოქ-ი...
 ღ: თაღ-ი, თიღ-ი, თუღ-ი, ღორღ-ი, მარღ-ი...
 ყ: ბაყაყ-ი, ზინაყ-ი, კუჭყ-ი, ჯანყ-ი, დუყ-ი...
 შ: ვახშ-ი, ტაშ-ი, თქეშ-ი, ბუშ-ი, ხრეშ-ი...
 ჩ: ზურჩ-ი, კაკაჩ-ი, ტურჩ-ი, ქურჩ-ი, ტყერჩ-ი...
 ც: ბაც-ი, ბეც-ი, კაც-ი, ვაც-ი, კეც-ი...
 ძ: ბოძ-ი, ბაძ-ი, ვერძ-ი, კერძ-ი, კანძ-ი...
 წ: ბილწ-ი, ბერწ-ი, კაპიწ-ი, ყანწ-ი, ხავიწ-ი...
 ჭ: ბიჭ-ი, ბეჭ-ი, კანჭ-ი, კუჭ-ი, კოჭ-ი...
 ხ: კეხ-ი, კალმახ-ი, კრუხ-ი, თოხ-ი, ფეხ-ი...
 ჯ: ვარჯ-ი, ვეჯ-ი, თოჯ-ი, თუჯ-ი, ლოჯ -ი...

2. წარმოქმნილი მხოლოდ პრეფიქსებით. ასეთი სიტყვები ამჟამად ცოტაა. ბევრ მათგანში გამქრალია კიდევ პრეფიქსების გაგება, დარჩენილია მხოლოდ მათი ფონეტიკური კვალი. პრეფიქსებით წარმოქმნილ სიტყვათა სიმცირე ქართულში არ ნიშნავს მათ ისტორიულ უქონლობას. ეს გარემოება მეორადი მოვლენა ჩანს.

ყველაზე პროდუქტულია პრეფიქსები ნა- და ხა-. ისინი ძველსა და ახალ ქართულში, სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ერთნაირი ძალისა და გავრცელებისა არიან: ნა-ბიჯ-ი, ნა-პირ-ი, ნა-ფიც-ი, ნა-ვალ-ი, ნა-ბანი-ი, ნა-თეს-ი, ნა-ლეწ-ი, ნა-კაფ-ი, ნა-კეც-ი, ნა-რეცხ-ი, ნა-ძენძ-ი, ნა-ჩეჩ-ი, ნა-ქსოვ-ი, ნა-წილ-ი... ხა-წოლ-ი, ხა-წონ-ი, ხა-წერ-ი, ხა-ქეცე-ი, ხა-დილ-ი, ხა-ლოკ-ი, ხა-მოს-ი, ხა-ზომ-ი, ხა-ოხ-ი, ხა-სუქ-ი, ხა-ტეხ-ი... ამისთანა ფუძეთა ერთ წყებაში ისტორიულად ვ (|| ავ, ევ, ოვ), ლ (|| ალ, ელ, ოლ, ულ), მ (|| ამ, ემ, ომ, უმ), ნ (|| ან, ენ, ონ, უნ), რ (|| არ, ერ, ორ, ურ) ან ჯ (- ეჯ || ეტ)

სუფიქსთა ნაშთი ჩანს, მაგრამ ახლა მათი გამოყოფა არ ხერხდება. ამიტომ მსგავსი ფუძეები მხოლოდ პრეფიქსთა მეშვეობითაა წარმოქმნილი.

3. წარმოქმნილი მხოლოდ სუფიქსებით. ასეთი წარმოება ქართულისათვის ჩვეულებრივია. სუფიქსი გამოყენების მიხედვით უფრო პროდუქტულია, ვიდრე პრეფიქსი. სუფიქსი, რა ფუნქციისაც არ უნდა იყოს ის (სადერევაციო თუ საფლექსიო), ყოველთვის გამოიყენება ფუძის საწარმოებლად. აფიქსთა ერთფუნქციანობა ბუნებრივი მორფოლოგიურ-ლექსიკოლოგიური პროცესია ქართულში და ენის აგლუტინაციურობის პირველი მაჩვენებელია. აი, ამისი ნიმუშები: კაც-ურ-ი, გულ-ად-ი, ხელ-ოხან-ი, დღ-იურ-ი, გორ-ელ-ი, უჭრ-ედ-ი, წიგნ-აკ-ი, ბიჭ-უნ-ა, მესხ-ეთ-ი, იმერ-ულ-ი, ტყ-იან-ი, თბილ-ის-ი...

4. წარმოქმნილი პრეფიქს-სუფიქსებით. ქართული სიტყვათწარმოქმნა უპირატესად პრეფიქსულ-სუფიქსურია. ამიტომ ასეთი სიტყვობრავე ერთეულების სტრუქტურული ანალიზი დამოკიდებულია ძირის, ფუძისა და აფიქსების მართებულად გამოყოფაზე. ფონეტიკური ფაქტორი აქ ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობს (ნ. ქვემოთ). პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოქმნის ნიმუშებია: მ-ჭედ-ელ-ი, მ-წერ-ად-ი, მ-ყვირ-ად-ი, სა-სოფლ-ო, სა-სმ-ელ-ი, სა-ხელ-ო, სა-ნა-პირ-ო, სა-სა-დილ-ო, სა-მ-კითხვ-ელ-ო, გა-და-ვარდნ-ილ-ი, და-ფლეთ-ილ-ი...

ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები ერთნაირი ფუნქციით გამოიყენება. სპეციფიკური აქ ისაა, რომ აფიქსთა მოშველებით ადვილად ხდება სიტყვის გადასვლა ერთი ჯგუფიდან მეორეში; არსებითი სახელის ფუძე შესაბამისი აფიქსის წყალობით გადადის ზედსართავში. არსებითი სახელი ქალ-ი -ურ სუფიქსის მიმატებით გადავა ზედსართავთა ჯგუფში: ქალ-ურ-ი, ხოლო ობ ელემენტის მიმატებით — ზმნათა ჯგუფში: ქალ-ობ-ს... ქალ ფუძე გამონაკლისი როდია, როგორც ქვევით დავინახავთ, ანალოგიური ცვლილება მოსდის როგორც თავისთავადს, ისე მოდალურსა და არათავისთავადს სიტყვებსაც.

ქართული სიტყვის სტრუქტურა რთულია. ფუძესა და აფიქსებში ჩაქსოვილია გამომსახველობის დიდი შესაძლებლობანი. არა მარტო აფიქსებით, არამედ ძირთა რედუბლიკაციით, ალტერნაციითაც იგი სტრუქტურულ მთლიანობას გვაჩვენებს. სიტყვა ქართულში იშლება ფუძედ და მორფემებად. აგებულია ქართული სიტყვისა აგლუტინაციურია. მორფემის ადგილი სიტყვაში ყოველთვის განსაზღვრულია. ერთ ფუძეს საწარმოებლად შეიძლება ახლდეს ერთი, ან მეტი აფიქსი, წყვილ-წყვილადაც და ცალ-ცალკევ.

§ 7. ლექსიკის ჯგუფები. ქართული ენის ლექსიკური მარაგი ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ერთია ფორმა ცვალებადი, მეორე — ფორმა უცვლელი. ფორმაცვალებადია სიტყვა, რომელიც სახეს იცვლის ბრუნვის, რიცხვის, ხარისხის, პირის, დროის, კილოს, ასპექტის, გვარის, ქცევის, კონტაქტის მიხედვით. ფორმაცვალებადია სახელები, რომელთაც ჩვეულებრივ ბრუნებად სიტყვებს უწოდებენ, და ზმნები — უღლებადი სიტყვები.

ფორმა ცვალებად სიტყვებს გარკვეული თანრიგის მიხედვით ვაჯგუფებთ. ეს თანრიგებია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნა.

ა. არსებითი სახელი რეალურად ან წარმოდგენაში არსებულ საგანს, მის ნაწილს ან მოვლენას აღნიშნავს, საგნის სახელია. „არსებითი სახელი ჰქვია სიტყვას, რომელსაც საგნობრივი წარმოდგენა ახლავს: აღნიშნავს როგორც ფიზიკურ სამყაროში რეალურად არსებულ საგანს (ან მის ნაწილს), ისე გრამატიკული ნიშნების მიხედვით მასთან გათანაბრებულ სიტყვას, რომელიც რამეს აღნიშნავს ადამიანის ფსიქიკური მოქმედების სფეროდან, ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელსამე მოვლენას ასახელებს.“¹ არსებითი სახელები შეიძლება დაფუძნდეს შემდეგ ლექსიკურ ქვეჯგუფებად:

1. ვინ ჯგუფისა: ქალი, კაცი, დედა, მამა, შვილი, გამგე, მდივანი, თავმჯდომარე, მწყემსი, მსახიობი, მეთევზე, მეკარე, მეზობელი, სტუმარი, მასპინძელი, მკვლეელი, მასწავლებელი...

2. რა ჯგუფისა: ძროხა, ხარი, ბატი, ღორჯო, ფუტკარი, მთა, ეზო, პური, თავი, ხელი, ფერი, რკინა, თუჯი...!

3. საზოგადო: კაცი, ცხვარი, თოხი, მიწა, ბინა, ზღვა, ღლე, ბზე, კლდე, დრო, ბუ, კუ, სახლი, კარი, ფარი...:

4. საკუთარი: ლელა, დალი, რუსუდან, ქეთევან, შოთა, შალვა, ვახუშტი, ბათუ, დუტუ, გვედო, ვაჟა, ხუტა, ჭონდო, ბონდო, ორბელიანი, გურამიშვილი, ლეონიძე, ჟღენტე, საჭაია, ქირია, ახალკაცი, მცხეთა, გურია, ცდო, რიონი, ონი...

5. კონკრეტული: ხელი, ფეხი, ცოლი, ქმარი, ირემი, ბუზი, ტბა, ქარი, გემი, ხე, ნუში, ვაშლი, ატამი...

6. აბსტრაქტული: სილამაზე, სიყვარული, სიკეთე, სიმკაცრე, სიძუნწე, გულჩვილობა, მეგობრობა, სულსწრაფობა...

7. კრებითი: ერი, ხალხი, გუნდი, ჯოგი, ნათესაობა, მასწავლებლობა, მოსახლეობა, მოწაფეობა...

ბ. ზედსართავია სიტყვა, რომელიც არსებით სახელს გარკვეული ნიშნის მიხედვით ახასიათებს. გამოიყოფა ორი სახის ზედსართავი

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 37.

სახელი: პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ა ნ უ ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი: ტკბილი, მწარე, წითელი, ნელი, მთელი, გრძელი, მოკლე, ჩქარი... წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი ა ნ უ მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი: თავიანი, ცხენიანი, ცოლიანი, უგულო, უთავ[ო], შარშანდელი, გუშინდელი, წლიური...

გ. რიცხვითი სახელია სიტყვა, რომელიც საგანს ახასიათებს რაოდენობის, რიგის ან ნაწილის მთელთან შეფარდებით. სასკოლო გრამატიკა გამოყოფს სამი სახის რიცხვით სახელს: რ ა ო ღ ე ნ ო ბ ი თ ს: ერთი, ორი, სამი, ხუთი, ათი, ოცი, ასი, ათასი, ათასცხრაას სამოცდასამი... რ ი გ ო ბ ი თ ს: პირველი, მეორე, მესამე, მეხუთე, მეათე, მეოცე, მეათასე, ასოცდამეხუთე, ათასცხრაას სამოცდა მესამე... წ ი ლ ო ბ ი თ ს: მესამედი, მეხუთედი, მეათედი, მეოცედი, მეასედი, მეათასედი, ასოცდამეხუთედი, ხუთასმესამოცედი...

დ. ნაცვალსახელია სიტყვა, რომელიც არსებობის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელის მაგივრად იხმარება, ენაცვლება მათ. გამოიყოფა ათი სახის ნაცვალსახელი: 1. პ ი რ ი ს ა: მე, შენ, ის (იგი), ეს, ეგ, ჩვენ, თქვენ, ისინი (ივინი), ესენი, ეგენი, თავი; 2. ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი: ასეთი (ავეთი), ეგეთი (მავეთი), ისეთი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამდენი, მაგდენი, იმდენი; 3. კ ი თ ხ ვ ი თ ი: ვინ? რა? როგორი? რომელი? რა რიგი? 4. კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი: ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი (იმათი), თავისი (თვისი); 5. კ ი თ ხ ვ ი თ-კ უ თ ვ ნ ი ლ ე ბ ი თ ი: ვისი? რისა? 6. მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, როდინდელიც, რამდენიც, ვისიც, რასაც, სადაურიც; 7. გ ა ნ ს ა ზ ღ ე რ ე ბ ი თ ი: თვით (თვითონ), თავად, თითოეული, ყოველი, ყველა, სხვა; 8. უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი თ ი: ერთმანეთი, ერთურთი, ერთიმეორე; 9. გ ა ნ უ ს ა ზ ღ ე რ ე ლ ო ბ ი თ ი: ერთი, ზოგი (ზოგიერთი), კაცი; 10. უ ა რ ყ ო ფ ი თ ი: არავინ, ვერავინ (ვერვინ), ნუვინ (ნურვინ), არაფერი, ვერაფერი, არა, ვერა, ნურა, ნურაფერი...

ე. ზმნა ჰქვია საგნის მოქმედების, ან მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვას. მოქმედების აღმნიშვნელია: აკეთებს, აშენებს, ხატავს, ქსოვს... მდგომარეობის აღმნიშვნელია: წევს, ზის, დგას...

ფ ო რ მ ა უ ც ვ ლ ე ლ ს ი ტ ყ ვ ე ბ ს ა ც ასევე გარკვეული თანრიგის მიხედვით ვაჯგუფებთ. ეს თანრიგებია: ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული.

ა. ზმნიზედა არის სიტყვა, რომელიც გვაჩვენებს ზმნით გადმოცემული მოქმედების დროს, ადგილს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს, რამდენჯინობას, კითხვას, მიმართებას, ზომა-ოდენობას, წონას. ზმნიზედა შეიძლება იყოს პირველადი (აქ, იქ, სად, წინ, უკან, ხეალ, ზეგ), წარმოქმნილი (სხვაგან, ერთგან, მარჯვნივ, მარცხნივ, ეგრე,

მეტადრე, სამგზის, ხუთგზის, ორხელ, სამჯერ, შიდა, ქვედა, ქვემო, ზემო, გარეშე, ამაღამ, გუშხამ), ნასახელარი, გაქვევებული რომელიმე ბრუნვის (მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი) ფორმით (ძირს, ღღეს, სამგზის, შიგნით, ქვევიდან, ნელა(დ), ჩქარა(დ), ცერად), გრამატიკა გამოყოფს ცხრა სახის ზმნიზებას.¹

1. ა ღ გ ი ლ ი ს ა: წინ, უკან, თავში, შუაში, ზევით, ქვევით, მაღლა, დაბლა, ძირს, ირგვლივ, გვერდით, აქ, იქ, აქა-იქ, აღმა, დაღმა, გაღმა, გამოღმა, თავიდან, ბოლოდან, ზევიდან, ქვევიდან, გარედან, ვალმიდან, შორიდან, აქეთკენ, იქითკენ... 2. დ რ ო ი ს ა: ახლა, ამჟამად, წელან, ღღეს, ხვალ, გუშინ, წუხელ, შარშან, გაისად, მერმის, ჯერ, შემდეგ, ჯერ-ჯერობით, მაშინლა, ოდესმე, ოდესღაც, მალე, მარად, ზოგჯერ, აქამომდე, გაის... 3. ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა: ფრიად, ერთბაშად, უცბად, მაგრა, ჩქარა, ნელა, ნელ-ნელა, მართლა, ცერად, აღმაცერად, ნაკუწ-ნაკუწად, ნება-ნება, მხარი-ილივ, თანდათან, თავქვე, პირქვე, ყირაზე, გარდი-გარდმო... 4. ო ღ ე ნ ო ბ ი ს ა: ამდენად, მაგდენად, იმდენად, ეგზომ, მეტად, ნაკლებ, ერთხელ, სამჯერ, ერთიორად, ერთიათად, ცოტად, სულ, საესებით, სრულიად, ყოვლად, მთლად, მთლიანად... 5. მ ი ზ ე ზ ი ს ა: იმიტომ, მაგიტომ, ამიტომ... 6. მ ი ზ ნ ი ს ა: იმისთვის, მაგისთვის, ამისთვის, ამაღ... 7. კ ი თ ხ ვ ი თ ი: საღ? სააღან? საითკენ? რისთვის? რად? რატომ? 8. მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი: როღესაც (როცა), საღაც, საითკენაც, საიდანაც, რისთვისაც, რაღაც... 9. ზ ო მ ა - წ ო ნ ი ს ა: ფუთობით, გრამობით, მეტრობით, არშინობით, მისხლობით...

ბ. თანდებული არის სიტყვა, რომელიც დაერთვის სახელს სახელობითს, მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითს ბრუნვებში და აღნიშნავს მდგომარეობას, მიმართულებას, დანიშნულებას, ან კიდევ სხვა გარკვეულ დამოკიდებულებას საგანთან. თანდებული სახელის მხლებელა და ძველად ცალკე იღგა. ახლა გვაქვს ცალკე მდგომი და სახელთან შერწყმული თანდებულები. ც ა ლ კ ე მ დ გ ო მ ი ა: შორის, შუა, მიერ, გამო, მიმართ, მომართ, შესახებ, გარდა, თვნიერ, წილ, წილ... ს ა ხ ე ლ თ ა ნ შ ე რ წ ყ მ უ ლ ი ა: ვით, თან, ში, ზე, თვის, და, გან, კენ, ებრ, დამი, ურთ, დაღმე, მღე|| მღის²...

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 606—617; მ. ჩ ი ნ ჩ ა ლ ა ძ ე, ქართული ზმნიზების სწავლება სკოლაში, თბ., 1955; მ. თ ა ლ ა კ ე ა ძ ე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგია, თბ., 1959, გვ. 270—279.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 617—624; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ე ვ ა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში, ენიშკის შოაშბე, I, თბ., 1937, გვ. 55—65; ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, თანდებული ქართულში, ივე, I, თბ., 1946, გვ. 203—246.

გ. კავშირი ჰქვია სიტყვას, რომელიც აერთებს (აკავშირებს) ორ წინადადებას, ან წინადადების ორ წევრს. ა. შანიძის აზრით, კავშირი ორი სახისაა, მათგან: 1. მ ა ჯ გ უ ფ ე ბ ე ლ ი: და, თუ; 2. მ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ე ლ ი: მაგრამ, კი, თორემ, ხოლო, არამედ; 3. მ ა ც ა ლ კ ე ვ ე ბ ე ლ ი: თუ, ან, ხან-ხან, გინდ-გინდ, თუნდ-თუნდ; 4. მ ა ი გ ი ვ ე ბ ე ლ ი: ესე იგი, ანუ... მაქვემდებარებელი: რომ, თუმცა, რადგან, ვინაიდან, რათა, იმიტომ რომ!...

ქართული კავშირების, საკავშირებელ და საკორელაციო სიტყვათა თავისებური კლასიფიკაცია მოგვცა შ. ძიძიგურმა.²

დ. ნაწილაკი არის სიტყვა, რომელიც ერთვის წინადადების წევრს და მას გარკვეულ იერს აძლევს. ნაწილაკი ფუნქციის მიხედვით რამდენიმე გვარისაა: 1. კ ი თ ხ ვ ი თ ი: ა, მე, ვანა, ნუთუ, ხომ; 2. მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი: ცა... 3. გ ა ნ უ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი თ ი: ვინმე, რამე (რაიმე), რომელიმე, რამდენიმე, როგორმე, სადმე, საი... დანმე... 4. უ კ უ თ ქ მ ი თ ი: არ, ვერ, ნუ; 5. ს ი ტ ყ ვ ა-ს ი ტ ყ ვ ი თ ი (სხვათა სიტყვისა): მეთქი, თქვა, თქო, ო; 6. მ ი გ ე ბ ი თ ი: ა) და დასტურებითია—ჰო, კი, დიალ (დიახ); ბ) უკუთქმითია—არა, ვერა; 7. გაძლიერებითი: ცა, კიდევ, აბა³...

ე. შორისდებულს ვუწოდებთ სიტყვას (ზოგჯერ ბგერას, ან ბგერათკომპლექსს), რომელიც ადამიანის მომენტურ აფექტურ განცდას გადმოგვცემს. ა. შანიძის აზრით, შინაარსის მიხედვით შორისდებულს სამი სახისაა. 1. გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი ა მ ა თ უ ი მ გ რ ძ ო ბ ი ს ა: ოჰ!, ოი! ვაჰ! ავაჰმე! უჰ! ყოჩაღ! იჰ, იჰ! ჰეე! ოი, ოი! ბარაქალა! ვაშა! ბიჭოს! ერიჰა! აბა-ბა-ბა! ახ! აფსუს! ეჰ! ოჰ, ოჰ! ჰოი! ფუ! იფ, იფ! ჰი, ჰი! ოლოლო!... 2. მ ო უ ბ რ ი ს ნ ე ბ ა-ს უ რ ვ ი ლ ი ს გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი: წა! (=წა, შეები ხატაელთა!), არიქა! სუ, სსუუ! ვუი, ვუი! ჩუ! ჰა! აჰა! ჰაი, ჰაი! ჰეი! ეი! აჩუ! ხი, მო! მაამო! ოჰოო! დიიდე! დიილო! ჰაცე! აქშა! ქშა! აცნა! ჰაჰ; ჰაჰ, ჰაჰ! ჰაჰ, ჰაჰ, ჰაჰ!... 3. გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი ფ ი ც ი ლ ი ს ა და ა ლ ე რ ს ი ს ა: ღმერთმანი, დედა-შვილობამ, მამა-შვილობამ, ძმობამ, ჩემმა მზემ, მშვიდობით, გამარჯობა, გენაცვალე, გეთაყვა, ჭირიმე⁴... ს. უღენტის დაკვირვებით, შორისდებულთა აგრეთ-

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 625—627.

² შ. ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, კავშირები და საკავშირებელი სიტყვები, თბ., 1959; მისივე: კავშირები ქართულ დიალექტებში, „ძივბანი ქართული ლიტერატოლოგიიდან“, თბ., 1954; გვ. 63—106.

³ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 627—637.

⁴ იქვე, გვ. 642—649.

ვე ასეთი გამოთქმები: დალილმე! ჭოვ! (აქარ. შეკვეცალი ბ ი ქ ც), ქა! (=ქალო), ბეჩა! (ბეჩაფი—ბედშაფი), ოჯო! (ვაჯო), დახე! ქიტა! ჩუპრი, ჩუპრი! იმე! (იმერ. ყიმე!)!...

ლექსიკის ეს ჯგუფები, ტრადიციული გაგებით, მეტყველების ნაწილებია¹ და ცალკე განიხილება მორფოლოგიაში. იქვეა მოცემული მათი გრამატიკული კვალიფიკაციაც.

§ 8. სიბჰმების განსჯილად ერთი თანრიგიდან მეორეში.

ფორმაცვალბადა და ფორმაუცვლელი თანრიგის სიტყვები ქართულში ერთურთისაგან გრამატიკულად განსხვავდება. ლექსიკურად კი თითოეული მათგანი, მხლებლებს გარდა, დამოუკიდებელი ერთეულია. მაგრამ მათ შორის გარდუვალა ზღვარი არ არსებობს. ქართულში ბუნებრივია სიტყვების გადასვლ-გადმოსვლა ერთი თანრიგიდან მეორეში. ჩვეულებრივია როგორც სახელის ვერბალიზაცია, ისე ზმნის სუბსტანტივაცია. მეტიც, ხშირად ფორმაუცვლელი სიტყვა ფორმაცვალბადთა თანრიგში ექცევა; და, პირიქით, ფორმაცვალბადი — ფორმაუცვლელთა თანრიგში.

ა. სუბსტანტივის ადიექტივაცია. სუბსტანტივის ფუძე გარკვეული მორფემის დართვით ადიექტივის სახეს მიიღებს და სუბსტანტივი (ერთი თანრიგი) ადიექტივის (მეორე თანრიგის) რიგში მოექცევა. მაგალითად, ქალ სუბსტანტივის ფუძეა (ვინ? ქალ-ი), მაგრამ -ურ მორფემის მიმატებით გადავა ადიექტივის თანრიგში: ქალ-ურ-ი (როგორი? ქალურ-ი). ქალი და ქალური უკვე სხვადასხვა თანრიგის სიტყვებია. ანალოგიური პროცესი გვაქვს ასეთ შემთხვევებშიაც: კაცი (ვინ? არსებითი სახელი) — კაც-ურ-ი (როგორი? ზედსართავი სახელი); მხეცი (რა? არსებითი სახელი) — მხეც-ურ-ი (როგორი? ზედსართავი სახელი)... -ელ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელს ადიექტივის თანრიგში გადაიყვანს: თორ-ი — თორ-ელ-ი, ქერა — ქერ-ელ-ი, ონი — ონ-ელ-ი, ხობ-ი — ხობ-ელ-ი, აჭარა — აჭარ-ელ-ი, მცხეთა — მცხეთ-ელ-ი... ასევე -იან, -ოვან, -ოსან სუფიქსების დართვა არსებითი სახელის ფუძეზე იწვევს მის ადიექტივაციას: თავ-ი — თავ-იან-ი, ცოლ-ი — ცოლ-იან-ი, ცულ-ი — ცულ-იან-ი... კლდე — კლდ-ოვან-ი, ფოთოლ-ი — ფოთლ-ოვან-ი, გულ-ი — გულ-ოვან-ი, სახელ-ი — სახელ-ოვან-ი... ფრთა — ფრთ-ოსან-ი, მანდილ-ი — მანდილ-ოსან-ი, ტაიქ-ი — ტაიქ-ოსან-ი, ხელ-ი — ხელ-ოსან-ი...

¹ ს. ე ღ ე ნ ტ ი, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, იყე, I, თბ., 1946, გვ. 247—257.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 34—36; ა. ჩ ი ლ ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 256—262; ა. ფ ო ც ხ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიიდან, I, თბ., 1960.

არსებითი სახელი თავის ფუნქციას იცვლის და გადასცემს ზედსართავს არა მხოლოდ მორფემათა მეშვეობით, არამედ წინადადებაში ადგილის გადანაცვლების დროსაც. ხშირად ზედსართავი და არსებითი სახელები ადგილმონაცვლებენ. ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ სიტყვათშეერთება მესხი მელექსე. აქ მესხი ადიექტივია (რომელი?), მელექსე — სუბსტანტივი (ვინ?). საკმარისია, ამ ორ სიტყვას ადგილები შევუცვალოთ და მათი ლექსიკური ფუნქციებიც შეიცვლება: მელექსე მესხი. ამ წყვილში მელექსე (რომელი?) უკვე ადიექტივია, მესხი (ვინ?) — სუბსტანტივი. ასეთივეა: ქალი მგოსანი და მგოსანი ქალი, ბერძენი ფილოსოფოსი და ფილოსოფოსი ბერძენი, ფრანგი კრიტიკოსი და კრიტიკოსი ფრანგი, თურქი მოჭიდავე და მოჭიდავე თურქი, გლეხი ოსტატი და ოსტატი გლეხი, ექიმი ვაჟი და ვაჟი ექიმი...

ძნელია კაცმა გაარჩიოს წყვილში გლეხი ოსტატი რომელი სიტყვაა სუბსტანტივი და რომელი ადიექტივი. თუ დავიცავთ წარმოდგენილ წყობას, მაშინ ადიექტივი იქნება გლეხი, რადგან ის მსაზღვრელადაა გაგებული, ხოლო სუბსტანტივი — ოსტატი. თუ მათ ადგილებს შევუცვლით, მაშინ სუბსტანტივად მოგვევლინება გლეხი, ადიექტივად — ოსტატი: ოსტატი გლეხი. ამრიგად, ამ წყვილში გლეხი სუბსტანტივიცაა და ადიექტივიც ისევე, როგორც ოსტატიც სუბსტანტივიცაა და ადიექტივიც. მთავარი მნიშვნელობა ენიჭება მათ პოზიციას, ადგილმდებარეობას წინადადებაში. მსაზღვრელ-საზღვრულურ სინტაგმაში ორი არსებითი სახელიდან, თანამედროვე ქართულის ნორმებით, პირველი (მსაზღვრელი) ადიექტივადაა გაგებული, მეორე (საზღვრული) — სუბსტანტივად: ქალი მგოსანი || მგოსანი ქალი...

ბ. სუბსტანტივი გადადის ზმნის თანრიგშიაც. ამისათვის საკმარისია, სახელის ფუძეს მიემატოს ზმნის პირის აფიქსები. სახელის ფუძისაგან ზმნის წარმოქმნა ქართული ენის სიტყვათწარმოების ერთი უძველესი თვისებაა. შესაბამისი მაგალითები შეგვიძლია დავიმოწმოთ ძველი, საშუალო და ახალი ქართულის ლიტერატურული ძეგლებიდან.

სახელისაგან ნერწყვი მიღებულია ჰნერწყვიდეს (ადიშ., მათე 27, 30); მტკიცე — განამტკიცენ (ადიშ., ლუკა 22, 32); მონა — ჰმონებდეს (ოშკ., დაბ. 25, 23); წესი — განაწესნა (გ. მთაწმიდელი, ცხორ. იოჟანესი და ეფთჳმესი, თბ., 1946, 26); მოწაფე — დამოწაფეს (გ. მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხორ., თბ., 1949, 50); მკვიდრი — დავიმკვიდრო (იქვე, 74); დასაბამი — იდასაბამებს (ი. პეტრიწი, II, 81)... განსაკუთრებით მდიდარია ასეთი წარმოებით „ვეფხისტყაოსანი“. ბინდი — აბინდებს (713, 4); დილა — ადილებს (იქვე); სუ-

დარა — ასუდარებს, ზეწარი — აზეწრებს (იქვე, 716,4); ქედგორა — იქედგოროსა (იქვე, 1569, 4); ქვიტიკირი — აქვიტიკირა (იქვე, 1634,3¹); თვალტვინი — თვალტვინოს (დ. გურამიშვილი, თბ., 1955, 237); ფლიდი — ფლიდობს, ამპარტავანი — ამპარტავნობს, გულდი — გულდიდობს (იქვე, 62); ძუნწი — გაძუნწდა (ილია, 2, თბ., 1952, 50); ხერხი — მოახერხოს (იქვე, 198); ქალაჩუნა — გვაქალაჩუნებდა (აკაკი, 7, თბ., 1958, 47); ყრუ — გამოყრუვდება (იქვე, 104); ალი — იალებს (გ. ტაბიძე, II, თბ., 1935, 12); ლანდი — ილანდა (იქვე, 23); მაისი — იმაისებს, თაიგული — ითაიგულებს (მისივე, VII, თბ., 1950, 16); გუშაგი — ჰგუშაგობ (ი. გრიშაშვილი, ერთტომეული, თბ., 1955, 124); შაქარი — დამიშაქრდა (იქვე, 150); ცისკარი — იცისკრე, დილა — იდილეო (ვ. ურუელი, „ლიტ. საქართვე.“, № 33, 1963)...

ყოველი თავისთავადი სიტყვა ქართულში ზმნის მოდელის მორგების შემთხვევაში ზმნის თანრიგში მოექცევა:

1. არსებითი სახელი: ხელი — ახელებს, მიწა — ამიწებს, ბარი — ბარავს, ღამე — აღამებს, სახლი — ასახლებს, ფოცხი — ფოცხავს, სახელი — ასახელებს...

2. ზედსართავი სახელი: წითელი — აწითლებს, თეთრი — ათეთრებს, მოკლე — ამოკლებს, ფართო — აფართოებს, დიდი — ადიდებს, მცირე — ამცირებს, მაღალი — ამაღლებს, დაბალი — ადაბლებს...

3. რიცხვითი სახელი: სამი — ასამებს, ხუთი — ახუთებს, ათი — აათებს, ოცი — აოცებს, ასი — აასებს, მეხუთე — ამეხუთებს, მეშვიდე — ამეშვიდედებს, მესამე — ამესამედებს, მეასე — ამეასედებს...

4. ნაცვალსახელი: ჩემი — აჩემებს, შენი — შენობს, სხვა — სხვაობს, ამისთანა — ამისთანობს, ამგვარი — ამგვარობს, იმნაირი — იმნაირობს...

5. ზმნიწედა: ჩქარა — ჩქარობს, ირგვლივ — ირგვლივობს, წინ — წინაობს, გუშინ — გუშინობს, მერმის — მერმისობს, მარად — მარადობს, ფრიად — ფრიადობს...

6. თანდებული: შორის — შორისობს, შუა — შუაობს, მიერ — მიერობს, შესახებ — შესახებობს, მიმართ — მიმართობს, კენ — კენობს, თვის — თვისობს...

7. კავშირი: თუ — თუობს, მაგრამ — მაგრამობს, თუმცა — თუმცა-

¹ შ. ლ. ო. ნ. ტ. ი, ეფთხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 138—152.

ცაობს, რადგან — რადგანობს, თორემ — თორემობს, კი — კიობს, ხან-ხან — ხანხანობს, გინდ-გინდ — გინდ-გინდობს...

8. ნაწილაკი: განა — განაობს, დიალ — დიალობს, ნუთუ — ნუთუობს, არა — არაობს, ვერა — ვერაობს, როგორმე — როგორმეობს, რაიმე — რაიმეობს...

9. შორისდებული: ახ — ახობს, აფსუს — აფსუსობს, ვაშა — ვაშაობს, ერიპა — ერიპაობს, ყოჩად — ყოჩადობს, ბარაქალა — ბარაქალაობს, ოლოლო — ოლოლოობს...

გ. ადიექტივის სუბსტანტივაცია. აქ გაირჩევა ორი თავისებურება: ჯერ ერთა, ადიექტივური წარმოშობის სიტყვებს ახლა დაკარგული აქვთ თავდაპირველი ფუნქცია და სუბსტანტივად არის გაგებული. ისტორიულად ასეა მიღებული სუბსტანტივები: ბერი, მტერი, გმირი, მხედარი, ქართველი, რუსი, სამეხი, სვანი, მესხი, სასტუმრო, სასადილო და მისთ., რომელთაც დღეს მხოლოდ გარეგნული ნიშნები აქვთ ადიექტივისა, ხოლო მორფოლოგიურად და სინტაქსურად სუბსტანტივებია. მეორე, ზშირია სუბსტანტივისაგან წარმოქმნილი ადიექტივის ხელმეორედ სუბსტანტივაცია. გ ო ბ-იდან მიღებული ადიექტივი მეგობარი (მე-გობ-არ-ი) ახლა უკვე განეკუთვნება არა ადიექტივთა, არამედ სუბსტანტივთა კლასს, ასევე რვ-ისაგან მიღებული რვეული (რვ-ეულ-ი), წიგნ-ისაგან — მწიგნობარი (მ-წიგნ-ობ-არ-ი), ნადირ-ისაგან — მონადირე (მონადირ-ე), წისქვილ-ისაგან — მეწისქვილე (მე-წისქვილ-ე), ველ-ისაგან — მეველე (მე-ველ-ე), ქალაქ-ისაგან — მოქალაქე (მო-ქალაქ-ე) და ა. შ.

დ. ზმნის სუბსტანტივაცია. ზმნის ფუძისაგან შესაბამისი აფიქსების მოშველებით წარმოაქმნება სახელა, რომელიც უღლებადი სიტყვიდან ბრუნებადთა კლასში გადადის. ასე მიიღება მასდარი (საწყისი): ხატავს — ხატვა (ხატ-ავ-ა — ხატ-ვ-ა), ბარავს — ბარვა, ცურავს — ცურვა, აშენებს — შენება, დგას — დგომა, შრომობს — შრომა, ჭამს — ჭამა, რთავს — რთვა... მართალაა, ხატვა, ბარვა, ცურვა, შენება, დგომა, შრომა, ჭამა, რთვა... ზმნათა ფუძეებისაგანაა მიღებული და შერჩენილა აქვთ ზმნის ზოგი კატეგორიაც, რის გამოც ისინი სახელზმნებად მიგვაჩნია, მაგრამ სემანტიკურად ისინი სახელის ფუნქციას ასრულებენ, წინადადებაში ქვემდებარედ და დამატებად გვევლინებიან (ხატვამ დალაღა, ხატვას იწყებს, ხატვით გატაცებულია, ხატვად არ ღირს...) და არა შემასმენლად.

სიტყვათა გადასვლ-გადმოსვლას ერთი თანრიგიდან მეორეში დიდი მნიშვნელობა აქვს ენის ექსპრესიული ფუნქციის შესრულებისათვის. ამ მხრით ქართული ენა სიტყვის ოსტატს უსაზღვრო სტილისტიკურ შესაძლებლობას აძლევს.

§ 9. ლექსიკის დარგობლივი კლასები. ენის ლექსიკა მიაგავს უნაპირო ოკეანეს, რომელსაც ავსებს მძლავრი ზღვები და წყალუხვი მდინარეები თავიანთი დიდი და მცირე შენაკადებითურთ. ქართული ენის ლექსიკაში გამოიყოფა ათეულობით დარგობლივი კლასი, სპეციფიკური სიტყვებით რომ ავსებს საერთო მარაგს. ამ კლასებიდან ძირითადია:

1. ადამიანისა და ადამიანური მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები: ქალი, კაცი, ცოლი, ქმარი, რძალი, მამა, სიძე, მუშა, გლეხი, მწყერალი, მეცნიერი, მასწავლებელი, მოწაფე, დეიდა, მამიდა, დედოფალი, მეფე, მდივანი, თავმჯდომარე, გამგე, მევენახე, მეკარე, ლაპარაკი, აშენებს, აკეთებს, ხატავს, წერს, აზროვნებს...

2. ცხოველები: ძროხა, ხარი, კამეჩი, ცხვარი, ცხენი, თხა, ღორი, ხბო, ბატანი, კვიცი, გოჭი, კურდღელი, ძაღლი, კატა, ლეკვი, კნუტი, ლომი, ვეფხვი, მელა, მგელი, ბოკვერი, აქლემი, სპილო, ჯორი, ვირი...

3. ფრინველები: ბელურა, ჩიტი, მერცხალი, მტრედი, გვრიტი, არწივი, ძერა, ქორი, ყვავი, შაშვი, ჩხართვი, ჩხიკვი, მიმინო, წერო, იხვი, ბატი, ქათამი, ინდაური, კუკი, წიწილი, ციცარი...

4. თევზები, ქვეწარმავალი, მწერები: კალმახი, ლოქო, ორაგული, თართი, ღორჯო, წვერა, ბაყაყი, გველი, ხვლიკი, კიყველა, ფუტკარი, ბუზი, მუმლი, კრაზანა, კრიპინა, კიანქველა...

5. მცენარეები, ხილი, ბოსტნეული: ხე, მუხა, წაბლი, ცაცხვი, ნაძვი, კობიტი, ჭადარი, ია, ყაყაჩო, ასკილი, სიმინდი, ლობიო, კომბოსტო, სტაფილო, ბოლოკი, პრასი, ნიორი, ხახვი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ლეღვი, ჭანჭური, ქლიავი, ბალი, ნესვი...

6. საჭმელ-სასმელი, საკვები: პური, ყველი, ცხიმი, ერბო, კარაქი, კვერცხი, ხარჩო, ფაფა, მკაღი, თაფლი, წყალი, ვეძა, ღვინო, ჩაღა, ბალახი, თივა, ქერი, მწვანელი...

7. ნივთები, საგნები: მიწა, ქვა, რკინა, თიხა, ოქრო, ვერცხლი, ჯოხი, ბურთი, ქუდი, კაბა, შარვალი, ქალამანი, ქამარი, თოფი, მანქანა, თოხი, ხმალი, დანა, ჩანგალი, ჯამი, დოქი, წიგნი, სარკე, ქალღალღი...

8. მოქმედების, რომელობის, რაოდენობის სიტყვები: კეთება, ხატვა, წერა, კითხვა, ბარვა, შენება, კრეფა, დგომა, ბრძოლა, წითელი, ლურჯი, მწვანე, მაგარი, სუსტი, სამი, ათი, ასი, მეხუთე, ჩემი, მისი, ამისთანა...

9. კაცთა და ადგილთა საკუთარი სახელები: მზია, ნათელა, სულიკო, ეთერ, თამარ, ქეთევან, ნინო, შოთა, შალვა, ჯავახ, ზვიად, შერგილ, გვედო, ცოტნე; მცხეთა, ქუთაისი, თბილისი, ონი, კურზუ, არა-

გვი, მტკვარი, რიონი, ენგური, სუფსა; გურამიშვილი, ჰავჭავაძე, წერეთელი, ჭაყელი, ეგუტია, ქალდანი...

10. მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ტერმინები. ენის ლექსიკაში დიდ ადგილს იკავებს მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის, ხელოვნების ცალკე დარგების სპეციფიკური სიტყვარი. ცხოვრების, ცოდნის, შემოქმედების ყველა სფეროს თავისი საკუთარი ლექსიკა მოეპოვება და ის ცალკე დარგობლივ კლასებადაა ასახული ენის საერთო ლექსიკონში.

§ 10. სიტყვის მნიშვნელობის მოდიფიკაცია. ზეპირი და წერილი მეტყველების პროცესში ადგილი აქვს სიტყვის მნიშვნელობის თავისებურ ცვლას — გაფართოებას, დავიწროებას, არაპირდაპირი ანუ გადატანითი მნიშვნელობით ხმარებას, ეფემიზმს. სიტყვის მნიშვნელობის ამისთანა მოდიფიკაციის საფუძველს ადამიანთა დამოკიდებულების პრაქტიკა წარმოადგენს, მას მოითხოვს მწერლობის დარგებისა და ჟანრების თავისებური სტილის დაცვის ინტერესები.

მნიშვნელობის გაფართოება გულისხმობს კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი სიტყვის განზოგადებას, საყოველთაოდ გავრცელებას. ამის ნიმუშებია, მაგალითად, არსენა, ტარიელ მკლავაძე, ლუარსაბ თათქარიძე, კვაჭი კვაჭანტირაძე და მისთ., რომლებიც ისტორიული პირები, ან გავრცელებული ლიტერატურული თხზულებების პერსონაჟები არიან. არსენა, ცნობილი სახალხო გმირის სახელი, საყოველთაოდ გავრცელდა; ამ სიტყვით ახლა გადმოიციემა თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი. ილიას პოემის გმირი ზაქრო ამბობს: „არსენა ჩენი, ის მხნე არსენა... ის იყო ჩემი ჭავრი და ლხენა... და არსენობა მენატრებოდა“ (ილია, ტ. I, 1951, გვ. 167). იმ პირზე, ვინც ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებს უდანაშაულო ადამიანს, იტყვიან მკლავაძეობსო, უსაქმურ, უდარდელ, მუქთადმჭამელ მეოცნებეზე — ლუარსაბიაო, გაქნილ, გაიძვერა ვაჭარ-საქმოსანზე — კვაჭიაო... ლიტერატურულ თხზულებათა პერსონაჟები ტარიელ მკლავაძე (ეგნინოშვილის „ჩენი ქვეყნის რაინდი“), ლუარსაბ თათქარიძე (ილიას „კაცია-ადამიანი?!“), კვაჭი (მ. ჭავჭავაძის „კვაჭი კვაჭანტირაძე“) ზოგადი გავრცელების სახელებად იქცნენ. ამ სახელთა მნიშვნელობა გაფართოვდა.

სროლა (—იხარი) თავდაპირველად ისრის გატყორცნას ნიშნავდა. რადგან მაშინ სხვა ასეთი სასროლი იარაღი არ არსებობდა. შემდეგ ასეთი იარაღები გაჩნდა (თოფი, ზარბაზანი), მაგრამ ენამ სროლა-ს ფუნქცია მაინც არ შეუცვალა, მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და ახლაც ვამბობთ: თოფი ესროლა, ზარბაზანი, ქვა ესროლა (ანალოგიით — სიტყვა ესროლა!). შეგობარი უწინ მხოლოდ ის პირი იყო, ვინც მოლაპარაკესთან ერთად ერთი გობიდან ჭამდა (მე-გობ-არი), ახლა კი სი-

ტყვის მნიშვნელობა განუზომლად გაფართოებულია, მეგობარი ეწოდება ყველას, ვინც ერთუტრის კეთილად უყურებს, პატივს სცემს და ეხმარება...

სიტყვის მნიშვნელობის დავიწროება გაფართოების საპირისპირო პროცესია. სოფელი ძველ ქართულში აღნიშნავდა ქვეყანას, სამყაროს, „ცა და ქუთყანა და საესება მათიო“ (ნ. ჩუბინაშვილი). ძველ ქართულ ძეგლებში ვკითხულობთ: „არა ყოფილ არს დასაბამითგან სოფლისაჲთ მოაქამდე“ (C მათე, 24, 21); „სოფელსა ამას იყო, და სოფელი მის მიერ იქმნა, და სოფელმან იგი არა იცნა“ (C იოვანე, 1, 10); „ჩემი არს სოფელი და საესება მისი“ (ფსალ., 49, 12); „განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (პ. იბერიელი, შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, ს. ენუქაშვილის გამოც., 1961, 101, 17); „ამის დატევებითა წარუვალი იგი სოფელი მოიყიდო“. (სიბრძნე ბლაჰვარისი, ილ. აბულაძის გამოც., 1937, 7, 3—4); „ვა, სოფელო, რამიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირსა!“ (შოთა, 951, 1)... ამჟამად სიტყვის მნიშვნელობა დავიწროებულია, სოფელი ნიშნავს დასახლებულ ადგილს, რომლის მცხოვრებნი უმთავრესად მიწათმოქმედებას მისდევენ.

წერილი ძველად ნიშნავდა „ყოველსა კალამთაგან აღწერილსა“ (საბა), ნ. ჩუბინაშვილით: „ქართა, აღწერილი მელნითა და კალმითა, გინა ბეჭდის ტყფარი“. სწორედ ამ მნიშვნელობით გვხვდება სიტყვა ძველ ქართულ ძეგლებში: „ჯერ-არს აღსრულებად ყოველთა მათ წერილთაჲ შჯულსა მას მოსესსა“ (C ლუკა, 24, 44); „არავინ მათგანი წარწყმდა... რაჲთა აღესრულოს წერილი იგი“ (C იოვანე, 17, 12); „ვითარცა ვთქუ სჯულსა შინა სახარებასა ჩემსა და ყოველთა წერილთა“ (ღვთისმშობლის მიმოსლვა, ს. ყუბანეიშვილი, ქრესტ., I, 1946, 19, 3)... ახლა სიტყვა უფრო ვიწრო მნიშვნელობით იხმარება.

ბაბილო ძველად ვაზს, ან შიმალს აღნიშნავდა: „მაღალი ვაზი“ (საბა), „რქა ვაზთა და სხვათა ნერგთა, ანუ შიმალი“ (ნ. ჩუბინაშვილი). „დაჰფარნა მთანი ჩრდილომან მისმან, და ბაბილოთა მისთა ნადენი ღვთისანი“ (ფსალ., 79, 10); „იგივე ზაქარია სთულისა ჟამთა ჯდა ოდესმე ტბას თვსთა ბაბილოთა მწიფეთა ქუეშე“ (ხანძთ., ნ. მარის გამოც., 1911, მე, 1); „ბაბილოსა მას მოისთულებდიან“ (ცხორ. ნინოასი, ი. იმნაიშვილი, ქრესტ., I, 1953, 274, 7)... გურულში სიტყვის მნიშვნელობა დავიწროებულია, ნიშნავს ვაზის ფოთოლს.

სიტყვის არაპირდაპირი მნიშვნელობით ხმარება გულისხმობს გადატანითი აზრით გამოყენებას. ამის ნიმუშებიც ბლომად მოიპოვება როგორც ზებირ, ისე წერით მეტყველებაში. კმაყოფილი დედა თავის მშვენიერ შვილზე იტყვის: „ცუდი ბიჭი მყავსო“. ცხადია, ცუდი აქ გადატანითაა ნახმარი და კარგს ნიშნავს. ილია ლუარსაბის ახორხლილ

სახლ-კარზე ამბობს: „კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“; „ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იღვა“; „იმ თათქარიძის ოთახში იღვა ორი გრძელი ტახტი, ერთმანეთის პირდაპირ. ისეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ, როცა კნენა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალეების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზე ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძლებოდა“ (ტ. 2, 1950, 125; 127; 128). ლუარსაბის სახლ-კარი კარგი და მშვენიერი არ ყოფილა, მტკრიანი ქეჩა და ხალიჩა ფაქიზი არ იყო, თავადს ბრწყინვალე ფეხი არ ჰქონდა, მტკერი ლამაზად ვერ აბოლდებოდა. კარგი, მშვენიერი, ფაქიზი, ბრწყინვალე, ლამაზი აქ ნახმარია გადატანითი, სრულიად საპირისპირო მნიშვნელობით, რომ უფრო მძაფრი იერი მიეცეს სატირას. ასევე გიორგი კესოზე ამბობს — ანგელოზიო: „ღეღი! ჰხედავ... ამ... ანგელოზს! — ძლივს-ძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევე კესოზე თვალ-გაჩერებულმა“ (იქვე, 308); ბრიყვ ოფიცერზე ნათქვამია: „ამ სიტყვებზე შეცნეირმა აფიცერმა თითებზე იკოცა“ (იქვე, 15)... ანგელოზი, შეცნეირი ნახმარია არა პირდაპირი, გადატანითი მნიშვნელობით.

სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ხმარების ნიმუშებს განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით სატირულ-იუმორისტული ჟანრის თხზულებებში. ნ. დუმბაძის ერთ მოთხრობაში გვითხულობთ: „ილარიონმა და ილიკომ იცოდნენ, როგორი ავადმყოფიც ვიყავი და საუბარში ჩაებნენ. — რაღაცა, ამ ბოლო დროს, სისუსტეს ვამჩნევთ ამ ბლანას, — თქვა ილარიონმა... მაგალითად, ჰამის მადა არა აქვს. ამასწინათ ჩემთან იყო და ერთი კეცი მჭადის და სამი საინი ლობიოს მეთი ლუკმა არ ჩაუღვია პირში“ („სოფლელი ბიჭი, 1960, 10); „ძალის კვილიმა ცას ჰერი ახადა“ (იქვე, 19); „აივანზე დაყრილ საჩირე ვაშლს მზე სისხლს უშრობდა“ (იქვე, 28)...

სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარების ნიმუშებია ევფემიზმები და ტაბუ. ევფემიზმი ნიშნავს კრძალულსიტყვაობას, ტლანქად, ან უხერხულად მიჩნეული სიტყვის ნაცვლად უფრო კეთილი, მისაღები სიტყვის ხმარებას. მაგალითად, როცა უვიცის მაგივრად ამბობენ უწიგნურს, ან ნაკლებწიგნიერს, შეცდომის ნაცვლად უმართებულოს — ეს ევფემიზმი იქნება. ევფემისტურ გამოთქმებში ჰარბობს არა ობიექტური კანონზომიერება, არამედ საზოგადოების გარკვეულ წრეთა ინდივიდუალური გემოვნება.

ტაბუ — ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმის აკრძალვაა რელიგიურ-მაგიური წესჩვეულების საფუძველზე. მაგალითად, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გველს არ ახსენებენ — ვიღაც გვძრახავსო, და

მის ნაცვლად ხმარობენ ტაბუირებულ ტერმინებს: უხსენებელი, მკურავი, ურწმუნო, შავჩოხიანი. ასევე ტაბუს ადებენ ვადამდებ სნეულებებს: ყვავილს, შავჭირს, წითელას, ქუნთრუშას და ა. შ. — ბავშვებს არ გადაედოსო, და მათ ნაცვლად იტყვიან: ბატონები მობრძანდნენო...

§ 11. სინონიმები. სხვადასხვა ბგერობრივი მოდელით გადმოცემულ ერთი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს სინონიმები ჰქვია. ბგერობრივი სამოსელის სხვადასხვაობა, შინაარსის ერთობა, — აი, რა ნიშანთვისება აქვთ მათ. სინონიმები წყვილ სიტყვას გულისხმობს, ამიტომ ასეთ სიტყვებს სინონიმურ წყვილებს უწოდებენ. სინონიმთა ენის ლექსიკის სიმდიდრისა და მოქნილობის გამოვლინებაა. იგი საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად და მართებულად გადმოვცეთ აზრი, საგანი და მოვლენა დავახასიათოთ მათი ყოველგვარი, გარეგანი და შინაგანი, ნიშანთვისების ჩვენებით.

ქართულში სინონიმური წყვილი ათასობით გვაქვს და ეს აღბეჭდილიცაა სათანადო ლექსიკონებში¹. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმეს.

აბგა, პატარა ნივთების ჩასალაგებელი ჩანთა, ექვს სინონიმს იცნობს: ვაშკარანი, ხურჯინი, იახტანი, მანდილი, მახალი, ჩანთა; აბრეშუმი მეტს: ჭიჭნაური, შეიდიში, ყანაოზი, მოვი, დარაია, ზარბაზი, მერდინი, ქალაღაია, ხატაური, ხათაია, ხახი... ალ. ნეიმანის აზრით, ამავე ცნებას აღნიშნავენ ყალამქარი და ჩიჩა-გლუხარაც (ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, 1961, 8). ასევე სინონიმებია: ამბოკარი: ბოგანო, ტაბარუკი, ეული, უმიწაწყლო, უსახლკარო; ანჩხლი: არჯალი, გულარჯული, ავგული, გულპილწი, კაპასი, კაპარჩხინა, არკაუჭა, ბრაზიანი, ღვთისრისხვა, ხუსტურიანი, ჭირვეული, ჭინჭულიანი, აშაქარი; ბადე: სათხვეელი, ხოლიხი, ჩიჩქინური, ზედმა, ხელბადე, დიდბადე, საშრობი, ხოჭი, ჭვილითი, კოში, სასროლი ბადე, ბარჯი, ხეჩაკალი; საფიჩხულე, დგელამური, კოკოზა, კუდმოზვერა...

აქ ჩამოთვლილი სიტყვები, რა თქმა უნდა, ერთურობის მიმართ სინონიმებია, მაგრამ მნიშვნელობით ყოველთვის ერთმანეთს არ ფარავს. აბგასა და ხურჯინს, ხურჯინსა და ჩანთას, მანდილსა და აბგას ფუნქციით ერთნაირი დანიშნულება-გამოყენება აქვთ, მაგრამ აბსოლუტურად ტოლები არ არიან; ასევე ანჩხლი და არჯალი, ბრაზიანი და ღვთისრისხვა, კაპასი და არკაუჭა, კაპარჩხინა და ჭირვეული, ჭინჭულიანი და აშაქარი ერთი ფუნქციის სინონიმებია, მაგრამ არც მათ შორის შეიძლება აბსოლუტური ტოლობის ნიშნის დასმა. აბსოლუტურად

¹ ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მეორე გამოც., თბ., 1961.

ტოლი სინონიმებიც მოიპოვება, მაგრამ მათი რიცხვი ენაში ერთობ მცირეა. აბსოლუტური სინონიმებია შიშველი და ტიტველი, ბიჭი და ყრმა... კომში და ბია ისევე, როგორც ფელამუში და თათარა, სულელი და აბდალი, ბელელი და ხულა, ზარმაცი და დილენჯი, ყლორტი და დუყი, ქორფა და ჩიჩქვი, ახირებული და ობროდი, ჯავრი და ზავთი აბსლუტურ სინონიმებად არ შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა ერთსა და იმავე ცნებებს კი აღნიშნავენ. წყვილის პირველი ცალები (კომში, ფელამუში, სულელი, ბელელი, ზარმაცი, ყლორტი, ქორფა, ახირებული, ჯავრი) ლიტერატურული ენის ინვენტარიდანაა აღებული, ხოლო მეორე ცალები (ბია, თათარა, აბდალი, ხულა, დილენჯი, დუყი, ჩიჩქვი, ობროდი, ზავთი) — დიალექტებიდან, ე. ი. აქ შეერთებულია ერთი ცნების აღმნიშვნელი ლიტერატურული და დიალექტური სიტყვები. ამიტომ ასეთ წყვილებს აბსოლუტურ სინონიმებად ვერ წარმოვიდგინოთ, სინონიმებსაც უპირატესად პირობით თუ ვლწოდებთ.

ენათმეცნიერები ეჭვის თვალით უტყეირიან ორი აბსოლუტურად თანხედენილი სიტყვის არსებობის შესაძლებლობას ენაში. „საესებით ერთნაირი მნიშვნელობის ორი სიტყვა ფაქტობრივ არ არსებობს: ან ობიექტური ან სუბიექტური მომენტი იძლევა სხვაობას“, — ამბობს ა. ჩიქობავა.¹

ქართულ ენას სინონიმებად დიალექტურ მასალასთან ერთად გამოუყენებია ნასესხები სიტყვებიც და ამ გზით შექმნილა თავისებური სინონიმური წყვილები, რომელთაც შ. ძიძიგურმა ს ი ნ ო ნ ი მ უ რ ი პ ა რ ა ლ ე ლ ი ზ მ ი უ წ ო დ ა.² შ. ძიძიგურს ძველი ქართული ენის ძეგლებიდან დამოწმებული აქვს ასეთი ნიმუშები: „წმიდათა მარტვირთა და მოწამეთა“ (ხანძთ. ცხორ.): მარტვირი (ბერძნ.) — მოწამე (ქართ.), „მწირი და მსხემი, ეგრეთ დამსხემი“ („აბდულმესია“): მსხემი (ბერძ.) და მწირი (ქართ.), „მომღერალნი და მუტრიბნი არ იყენეს სულ-დაღებულნი“ („ვეფხისტყაოსანი“): მუტრიბნი (არაბ.) და მომღერალი (ქართ.), „თუ ჩემი ქენება და მუღარა არ მოისმინო“ („ვისრამიანი“): ქენება (ქართ.) და მუღარა (არაბ.). ასეთებივეა: ნიშატსა (სპარს.) და სიხარულსა (ქართ.), ფიცი (ქართ.) და ზენაარი (სპარს.), ყრმა (ქართ.) და ჭაბუკი (სპარს.), კერეონთა (ბერძ.) და სანთელთა (ქართ.), ბელი (ქართ.) და ილბალი (არაბ.), დრო (ქართ.) და ბორჯი (სპარს.)...³

, ამისთანა სინონიმურ წყვილებს, როგორც ირკვევა, მწერლობა

¹ ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 189.

² შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელისა, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, თბ., 1941, № 7, გვ. 689; მისივე: საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960, გვ. 67—72.

³ იქვე.

ოყენებდა არა მარტოდენ მხატვრული სახის შექმნის სტილისტიკურ საშუალებად, არამედ უცხოური სიტყვების ენაში დამკვიდრებისა და გავრცელების საშუალებადაც.¹

ა. შანიძეს სინონიმური გამოთქმები მწერლის სტილის დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნია. ამის მიხედვით აფასებს მკვლევარი კერძოდ გიორგი მთაწმიდლის თავისებურ სტილს. მართლაც, გ. მთაწმიდელს თავის შესანიშნავ თხზულებაში („ცხორება იოვანესი და ეფთუმესი“) ნახმარი აქვს ასეთი „სინონიმური გამოთქმები“: კიბხევამ და ბასრობამა (118, 17), განდგომილებამა და ორგულებამა (116, 2), კელმწიფებამა და უფლებამა (39, 1), ჰაეროვნებამა და შუენიერებამა (118, 23), სწავლითა და მოძღურებითა (93, 2), უმანკობით და სიწმინდობით (118, 3), ღუაწლნი და შრომანი (2, 7), ტყილითა და ჰამოჯთა (68, 1), აღუქსნიდა და განუმარტებდა (54, 2)...²

როგორც არ უნდა გავიგოთ სინონიმური გამოთქმების მხატვრულ-ენობრივი ფუნქცია, ერთი ცხადია: სინონიმური სიტყვები და გამოთქმები ენის ლექსიკის სიმდიდრეა, ისინი მეტ გამომსახველობას, ექსპრესიულობას ანიჭებენ ენას.

სინონიმურ გამოთქმებს მოგვაგონებს სიტყვათა პლენასტური გამეორება, რასაც, როგორც მხატვრულ-სტილისტიკურ ხერხს, ჩვეულებრივ მიმართავენ მწერლები და ორატორები. აზრის გაძლიერების მიზნით ამბობენ: ნელა, ნელა იარე! ჩქარა, ჩქარა, არ დაიგვიანო! წყალი, წყალი ღვთის გულისათვის! დედა, დედა, რა გვიქენი! „მოდინა, მოდიან! — აღმფოთებულის ხმით შემოსძახა გარედან გრიგოლმა“ (ე. გაბაშვილი, თხზ., II, 1953, 169); „დედა, დედა, თაფლი, ნიგოზი!“ (იქვე, 227); „კარგი, კარგი, კმარა!“ (იქვე); „გადი, გადი, გადი ჩემი სახლიდამ!“ (ს. მგალობლიშვილი, რჩეული, 1951, 457); „ოპ, შვილო, შვილო, რანაირ შემიყვარდი, რანაირ!“ (იქვე, 462); „ნუ წავალთ, ნუ წავალთ, ჩვენ მოვუაროთ!“ (ნ. ნაკაშიძე, მოთხრ., 1950, 147); „ჩქარა, ჩქარა, ჩვარი მოიტანეთ!“ (იქვე, 178); „გმადლობ, გენაცვა, გმადლობ!“ (მ. ჯავახიშვილი, თხზ., II, 1959, 40); „გაიქეციოთ, ქალბატონო, გაიქეციოთ! — უძახის შოფერი“ (იქვე, 83); „ყოჩაღ, ქალო, ყოჩაღ!“ (იქვე, 92)...

კაზმულსიტყვაობაში ამისთანა პლენასტემები მხატვრული ხერხია, რასაც შემოქმედი რეტორადაციის მიზნით, შთაბეჭდილების, აზრის გა-

¹ შ. ძიძიგური, ცნება სინონიმური პარალელოზმისა, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, II, თბ., 1941, № 7, გვ. 689; მისივე: საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960, გვ. 67 — 72.

² ა. შანიძე, გ. მთაწმიდლის ენა, წიგნში: გ. მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთუმესი, ა. შანიძისა და ივ. ჯავახიშვილის რედ., თბ., 1946, გვ. 80.

ძლიერებისათვის მიმართავს ხოლმე. ენობრივი ფუნქციით კი გამეორებული სიტყვები სინონიმურ ცალებს მოგვაგონებს.

§ 12. ომონიმები. ორ ან მეტ ერთი და იმავე ბგერითი კომპლექსით გადმოცემულ სხვადასხვა მნიშვნელობისა და წარმომავლობის სიტყვას ომონიმები ჰქვია. ისინი სინონიმთა საპირისპირო ლექსიკურ ერთეულებს წარმოადგენენ. ქართული ენა ომონიმებით ისე მდიდარი არ არის, როგორც სინონიმებით, მაგრამ მათ მაინც გარკვეული ადგილი უჭირავთ ენის ლექსიკურ მარაგში. ომონიმური წყვილები სხვადასხვა ნიადაგზეა აღმოცენებული, ხშირად შემთხვევითია მათი მსგავსი გახმოვნება, თუმცა ზოგჯერ ერთგვარი ნათესაობაც აერთებთ. ამიტომ შესწავლა ომონიმური წყვილებისა სხვაგვარ მიდგომას საჭიროებს, ვიდრე სინონიმური წყვილების შესწავლა.

ომონიმების გაჩენას განაპირობებდა ენის განვითარების შინაგანი ბუნება, დიალექტური განშტოებანი, სიტყვათა სესხება და ფონეტიკური მოდიფიკაცია.

ომონიმების შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა მოიპოვება ყველა ენაზე, რომელზედაც მწიგნობრობა არსებობს. ქართულ ენაზე გვაქვს შ. ძიძიგურისა¹ და ე. ბაბუნაშვილის სპეციალური წერილები², რომლებშიაც ზოგადად განხილულია ომონიმების ადგილი ქართულ ლექსიკაში.

ქართული ენა იცნობს ასეთ ომონიმებს:³ ზაგა „ესე არს პირუტყვეთა საზრდელთა დასადებელი ადგილი“ (საბა), ზაგა მოდაბლო საარკმელი სახლში და ზაგა „ახალი ვენაკი“. აგრეთვე: ზაზი მწერია ერთგვარი, ფუტკარის მსგავსი და ზაზი დამწიფებული ლობიო, ცერკვი, სიმინდი (შდრ.: „ზაზი ლობიო“).

ზაკი საქონლის დასამწყვედვეი და ზაკი ლითონის ჭურჭელი (შდრ.: „წყლის ბაკი“).

ზანი სახლის ბრტყელი სახურავი და ზანი ბოხი ზმა სიმღერაში.

ზარი ვაკე ადგილი, დაბლობი, ზარი მიწის სათხრელი იარაღი და ზარი მტაცებელი ფრინველი.

ზელი დათვის შვილი და ზელი ხის კუნძი.

ზერი მოხუცებული, ბებერი და ზერი საეკლესიო ძმობის წევრი,

¹ შ. ძიძიგური, ომონიმია, „სახალხო განათლება“, № 41, 1948.

² ე. ბაბუნაშვილი, ომონიმი და მისი ადგილი ქართულ ენაში, თბ. უნ. შრ., 93, 1960, გვ. 65—75.

³ მაგალითები ამოკრებილია ლექსიკონებიდან: ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1949; ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. დ ლ ო ნ ტ ი ს რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961; დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887—1890; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს საერთო რედაქციით, ტ. ტ. I, II, III, IV, V, VI, VII, თბ., 1950—1962.

რელიგიური კულტის აღმასრულებელი (შდრ.: ხევის ბერი, ბერად აღკვეცა, ერი და ბერი).

ბნევა ფანტვა, ყრა (თესლს აბნევს) და ბნევა დამაგრება, დაბნევა (ნემსის დაბნევა).

ბოჯანო უქონელი, ღარიბი და ბოჯანო „ყანის მავნე კია“ (საბა).

ბორანი მდინარეზე გადასასვლელი, კეთდება ორი ნავითა და მსხვილი ბაგირით და ბორანი მაწვნიანი მხალეული ან მწევე ღობიო.

ბურბუშელა ფიცრის გაშალაშინებისას დარჩენილი თხელი შრეები, ბურბუშელა თხელი ნამცხვარი და ბურბუშელა რძიანა მცენარე.

ბჰე დიდი კარი და ბჰე მოსამართლე, სადაო: საქმის გასარჩევად ამორჩეული პირი.

გოხი დიდი ქვა, ლოდი და გოხი ყამირი, ურწყავი ადგილი, მწიერი მიწა.

დედოფალა ბავშვის სათამაშო თოჯინა და დედოფალა მცირე მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი კვერნების ოჯახისა.

დოლაბი წისქვილის ქვა, დოლაბი ბანიანი სახლის სანათური და დოლაბი ქვიტკირის კედელში დატანებული უკარო განჯინა.

ვარია ქათმის დიდი წიწილი და ვარია სადღვებელი.

ზილი კოლო (საბა) და ზილი „წულილი კმისცემა (საბა).

კავი მოკაუქებელი რკინა, ჯოხი; კავი მიწის სახვნელი იარაღი; კავი სახლის სახურავის ლატანი; კავი ვაზის ულვაში და კავი დახვეული თმა.

კილო „ლილის გარდასაცვამი“; კილო „ისართა მშკლდის საბელთა ჩასაგდებელი“ (საბა); კილო ხმა გალობაში და კილო დიალექტი.

ხელი ადამიანის კიდური; ხელი ნაწერი; ხელი გიჟი და ხელი ღვიწისათვის დამახასიათებელი არასასიამოვნო გემო.

ხერხი იარაღი, რომლითაც ჭრიან (ხერხვენ) ხეს და ხერხი უნარი, საშუალება (შდრ.: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“)...

ასაკი ისტორიულად ორი ერთურთისაგან სრულიად განსხვავებულ ცნებას აღნიშნავდა: ა) ტანი, სიდიდე, ტანისა: „ვინ თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თვისსა წყრთა ერთ?“ (C მათ., 6, 27); „აჲო სიკეთე მისი, შეუყვარდა სისრულე ასაკისა მისისა და უმეტესად შეუენიერება პირისა მისისა“ (ლ. მროველი, მეფე ქართლისა არჩილ, ქართლ. ცხ., I, 1955, 245); „ხოლო ჰასაკისა ხილვითა ჩნდა მრთელად და იზარდებოდა ვითარცა სხუაჲ ყრმაჲ“ (ხანძთ., 5. მარის გამოც., ნა, 2)... ბ) წლოვანება, ხნოვანება, „ადამიანის სიცოცხლის ესა თუ ის ხანი“: „მაგას ჰკითხეთ, ჰასაკი აქუს, ეგე თავისა თვისისათვის იტყოდენ“ (DE იოვანე, 9, 21); „ხოლო იყო ხილვითა დიდ, კორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ“ (ხანძთ., ბ, 63); „აღზრდილ

არს იგი და ჰასაკსა საზომსა მიწვევულ არს“ (ლ. მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლ. ცხოვ., I, 1955, 98)... დღეს კი ამ სიტყვას სრულიად გარკვეული ერთი მნიშვნელობა აქვს. ომონიმს მოაკლდა ცალი.

ომონიმის ცალია ზვეც. ძველ ქართულში ის ორი მნიშვნელობით იხმარებოდა. ა) მთავარი კარია: „რამეთუ იწრო არს ზვეც და წულილ გზაჲ“ (C მათე, 7, 14); „აღმამალღე მე ზვეთაგან სიკვდილისათა“ (ფსალ., 9, 13)... ბ) მოსამართლე, სადაო საქმის მომრიგებელი: „ხოლო დღესასწაულად-დღესასწაულად ჩუეულ იყო ზვე იგი მიტეეებად ერთისა პურობილისა ერსა მას“ (C მათე, 27, 15); „იგი იყვის მაზვეებელ და ზვე სხუათა ქართლოსიანთა“ (ლ. მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლ. ცხოვრ., I, 1955, 11)... სიტყვას ორივე მნიშვნელობა შემორჩა ახალ ქართულშიაც. აქედანაა საზვე, გაზვეობა, ზვისკარი (ვიშკარი).

სალიტერატურო ენაში ომონიმების ცალად გამოყენებულია ზოგჯერ დიალექტური, ან უცხოური ენებიდან ნასესხები სიტყვა. ზემოთ ნაჩვენები იყო სალიტერატურო ენაში ამჟამად დამკვიდრებული ომონიმები. აღვნიშნავთ კიდევ ომონიმთა წარმოების ოთხ შემთხვევას.

1. წყვილის ერთი ცალი ლიტერატურული სიტყვაა, მეორე— დიალექტური: ლიტ. კაკაბი ცნობილი გარეული ფრინველი და ქართლურ-კახური კაკაბი ხის სადგომი, რაზედაც დამაგრებულია გუთნის ფრთა; ლიტ. კაკლა პატარა მრგვალი პური და გურულ-იმერული კაკლა ღორის ავადმყოფობა; ლიტ. კანჭი ფეხის ნაწილი მუხლის თავიდან კოქამდის და რაჭ.-ლეჩხ. კანჭი ფრჩხილი, ქიზიყ. კანჭი სარეველა ბალახია ერთგვარი; ლიტ. კაპარი ბალახოვანი მცენარე და მოხ.-ხევს. კაპარი ბურახი; ლიტ. კელა ბზიკი, კრახანა და ლეჩხ. კელა ნეხვი...

2. წყვილის ორივე ცალი დიალექტურია: რაჭ. ზორო დიდი გზა, მიყრუებული ადგილი მთაში და გურ. ზორო ერთგვარი ზნე; ფშავ. ზოში რბილი, უძალო, მოშვებული და ლეჩხ.-რაჭ. ზოში ბავშვი; ინგ. თხლაფა ერთგვარი ყურძენი და მთიულ. თხლაფა საქონლის ნაკელი, თხელი; გურ. ლუსკუში ბნელი ლამე და მოხ. ლუსკუში ყინული...

3. წყვილის ერთი ცალი ქართულია, მეორე უცხოური: ბეგი გორაკი, ამალღებული ადგილი და თურქ. ბეგი ბატონი; ბარი ვაკე ადგილი ან მიწის სათხრელი იარაღი და ინგლ. ბარი რესტორანი, ბერძ. ბარი ატმოსფერული წნევის ერთეული; დურო სათოფური და ესპ. დურო ვერცხლის ფული; კილო დიალექტი, სიმღერის ხმა და ბერძნ.-ფრანგ. კილო კილოგრამი, წონის ერთეული; დეკა მცენარე, ბუჩქი და ბერძნ. დეკა ათი...

4. წყვილის ორივე ცალი უცხოურია: ფრანგ. კადრი გარკვეული

დარგის მუშაკთა შემადგენლობა და ფრანგ. კადრი კინოლენტის ნაწილი, რომელზედაც გარკვეული ეპიზოდია აღბეჭდილი; პოლანდ. ზოტი დიდი ნავი და ფრანგ. ზოტი ჩექმა, ქალის მალაყელიანი კალოში; ინგლ. ბარი რესტორანი და ბერძ. ბარი ატმოსფერული წნევის ერთეული...

ომონიმები რომ სხვადასხვა წარმოშობისა და მნიშვნელობის სიტყვებია, ამას ბანის ანალიზიც ცხადყოფს. ბანი სახლის ბრტყელი სახურავია დატკეპნილი მიწით გაკეთებული. ამავე დროს ბანი ქართული ანბანის მეორე ასოს სახელწოდებაა, ხოლო სიმღერაში ბანს ბოხ ხმას ეძახიან. რა აქვს საერთო მნიშვნელობის მიხედვით ამ სამ სიტყვას? არაფერი. ყველა მათგანი დამოუკიდებელი წარმოშობისაა და ცალკე მნიშვნელობაც აქვს.

ომონიმური წყვილები სხვადასხვა ნიადაგზეა აღმოცენებული, მათი ბგერობრივი მოდელით დამთხვევა კანონზომიერი მოვლენა არ არის, უფრო შემთხვევითია. ამიტომ მათ ლექსიკონში ცალ-ცალკე აღბეჭდავენ ხოლმე.

§ 18. ანტონიმები. საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები ანტონიმებია. ერთი მნიშვნელობის სიტყვას გასჩენია საპირისპირო ცალი. მთა იმიტომ გვაქვს, რომ არის მისი საპირისპირო ბარი; დიდი იმიტომ, რომ მას პატარა, მცირე უპირისპირდება. საპირისპირო მნიშვნელობათა გაჩენა ენის ლექსიკის განვითარების კანონზომიერი პროცესია, რომელიც ახლაც მოქმედებს.

საპირისპირო მნიშვნელობისა შეიძლება იყოს ყოველი სიტყვა, უფრო ეს ადიექტურ ერთეულებში შეინიშნება.

ქართული ენა მდიდარია ანტონიმებით, რომლებიც ჩვეულებრივ გვხვდება როგორც მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე ბუნებრივ ურთიერთსაუბარსა და სიტყვა-პასუხში. ისინი ამდიდრებენ ადამიანის მეტყველებას, მას მეტ ემოციურობას, გამომსახველობასა და კაზმულობას ანიჭებენ. ხატოვანი მეტყველება, რთული ფილოსოფიური მსჯელობა, მეცნიერული კვლევა-ძიება, ორატორული ხელოვნება, ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთსაუბარი აღსაესება ანტონიმური წყვილებით. ანტონიმებით უფრო ნათლად, მკაფიოდ, გასაგებად, ხატოვნად გადმოიციემა აზროვნების შედეგი, საგნებისა და მოვლენების შეპირისპირებით მიღებული სწორი დასკვნა. რაც უფრო მაღალ დონეზე დგას აზროვნება, ზოგადი მოვლენების აბსტრაქცია, მით უფრო მეტი გასაქანი აქვს მეტყველებაში ანტონიმურ სიტყვა-თქმებს. ანტონიმური წყვილები გვხვდება არა მარტოდენ თანამედროვე ქართულში, იგი მდიდრულადაა წარმოდგენილი ძველ ქართულ მწერლობაშიაც.

ანტონიმები ქართულში ძირეულია და წარმოქმნილიც.

ძირეულია: ბნელი და ნათელი, დაბალი და მაღალი, დიდი და პატარა, დღე და ღამე, მაგარი და სუსტი, მთა და ბარი, ზღვა და ხმელი, კარგი და ცუდი, ძუ და ხვადი, წყალი და მიწა, ვიწრო და ფართო...

წარმოქმნილია: ბედნიერი და უბედური, გემრიელი და უგემური, გონიერი და უგონო, გრძელი და მოკლე, დადებითი და უარყოფითი, დედალი და მამალი, კეთილი და ბოროტი, მშრალი და სველი, მკვდარი და ცოცხალი, ნაყოფიერი და უნაყოფო, სიცილი და ტირილი, ტკბილი და მწარე, ღონიერი და უღონო, შვილიანი და უშვილო, წესიერი და უწესო...

ანტონიმური წყვილები დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებია და ლექსიკონებში ცალკე ერთეულებად აისახება.

ანტონიმური წყვილების წარმოქმნას ისტორიული პირობები განსაზღვრავს და არა საერთოდ „სიტყვის დიალექტიკა“. ცხოვრების პრაქტიკა, რეალური სინამდვილე, ადამიანთა დამოკიდებულება თვითონ შეიცავს საგნებისა და მოვლენების ურთიერთ დაპირისპირებას, რაც სრულად აისახება ხოლმე ენის ლექსიკურ მარაგში. დაპირისპირება სინამდვილის მოვლენებს შორის, რაც ისტორიული კანონზომიერებაა, ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაში, თავის უშუალო ანარეკლს ენაშიაც პოულობს. ეს დაპირისპირებანი ერთი რომელიმე საზოგადოების, ან ენობრივი წრის ფარგლებში როდი ექცევიან. ისინი ზოგადი, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საერთო ობიექტურ კანონზომიერებათა ნიადაგზე აღმოცენებული მოვლენებია. ამიტომ ანტონიმები ყველა ენაში გვხვდება და ერთნაირი ფუნქციით გამოიყენება. ის არ არის კუთვნილება ერთი რომელიმე, ვთქვათ, ქართული, ან გერმანული ენისა, საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენაა. ჰეგელი მართალი იყო, როცა ამ მოვლენას ხაზს უსვამდა, მაგრამ ჰეგელიზმის დასაბუთებას დასაბუთებდა, როცა ამ დაპირისპირებას მხოლოდ გერმანული სიტყვის თავისებურებად მიიჩნევდა. „გერმანული ენის ბევრ სიტყვას, — ამბობდა ჰეგელი, — ის თავისებურება ახასიათებს, რომ აქვს არა მარტო განსხვავებული, არამედ საპირისპირო მნიშვნელობანიც, რაშიაც არ შეიძლება არ დავინახოთ მოცემული ენის გონება-ჰერეტიკით არსიო“¹; დაპირისპირებულთა შენაერთი აქ „უკვე გამოხატულია ლექსიკურად ერთი სიტყვით, რომელსაც საპირისპირო მნიშვნელობანი აქვსო“².

საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვათა არსებობა ერთი რომელიმე ენის სპეციფიკური თავისებურება რომ ყოფილიყო, მა-

¹ Гегель, Сочинения, V, М., 1937, გვ. 7.

² იქვე.

შინ ქართულში ანტონიმური წყვილები არ გვექნებოდა, ვინაიდან ის, ვთქვათ, გერმანულში გვაქვს. მაგრამ ნამდვილად ანტონიმები ყველა ენაში გამოიყოფა, საპირისპირო სიტყვათა დაწვეილება საყოველთაოდ გავრცელებული ზოგადენობრივი პროცესია. მასში თვალნათლივ გამოსკვივის სიტყვის განმაზოგადებელი ბუნება. მეტყველებაში ანტონიმი ანტითეზაა, უმდიდრესი საშუალება მხატვრული გამომსახველობისა.

§ 14. სიტყვა და ტერმინი. ენაში ათეულ ათასობით სიტყვა გვაქვს და ყველა მათგანი გარკვეულ მნიშვნელობას ატარებს. მაგრამ ენის სიტყვარიდან გამოიყოფა ერთი დიდი ნაწილი, რომელიც ადვილად იცვლის გარე და შინა ფორმას, ექვემდებარება ადამიანის ფსიქიკურ, ესთეტიკურ, მხატვრულ თუ სხვა გრძნობა-წარმოდგენას. ამისთანა სიტყვები ენის საუნჯის მთავარ ნაწილს მოიცავს და მისი სიმდიდრეა. ლექსიციდან, ამასთან ერთად, გამოიყოფა მეორე, უფრო მცირე, ნაწილი სიტყვებისა, რომლის ფუნქცია მკაცრადაა რეგლამენტირებული და მნიშვნელობას ადვილად არ იცვლის. ამ სიტყვებით გადმოიცემა მეცნიერების ამა თუ იმ დარგისათვის შესაფერისი ცნებები და კატეგორიები. ამისთანა სიტყვებს ტერმინოლოგია ჰქვია. ტერმინი სიტყვაა, მაგრამ ყოველი სიტყვა ტერმინი არ არის და არც შეიძლება იყოს. ტერმინი ცნების აღმნიშვნელი სიტყვაა, ან სიტყვით გამოხატული ცნება. მთავარი მოთხოვნა, რომელიც წაყენება ტერმინად გამოყენებულ სიტყვას, სიზუსტეა. ის მაქსიმალური სიზუსტითა და სისწორით უნდა გამოხატავდეს შესაბამის ცნებას. ზუსტი ტერმინოლოგია ენის იდეალი იყო და არის. ცნება წარმოადგენს ადამიანის აზროვნების ფორმას, რომელშიაც გამოხატულია საგნის, მოვლენის, ობიექტური სინამდვილის ზოგადი, არსებითი ნიშნები. საგნებს, მოვლენებს, ობიექტურ სინამდვილეს სწავლობს და იკვლევს ცოდნის სხვადასხვა სფერო — მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, რომელთა ცალკე დარგებს მოეპოვებათ საკუთარ ცნებათა სისტემა, საკუთარი ტერმინოლოგია. ტერმინოლოგია ისევე აუცილებელია მეცნიერების ენისათვის, როგორც ჰაერი ადამიანისათვის.

ტერმინოლოგია იმდენგვარია, რამდენიც ცოდნის სფეროა. მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის ახალი დარგების შექმნისთანავე ჩნდება მისი შესაფერი ტერმინოლოგია, იცვლება, ზუსტდება, იხვეწება არსებული ტერმინოლოგია, ხმარებიდან გამოდის მოძველებული ტერმინი და ჩნდება ახალი. მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკის განვითარება თავის ასახვას პოულობს ტერმინთა სამყაროშიც.

ტერმინოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი ცივილიზებულ ხალხთა

ენებში შექმნილია ბერძნულ-ლათინური ან აქედან ფრანგულ-გერმანულ-ინგლისურ-რუსული ენობრივი სამყაროდან. ერთი ნაწილი კი გაფორმებულია ეროვნული ენის სიტყვობრივ მასალაზე.

ქართულ ტერმინოლოგიას დიდი ტრადიცია აქვს. ძველი ქართული ტერმინოლოგიის შექმნა-განვითარებაში დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვით იოვანე პეტრიწს, ეფრემ მცირეს (XI—XII სს.), სულხან-საბა ორბელიანს, ვახუშტი ბაგრატიონს (XVII—XVIII სს.) და სხვ. XIX საუკუნეში გაჩაღდა ჩვენში ფართო ტერმინოლოგიური საქმიანობა, რომელშიაც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. ჩვენს ენას დღესაც ამშვენებს ნიკო ჩუბინაშვილის, დავით ჩუბინაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა მიერ შექმნილი ტერმინები და ახალი სიტყვები. ტერმინოლოგიური საქმიანობა საქართველოში განსაკუთრებით გაფართოვდა ახალ ეპოქაში. ახალმა ცხოვრებამ მოითხოვა ძველი ტერმინოლოგიის ძირფესვიანად გადაშენება და ახლის შექმნა. ამ ეროვნულ საქმეს დიდი ცოდნა და ენერჯია შესწირეს ივ. ჭავჭავაძემ, ა. შანიძემ, გ. ახვლედიანმა, ვუკ. ბერიძემ და მეცნიერთა მთელმა პლეადამ ცოდნის სხვადასხვა სფეროდან (§ 85).

ქართული ენის მასალაზე შექმნილი ტერმინებიდან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ზმნა, სახელი, ბრუნება, უღლება, ქცევა, მწკრივი, წინადადება, შემასმენელი, ქვემდებარე, შეთანხმება, მართვა, გარდამავლობა (გრამატიკული ტერმინოლოგია); შესავალი, კვანძი, დასკვნა, სახე, სურათი, ტერფი, გამეორება, მოთხრობა, ზღაპარი, თქმულება, არაკი (ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინოლოგია), გამრავლება, გაყოფა, მიმატება, გამოკლება, ნაწევარი, ჯამი, განტოლება, იგივეობა, წარმოებული, სამკუთხედი, სწორკუთხედი, ციფრი, რიცხვი (მათემატიკური ტერმინოლოგია), საქონელი, ფასი, ღირებულება, წარმოება, კვლავწარმოება, ხელფასი, გაცვლა, ვაჭრობა, ფული, მიმოქცევა, ვალი, ქონება, თვითღირებულება (ეკონომიკური ტერმინოლოგია), ატუმბვა, აფეთქება, აწობა, გადატვირთვა, გამოხდა, გამოწვა, გამტარობა, განმუხტვა, დანადგარი, ზღვარი (მეტალურგიული ტერმინოლოგია), შემეცნება, დასაბუთება, გრძნობა, არსი, გონი, შინაარსი, მუნარსი, კეშმარიტება, თვისებრიობა, სული, აუცილებლობა, შემთხვევითობა, წარმოდგენა, სინამდვილე, შესაძლებლობა, მსჯელობა, კანონზომიერება, ცნება, განსჯა, გალიზიანება, იგივეობა, უსასრულობა (ფილოსოფიური ტერმინოლოგია)...

ამ სიტყვა-ტერმინებით გადმოცემულია შესაბამისი ცნებები. მათგაიარეს პრაქტიკის მკაცრი გამოცდა და დამკვიდრდნენ ენაში. ასეთი ტერმინების ღირსება სიზუსტეა, რაც განაპირობებს მათს გამძლეო-

ბასაც. სახელი, ზმნა, წინადადება, გამრავლება, გაყოფა, გრძნობა, არსი, სული, შინაარსი, სახე ისეთი ტერმინებია, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ემსახურება ხალხს და მათი მნიშვნელობა უცვლელია. ტერმინთა მნიშვნელობის ნებისმიერად შეცვლა არევედარევის ქმნის მეცნიერებაში, აეჭვებს ადამიანს ცნებათა რაობაში. ამიტომ მეცნიერება სიფრთხილით უდგება ტერმინთა შერჩევას და შერჩეულ სიტყვას ფაქიზად უფრთხილდება, უვლის, უფლებას არ აძლევს ცალკე პიროვნებებს, დაამახინჯონ და თავისებურად გაიგონ ტრადიციული ტერმინოლოგია.

ეროვნული ტერმინოლოგიის პარალელურად ქართულში ვრცელდება ნასესხები ტერმინოლოგია, რის მარაგიც სისტემატურად ივსება. ინტერნაციონალურ ტერმინოლოგიას იყენებს ყოველი ენა, მათ შორის ქართულიც, რომელიც მას დასაბამიდან პატივისცემით ეპყრობა. ინტერნაციონალური გავრცელების სიტყვები ჩვენში ფეხს იკიდებდნენ ყოველთვის, როცა ამის საჭიროება და შესაძლებლობა იყო. სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენს ენაში ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში დამკვიდრდა ძველბერძნული ფუძიდან (kosmos) მომდინარე ტერმინები კოსმოდრომი და კოსმონავტი..

§ 15. ადამიანთა ბჰარაბი და ადგილის სახელწოდებანი ტერმინებად. მრავალი ცალკე სიტყვა და სპეციალური ტერმინი ენაში დამკვიდრებულა ამა თუ იმ პიროვნების (მეცნიერის, გამოგონებლის, მწერლის) წყალობით. მთელი რიგი ცნებების აღსანიშნავად გამოყენებულია გეოგრაფიული (ადგილის) სახელწოდებანი და ადამიანთა გვარები. ამის გამო, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ადვილად აღვადგინოთ ბევრი სიტყვის ისტორია, მისი შექმნის დრო.

ქართულში ასეა წარმოშობილი, მაგალითად, ტერმინები ჩ ა ხ რ უ ხ ა უ ლ ი და რ უ ს თ ვ ე ლ უ რ ი. პირველით აღინიშნება ლექსის განსაზღვრული ზომა (20 მარცვლი), რომლითაც წერდა XII საუკუნის ცნობილი მეხოტბე, მგოსანი ჩახრუხაძე. ამ ზომას ამიტომ მისი სახელი შეერქვა. რ უ ს თ ვ ე ლ უ რ ი ეწოდება ლექსის რვა მარცვლოვან ზომას (შაირს), რითაც შოთას გენიალური „ეფეხის-ტყაოსანია“ დაწერილი. ლექსის ეს ზომა დიდებული პოეტის რუსთველის სახელს ატარებს.

გეოგრაფიული (ადგილის) სახელწოდებებისაგანაა შექმნილი ასეთი ზოგადი ტერმინები: ხვანჭკარა, არგვეთი, წინანდალი, მუკუშანი, ნაფარეული, გურჯაანი, ქინძმარაული, ჭვიში, ატენი, საღხინო (ღვინის სახეობანი), ზორჯოში, ჭავა, საირმე, ნაბეღლავი, ლუგელა, სკური (მინერალური წყლები).

რუსულ ენაში ანალოგიურად შექმნილა პოპულარული ტერმი-

ნები: ლავოჩინი, ტუპოლევი, იაკოვლევი, ილიუშინი (თვითმფრინავები, რომელთაც სახელები ეწოდათ გამოჩენილი თანამედროვე კონსტრუქტორების გვართა მიხედვით).

სიტყვათა, ტერმინთა შექმნის ეს პროცესი დასტურდება თითქმის ყველა ენაში. ამ გზით წარმოშობილი ბევრი ტერმინი მთელი მსოფლიოს ენებშიც არის გარცელებული. აი, ზოგი მათგანი:

1. გალიფე. ერთგვარი სამხედრო ფორმის შარვალი, რომელმაც ეს სახელწოდება ფრანგი გენერლის, გალიფეს, მიხედვით მიიღო.

2. ფრენჩი. სამხედრო ტანსაცმელი ოთხი ჯიბით. ტერმინი მიღებულია ერთი ინგლისელი გენერლის გვარისაგან, რომელიც მონაწილეობდა ბურებისა და პირველ მსოფლიო ომში.

3. ბოიკოტი. ვისმესთან პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული თუ სხვა საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტა ხალხის წინაშე დანაშაულის ჩადენის გამო. სიტყვა მიღებულია ირლანდიელი მემამულის ბუიკოტის გვარისაგან, რომლის წინააღმდეგ 1879 წელს პირველად გამოიყენეს. ე. წ. „ბოიკოტი“.

4. ხულიგანი მიღებულია ერთი ინგლისელი დამნაშავეს გვარისაგან (პულიგან). ეს კერძო გვარი გარკვეული დამნაშავეს აღმნიშვნელ საერთო ტერმინად იქცა.

5. ამპერი — ელექტროდენის ძალის ერთეული. სიტყვა მიღებულია ფიზიკოს ამპერის (1775—1836) გვარისაგან.

6. ვოლტი — ელექტრომძრაობის ძალის ერთეული. სიტყვა მიღებულია ფიზიკოს ალ. ვოლტას (1745—1827) გვარისაგან.

7. გალვანიზაცია წარმოქმნილია იტალიელი ექიმის ლუიჯი გალვანის (1737—1798) გვარისაგან; პასტერიზაცია — ცნობილი ბაქტერიოლოგოსის პასტერის (1822—1895) გვარისაგან; რენტგენის სხივები — გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსის ვ. კ. რენტგენის (1845—1923) გვარისაგან.

8. მაუზერი, ბრაუნინგი, ნაგანი — რევოლვერის სახეობანი, რომელთაც ეს სახელწოდებანი გამომგონებელთა გვარების მიხედვით მიიღეს¹...

9. ბარკალატი — საშენი მასალა, ან დაბრიკეტებული ჩაი. ტერმინი მიღებულია გამომგონებელ ბარკალაიას გვარისაგან.

ახალ საგანს, ადგილს, თუ მეცნიერულ კანონს ხშირად მისი აღმოჩენისა თუ გამომგონებლის გვარს არქმევენ. ასეა მიღებული საყოველთაოდ ცნობილი ტერმინები: არქიმედის კანონი, პასკალის კანონი, პავლოვის რეფლექსი, ნიუტონის კანონი ან ბინომი, ლომონო-

¹ ლ. ა. ბუღაჩოვსკი, ენათმეცნიერების შესავალი, II, თბ., 1955, გვ. 116—117; შ. ძიძიგური, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960, გვ. 28—29.

სოვის კანონი, ლაპტევეების ზღვა, ჰუდზონის უბე, ბროკას ცენტრი, ბერიტაშვილის ცდა, ნესტეროვის მარყუეი, მიჩურინის ვაშლი, ბესტაშვილის ატამი, ლალიძის წყალი და ა. შ.

ათეულობით ტერმინი შექმნილია დიდი მწერლებისა და მეცნიერთა მიერ და ასეა გავრცელებული პრაქტიკაში. ქართულ ენაში ამ გზით დამკვიდრებულა: იოვანე პეტრიწის ნაშრომებიდან: მიდმოგონება, საგონი, გასაგონი, განგება (გება), შესფეროებული¹ და მისთ.; ანტონ I-ის გრამატიკიდან: სახელზმნა²; ილია ქავევაძის თხზულებებიდან: საქონელი, უფლება, სინამდვილე, მიმართულება, ეროვნება³ და ა. შ.; ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის მეშვეობით გავრცელდა სხვა ლექსიკონებში: გამდიდრება, გამოჩეკა, გამოცდა, გამოცემა, გამოცნობა, გამრავლება, გამჩენი, გამკრიახი, გამხდარი, განათლება, განდიდება, განებიერება, განთქმული, განკარგულება, განმტკიცება, განსაზღვრა, განსწავლა, განქორწინება, გაპენტვა, გარდამავალი, გარდაქმნა, გარემოცვა, გარიგება, გარღვევა, გარჩევა, გასავალი, გასამართლება, გასაღები, გაუმაძლარი, გაუქმება, გაფლანგვა, გაფრთხილება, გაქანება, გახსნა, გვირაბი, გულადი, გულუხვი⁴ და მისთ. ა. შანიძის სახელთანაა დაკავშირებული ასეთი გრამატიკული ტერმინების შექმნა და დამკვიდრება: ქცევა, გზა, მწკრივი, უღლება, ჭერობა, მხლებელი⁵ და სხვ. დ. უზნაძემ შექმნა ტერმინი განწყობა⁶, ვუკ. ბერიძემ — საშვი, შვებულება, ნ. ნიკოლაძემ — ლიანდაგი და მისთ.

აღნიშნული მეცნიერებისა და მწერალთა თხზულებებიდან ეს ტერმინები გადავიდა ხალხში და დამკვიდრდა როგორც ზეპირ, ისე წერილობით მეტყველებაში.

§ 16. აბრეშვიტშერბ ჰქვია სიტყვის შემოკლებას, რაც ჩვეულებრივ გავრცელებულია წერითსა და ზეპირ მეტყველებაში. წერისას მიღებულია რამდენიმე სიტყვის შემოკლება. ძველად ასეთი შემოკლებანი ქარაგმით აღინიშნებოდა, თანამედროვე ორთოგრაფია ქარაგ-

¹ მ. გ. გ. ბ. რ. ი. ძ. ე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, ი. მეგრელიძის რედ., თბ., 1961, გვ. 178—192.

² ანტონ I, ქართული ლრამატიკა, თბ., 1885, გვ. 174, 197.

³ გ. შ. ა. ლ. ა. მ. ბ. რ. ი. ძ. ე, ილია ქავევაძე და ქართული ენის ლექსიკონი ზოგიერთი საკითხი, „სახალხო განათლება“, № 12, 1951; ჩვენი: ილია და ქართული ტერმინოლოგია, „საბჭოთა ოსეთი“, № 203, 1957.

⁴ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლ. ლ. ო. ნ. ს. რ. ე. ლ. ა. მ. ბ. რ. ი. ძ. ე, თბ., 1961, გვ. 58.

⁵ ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე, ქართული ლრამატიკა, I, თბ., 1930; მისივე: ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953.

⁶ დ. უ. ზ. ა. ნ. ი. ძ. ე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1940, გვ. 68 და შემდ.

მას არ იყენებს. შესამოკლებელი სიტყვებიდან იღებენ პირველ ასოებს და წერისას მათ შემოკლების ნიშნად წერტილს უსვამენ. ამის ნიმუშებია: ე. ი. = ესე იგი; ა. შ. = ასე შემდეგ; და სხვ. = და სხვა; საქ. სსრ = საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; ქშწყგს = ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება...

აბრევიატურა განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ გზით შეიქმნა შემოკლებული სიტყვები, რომლებიც სალექსიკონო ერთეულებადაც იქცნენ. აღვნიშნავთ ამის რამდენიმე ნიმუშს.

1. შესამოკლებელ სიტყვათა პირველი ასოების შეერთება: სკკპ = საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია; სსრკ = საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი; მმარ-ი = მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა; ზაჰეს-ი = ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგური... აქედან სკკპ, მაგალითად, ასე იწერება, მაგრამ გამოითქმის სრულად, ხოლო მმარ-ისა და ზაჰეს-ის ტიპის შემოკლებანი იწერება ასე და ასევე გამოითქმის. ახლა ადამიანს ხშირად უძნელდება მათი შედგენილობის ამოშიფრვა და არც ფიქრობს იმაზე, რომ ისინი შემოკლებული სიტყვებია, მათში მხოლოდ ოთხ-ოთხი სიტყვის დასაწყისი ასოებია წარმოდგენილი.

2. ორი ან სამი სიტყვის თავკიდური მარცვლების შეერთებით მიღებულია ახალი, შემოკლებული სიტყვა: რაიკომ-ი — რაიონული კომიტეტი; აღმასკომ-ი — აღმასრულებელი კომიტეტი; პარტკომ-ი — პარტიული კომიტეტი; პარტორგ-ი — პარტიული ორგანიზატორი; პროფკომ-ი — პროფესიული კომიტეტი; სახელგამ-ი — სახელმწიფო გამოცემლობა...

3. ორი სიტყვიდან პირველის თავკიდური მარცვლია აღებული, მეორე კი მთლიანადაა წარმოდგენილი: პარტბიურო — პარტიული ბიურო; კოლმეურნეობა — კოლექტიური მეურნეობა; ფიზკულტურა — ფიზიკური კულტურა; კომპარტია — კომუნისტური პარტია; ცეკავშირი — ცენტრალური კავშირი; კომკავშირი — კომუნისტური კავშირი; ელმავალი — ელექტროობით მავალი; ელსადგური — ელექტრონის სადგური; სოფსაბჭო — სოფლის საბჭო; ელმავანიტი — ელექტრო მავანიტი; ელმოტორი — ელექტრონის მოტორი...

4. ორი შესამოკლებელი სიტყვიდან პირველი ფუძითაა წარმოდგენილი, მეორე — თავკიდური მარცვლით: ქალაქკომი — ქალაქის კომიტეტი; მუშკორი — მუშა კორესპონდენტი; სახლკომი — სახლის კომიტეტი...

ამისთანა აბრევიატურას ფართო გზა მისცა ახალმა ყოფა-ცხოვრებამ. შემოკლებას განაპირობებს ადგილისა და დროის ეკონომია,

გრძელსიტყვაობის მოკლედ გადმოცემის პრაქტიკული საჭიროება¹. ეს დანიშნულება ჰქონდა აბრევიატურას ძველადაც.

შემოკლებული სიტყვები დიდ გავრცელებას პოულობენ სპეციალურ ტერმინოლოგიაში.

აბრევიატურული სიტყვა დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია და ასევე აღიბეჭდება ლექსიკონებშიაც. იგი ისევე იბრუნვის, როგორც ჩვეულებრივი არსებითი სახელი. V

§ 17. ძველი ქართული ლექსიკა. როდესაც ძველი ქართულის ლექსიკაზე ვმსჯელობთ, მხედველობაში გვაქვს V—XI საუკუნეთა ძეგლების სიტყვობრივი არსენალი. აქ იგულისხმება ჩვენი მდიდარი და შესანიშნავი ეპიგრაფიკული, საერო და სასულიერო, საისტორიო და ფილოსოფიური მწერლობა, ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლები. უადრესად მრავალფეროვანი და დახვეწილია ამ ძეგლების ლექსიკა. მართალია, ის თავისუფალი არ არის დიალექტური ნაშრევებისაგან, მაგრამ მტკიცეა და დღევანდელი სიტყვათა სემანტიკური ფუნქცია და მართლწერა. უდიდესი ნაწილი ამ ლექსიკისა დამკვიდრდა ხალხში როგორც საფუძველი ქართული სალიტერატურო ენისა და ამჟამადაც ინარჩუნებს თავის ტრადიციულ სემანტიკას. ხსენებული ძეგლების ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც ასახავდა ადამიანსა და მის სამეურნეო-კულტურულ მოსაქმეობას, დღესაც ძალაშია და მომავალ ეპოქებსაც გაუძლებს, მაგრამ მნიშვნელოვანი რაოდენობა ამ სიტყვარისა გამოვიდა ხმარებიდან და დღეს სპეციალური ლექსიკოგრაფიული ცნობარების გარეშე კაცს გაუქირდება მისი მნიშვნელობის გაგება.

V—XI საუკუნეთა ძეგლებში დამოწმებული ასეულობით სიტყვა მომდევნო ეპოქებში აღარ უხმარიათ და დავიწყებას მისცემია. მაგალითად, ძველი ქართული ზღუარი დღეს აღარ იხმარება, გასულია ხმარებიდან. აღნიშნავდა იგი სამხრეთს და ამ მნიშვნელობით მოხსენებულია ფსალმუნთა უძველეს თარგმანში: „მოაქციე, უფალო, ტყე ჩვენი, ვითარცა ღვარნი ზღუარითა“ (125, 3). ლეონტი მროველს დამოწმებული აქვს ასეთ კონტექსტში: „... რათა იხილონ ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა მაცხოვარება შენი და რათა ჩრდილო ზღუარსა თანა იხარებდეს“ („ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955, 91, 2); ჯუანშერს: „ხორშაკი ზღუარისა“ (იქვე, 237, 11). გვხვდება სხვა ძეგლებშიაც: „ნინოს ცხოვრება“: „რათა ჩრდილო ზღუარსა თანა იხარებდეს“ (ი. იმნაიშვილი, ქრესტ. I, თბ., 1953, 272, 37); ბასილი კესარიელის „მკვეთათჳს სახისა სიტყუაჲ“: „ვითარცა დედოფალი

¹ ა. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 227.

ბლუარისაჲ“ (იქვე, 284, 7); „პოვნაჲ სტეტანსი“: „ბლუარით კერძო ყანობირსა მას გჳძიენ ჩუენ“ (იქვე, 300, 24); აღიშის ოთხთავი: „დედოფალი იგი ბლუარისაჲ აღდგეს“ (ა. შანიძის გამოც., მათე, 12, 42); ოშკის ბიბლია: „აღიხილენ თუალნი შენნი და იხილე მაგიერ ადგილით, სადა-ევე ხარ შენ აწ, ბლუარად კერძო და ჩრდილოდ, აღმოსავალად და ზღუად“ (ა. შანიძის გამოც., თბ., 1947, დაბ., 13, 14); მოგვიანებით მოხსენებულია „აბდულმესიანში“: „ქვეყნისა ზღვარი, ჩრდილო და ზღვარი, დაელონ, ვის ძალუტ მისებრ პოვნისა?“ (ს. ყუბანეიშვილი, ქრესტ., II, თბ., 1949, 200, 14, 4)...

საბა ამ სიტყვას „ფსალმუნის“ მხოლოდ 125-ე თავის მიხედვით იმოწმებდა და სამხრეთად მიიჩნევდა; ნ. ჩუბინაშვილი დან. 11, 15-ისა და ზაქარ. 6, 8-ის თანახმად ჩრდილოეთად განმარტავდა, ფსალ. 77, 26 და 125, 4-ის მიხედვით — სამხრეთად და დასძენდა: „მაგრამ ჩრდილოეთი უფრო მართალია, რადგან ბლორი მიღებულ არს ბერძულის ლექსისაგან ზორეასი და სამხრეთის სახელი არს სხვა (ე. ი. თემანი ნახე)“; „თემანი სამხრეთი (ეზეკ. 47, 19; ამბაკ. 3, 3), იორ“ (ნ. „ბლუარი“, „თემანი“). დ. ჩუბინაშვილს რიცხვ. 33, 40-ის, შავთ. 14-ისა და სხვა წყაროთა მიხედვით ბლუარი სამხრეთად მიაჩნია, ისაიას 41, 25-ის მიხედვით კი — ჩრდილოეთად. მათ. 12, 42-ის თანახმად ბლუარი სამხრეთია: ჯრუჳ-პარხლის ოთხთავი ამ ადგილას სწორედ სამხრეთს გვაჩვენებს, აღიშის ოთხთავი — ბლუარს და ლექსიკონებშიაც სწორადაა აღნიშნული ბლუარი — სამხრეთი¹. სამხრეთი წარმოქმნილი სიტყვაა. ამ ცნების აღსანიშნავად, საბას თანახმად, ძველ ქართულში გამოყენებული ყოფილა ბლუარი, თემანი, ონოტო, ორიო და ვორიო (ნ. „სამხრეთი“). აქედან ახალ ქართულში დამკვიდრდა სამხრეთი, სხვა მისი სინონიმი ისტორიული ლექსიკონის კუთვნილებად იქცა.

ეგვევ ითქმის ზორშაკზე — გავრცელებულ სიტყვაზე ძველ ქართულ ძეგლებში. ოშკის ბიბლიაში იკითხება: „და აჰა კუალად მერმე შუდნი თავნი აღმოსცენდეს მათ თანა, წულილნი და ზორშაკეულნი“ (დაბ., 41, 6); „და შეჳამნეს შუდთა მათ თავთა წულილთა და ზორშაკეულთა შუდნი იგი თავნი რჩეულნი“ (დაბ., 41, 7); აღიშის ოთხთავში: „რაჳამს სამხრით ქრინ, სთჳკთ, ვითარმედ ზორშაკი იყო“ (ლუკ., 12, 55). ოთხთავის სხვა რედაქციებში ამ ადგილას მოხსენებულია „სიცხში“. „შუშანიკის მარტილობაში“ ხსენებული სიტყვა ასეთ კონტექსტში გვაქვს: „უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი

¹ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948—1949, გვ. 67; ს. ბ. ს ე რ ე ბ რ ი ა კ ო ვ ი, ძველქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1962, გვ. 17.

მკურვალეზბა მზისაჲ, ქარნი ზორშაკნი და წყალნი მავნებელნი“ (ილ. აბულაძის გამოც., თბ., 1938, 39); „გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში“: „ამას მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვაჲ სულისაგან ზორშაკისა მაკუდინებელისა“ (ნ. მარის გამოც., სპბ., 1911, კგ, 43); „არამედ განწესებით დგას თვისა საზღვარსა უნოტიოჲ, უზორშაკოჲ, უმიწოჲ მზუარო“ (იქვე, კლ., 12); „აბდულმესიანში“: „მადლის მუშაკთა ექმენ ზორშაკთა მაგრილობელად სხეულებისა“ (ს. ყუბანეიშვილი, ქრესტ., II, 205, 62); „ვისრამიანში“: „ესე ქუეყანა ზორშა და უმაშნოა“ (თბ., 1938, 134, 31); „ქილილა და დამანა“: „ულონობისა და სისუსტის ზორშაკისაგან პირი დასაქნობელად მიილო“ (ალ. ბარამიძისა და ელ. მეტრეველის რედ., თბ., 1962, 2, 7, 4)... საბას განმარტებით, ზორშა, ზორშაკი არის „ქარი შემწვეელი“; ნ. ჩუბინაშვილის აზრით, „ზორშა, ზორშაკი, ზვარშაკი შემწვეელი სიცხე მზისა, Зной“. ამავე განმარტებას იმეორებს დ. ჩუბინაშვილიც.

სადაურობას თავი რომ დავანებოთ, ზორშაკი ძველ ქართულში პოპულარული სიტყვა ყოფილა, დღეს კი მივიწყებულია. მწერალმა კ. გამსახურდიამ სცადა მისი აღდგენა „დავით აღმაშენებელში“, მაგრამ საეჭვოა, ფეხი მოიკიდოს. თუმცა აქა-იქ მაინც ხმარობენ. აი, მაგალითად, ერთი მოთხრობის თარგმანში გვხვდება ასეთ პოზიციამი: „ქარი ზაფხულობით ზორშაკია და ზამთრობით სუსხიანი“ („მნათობი“, 4, 1963, 42).

ძველი ქართული ლექსიკიდან ასეთი თავგადასავალი განუცდია ასეულობით სიტყვას, რომელთა ერთად თავმოყრა და აღნუსხვა ისტორიული ლექსიკონის საქმეა. სანიმუშოდ დავიმოწმებთ კიდევ რამდენიმე ძველ სიტყვას, რომელიც ახალ ქართულში აღარ იხმარება და თანამედროვეობა სპეციალური ლექსიკონების მოუშველებლად მას ვერ გაიგებს. აგარ — მწირი; აეშაკი — მსტოვარი; ავლი — ფერფლი; აზავერი — კარი საკიდარი (საბა); ბავთი — ბოროტი მოამბე; ბაო — მცირე ჩრდილი; ბიჟიკი — მომცრო; ბოლცომი — მომაღლო ადგილი; ბრპენი — ტყვია; გურაპანი — საყელო გარდაფენილი (საბა); დიდროა — აღიდება მდინარისა; ეტიკი — გზის მცოდნე; ვაშტი — მოლაშქრე; ზაპილო — სნეული, ულონო; ზეპარი — ამპარტავენი; კონჩო — დამპალი შეშა; კუბახტი — ლეჩაქი; ნიჯგორი — საისრე დიდი კაპარქი (საბა); ძნობი — შეწყობილი ხმა...

§ 18. სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა. ენის განვითარების პროცესში სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობის თავდაპირველი მნიშვნელობა უცვლელი დარჩა და დასაბამიდან დღემდის ერთი ფუნქციით ემსახურება ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ინტერე-

სებს. მოძველებული ლექსიკა ხმარებიდან გამოვიდა, ხოლო სიტყვათა გარკვეულ წყებას შეეცვალა პირვანდელი მნიშვნელობა.

კაცი, ქალი, დედა, მამა, შვილი, ძე, ხელი, ფეხი, ჭამა, სმა, ხე, მთა, ქვა, შენება, კეთება, გრძნობა, გონება, ენა, პირი, რიცხვი, ქება, მე, შენ, ჩემი, შენი, ერთი; ორი, თეთრი, ღიდი და მისთანა სიტყვები ქართული ენის ისტორიის მთელ მანძილზე მნიშვნელობის შეუცვლელად მოქმედებს და თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობით ვიყენებთ დღესაც. ეს საესებით ბუნებრივი და კანონზომიერია, რადგან სიტყვის მნიშვნელობა მეტად გამძლეა და ეპოქებს სწვდება.

კანონზომიერი პროცესია სიტყვათა მნიშვნელობის შეცვლაც, რამდენადაც ამას ხმარებულობის პრაქტიკა განაპირობებს. ძველი ქართულის ზოგიერთი სიტყვა ახალ ქართულში სულ სხვა ფუნქციით გადმოვიდა. უცვლელი დარჩა ბგერითი კომპლექსი, მნიშვნელობა კი რადიკალურად შეიცვალა. რიგ შემთხვევაში ეს გარემოება გამოწვეულია სიტყვის გამომსახველობის პოტენციური შესაძლებლობით, მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ რამდენიმე სიტყვის მიმართ, არსებითად კი ყოველი სიტყვის მაგალითზე მნიშვნელობის ამისთანა შეცვლის შინაგანი მიზეზების დამაჭერებელი ახსნა არა თუ ძნელია და ჭირს, შეუძლებლადაც გვესახება.

სიტყვათა მნიშვნელობის შეცვლის მრავალი ნიმუშიდან აქ დავიმოწმებთ რამდენიმეს.

აგარაკი, მაგალითად, ძველ ქართულში სახნავ-სათეს ადგილს, მიწას ნიშნავდა: „ესე არს ადგილი საყანური, გინა სავენაკე, გინა დაბა“ (საბა); „დაბა, ანუ სახნავი, გინა სავენახე ადგილი, село, поле“ (ნ. ჩუბინაშვილი). დღევანდელ ქართულში კი საზაფხულო დასასვენებელ ადგილს გვაჩვენებს: „ზაფხულობით საცხოვრებელი ადგილი ქალაქს გარეთ“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, I, 88).

აზნაური ძველ ქართულში თავისუფალს ნიშნავდა. აღიშის ოთხთავში იკითხება: „აწ უკუე აზნაურ არიან შვილნი იგი“ (მათე 17, 26). ოთხთავის სხვა რედაქციებში ეს ადგილი გადმოცემულია ასე: „აწ უკუე თავისუფალ სამე არიან შვილნი“ (DE). ახალ ქართულში სიტყვას მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს, მიუთითებს წოდებას, რომელიც ხარისხით თავადზე დაბლა დგას: „აზნაურის მოკითხული სუფრაზე არ დაიდება“, „აზნაური მკადს არა ჭამს, მოშივდება, ჭირსაც მომჭამს“, „აზნაურის სტუმრობაო, ნუ გგონია ხუმრობაო“ (ანდაზ.)

აღორძინება ნიშნავდა მცენარის ზრდას, აგრეთვე გაზრდას, გამრავლებას. „აღორძინება არს უფროსის მიერ ძრვა და მოკლება უმცროსისა მიმართ“ (საბა); „მომატება ანუ მოძრავობა მოზარდთა სხეულთა უმეტესისა მიმართ, расти, возрастать, возра-

СТИТЬ, ВЫРОСТИТЬ" (ნ. ჩუბინაშვილი). აღიშის ოთხთავში ვკითხულობთ: „თესლი იგი აღორძნდებიან“ (მარკ. 4, 27); ან: „მსგავს არს იგი მარტულსა მლოგვსასა, რომელი მოილო კაცმან და დასთესა მტილსა თვსსა; და აღორძნდა და იქმნა იგი ხე“ (ლუკ. 13, 19)... ახლა ყოველდღიური ტრადიცია ამ სიტყვას იცნობს აყვავების, სამეურნეო და კულტურული წარმატების მნიშვნელობით: „აღორძინებული კულტურა“, „აღორძინდა მეცნიერება“... მაგრამ არაფერ იტყვის „ხე აღორძინდა“ — გაიზარდას მნიშვნელობით.

დამარხვა ნიშნავდა შენახვას, დაცვას. ოშკის ბიბლიაში ვკითხულობთ: „და იყავნ საზრდელი დამარხულ ქუეყანისათვს შვდთა მათ წელთა სიყმილისათა“ (დაბ., 41, 36); აღიშის ოთხთავში: „უკეთუ დამარხნეთ მცნებანი ჩემნი, ეგნეთ სიყუარულსა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვპკეი სიყვარულსა მისსა“ (იოვ. 15, 10); „ქებაში“: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდღე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად“ (ი. იმნაიშვილი, ქრესტ., 305, 1); „ყოველი საიდუმლოჲ ამაჲს ენასა შინა დამარხულ არს“ (იქვე)...

ახალ ქართულში დამარხვა იხმარება დასაფლავების, დაკრძალვის, დაფელის მნიშვნელობით. „ვეფხისტყაოსანშია“ ამ თანამედროვე მნიშვნელობითაა დამოწმებული. „მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყარენით!“ (882, 4); „თუ მკვდარი მნახოს, დამმარხოს, თქვას ვაგლახი და უები“ (852, 3); „აწ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტრო და თავსა ვიცე, მაგრა გვედრებ დამარხვასა, მხეცთა საქმლად არ მივიცე“ (873, 3—4); ნ. ბარათაშვილი წერდა: „ნუ დავიმარხო ჩემსა შამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის“ (თხზ., თბ., 1945, 33, 17); ილ. ჭავჭავაძე ამბობს: „როცა მზემ ხელახლად გაიღვიძა, დავმარხე კიდევ და მივბარე მიწას“ (ტ. 2, 112); ან: „შვილო, შენი დასამარხავი ვიყავ და მე გმარხავ შენა, მე!“ (იქვე, 310).

სიტყვამ კანონზომიერად შეიცვალა მნიშვნელობა. შენახვა გააზრებულ იქნა დაკრძალვად. ხალხში მიცვალებულზე დღესაც ამბობენ: „უნდა შევიწახოთ“. მიცვალებულის შენახვა — დამარხვაა. ხალხურ ტრადიციას პირვანდელი მნიშვნელობა შემოუნახავს.

მკვირცხლი ნიშნავდა ქვეითად მავალს: „ესე არს ქუშითი ფრკივ მავალი“, „უმკვირცხლესობა უმალ ქვეითობა“ (საბა); „კისკასი, მორბედი, ანუ ფრხივ-ქვეითი, пешинъ, пешеход“ (ნ. ჩუბინაშვილი). ჯრუჟისა და პარხლის ოთხთავში იკითხება: „მისდევდეს მას მკვრცხლ ქალაქებისაგან“ (მათე, 14, 13); „და მკვრცხლ ყოვლისაგან ქალაქებისა შეკრება მუნ და მოუკდეს მათ“ (მარკ., 6, 33); „ნინოს ცხორებაში“: „იწყო სრბად მკვრცხლ მოსლვად“ (ი. იმნაიშვილი, ქრესტ., 278, 32); ჯუანშერი წერს: „და მიეტყვენეს მათ მკვრცხლნი ბერძენ-

თანნი“ (ქართლის ცხ., I, 172, 10); „აჰკიდა სატკრთავსა ხუთასსა და მკვრცხლსა ორი ათასსა“ (იქვე, 236, 16)...

თანამედროვე ქართულში სიტყვის მნიშვნელობა სხვაა: „მკვირცხლი ძალიან მოძრავი, სიცოცხლით სავსე, — ცოცხალი, ცქვიტი“ („განმარტებითი ლექსიკონი“, V, 833). აქ წერეთელი ამ სიტყვას ხმარობდა ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძის ტემპერამენტის ეპითეტად: „ნ. ნიკოლაძე მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო, მკვირცხლი, მოუსვენარი, ნიჰიერი და სულ სხვა მიმართულების, ვიდრე მე“ (ტ. 7, 95). ახალი მნიშვნელობა კანონზომიერი განვითარებაა ხსენებული სიტყვის თავდაპირველი ფუნქციისა.

მსოფლიო გულისხმობდა საეროს, სოფლისაგანს, არასასულიეროს; „სოფლელი, სოფელში მდგომი, сельский, поселянин, мирянин“ (ნ. ჩუბინაშვილი). „გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში“ ნათქვამია: „და არცა მსოფლიონი ერისკაცი ახლვიდეს ახლად შტნებისა თვს მათ ქუეყანათაჲსა“ (ნ. მარის გამოც., ზ, 43); „სერაპიონის ცხობაში“: „ხოლო უხუცესი იგი ძმაჲ წესითა მსოფლიოთა დაპყრობილ იქმნა მამულსა სამკვდრებელსა“ (ი. იმნაიშვილი, ქრესტ., I, 219, 8)...

ახლა ამ სიტყვის მნიშვნელობა გაფართოებულია, გულისხმობს სამყაროს, დედამიწას, ქვეყნიერებას (შდრ.: „სასიხარულო ცნობა მთელ მსოფლიოს მოედო“; „მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში“...).

გავრცელებულ სიტყვას მღერა ძველად სამი მნიშვნელობა ჰქონდა.

ა) თამაში: „და იწყის მღერად“ („მკეცთათვს სახისა სიტყუაჲ“, ი. იმნაიშვილი, ქრესტ., 280, 13); „მთანი იმღერდეს, ვითარცა ვერძნი, და ბორცენი, ვითარცა კრავნი ცხოვართანი“ (ფსალ., 113, 4); „მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა“ („ვეფხისტყაოსანი“, 82, 1)... ბ) დაცივნა: „შეთხზებ გკრგკნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მისცეს მარჯუენესა კელსა მისსა და მუკლნი დაიდგნეს მის წინაშე, ემღერდეს მას და ეტყოდეს: გიხაროდენ“... (DE მათე, 27, 29). აღიშნის ოთხთავში ხაზგასმული სიტყვა იკითხება ასე: „ეკიცხვედ მას“; „იგი ემღერდეს ურთიერთას მწიგნობართა თანა“ (DE მარკ., 15, 31); „ემღერდეს მას ერისა კაცნიცა იგი“ (DE ლუკ., 23, 36)... აღიშნის ოთხთავის სათანადო ადგილას ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად გვხვდება ეკიცხვედეს; გ) გალობა: „რა ესმოდის მღერაჲ ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“ („ვეფხისტყაოსანი“, 967, 1); „მეფე სმასა და მღერასა იქმს, მეტად მოილხინებდა“ (იქვე, 51, 3).

საბა ცნობდა ამ სიტყვის მხოლოდ ერთ, პირველ მნიშვნელობას, ნ. ჩუბინაშვილი კი — სამივეს: „მღერა (ვიმღერი, ვმღერობ) მსოფლიური გალობა, სიმღერა, петъ песни, распевать. || თა-

მაშობა, играть, выиграть, скакать, игра. || აგდება, კიცხევა, და-
ცინება, ругаться, насмехаться, издеваться“ (ქართ. ლექსიკ., 303).

ახალ ქართულში მღერას შემორჩა მხოლოდ მესამე მნიშვნელობა, აღნიშნავს გალობას: „ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხობდა“ (ილია, ტ. I, 166); „დიდხანს გულსაკლავად წკრალებდნენ სიმები უცნაური ძალით და ბოლოს კი სიმღერაც მოისმა“ (აკაკი, ტ. 7, 252)...

ასევე ძველ ქართულში კუმო კაცთა, ან ქალთა სატარებელს ნიშნავდა: „კ უ ბ ო კიდობანი, ქეჯაო, შესაჯლომი კაცთა ანუ ქალთა, საკიდები აქლემთა ანუ ხელით სატარებელი, носилки“ (ნ. ჩუბინა-შვილი). დღევანდელ ქართულში კი — საკაცე კაცთა ხელით სატარებელი, ან მიცვალებულის ჩასასვენებელი ყუთია; მდგარი მცონარსა და მზაკვარს ნიშნავდა: „მ ე დ გ ა რ ი მცონარი და მოუძღურებული... მსოფლიოთა ენითა მზაკუარად ითქმის“ (საბა). დღეს კი მ ე დ გ ა რ ი აღნიშნავს შეუპოვარს, ძლიერს, მამაცს, მტკიცეს; ცხედარი საწოლს, ტახტს აღნიშნავდა: „ც ხ ე დ ა რ ი საწოლი, ტახტი, კრავატი“ (ნ. ჩუბინაშვილი). ახლა ამ სიტყვით აღინიშნება მიცვალებულის გვამი...

აქ დამოწმებული ერთეული შემთხვევები სიტყვის მნიშვნელობის შეცვლისა ოდნავადაც ვერ ამოწურავს მის ფაქტობრივ რაოდენობას. მაგალითების განგრძობა კიდევ შეიძლება. სიტყვათა მნიშვნელობის შეცვლა ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ენაში.

§ 19. ხმარებიდან გასული სიტყვები. ენის ლექსიკური მარაგის ცვლილების ერთი სახეა მოძველებულ სიტყვათა ხმარებიდან გასვლა (§ 18). ლექსიკას სისტემატურად ემატება ახალი სიტყვები და გამოთქმები და აკლდება სათანადო ეპოქისათვის უკვე გამოუსადეგარი, არასაკირო, მოძველებული სიტყვები, რომელთაც ხალხი ღრმა დავიწყებას აძლევს. ენის ისტორია გვეუბნება, რომ ლექსიკას ყოველ ეპოქაში გაცილებით მეტი სიტყვა ემატება, ვიდრე აკლდება. ამიტომ მისი მარაგი განუწყვეტლივ ივსება და მდიდრდება.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის ეპოქაში, მაგალითად, იხმარებოდა და დამოწმებულიცაა პოემაში აშილახორი (მეჩინიბეთუხუცესი), აშირბარი (ფლოტის უფროსი), აშირსპასალარი (მთავარსარდალი), ვაზირი (მინისტრი), სავაზირო (სათათბირო, საბჭო), სპასალარი (ჯარის უფროსი), სპასპეტი (ჯარის წინამძღოლი), სპა (ჯარი), სრა (სასახლე), აჯაბი (ოინი), წავარნა (ნაპრალი), ჭაშნაგირი (მეჭაშნიკე), ჭუბაჩა (მოკლე კაბა) და მისთ., მაგრამ მომდევნო ეპოქებში ეს სიტყვები დავიწყებას მიეცა და დღეს მათ მნიშვნელობას მხოლოდ ისტორიული ლექსიკონების მეშვეობით ვეცნობით ხოლმე.

ძველ ქართულ ძეგლებში დამოწმებული სიტყვებიდან, რომლებიც ხალხის მეხსიერებამ დაივიწყა და მხოლოდ ისტორიულ ლექსიკონებს შემორჩინენ, აქ დავასახელებთ შემდეგს: არჯანი (ჯონი), არმენაკი (ბამბის ქსოვილი), არდაგი (მანდილი, წელზე მოსაფენი ფეხტამალი), არქანი (დიდი ლოდი ან მარილის ქვა), ასმანაკი (ნადირთ მახე), ბაზიერი (ფრინველთა დამგერშველი და ზედამხედველი), ბალანტი (ჩანთა, მცირე პარკი), ბასრობა (დაცინვა, გმობა, კიცხვა), ბისონი (ბამბის წმინდა ქსოვილი თეთრი ფერისა), ბონდი (გაბმული ხიდი), გულარაკი (სადუღებელი ჭურჭელი), დიდროვა (წყალდიდობა), ერგასი (ორმოცდაათი, ნახევარასი), ერისაგანი (ჯარისკაცი), ეტიკი (გზის მცოდნე), ვარშამანგი (თავმოსახვევი, მანდილი), ვარჯი (ქორჩორი კაცთა), ზერგანა (ტყეპნა), ზოზოა (მხიარულება), კარაული (ვირი), კოლტი (ლორის ჯოგი), კორნატი (ძროხის ვეგი, კოჭი), კუართი (პერანგი), ლაპოტი (დიდი კიცხვი ან ჩამჩა), მამონა (სიმდიდრე, ქონება), მებოძირი (გზაჯვარედინი), მოპება (მოგლეჯა, მოხევა), მრწემი (უმცროსი), მტილი (ბალი), პინაკი (ჯამი), როჭიკი (ჯამაგირი), რუღუნი (გარჯა, შრომა), სირი (ჩიტი), ტაგარი (ახლად დაწურული ტკბილის აუზი საწნებლის ქვეშ), ტაგრუცი (საფლავი), ტაკვი (ხელმოკვეთილი მკლავი), ტეზი (ნელლი შეშა), ფრდა (გაყიდვა), ქსეხტი (ძველი ლატრანახევარი), შნიში (მამიდის ან დედის შვილი), წათი (გრძელი შუბი, კეტი), ჰეო (კლდე ფიქალიანი), ჭიროლა (პატარა ბელელი)...

თანამედროვე ქართულში ამისთანა და მსგავსი სიტყვები აღარ იხმარება და არც შეიტანება ახლანდელ ლექსიკონებში.

§ 20. **დიალექტური ლექსიკონი.** ენის ლექსიკურ საგანძურში დიდ ადგილს იჭერს დიალექტური მასალა. დიალექტური ლექსიკა ენის სიმდიდრეა. ყოველ კუთხეში ლოკალიზებულია ათასობით სიტყვა, რომლის მნიშვნელობა მეორე კუთხისათვის ხშირ შემთხვევაში სრულიად უცნობია.

დიალექტური ლექსიკა შედის ენის მთლიან სიტყვობრივ მარაგში, მაგრამ ის უნდა აისახოს არა ენის განმარტებით სიტყვიერებაში, არამედ სპეციალური დანიშნულების დიალექტურ ლექსიკონებში (§ 88).

დიალექტური ლექსიკა მწერლობისათვის სიტყვობრივი მასალის ამოუწყვეთი სალაროა. ასეულობით კუთხური სიტყვა დამკვიდრებულა სალიტერატურო ენის საგანძურში მწერლობის მეშვეობით.

ამა თუ იმ კუთხიდან გამოსული მწერლები ცდილობენ, თავიანთ სალაპარაკო კილოკავის შესაფერის სიტყვებს ტრიალებს დაუთმონ თხზულებებში. ცნობილია, რომ ამ მხრით ერთი ტენდენცია გრძელდება ძველ-

სა და ახალ მწერლობაში. დავით გურამიშვილთან გვხვდება კახიზმები, ვაჟისთან — ფშავიზმები, სოფრომ მგალობლიშვილთან — ქართლიზმები, დავით კლდიაშვილთან — იმერისზმები, ეგნატე ნინოშვილთან — გურიისზმები და ა. შ. (§ 24).

იმის ნათელსაყოფად, თუ რა კოლოსალურ ლექსიკურ სიმდიდრეს შეიცავს ქართული ენის ესა თუ ის დიალექტი, დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს.

1. აპარული: ბარდალი — დოქი; ბეჩი — სულელი; გაწარბვა — გაკელება, გაწალდა; დაჩიჩვა — დაჩრილივა; ვარიოზი — რკინის ურო; თემელო — საძირკველი; კარჭალი — წენგოგაღლილი კაკალი; კოდანა — თიხის ქურქელი; ლუჩერი — საქმელია ერთგვარი; ლიუცი — გამორუმცხვარი, ცომად დარჩენილი პური, მკადი; ხირთოსერი, მთა; ფინი — იატაკი; ქუცვა — ძარცვა; ღვთიბი — ბრანზორეული; ძიგვა — შარვალი; ჭოლო — კობიანი ადგილი; ფუთხო — ხმელი მუწუცი; ქუფოხ — საყურე; ქუფურა — ბატარა თიხის ქოთანი (შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაპარის დიალექტი, ბათომი, 1961).

2. გუდამაყრული: ამლათი — სწრაფი, მარჯვე; ბქალი — ბრკვალი; ბაბანი — კანკალი; გაზი — მხეცის ბრკვალი; დავაზვი — დავაწვა; დავლა — ლექსის ზეპირად თქმა; დავთება — ხორბლის გაწმენდა; ლუბი — მკლე, გამხდარი; მარჭაკელი — მაქანკალი; მონდავი — გუთნულში შეამხანაგებულო; მოწეღვა — პოენა; ნაკუდი — ხორბლის ნაკმაზი; პინა — ნახევარი ფუთი, ჯამი; ხაშქარქი — სამეცეც; ქარჩი — წერაქვის მსგავსი თოხი; ქუნიათი — ხუმარა; ქშერობა — მეტობა; ყალა — ბეგარა, ვადახალი; შუკში — კედელში დტანებული სარკმელი; ზუთულა — ზეინად დადგმული ნამკალი (ი. გიგინეიშვილი, ე. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 570—576).

3. გურული: ანარიჭვა — ასო-ასოდ დაქრა; აბლალი — სულელი; ბადუნე — ნელა, უწინოდ სიარული; ბათურაი — მსუქანი; ბექირაი — უხეში, გაუთლებელი; ბოზოლი — კია; ბარჭვა — ტრახახი, ბაქიობა; ვალა — თხელი, სუსტი; დარჩე — ღრმა ორმო; დიდენჯი — ზარმაცი; წენგილი — მდიდარი, საესე ოჯახი; ზორი — გასაპირი; თაღარა — ყანის საზღვარი; კამკაი — გამხდარი ადამიანი; კრიპინი — ქრილი; მკუქე — მწიფე; ნიჭურტი — წალდის წვერი; ოთურაი — რკინის პალო; ფუში — უნდო, უნამუსო; ქამი — ნესტი, სისველე; ღენჭეპო — კაკლის, თხილის, კვერცხის ქერქი, გარეკანი (გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, თბ., 1938).

4. თუშური: ანამ — ნეტავი; აფეა — მწვანე; ბაშტეა — გომური; გონთ — კარგად; დარიღარ — ჩუმად თვალთვალი; ღურკრ — ხის ქილა; თომა — საყარაულო ადგილი ცხვრის ფარასთან; თფაა — გორაკი; ოჯან — ზღურბლი; კალტრ — ხაპო; კინ — საყუდვე; კოტორჩ — ქადა; მჟდაჯრ — ბატნის ტყავი; მაქცრ — ხიფათი; ნუზლ — მწვერი; ოკრ — კევი; უტირგალ — უშრომელი; ქოქონ — კონა, შეკერა; უინჩრ — ნოყიერი; ჩხატრ — ჩანჩქერი (თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960).

5. იმერული: ალაყურტი — ნიგვზიანი ფაფა; ბანდლი — ქსელი; ბელაზანი — დიდი, უზარმაზარი; ბირკვილი — მოჯირი; ბიჭავი — საკაფი; ბოლოზი — მსუქანი; ბოჩი — მწერი; ბუნა — ნაწილი; ზარტაკი — ზარმაცი; ზინდალი — მექვაბეთა გრდემლი; თაფნი — სხვენი; კაბა — მრუდფეხებიანი; კეხეხი — მაგარი; კვეფო — ხის ურო; კვიში — ნისლი; კოშივი — დოგმა; ლაკადა — მხარე; მაჭავი — გამომდგარი, მაგარი; მურთხი — სუსტი, გამხდარი; ხეტერი — ჩერჩეტი (ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაქულ თქმათა, სპბ., 1912.)

6. იმერხეული: ანა — დედა; ანჯახ — ძლიესი; ახთი — გარიგება; ბაზი — ზოგ-

ჯერ; ბუნავი — ბორკლი; გენჯობა — ყრმობა; დეგირმანი — წისქვილი; დუღუნი — ქორწილი; ზენჯილი — ქაქვი; მადარა — გამოქვაბული; სუჩი — დანაშაული; ფურთუნა — ქარიშხალი; უჩუშალა — ჩუმად; ყოჯამანი — უხნესი, დიდი; ყულაჟ — მამინე; შეფხუკება — შეშინება; ხენდეკო — ორმო; ხახი — მოსახერხებელი; ხებერი — ამბავი; ჭანი — სულიერი (ნ. მარი, დღიურები, TP, VII, სპბ., 1911; ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 653—655).

7. ინგილოური: აყარ — სხენი; ბანყა — დიდი, დეკაკი; ბებრაჟ — ბებია, დიდდა; ბიდ — კატის უღვაში; ბუტულ — ბუნჯალი; გიშგა — სალახო ადგილი სოფელში; გურგურ — ქუხილი; დუდღუბა — გომბიო; თანყ — ცულის ხმა; ყურუხ — მელოტი; ყილან — თიხის ჭამი; ლოდათ — ლაპარაკი, საუბარი; მარხალ — დიდი ზეავი; მუჩაქ — მუღი; ნახუბა — ნაბოლარა; რიწყ — სარჩო-საბადლებელი; ხირთ — სერი მთის; ურწან — უშობელი; ფად — საბუღარი კვერტხი; ქმეჩ — ღორის ტყავი (მ. ჯანაშვილი, სანგილო, „ძველი საქართველო“, II, თბ., 1913, განყ. IV, გვ. 238—276).

8. კახური: აბლახი — აყლახუდა, უქკუო; ბულახი — ქა; თანგირა — უყურო სპილენძის ქვაბი; თაღლამა — საფიტრე მასალი; კალანჩხა — გოდორი ბზისათვის; კოკლიწია — წივა; ლოქაფა — პირლია; ნაკატო — ნაქუჩი, ნაგული; ნახამ — რახან; პიე — ინდაურის ქუეცი; პლახი — ნაბობი შეშა; სათირი — დიდი მორი; უღრაღი — უჯგო, უკაციელი მთა; ფუინა — ქინქლა; შელგა — სარეგლი ბალახი; წეწრობი — ერთგვარი მხალია; წოწია — წვრილი ტრტი; წრაფა — ლობიოს ჭიშია; ხებრეკია — უხეში, ბრიყვი; ხონა — გობი (ა. მარტიროსოვი და გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956).

9. ლეჩხუმური: ავალა — გასაკანი; ათხაჯი — შეუპოვარი; ანაჟა — წართმევა; აბუტარა — პირუტყვის თამაში; აჟე — ჩირგვი; ბაჩაი — პატარა ძროხა; ბჟინდი — ბლის ხის კანი; ბიშტი — შტერი; ბულანგარა — ჩუმი, ეშმაკი ადამიანი; გაბუშველა — გატრუსვა; გობრაილა — დიდი ცეცხლი; გოლხი — უსუფთაო; თებთირე — დანაკერტხლებული ცეცხლი; კვადამაღ — სწორი, ზუსტი; კვარხალი — დურღლის დაცემა; კოწოლი — ცეცხლის ალი; ლახორა — ბრბო; ლურთი — ქონი; ტიდა — ობოლი, უპატრონი; ქაქარი — აღმართი (მ. ალავეძე, ლეჩხუმური ლექსიკონი, თბ., 1938).

10. მესხური: ამბაწი — შეუზავებელი შექამადი; ანჭლათ — ნადუღი ყველის შრატისა; აროხი — გაყამირებული სახნავ-სათესი მიწა; ბენდი — ჭებირი სარწყავი არხის სათავეში; ბლოჯი — ფესვი, ძირი; გომო — ხის დიდი მორი; დიდიაჟ — ბებია, დიდდა; დურეკაჟ — უშნო; ერიშტა — საქმელია ერთგვარი; ფარიოჟ — ურო; იბრახი — წყლის ქურტყელი, მალაყელიანი; იწიბიწი — ცოტ-ცოტა; კეში — გამხმარი, გამაგრებული ტყავი; კორტი — მაგარი, გაუტეხელი ადამიანი; ლაგლაჯი — წერო; ლირფი — თამამი, თავხედი; მხე — მომავაო; ფხეკე — კაკლის, თხილის, კვერცხის გარსი, ნაქუქი; ჩათო — თხის ბეწვისაგან დაგრებილი თოკი (ი. მისურაძე, მასალები მესხური ლექსიკონიდან, „ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, IV, 1954, გვ. 64—99).

11. მთიულური: ამანათობა — ხიზნობა; ბერტენი — დაბერებული; ბრდემი — ქური; გაბუნანებული — გაჩუმებული; გოზა — შეიღის ფეხი; გუდუნი — ნაცარში გამოცხვარი ქურის კვერი; დურა — დიდი, ფართო; თალი — რკინის სალტე; თაფხა — სასმისი; თოშა — ყინული; ეპარი — ბურანი; კონჩხო — ხის მთარა; ლიბო — საძირკველი; მუჭა — მევეე წყალი, ეჭა; სოდინი — კლდე; ქარხლაჟ — ჩითი; ყავლი — გოლაენი, ზღუდე; შავეთი — საიქიო; შურთი — ბატკანი; ხორა — თივის ულო (ქარ-

თველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, ელ. ვირსალაძის რედ., თბ., 1958, გვ. 578—586).

12. **ზოხეური:** აკო — მარცვლეულის ჩასაყრელი კურკელი; ალაყაა — თიხაა ერთგვარი; ალღეში — ბრიყვი; ბალითი — ალერსი; ბითაო — კარგი; ბურკი — კობი; თოქი — შშიშარა; კორი — ხის ან ქვის ბურთი; კოხუნჯი — ქალამანი; კრაწალაა — ფრჩხილი; ლაკაიტი — მოლაყბე; ლოქი — ქუქყი; მანდოვი — ამხანაგი ხენაში; მაკი — ცაცხვი; ტალიყაა — ჭობი; ქარჩი — პატარა თობი; ქეჩი — ფარის წინამავალი თხა; ქარსლი — თხელი; ყანდრი — დამპალი; ხუში — ფურთხი (ო. ქაჭაია, მოხეური დილაუქტი, I, ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა, ხელნაწერი, 1953).

13. **რახული:** ალაჯა — მარხილის ღვექვი; ალში — მდარე, ნაკლები; აღმათი — ჩქარი, სწრაფი; აპანთა — კლდოვანი ადგილი; არამგამა — ტულლუტი; ბაო — მოლი ეზოში; ბაქული — ხაქაპური; ბერაო — მუხლუხო; ბორო — მთა, ან მიყრუებული ადგილი მთაში; გვიდრი — ბზესავით დაფშენილი ხმელი თივა; გოჭჭი — ქუქყი; გრიტა — პატარა წისკელი; დალღარა — დოლაპია; დომჭურა — ცივა; ენძა — ლარი, წერილი ბაწარი; ილა — ორკაპი ხე; კენწო — გამხდარი ღორი; კვეცო — თოხის ერთი კუთხე; ჩიჩხონა — ქონის გადანობის შემდეგ დარჩენილი რამ; ჩონა — თუქის ქვაბი (ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაქულ თქმობა, სპბ., 1912).

14. **ფერეიდნული:** ამარათი — შენობა, სახლ-კარი; აშმა — მაგარამ; ახანდი — ადგილი; ახიშანი — ცა; ახტარი — სარჩული; ბიბანი — უწყლო ადგილი, უდაბნო; გაფი — ამბივი, საქმე, სიტყვა; დღებედღე — ყოველდღე, დღითი დღე; თელა — ოქრო; თიქა — ლუქმა; კინწიხი — კენწერო, წვერი; მელი — სურვილი, ნდომა; ნახოში — ავადმყოფი; საწვერობა — შემწეობა; ქულფათი — ოჯახი; ყაბალა — ხელწერილი; ყორი — ქალი, ქალიშვილი; ყოტი — ბაყაყი; შიქალი — ნადირობა; ჭავაბი — პასუხი (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დილაუქტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 627—633).

15. **ფშაური:** ანაძრახი — ალაპარაკებული; ბოფირი — დაწიოკება; ბექი — მდინარისაგან ჩამობრამული ადგილი; ბიდი — მსხვილი უღვაში; ბურდო — აწეწილი თივის გროვა; ბური — ჩალა-ბულა; ბუქა — ერთგვარი ხოქოა; გაწი — ბრქვალა; გლა — ჩეჩქა, ხეთქება; გური — ფილთაქვა; დურდო — ბინძური წყალი; ზაყება — ხებევა; ზერდაგი — მოწითალო ცხენი; თანგირა — პატარა სპილენძის ქვაბი; იშტა — მადა; კანტალა — ქურდი; კელაობა — კოქლობა; კილდონი — ფოცხვერი; ლუგში — უმარილო, უგემური; შუნი — დედალი ჩიხვი (ა. შანიძე, ვაქას ლექსიკონი, ვეა-ფშაველა, თხზულებანი, I, II, III, ა. აბაშელისა და ა. შანიძის რედ., თბ., 1946, 1950).

16. **ქართლური:** აბუტალაყება — აკლება, აობრება; ბაბო — ბებია, დიდედა; ბაბორი — წამოსასხამი; ბზვირი — შხეფი; გაკლერტა — გაფქვენა; ზინათი — ქონება, სიმდიდრე, მზითვეი, ვანძი; დიგლიგი — დუგლუგი; ეჩრხა — სადგომი; იარქანი — ნიავქარი; ლართხი — უსუსური, უღონო, გამხდარი; ლიში — წვიმანარევი ქარი; მოყვარე — ცოლის ძმა; ხვირი — ხმელი, ადვილად საწვავი შუმა; ხუბი — მრგვალი და ხმელი ლავაში; ქულყა — ღორი მოფერებით; ჩაკაყა — ჩახვევა, ჩაკონება; წამორიხვევა — წამოზრდა; ჩლახუნი — ფეხის თევით სიარული (ჩენი: ქართლური ზღაპრები და ლეგენდები, თბ., 1948, გვ. 286—288).

17. **ქიზიყური:** აბუქარი — მკეხარა; ავღანი — გლახაკი; აშფა — ტოლი, შესაბამისი; არჯანი — ქარიშხალი; აქალა — გამოცეცილი სახელი მამაკაცისა; ბაბათი — კარგი, კეთილი; ბაშარა — მომპირნოებისა და თავდარიგიანობის უნარი; ბლურჩვა — წყლის ან სითხის ერთბაშად სმა; ბოდოშა — უსუფთაო, ქუქყიანი; ბუსლა — ქერა ადამიანის მეტსახელი; დუში — ვაკე, სწორი მინდორი; თაქლა — ფარისეველურად მოალერსე; თრუშო — თრიმლის წვენი; კრანჩხი — ღრანტე კლდე; ნიშაჟი — მცირე

საქმელი; ოხუში — მეგობარი; უნაქსო — უბარაქო; ჩაუხა — ეოქლი (ს. მენტემა-
შვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943).

18. ხევსურული: ბადე — საფარველი; ბერა — ცერი; ბეწყაუა — პაწაწა; ერა-
წი — პატარა ქვაბი; ვეპი — ეპეი; თბე — ფრთა; კოში — დიდი სალუდე თასი; კუ-
მეტა — ახალი წლის მეორე დღე; ლემაღე — ბნელი, ქარბუქიანი ნისლი; ლიბუ —
საძირკველი; ლუბი — მკლე; მოში — თივა, აღებული ორივე ხელის მოხვევით; ნა-
გაბარი — ნაგლეჯი, ნაფლეთი; ნათოზი — ნამსხვერვეი; ხვილი — ქვავე; ტაღავარი —
ტანისამოსი; ფარავი — გულის პირი; ქინთი — არყის ტიკი; ქუბღე — სამარილე;
შიბი — კლდის ფენა (ა. შანიძე, ხევსურული მასალების ლექსიკონი, „წელიწდეული“ -
I—II, თბ., 1923—1924, გვ. 259—336).

§ 21. ნეოლოგიზმები. ახლად წარმოქმნილსა და გავრცელებულ
სიტყვას ნეოლოგიზმი ეწოდება. ყველა ენას მოეპოვება გრამატიკული
საშუალებანი, რომლის დახმარებითაც იქმნება ახალი ლექსიკური
ერთეულები, სიტყვები. ქართული ენა ამ მიზნით აფიქსებს იყენებს.
ქართულს, როგორც აფიქსურ ენას, აქვს სპეციფიკური დანიშნულების
მორფოლოგიური ელემენტები, მორფემები, რომელთა ფუნქცია ახალ
ფუძეთა წარმოებაა. აფიქსაცია ქართული ენის ლექსიკის გამდიდრე-
ბის უშრეტი წყაროა.

ენის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს შეადგენს ლექსიკის ის მარა-
გი, რომლითაც ხორციელდება ურთიერთდამოკიდებულება ამ ენაზე
მოლაპარაკე ადამიანთა შორის. წამყვანი ადგილი ლექსიკის ამ მარაგ-
ში ძირეულ სიტყვებს უჭირავს.

ძირეული სიტყვა წარმოადგენს ახალი ლექსიკური ერთეულების
წარმოქმნის ბაზას.

ქართული ენის ლექსიკაზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ ძირეული
სიტყვებიდან აღმოცენებულია ათეულობით ახალი სიტყვა და ერთნაი-
რად გავრცელებულა იგი ხალხში. ქართული ენის დასაბამიდანვე დამ-
კვირებულა სიტყვები ქალი, კაცი, ხელი, თავი, გული, პირი... და მათ-
გან, კომუნიკაციის პროცესში, შემდეგ წარმოქმნილა ქალიანი, ქალობა,
ქალური, უქალო, დაქალება, დაქალებული, დაქალდა... კაციანი, კა-
ცობა, კაცური, უკაცო, დაკაცება, დაკაცებული, დაკაცდა, კაცობრივი,
საკაცე... ხელიანი, ხელობა, ხელური, ხელოსანი, ხელნა, უხელო,
სახელო... თავიანი, თავობა, უთავო, გათავება, სათავე, თავური,
თავოსანი... გულიანი, გულადი, უგულო, გულითადი, საგულე,
გულოვანი... პირიანი, პირობა, უპირო, პიროვანი, საპირე, პირადი...
ეს წარმოქმნილი სიტყვები თავისთავად ენობრივ ერთეულებს წარმო-
ადგენს, მაგრამ მათგან ბაზას შეადგენს მათი საერთო მნიშვნელნი
„ქალ“, „კაც“, „ხელ“, „თავ“, „გულ“, „პირ“. ეს ძირები საფუძვე-
ლია, საიდანაც ახალი სიტყვები აღმოცენდება ხოლმე.

წარმოქმნილი სიტყვები, ჩვეულებრივ, ერთი ძირისაგან მომდ-

ნარეობს. ძირი მონათესავე სიტყვათა საერთო მნიშვნელია, რომელსაც ისეთივე კავშირი აქვს წარმოქმნილ სიტყვასთან, როგორც წინაპარს შთამომავლობასთან. ახალი სიტყვა (ნეოლოგიზმი) ძველის (ძირეულის) ბაზაზე წარმოიქმნება; ამ გზით იქმნება მონათესავე, ერთი ბუღისაგან (ძირისაგან) მომდინარე სიტყვები.

წარმოქმნილი სიტყვაც ისევე მკვიდრდება ენის ლექსიკურ მარაგში, როგორც ძირეული. ასე გავრცელებულა, მაგალითად, ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ნაწარმოები სახელები: საქართველო, ნავარძეთი, ნარეკვაი, ნაქალაქევი, ნაქერალა, ნაქარმაგევი, ნახიდური, ნაჯიხურევი, საათაბაგო, საბურთალო, საგარეჯო, სალხინო, სამთავრო, საჯავახო, საწირე, ანასეული, ბალოვანი, ბაყილოვანი, ვაზიანი, ნახუნავო, ნაბელღაევი, ნაბოსღევი, ნავომარი, ნადაბური, ნაღარბაზევი, ნასაყირალი, ნატახტარი, ნაღვარევი, საკორინთლო, საქორეთი, საქეგური... ამ გეოგრაფიულ სახელთა დიდი უმეტესობა ისტორიულად-ცაა ცნობილი და ფიქსირებული XVIII საუკუნის გეოგრაფოსის ვახუშტი ბაგრატიონის წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ასე დამკვიდრებულა ქართულ ლექსიკაში ადიექტიური წარმოშობის სახელები: მოაზროვნე, მოამაგე, მოქალაქე, მოლაშქრე, მოზარდი, მონადირე, მონათესავე, მორიგე, მოსარჩლე, მოყვარე, მოხუცი, ნანადირევი, ნასესხები, ნაცნობი, ნახატი, საგუშაგდ, სადგური, სამყარო, სასტუმრო, სასახლე, სასიმინდე, სასძლო, საქმრო და ა. შ. ჩამოთვლილი და მისთანა წარმოქმნილი ადიექტივების სუბსტანტივაცია დღეს ექვს არ იწვევს. ყოველი მათგანი თავის დროზე საგნის თვისების მაჩვენებელი სიტყვა (ადიექტივი) ყოფილა (შდრ.: მოაზროვნე კაცი, მონათესავე გვარი, სასტუმრო ოთახი...), შემდეგ მათ მოშორებია საზღვრული სიტყვები და დამოუკიდებლად, სუბსტანტივის სახით შესულან ენის ლექსიკაში. წარმოქმნილი სიტყვა პირველხმარებისას ნეოლოგიზმს წარმოადგენდა, ხოლო ენამ იგი შემდგომ შეისისხლხორცა და თავისი ძირეული სიტყვების ტოლერთეულებად აქცია.

ნეოლოგიზმის წარმოქმნისას ყურადღებას იქცევს ორი გარემოება:

- ა) იგი პირველად ჩვეულებრივ ჩნდება ინდივიდთან და საზოგადოება მას ჯერ კიდევ არ იცნობს; ბ) ნეოლოგიზმი ენის ერთეულად იქცევა მას შემდეგ, როცა სანქციას მიიღებს საზოგადოებისაგან. ყოველი ნეოლოგიზმი მხოლოდ მაშინ დამკვიდრდება მეტყველებაში, როგორც ენობრივი ფაქტი, როცა მას კოლექტივი მისცემს დასტურს.

ილ. ჭავჭავაძის თავის ცნობილ „პასუხში“, რომელიც დაწერილი და გამოქვეყნებულია 1861 წელს, ნახმარი აქვს სიტყვა მიმართულება: „ცრუელასიკური მიმართულება ეცემოდა ევროპაში და იბადებოდა ნელ-ნელა რომანტიკული მიმართულება“ (თხზ., ტ. 3, თბ., 1953,

54); „უმავისოდაც სენტიმენტალურ მიმართულების მაგალითები გვაქვს ჩვენს ლიტერატურაში... რომანტიკულის მიმართულებისაც გვქონია ჩვენ მაგალითი ჩვენს ლიტერატურაში“ (იქვე, 55)... ეს იყო მაშინ ნეოლოგიზმი, რომელიც ილიამდის ამ მნიშვნელობითა და ასეთ პოზიციაში, ჩანს, არავის უხმარია და არც ყოფილა შეტანილი სათანადო ლექსიკონებში (ს.-ს. ორბელიანი, ნ. ჩუბინაშვილი). მართალია, სიტყვა პირველად ასეთი მნიშვნელობით გამოიყენა ერთმა პირმა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა მწერალმა, მაგრამ მას მხარი დაუჭირა საზოგადოებამ, იგი შეეგუა ენის ბუნებას და დამკვიდრდა ხალხში. მას შემდეგ ასზე მეტი წელიწადი გავიდა და მიმართულება უფრო პოპულარული გახდა. ამისთანა მაგალითი ჩვენი ენის ისტორიამ ბევრი იცის.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელების შემდეგ ქართულ სალიტერატურო ენაში მრავალი ნეოლოგიზმი გავრცელდა. ახლა საყოველთაოდ მიღებულია ბრიგადირი, მერგოლური, შრომადღე და ათეულობით მისთანანი. უწინარეს ყოვლისა დამკვიდრდა ორი სიტყვა: კოლმეურნეობა და კოლექტივი. ორივე მათგანი ერთი ცნების გამოსახატავად იხმარება. მეორე სიტყვა უფრო ისმის ხალხის მეტყველებაში. ამ გარემოებას ცალკე მწერლებიც კარგად გრძნობენ, დ. შენგელია და კ. ლორთქიფანიძე, მაგალითად, თავიანთი თხზულებების პერსონაჟებთან ერთად ხმარობენ სიტყვას კოლექტივი. დ. შენგელია წერს: „ზოგი კოლექტივშია, ზოგი მეზობელთან რაღაც საქმეზე გადასულა“ („ბათა ქექია“, თბ., 1948, 5); „უფროსი შვილები კოლექტივში არიან“ (იქვე, 33); „ჩამოვიარო ჩემი კოლექტივის ბარაქიანი ყანები“ (იქვე, 5)... კ. ლორთქიფანიძე: „კოლექტივი ღარიბებს უნდაო“ („კოლხეთის ცისკარი“, თბ., 1950, 172); „მთავრობა იმერეთის პირველ კოლექტივს საჩუქრად ტრაქტორს უგზავნიდა“ (იქვე); „კოლექტივის თავმჯდომარე დილიდან საღამომდე... დადიოდა“ (იქვე, 241)...

ლ. ქიაჩელი და ო. ჩხეიძე პირიქით იქცევიან: თვითონ, როგორც ავტორები, ხმარობენ სიტყვას კოლმეურნეობა, მათი თხზულებების პერსონაჟები კი — კოლექტივს. ლ. ქიაჩელი ამბობს: „გოჩას ერთადერთი ქალი, ნაია, კოლმეურნეობის კომკავშირის უჭრედის მდივნად ითვლებოდა“ („გვალი ბიგვა“, თხზ., III, 26); „ორკეთის კოლმეურნეობა დღეს სწორედ ამ ტყის ერთს განაპირა ნაკვეთს სტეხდა“ (იქვე, 46)... მაგრამ „გვალი ბიგვას“ პერსონაჟი, გოჩა, ლაპარაკობს: „მე შემოვიტანე კოლექტივში... მანდარინით მოშენებული ბაღი.. მე შემოვიყვანე კოლექტივში... უღელი ხარი“ (იქვე, 30); ო. ჩხეიძე: „ეს იყო ვაშლოვანის კოლმეურნეობის დამაარსებელი“ („ტინის ხიდი“, I, თბ., 1950, 28); „გაგზავნეთ აგარაში კოლმეურნეობის სახელით“ (იქვე, 29)...

მაგრამ რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „ძია თედოს კოლექტივი ესმარება“ (იქვე, 30)..

ორივე გამოთქმა მართებულია, ოღონდ, როგორც ვთქვით, ხალხში უფრო კოლექტივი ტრიალებს. ეგვევ სიტყვა ისმის ხალხურ სიმღერებსა და ლექსებშიაც: „კოლექტივები გამართეს, ეს სასარგებლო ჩვენია“ (ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1951, 38); „გლეხები კოლექტივებსა სწრაფი ნაბიჯით ზრდიანო“ (იქვე, 55); „ქარგია კოლექტივები, საქმის კეთება ძმურია“ (იქვე, 174); „შევეკვირდეთ კოლექტივში, დავამარცხოთ მტერიო, შერცხვეს იგი, ვინც არ არის კოლექტივის წევრიო“ (ჩვენი: „ქართული შაირები“, თბ., 1941, 156); „კოლექტივო, მე შენ გამჩენს ვენაცვალე ყელშია“ (იქვე, 158)..

ეს სრულიად ბუნებრივი ნეოლოგიზმია, რომელიც წარმოშვა ცხოვრებამ, მაშინვე მიიღო საზოგადოების დასტური და ელვის სისწრაფით გავრცელდა ხალხში.

თანამედროვე ქართული ენის ისეთი საყოველთაოდ გავრცელებული ლექსიკური ერთეულები, როგორცაა განკვეთა, განმხოლოება, გაპარსვა, განვითარება, გაუენება, გაიფება, გაკეთება, გაღეწვა, გამოქანდაკება, გარინდებული, გაძარცვა, დაწიოკება, დებულება, დაღაღვა, დაკინება, დღეობა, დღიური, ერთობა... წარსულში ნეოლოგიზმები—პირველად ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში აღიბეჭდა¹. მათ ცალკე ავტორებთან აქა-იქ თუ შეხვდებოდა კაცი, მაგრამ უკვე გვიან საზოგადოების სანქცია მიიღეს და საყოველთაო ხმარებაში დამკვიდრდნენ.

მაგრამ ყველა ახლად შექმნილი სიტყვა ვერ ვრცელდება და ვერც იპოვებს მოქალაქეობრივ უფლებას.

ილ. ჭავჭავაძეს ცნობილ კრიტიკულ წერილში „შეშლილის“ თარგმანზე (1860 წ.) გამოუყენებია ნეოლოგიზმი შიგნიტიკური შინაგანის მნიშვნელობით: „იმ გამომცემს, რასაკვირველია, სხვა, შიგნიტიკური, მისატყვებელი მიზეზი ექნებოდა ქებისა“ (თხზ., III, თბ., 1953, 11), მაგრამ ის არ გავრცელებულა, ვერ შეგუებია ენას, ვერც მიუღია საზოგადოების სანქცია, დარჩენილა ცალკე ნათქვამად, არც ლექსიკონებშია ასახული. ასეთი ბედი ბევრ ნეოლოგიზმს სწევია.

ისტორიულად დადასტურებულია, რომ ხელოვნურად შექმნილი და ნაძალადევად გამოანაგონი სიტყვა ვერ იკიდებს ფეხს ენის ლექსიკურ მარაგში. ინდივიდის შენატანს ძალა აქვს მხოლოდ კოლექტივის დასტურის შემდეგ. ასე რომ არ ყოფილიყო, ენა ცალკე ინდივიდუალურ მათა სავარჯიშო მოედნად გადაიქცეოდა, ყოველი მწერალი თუ მკითხველი

¹ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ლ. ლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961, გვ. 57—58.

თვითნებურად ააქრებდა ენას საკუთარი გემოვნების სიტყვებით. ყველა მწერალმა და მკითხველმა ასე რომ დაამახინჯოს ენა, მაშინ, აკაკის ხატოვანი თქმისა არ იყოს, „ბაბილონის გოდოლის დაქცევის“ შედეგი იქნება“. ცალკე აღებული სიტყვა, როგორც ენის მარტივი ერთეული, მაშინაა ცოცხალი, როცა იგი ხმარებაშია, ხალხს ესმის და გამოყენებულია საურთიერთოდ.

ნეოლოგიზმებს წარმოშობს ცხოვრების პრაქტიკა, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის განვითარება, ადამიანთა ყოველდღიური კავშირთა ურთიერთობა. ახალი სიტყვა და გამოთქმა ჩნდება და მკვიდრდება ხალხის მასების — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის — ურთიერთდამოკიდებულების პროცესში. მწერლის მხატვრული ძალა და ორიგინალობა ენობრივი მასალის საკუთარ გემოვნებასთან მისადაგებაში როდი გამოჩნდება. მწერლის ნიჭის თვითმყოფობა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოჰქაფდეს მოვლენის ხედვაში, სახეებში, სტილში და არა ენის გრამატიკულ სტრუქტურასა და ლექსიკაში. ბუნებაში არ არსებობს ინდივიდუალური გრამატიკა და ინდივიდუალური ლექსიკა. ენა და სტილი სხვადასხვა მონაცემებია. სტილი შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ენა — გრამატიკა და ლექსიკა კი — საერთოა.

მწერალი მთელი სიღრმით ითვისებს ენის ლექსიკურ საუნჯეს, ხალხური ენის წიაღში ეძებს ყოველივე იმას, რაც საუკეთესო და ძვირფასია სალიტერატურო ენისათვის, მაგრამ იგი, რა ნიჭის, ძალისა და ავტორიტეტისაც უნდა იყოს, მაინც ვერ შესცვლის ენის სტრუქტურასა და ლექსიკას, ვერ შემოიღებს „თავის გრამატიკასა“ და „თავის ლექსიკას“, ისეთ სიტყვარს, რომელიც გასპეტაკებული არ იქნება, როგორც ამბობს პოეტი, სალიტერატურო ენის, საზოგადოების ემბაზში. სიტყვის საუკეთესო ოსტატი ისაა, ვინც ფლობს ენის საუნჯეს, ვინც სათუთად ეპყრობა ყოველ სიტყვას, მის საფუძველზე ქმნის ცოცხალ ნეოლოგიზმს და უნარჩუნებს მას ხალხურ ელფერს, გამომსახველობას, სისადავეს, ელვარებას. ლექსიკა ყველაზე ცვალებადი და განვითარებადი ნაწილია ენისა და იგი თითქმის განუწყვეტლივაც მდიდრდება. მაგრამ ინდივიდს არ ძალუძს თავს მოახვიოს ენას. მის მიერ ხელოვნურად გამონაფიქრი სიტყვები.

§ 22. არქაიზმები. ყ ხმარებიდან გასულ დრომოკმულ სიტყვასა და გამოთქმას, რომელიც კვლავ გამოჩნდება ხოლმე ლიტერატურულ თხზულებებში, არქაიზმი ჰქვია. არქაიზმების სიჭარბე, ისევე როგორც ყოველგვარი ხელოვნური სიტყვა, ამძიმებს სალიტერატურო ენასა და ხალხის მასებისათვის ძნელად გასაგებს ხდის. ამიტომ გამოჩენილი ეროვნული მოღვაწეები და დიდი მწერლები მუდამ იფარავდნენ

ენას არასაკირო არქაიზმებისა და მოგონილი სიტყვებისაგან. ამას მოწმობს სალიტერატურო ქართულის მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

მწერლობაში კარგა ხნის განმავლობაში ვრცელდებოდა აზრი, რომ ისტორიული რომანების პერსონაჟები ეპოქის შესაფერისი ენით, არქაიზმებით დამძიმებული გრამატიკული ფორმებითა და ლექსიკით, უნდა ლაპარაკობდნენო. ლიტერატურისმცოდნენი ამ წესის აუცილებლობის თეორიულად დასაბუთებასაც კი ცდილობდნენ. ისინი პერსონაჟთა ალაპარაკებას „ეპოქის შესაფერისი ენით“ ამართლებდნენ მათთვის „ტიპობრივი გარემოს“ შექმნის საჭიროების მოტივით, ხოლო ანგარიშს არ უწყევდნენ იმას, თუ რამდენად ასატანი იქნებოდა ეს თანამედროვეობისათვის.

ქართულმა სალიტერატურო ენამ ერთ დროს (XVIII საუკუნის მეორე ნახევარში) მწვავედ განიცადა ანტონ კათალიკოსის არქაიზმებით აღსავსე ენის მრისხანე დაწოლა. ანტონი არქაიზმებს გზას უხსნიდა არა მარტო ლექსიკაში, არამედ სინტაქსურ კონსტრუქციებშიაც. არქაიზმებით იყო დამძიმებული ეურნალი „ცისკარი“ და მის ირგვლივ შემოკრებილ მწერალთა თხზულებანიც. ლექსიკური არქაიზმები გამოსკვივის ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის, ნიკ. ბართაშვილის პოეტურ ქმნილებებში.

XIX საუკუნის სამოციან წლებში არქაიზმების წინააღმდეგ გამოვიდა ილ. ჭავჭავაძე, რომელმაც დაიწუნა „ცისკრის“ თანამშრომელთა „უენო ენა“ და თეორიულად დაასაბუთა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ბუნებრივი გზა. ილიამ და აკაკიმ თავი აარიდეს არქაიზმებს არა თუ მათ თანამედროვე თემებზე დაწერილ თხზულებებში, არამედ ისტორიულ პოემებსა და მოთხრობებშიაც. გავიხსენოთ, თუ გნებავთ, ილიას „ნიკოლოზ გოსტაშბიშვილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებულა“, აკაკის „ბაში-აჩუკი“, „თორნიკე ერისთავი“ და სხვები, რომლებიც ისტორიულ თემებს მიეძღვნა. ისინი თავისუფალი არიან დრომოკმულა სიტყვებისა და გამოთქმებისაგან. ცალკეულ მოძველებულ სიტყვებს ამ თხზულებებშიაც ეპოულობთ, მაგრამ ისინი არქაიზმებად როდი მიიჩნევიან. მოძველებული სიტყვებისა და გამოთქმების ხმარებისას, ისევე როგორც დიალექტიზმებისა და ბარბაროზმების ხმარებისას, ილია და აკაკი დიდ ზომიერებას იჩენდნენ. ილიასა და აკაკის ეს სწორი გზა განაგრძეს მომდევნო პერიოდის მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა. (არქაიზმები, ბარბაროზმები, დიალექტიზმები საერთოდ უარსაყოფი როდია, მაგრამ მათი გამოყენება არ უნდა წარმოადგენდეს მწერლის თვითმიზანს; მწერალმა მათი ხმარებისას დიდი ზომიერება უნდა დაიცავს.

არქაიზმების ნიმუშებს თითქმის ყველა თანამედროვე მწერლის

თხზულებებში ეპოულობთ. რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ ვასილ ბარნოვისა და კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებებიდან.

ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებში ეპოულობთ ასეთ სიტყვებს: აღქი — ქაჯი; გოლიაკი — პატარა ოთახი; მეცანი — მარჩიელი; ტაგრუცი — კოლოფი; ფრახი — დუნე; შიმუნვარი — მსახური ქალი; ძოღან — წინათ, წელან; ეჯი — მანძილის საზომი ერთეული; თალარი — ფანჩატური; ორხო — ნოხი; ყოში — სახელოს გადასაკერებელი; ხადილი — სტუმრობა, წვეულება...

კონსტ. გამსახურდიას ისტორიულ რომანებში: აშრიალი — ქორის ბაღე; ბავლი — მიმინოს გამოსაცდელად გამოყვანა; ზომონი — საკერპე; დიდროაჲ — წყალდიდობა; დილეგი — საპყრობილე; ერგასი — ორმოცდათი, ნახევარასი; მარჩივი — ტყუპი; მრუმე — ბნელი; ქეიზური — ისარი; ხარჭა — ხასა; თორი — აბჯარი; კირჩხაზი — კიბო; მართვე — ბარტყი; მკოდოვანი — ლატაკი; რემა — ცხენის ჯოგი; სტავრა — ძვირფასი ქსოვილი; მღამიოზი — ღამურა; არვანი — ჯოხი, საბჯენი; მტილი — ბალი, სავარდე...

აღნიშნული სიტყვები მწერლებს ამოკრეფილი აქვთ ძველი ქართულის ლექსიკის არსენალიდან და დღეს მათი გაგება საგანგებო ლექსიკურ ცნობარს საჭიროებს.

არქაიზმები გვხვდება არა მარტო პროზაში, არამედ პოეზიასა და, არა იშვიათად, საისტორიო მწერლობაშიაც.

§ 28. დიალექტიზმები. ამა თუ იმ ტერიტორიული დიალექტის კუთვნილი სიტყვების ხმარებას სალიტერატურო ენით დაწერილ თხზულებებში დიალექტიზმი ეწოდება. იგი გაჩენილა სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასთან ერთად და მას შემდეგ თავს იჩენს სხვადასხვა ეპოქაში შექმნილ წერილობითს ძეგლებში. ჩვეულებრივ სალიტერატურო ენის საფუძველია რომელიმე წამყვანი დიალექტი. ქართული სალიტერატურო ენა ჩამოყალიბებულა ქართულისა და კახური დიალექტების საფუძველზე და შემდეგ შეესებულა სხვა კილო-თქმათა მასალითაც. საერთო ეროვნული ენის დამკვიდრებამ დასაბამი დაუდო ადგილობრივი დიალექტების მოქმედების სფეროს შეზღუდვას, მათს შეერთებას საერთო ენასთან. ეს პროცესი დიდად გაფართოვდა განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ქართველი ხალხის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის სწრაფი ზრდის შედეგად დღეს სალიტერატურო ქართული უფრო და უფრო ვრცელდება ხალხში, ადგილობრივი დიალექტების ის მასალა, რაც ძვირფასია სალიტერატურო ენისათვის, შედის ამ უკანასკნელის საგანძურში, ხოლო მისთვის მიუღებელი ფორმები თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. ყოველმხრივ ფართოვდება სალიტერატურო ენის მოქმედების

სფერო. იგი რესპუბლიკის ყოველი კუთხის ყველა ასაკის ქართული მოსახლეობის ერთადერთ ცოცხალ სალაპარაკო ენად იქცევა. მიმდინარეობს დიალექტთა უნიფიკაციის პროცესი.

დიალექტიზმების ხვედრითი წონა უფრო მეტი უნდა ყოფილიყო ფეოდალური დაქუცმაცების დროს, როცა ერთიანი სალიტერატურო ენა ჩამოყალიბება-გაფორმების პროცესში იმყოფებოდა. დიალექტიზმებს ეპოულობთ VIII—IX საუკუნეთა ეპოქის ძეგლებში. დიალექტიზმები აღმოჩნდა სასულიერო მწერლობის უძველეს ორიგინალურსა და ნათარგმნ თხზულებებში, საისტორიო ტრაქტატებში, მატიაწებში, ქართული ლიტერატურული ენის კლასიკურ ძეგლებში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ჩათვლით. ამ მხრით განსაკუთრებით საინტერესო სურათს შლის ჩვენს წინაშე ძველი ქართული ხელნაწერების რედაქციების შექარება.

ქართულ მხატვრულ მწერლობაში დიალექტიზმებმა განსაკუთრებით ფართო გასაქანი ჰპოვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ლიტერატურულ თხზულებებში გზა გაიკაფეს დიალექტებმაც და ქარგონებმაც. პროზაულსა და დრამატულ თხზულებებში წყსად შემოიღეს პერსონაჟთა ალაპარაკება საკუთარ დიალექტებსა და ქარგონებზე. დიალოგები და მონოლოგები კილოური და ქარგონული ლექსიკურ-გრამატიკული მასალით დაიტვირთა. პირველ რიგში დაკანონდა დიალექტიზმები პროზაში, კოჰედიებსა და სცენებში. გავიხსენოთ გ. ერისთავის კომედიები. „ძუნწის“ პერსონაჟი, მაგალითად, მოჩამაგირე ივანაკა, თავის კილოზე ლაპარაკობს, კარაპეტა დაბალოვი კი — თავის ქარგონზე. გ. ერისთავმა თავის კომედიებში კარი გაუღო ე. წ. ქალაქურ-ვაჭრულ ქარგონს. სარქის კუმუხტოვი („დავა“), კარაპეტა დაბალოვი („ძუნწი“), მიკირტუმ ტრდატოვი („გაყრა“), მარტირუზ რიბნიკოვი („უჩინმაჩინის ქუდი“)... ლაპარაკობენ ამ ქარგონზე. ეს იყო „ენა“ შეზავებული ქართულ-რუსულ-სომხური სიტყვებით, რომელსაც არავითარი დამოუკიდებლობა არ ჰქონდა. მას მოეპოვებოდა მოქმედების უაღრესად ვიწრო სფერო: მითი სარგებლობდნენ მხოლოდ ქალაქის წვრილი ვაჭრები თბილისსა და გორში, რამდენიმედ ქუთაისში, სიღნაღსა და თელავში.

ამ ქალაქურ-ვაჭრული ქარგონის სახესხვაობას წარმოადგენდა ე. წ. ყარაჩოღლური ქარგონიც, რომელიც დიდხანს შერჩა თბილისს. არც მას ჰქონდა რაიმე ენობრივი დამოუკიდებლობა, მოეპოვებოდა მხოლოდ ცალკეული სიტყვები და გამოთქმების თავისებური კილო. იგიც შეზავებული იყო თათრული, სპარსული, სომხური, რუსული სიტყვებით. გრიგოლ ორბელიანსაც კი დაუწერია ამ ქარგონზე ლექსი „კინ-

ტოს სიყვარული“, რომელიც ერთხანს ისმოდა თბილისის ქუჩებსა და მაშინდელ ესტრადებზე.

ყარაჩოღელთა ჟარგონის კანონიზებას გასული საუკუნის მეორე ნახევარში ცდილობდნენ გ. სკანდარნოვი, დ. გივიშვილი და მარტირუზ რიბნიკოვის სხვა მემკვიდრენი. მის გავრცელებას ლაშობდნენ სცენების სახითაც. „ქალაქურ ჟარგონს“ მოტარფიალენი აღმოუჩნდნენ ლიტერატურისმცოდნეთა წრეშიაც. პეტრე მირიანაშვილი, მაგალითად, 1900 წელს „ივერიაში“ გამოვიდა სპეციალური სტატიით — „ქალაქმარა დააშავა?“ ავტორი გულისტკივილს გამოთქვამდა, რომ ქალაქი „დაგვისახავს ენის ლატაკად და ვთხოვთ სოფელსა, მოდი ქალაქს ქართული ასწავლო“ („ივერია“, № 208, 1900). პ. მირიანაშვილი ქალაქურ ჟარგონს გზას უყაფავდა ლიტერატურისაკენ: „თქმა არ უნდა, ქალაქი, ერთხილისა და ხელოვანის მუშაყის მომლოდინე, ჩვენი ენის საუნჯეს მრავალ ობოლ მარგალიტს შესძენს, მხოლოდ მეტისმეტად საჭიროა ფეხი მოიკიდოს ჩვენს მწერლობაში მისმა მოხდენილმა და შნოიანმა საუბრის კილომ, რომელიც ღირსია ამ პატივისა, როგორც ჩვენის მოქალაქეობრივის ცხოვრების სათავეში მდგომი“ (იქვე).

საბედნიეროდ, ლიტერატურაში ფეხი ვერ მოიკიდა „ქალაქური ჟარგონის“ „შნოიანმა საუბრის კილომ“. ხალხმა იგი არ მიიღო და დავიწყებას მისცა. იგი იმთავითვე აღმოჩნდა განწირული და მისი ლიტერატურაში დამკვიდრების ცდა — უნაყოფო.

ღიალექტიზმების საკითხი ქართულ მწერლობაში დრო და დრო მწვავედ ისმებოდა. გასული საუკუნის 90-იან წლებში პროვინციალიზმების წინააღმდეგ გამოვიდა აკაკი წერეთელი. მას საჭიროდ მიაჩნდა სალიტერატურო. ენის ლექსიკის გამდიდრება კილოთა მასალებით, აუცილებლად თვლიდა ისეთი სიტყვების ხმარებას, რომლებიც „სადმე პროვინციაში გასაპეტაკებულა და დედაენის კანონის თანახმად აღმოცენებულა“. ამავ დროს მიუთითებდა: „ის, რაც დედაენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში, პროვინციებში, გადაუმახინჯებიათ და გაუფუჭებიათ, ხელმოსაკიდები კი არა, პირიქით, გასადევნია“.

სალიტერატურო ენისა და ღიალექტების ურთიერთობის საკითხში ამ თვალსაზრისს იცავდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელები ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ის იყო მეცნიერულად სწორი და ისტორიულად გამართლებული პოზიცია. ილიას „კაცია-ადამიანი?!“, „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, „აჩრდილი“... აკაკის „ბაში-აჩუკი“, „გოგია მეჩონგურე“, „სამნაირი სიყვარული“, „თორნიკე ერისთავი“... პრაქტიკული განხორციელებაა ამ დევიზისა. ამ თხზულებებშიაც ვპოულობთ ცალკეულ შეუფერებელ გამოთქმებს, ღიალექტური ელფერის ლექ-

სიკის ნიშნებს, მაგრამ მათ ილია და აკაკი დიალექტიზმებზე არ მიიჩნევენ, შემოქონდათ სალიტერატურო ენის საგანძურში და ზოგი მათგანი კიდევ გავრცელდა.

დიალექტიზმების პრობლემა კვლავ წამოიჭრა ცნობილ დისკუსიაში მართლწერის საკითხებზე 1911 წელს. დისკუსია გაჩაღდა ჟურნალ „განათლებას“ და ქუთაისის გაზეთ „კოლხიდას“ შორის. იგი დაიწყო გრ. ყიფშიძის წერილით „ქართული მართლწერა“ („განათლება“, VIII, 1911, 497—500), რომელიც მიმართული იყო სილ. ხუნდაძის მცდარი პოზიციისა და მის მიერ შემუშავებული მართლწერის პრინციპების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, სილ. ხუნდაძემ მართლწერისა და მართლმეტყველების ძირითად პრინციპად კეთილზმოვანება მიიჩნია. გრ. ყიფშიძემ წამოაყენა დებულება: „კეთილზმოვანება სუბიექტური კრიტერიუმია და საბუთად არ გამოდგება. მაშ, რას დავუგდოთ ყური? რასა და ქართლს, იმ პროვინციას, სადაც მდაბიო და დიდებული ლაპარაკობს ლიტერატურის ენის კილოთი, საცა ეგ კილო და ჩვენი დღევანდელი სალიტერატურო ენა თითქმის არ განსხვავდება“ (გვ. 499). ცალკეული შეცდომების მიუხედავად გრ. ყიფშიძე ძირითადად სწორ შეხედულებებს იცავდა. მან დაიწუნა სილ. ხუნდაძის მიერ მოწოდებული ფორმები: აქით-იქით, გავაკეთებთ, დავაწერი, საშვალეა... და საჭიროდ ცნო ხმარება ასეთი ფორმებისა: აქეთ-იქით, გავაკეთებინე, დავაწერინე, საშუალება... .

სილ. ხუნდაძემ მიუღებლად ჩათვალა გრ. ყიფშიძის შენიშვნები და თავისი უარყოფითი დამოკიდებულება წამოყენებული დებულებებისადმი გამოთქვა სტატიაში „ქართული თუ ქართლური?“ („კოლხიდა“, № 187, 1911), რასაც მოჰყვა აგრეთვე გრ. ყიფშიძის დასაბუთებული „პასუხი სილ. ხუნდაძეს“ („განათლება“, IX, 1911, გვ. 552—569).

ამ დისკუსიაში თავი იჩინა ორმა ტენდენციამ. ერთი იყო უკვე აღიარებული, ცხოვრების მიერ მოწონებული ტენდენცია, რომელიც ემყარებოდა ილიასა და აკაკის მიერ დამკვიდრებული სალიტერატურო ქართულის ნორმებს. ამ ტენდენციას იცავდა ილ. ჭავჭავაძის ერთ-ერთი უმცროსი თანამებრძოლი გრ. ყიფშიძე. მეორე მხრით, ახლა უფრო გაბედულად, გამომჟღავნდა სალიტერატურო ენაში იმერიზმების ხვედრითი წონის გაზრდის ტენდენცია, რასაც იცავდა სილ. ხუნდაძე. გრ. ყიფშიძემ თავის სტატიებში სამართლიანად დაგმო სილ. ხუნდაძის უმართებულო პოზიცია, დაასაბუთა მისი ე. წ. იმერიზმების უნადაგობა და დაიცვა ქართული სალიტერატურო ენის ილიასეული ტრადიციები.

ჭარბი დიალექტიზმები ანაგვიანებს სალიტერატურო ენას. მათი წარა-მარა ხმარება, თუ გნებავთ თხზულების პერსონაჟთა დიალოგებშიაც, დღეს არაფრით არ უნდა გამართლდეს. დიალექტიზმები

საერთოდ უარსაყოფი არ არის, პირიქით, დიალექტური ლექსიკა ლიტერატურული ენის ლექსიკის გამდიდრების ამოუწყვეტი სალაროა, მაგრამ მისი ხმარების დროს მწერალმა დიდი ზომიერება უნდა გამოიჩინოს.

§ 24. **დიალექტიზმები მწერალთა თხზულებებში.** დიალექტიზმები მეტნაკლებად ბევრი ქართველი მწერლის თხზულებებში გვხვდება. ფშავიზმებს ვპოულობთ ვაჟა-ფშაველას, ქართლოსშემს — ს. მგალობლიშვილის, იმერიზმებს — დ. კლდიაშვილის, გურიიზმებს — ე. ნინოშვილის თხზულებებში და ა. შ. (§ 20). ამ მწერალთა არა მარტოდენ პერსონაჟები, ზოგჯერ თვითონ, ავტორებიც, ხმარობენ ადგილობრივ ლექსიკასა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს.

ვაჟამ შემოიტანა ქართულ ლექსიკაში შესანიშნავი სიტყვები: ქუჩი — მცენარეა ერთგვარი („ქუჩი გაწირეს ცვრიანი“, თხზ., II, თბ., 1961, 71); დეკა, ღვია — მცენარეებია („ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი დეკა და ღვიანი“, იქვე); ჩქაში — ხმაურობა („ხომ არ აყრილან ფშაველნი, ჩქაში რო არ ისმის ხალხისა?“, იქვე, 73); ათირება — გაჩუმება, აბირება — მონდომება („ძუძუთ ვათირებთ ბალებსა, რძისთვინ რო აბირდებინა“, იქვე, 73); ფინხობა — საუბარი („როცა ხაფინხოდ დაეხსლოდით, ვსთქოდით, რაც გადაგვხდია“, იქვე, 127); ტრელობა — სიმხდალე, ლაჩრობა („შენ სთქვია, ძალო უშიშავ, შიშინიასა ტრელობა“, იქვე, 283); ტაფ-ტუფიანი — ჩავარდნილი ადგილი ტყეში („გადავედ ტაფ-ტუფიანიში, შამბ-ჭინჭარს მოვედებოდი“, იქვე, 17); ეხი — გამოქვამული („ცხრა მოკლა, ოთხი გაიქცა, ერთი გადუხტა ეხშია“, იქვე, 14), ჭიუხი — წვეტიანი კლდე („ერთი ბებერი არწივი ზეით, ჭიუხში წყრებოდა“, იქვე); კულუხი — ტაბლა („თითქოს მოპქონდესთ კულუხი, სიმღერით მოსდევს ერიო“, იქვე, 7); ზავთი — შეხედულება („ზავთი იმათი ზღვას პგვანდა“, იქვე, 8); ნათოსი — წყლისაგან გამორიყული ხეები („სუ თან მიაქვის ფეხითა ტყე-მთა, ნათოსი ტიალი“, იქვე, 12); ყინჩი — კობტა, ლამაზი („ყინჩად სამ იცის ტრიალი ომში ჭარად და ტარადა“, იქვე, 13); წინწელი — ნაპერწკალი („წინათი ესმა ქვის ჩხერა, ნახა წინწელი სრეული“, იქვე); ზოფირი — დაწოკება („დიაცყმაწვილის ზოფირი არაგვზედ, ფშაველის მხარეში“, იქვე); ჟიჟიკი — ბრწყინვა („ენახე, რომ რქებზე ჟიჟიკებს სანთლები, ვარსკვლავთ გვარია“, იქვე, 18)...

ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში შეტანილია ქართლური ლექსიკის ასეთი ნიმუშები: სად-სალამათი — ჭანმრთელი („ნახა სად-სალამათად დატოვებული შვილი შეღონებული“, რჩ. მოთხრ., თბ., 1951, 323); თათქანი, ბაბანი — ხმაური, ხრიალი („მოვარდა თურმე სახლში თათქანითა და ბაბანითა“, იქვე); განაგლეჯი — წანართმევი („სუ ჩვე-

ნი განაგლეჯებისაგანა აქვს ესენი შექმნილი“, იქვე, 327); მინაკადულე-
ბა — წყლის, ნაკადულის მიგდება („დაასხა თუ არა ი კოკიპირულად, მა-
შინათვე მივუნაკადულე“, იქვე, 360); ლირფი — ურცხვი, უნამუსო („ქა-
ლაქის ლირფმა ქალებმა მომიწამლეს ჩემი მშვენიერი ნიკაი“, იქვე,
266); ჭაჭანი — წარამარა ლაპარაკი („გული ამომგარდნია ჭაჭანითა და
ლაქლაქით“, იქვე, 466)... ფონეტიკური და გრამატიკული დიალექ-
ტიზმები ს. მაგალობლიშვილის მოთხრობებში ცალკეა შესწავლილი.¹
მწერალი კარგად იცნობს ქართლურს და მის მიერ ფიქსირებული დია-
ლექტიზმები სანდოა, ეს ერთნაირად ეხება როგორც ფონეტიკურ-გრა-
მატიკულ პროცესებს, ისე ლექსიკას.

დ. კლდიაშვილის თხზულებებში გვხვდება იმერიზმები. აღვნიშ-
ნავთ რამდენიმე ნიმუშს: გაცუცურაყება — გაწბილება, შერცხვენა
(„ტყუილად იფიქრა ბესარიონ საქარაძემ ჩემი გაცუცურაყება“, მო-
თხრობები და პიესები, თბ., 1947, 38); მოღეუღი — დამთავრებული
(„საქნარი მოღეუღი ჯობია“, იქვე, 56); მოგჯომა — მოგლეჯა („კი,
მარა სულ არ მოგჯება ამ საცოდავს ზურგი?“, იქვე, 59); ჩხინკი —
ჩხირი („მეიტა, მეღანო, ჩხინკი იქნება რამე“, იქვე); ამოზუსკული —
ამოზურთული („მოხსნა თავისი თეძოვამოზუსკული რაში“, იქვე);
დამსილი — დავსებული, გაღარიბებული („შენი მტერი იქნა დამ-
სილი და დაგლახაყებული, ისინი დამსილი არიან“, იქვე, 61); აპოლი-
კება — ნელი ნაბიჯით სიარული („შელავათმიცემული ცხენი მისუსტე-
ბულის, აძიგძიგებულის ნაბიჯით აპოლიკდა ქვებიან ბრეჯზე“, იქვე,
65); გაღამზვა — გაბლანდვა („თუ შეიძლება, ეს ჩოხები, რავარც იქ-
ნება, ისე გაშიღამზვე“, იქვე, 86); ყანყალი — ყიალი („ასე უთავბოლოდ
ყანყალი არ შემიძლია“, იქვე, 87); წრიბა — სუსტი, გამხდარი („ქე-
არ მომკლეს ამ ურჯულთებმა ერთი წრიბა ქათმის გულისათვის!“, იქვე,
122)...

ე. ნინოშვილის მხატვრული ენის თავისებურება, უწინარეს ყოვლისა,
მის მასალაში — ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაში მკლავნდება. ფრა-
ზეოლოგიურ საქევეებში ის ჭარბად იყენებს დიალექტურ გამოთქმებს.
პერსონაჟთა მოქმედების გარემო, წრე, მოსაქმეობის ლოკალიზება
გურიის კუთხეში, ადგილობრივი ფლორა და ფაუნა, ყოფის რეალიები
მწერალს ფართო შესაძლებლობას აძლევს უფრო მეტად დაესესხოს
კილოურ მეტყველებას და იქედან ამონარიდი ლექსიკური და ფრაზეო-
ლოგიური ერთეულებით გადმოსცეს გმირის ფსიქოლოგიური გან-
ცდები და სულიერი განწყობილებანი. ყოველივე ამის საფუძველზე

¹ გ. შალაშვილი, დიალექტიზმები ს. მაგალობლიშვილის მოთხრობებ-
ში, იყ., IX—X, 1958, გვ. 155—171.

მხატვარმა გამოიმუშავა თავისი ინდივიდუალური სტილი, გვიჩვენა საკუთარი პალიტრის ძალა და თვითმყოფი ადგილი დაიკირა ჩვენს ბელეტრისტიკაში.

აი, როგორ უღერს დიალექტური ლექსიკა ორი პერსონაჟის — სიმონისა და მანას („ჯანყი გურიაში“) დიალოგში: „მოწიფული კაცის გული და ზღვავი ერთია. სხვაი რამე რომ გაგვიპირდეს, მაშვინ რალაი? ხომ იცი, სიმონ, ჩვენი ჯვარის წერის საქმე ჯერე ცხრა ქედს გადალმას!“... „მეც შენსავით გული და სისხლი მაქ, მარა მეშინია, სიმონ, ბოლოს ქვეყნის საყბო არ გავხთე-მეთქი. წედანაი მისაყვედურე: ეკვიანოფ, დანდობა არ გაქო. ეკვიანობით არ ვეპვიანოფ, მარა მაინც რომ დაფექრდები, ჩვენი ცოლ-ქმრობა არ მოხთება, მგონია. აბა იფიქრე, შენს გვარს აზნაური ქვია, ჩემსას ყაძახი! არა, სიზმარია ჩვენი ცოლ-ქმრობა!“ — უთხრა ქალწულმა მიჯნურს. ასეთივე დიალექტური გამოთქმებითაა შეზავებული ვაჟის პასუხი: „მანა, ან შენ რეიზა იტებს გულს და ან მე რეიზა მაწვალებ? — უთხრა წყენით სიმონმა. — თავდაზნაურობა და ყაძახობა კაცის გამონაფქვრია, ჩვენი სიყვარული ჩვენი გულ-ღვიძლის ნამდვილი შვილია, იმისთანა შვილი, რომ სანამღდი ჩვენ ცოცხალი ვიქნებით, არ შეიძლება, იგი რამემ მოკლას. ჩვენი სიყვარული მაშვინ მოკტება, თვითან ჩვენ რომ არ ვიქნებით ქვეყანაზე. აზნაურიო! უნდა გითხრა, ახლა რომ გვარის საქმეს შევხედე, კინტრათაც არ მიმანია ჩემი აზნაურობა და, თუ დამიჯერებენ, არც იი თავადობა საბოლოოვო საქმე. დღეს მე ვარ აზნაური, ახე ქვია, ხვალ ეგება მე ყაძახი შევიქნა და ჩემი ყაძახი — აზნაური. ამას წამართვი-წაგართვი ქვია, მეტი აფერი და ბევრით ჯობს, ყველას ერთი სახელი გვექონდეს. რაა რომ გეიკვირე? დიდი საქმეა ჩვენი გაყაძახება თუ?“ (ე. ნინო-შვილი, თხზ., I, ს. ხუნდაძის რედ., თბ., 1932, 3, 5).

დიალექტური ლექსიკა ე. ნინოშვილის მოთხრობებში დამოწმებულა ორი გზით: ერთი, იდიომატური შესიტყვებებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების სახით და, მეორე, ცალკე სიტყვებისა და გამოთქმების სახით.

1. იდიომატური შესიტყვებანი. მწერალი იყენებს დიალექტურ იდიომას „ფარცვაგი არ არის“, რაც მნიშვნელობით ფათერაკის ფარდია: „ფარცვაგი არ არის, მეც მწამს!“ (იქვე, 104); „ფარცვაგი არ დამართია იმისთანა წივილ-კივილი ისმის გოგიესას“ (იქვე, 140); „ფარცვაგი არ არის ჩემ თავზე“ (იქვე, 217)... ხალხური მეტაფორა „დალია სული“ ჩვეულებრივ სიკვდილის, გარდაცვალების მნიშვნელობითაა ნახმარი: „ვარდიკომ დაკვენსებაც ვერ მოასწრო, ისე დალია სული“ (იქვე, 184); ფუტის გაცივება — ოჯახის განადგურება: „კიდევ ეკუცია რომ ჩამოკვიყენონ, ფუტი გაგვიცივდება“ (იქვე, 125); კუჭის მოყვანა, გაკუჭება —

გაბრაზება: „ჩვენ კუჭი მეფიყვანეთ, რაეა გაგვიბედა ამდონ კაცს და-
მუქრებაო“ (იქვე, 65); „რეიზა მოგივიდა ასე კუჭი“ (იქვე, 72); „ძან
გამაყუბა იმის სიტყვამ“ (იქვე, 20); ენის ფხანა — ლაპარაკი: „გიორგი
ხედავდა, ხალხმა თავისი არ დაიშალა, ჩემს ლაპარაკს არავინ ყურს
არ უგდებსო და ტყუილ-უბრალოთ აღარ იფხანდა ენას“ (იქვე, 94);
სხაპში გაბმა — მახეში გაბმა: „გამაბეს სხაპში და აგია“ (იქვე, II, 75);
ჩხირის გატეხა — გადაკრით თქმა: „ერთი ორ-სამჯელ კიდეე მო-
ვუყოლებ ამბავს და ბოლოს გავუტეხ ჩხირს“ (იქვე, I, 3); ქვეყნის
საყბო — ქვეყნის დასაცინი: „მეშინია... ქვეყნის საყბო არ გაბთე-
მეთქი“ (იქვე, 5)...

2. დიალექტური სიტყვები. ე. ნინოშვილის პერსონაჟების დია-
ლოგებში შეხვედრილი დიალექტური ლექსიკიდან სანიმუშოდ დავი-
მოწმოთ: მერე — მინდორი, სახნავ-სათესი ფართობი (იქვე, I, 37);
კიშანი — პირუტყვის ბლავილი (იქვე, 54); ოღჭა — ჭარიანობა (იქვე,
54); ტყვამში — ამობურთული ადგილი სხეულზე, მუწუჯი (იქვე, 85);
ციცა — ქალიშვილი (იქვე, 137); ჭინჭი — ჩვარი (იქვე, 139); ელანძე —
უცებ (იქვე, 127); წიწიე — ხორცი ბავშვის ენაზე (იქვე, 129); ყურყუ-
ტი — ლოდინი (იქვე, 159); კუში — ტალღა ზღვისა (იქვე, 169); ღო-
ჩხაური — დიდი ცეცხლი (იქვე, 170); ჩაჭურა — ტანსაცმელია (იქვე,
176); მაჭახელა — თოფი, მაჭახეთში დამზადებული (იქვე, 80); ფუ-
ტი — ბოლი (იქვე 190); შაღდამი — ბუჩქნარი, გაუვალი ადგილი (იქ-
ვე, 228); შხუნა — ახალგაზრდა ტყე (იქვე, II, 14); მემაჭე — მკითხა-
ვი (იქვე, 71); ყუნჩი — ჩუმი (იქვე, 81); კოჭობაი — ჭამი, თეფში
(იქვე, 89); ჭყიფორი — ნესტი, წვიმიანობა (იქვე, 118); აბდალი —
სულელი (იქვე, 191); ხელხვაფი — შრომის სიმღერაა (იქვე, 199); კურ-
ცხალი — ცრემლი (იქვე, 214)¹...

ნიჭიერმა მწერლებმა ათეულობით მშვენიერ დიალექტურ სიტყვას
მოაშორეს ადგილობრივი შეფერადება, შეუნარჩუნეს ხალხური იერი
და გზა გაუკვლიეს სალიტერატურო ენის ფართო სარბიელზე.

§ 25. ილიომეზი. რა არის ილიომი? ამ ცნების გაგების საკითხში
მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ყველაზე ზოგადი და, ჩვენი
აზრით, სწორი განმარტება იქნება შემდეგი: ილიომი ენის სპეციფი-
კური სიტყვათშეერთებაა, რომელიც სხვა ენაზე ზუსტად არ ითარგმნება.

ილიომში გაერთიანებული ერთი მნიშვნელობის სიტყვებით გადმო-
ცემულია სულ სხვა აზრი. თანაც აქ სიტყვები ნახმარია გადატანითი,
მეტაფორული მნიშვნელობით. ამიტომ ილიომის დაშლა და მასში შე-

¹ ჩვენი: დიალექტური ლექსიკა მწერლის თხზულებებში, „ცხინვალის სახელ-
მწიფო პედინსტიტუტის შრომები“, VII, 1959, გვ. 301—314.

მავალ სიტყვათა სემანტიკის ცალ-ცალკე გაგება შეუძლებელია, იგი განუყოფელია და დამოუცილებელ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს. მშვენიერი ქართული იდიომი ჭურში ზის ორი სიტყვისაგან შედგება: ჭური — ღვინის ჭურჭელი, ზის — ზმნა, ჯდომა. მაგრამ იმ აზრს, რაც ამ იდიომითაა გადმოცემული, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც ჭურთან (ქვევრთან) და არც ჯდომასთან, აქ სიტყვები გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი, წარმოდგენილ სიტყვათშეერთებას ვერ დავშლით, იგი მყარი ერთეულია. ცნება მშვენივრად განმარტა ლ. ბულახოვსკიმ: „იდიომატური შესიტყვებანი (იდიომები) ამა თუ იმ ენის ისეთი თავისებური გამოთქმებია, რომლებიც თავისი ხმარების მიხედვით აზრობრივად მთლიანობასა და ერთიანობას ქმნიან; რომლებიც ჩვეულებრივ ზუსტად არ ითარგმნებიან სხვა ენებზე და თარგმნისას მოითხოვენ მსგავსი სტილისტიკური ელფერის შენაცვლებას“.¹

იდიომების ზუსტი თარგმნა შეუძლებელი ხდება არა მარტო სხვადასხვა ოჯახისა და ტიპოლოგიის ენებზე, არამედ იგი ჰირს თვით მონათესავე ენებზე და, რაც საგულისხმოა, დიალექტური იდიომიც ძნელად გადაიღება სალიტერატურო ენაზე. გურიაში ჩაწერილ ერთ ზღაპარში გვაქვს ორი კოლორიტული იდიომი: „სულის გარჯა“ და „ნიგუზლის წაწევა“: ყმაწვილი „ისე გაზარმაცთა, რომე სული რომ გერჯებოდეს, ერ ნიგუზალს არ წაგიწევს“ (ჩვენი, გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937, 182). ძნელი გადმოსაცემია ისინი სალიტერატურო ენაზე. სიტყვა-სიტყვით: სული და გარჯა, მუგუზალი და წაწევა — აზრს არ გვაძლევს. „სული ერჯება“ ნიშნავს გაჭირვებულს, მძიმე მდგომარეობაშია, ლიტერატურულად — „სული ხდება“; „ნიგუზალს წაგიწევს“ — დაგეხმარება, ცეცხლზე შეშას დაგიყრის, სიტყვასიტყვით: როცა მუგუზალს თავი მოეწეება, შეწევს ცეცხლში. ამისთანა იდიომები ასეულობით ტრიალებს ხალხში. მათი დიდი ნაწილი აღბეჭდილია ლიტერატურასა და ლექსიკონებში.

იდიომების ლექსიკონი ცალკე არ გამოცემულა. ქართული იდიომები შეტანილია ქართული ენის დიდ განმარტებით ლექსიკონში.

გავრცელებული ქართული იდიომებია: ენა ჩაუვარდა, ენა მუცელში ჩაიგდო, მღუღარეში ფეხი ჩაკრა, ენა უსწრებს, თვალში ეცა, თავი აიშვა, ილაჯი გაუწყდა, ფეხს ითრევს, წერილი წაიღო, გულთან არ მიიტანა, პირში ჩალა გამოავლო, პირში ბურთი ჩასჩარა, თავში ქვა იცა, კეუაში არ დაუჯდა, წელეებზე ფეხს იდგამს, ბოლოს სცემს, აბუჩად იგდებს, მკლავი უჭრის, ცეცხლი შეუკეთა, თვალს უხვევს, მანდილი

¹ ლ. ბ. ბულახოვსკი, ენათმეცნიერების შესავალი, II, თბ., 1955, გვ. 33.

მოხადა, ლეჩაქი ახადა, თავს ლაფი დაასხა, პირკატა ეცა, ნიშადღური ამოსცხო, ობი მოეკიდა, მარილი მოაყარა, იხტიბარი არ გაიტეხა...

ქართული იდიომების სტრუქტურა ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან ერთად შესწავლილი აქვს ა. თაყაიშვილს.¹

§ 26. ფრაზეოლოგიზმები. ენის ექსპრესიულ შესაძლებლობათა საგანძურში გვაქვს სემანტიკური სიტყვათშეერთებანი, რომლებითაც გადმოცემულია გარკვეული მოკვეთილი აზრი, მისი ნაწილი, ან შეგონება. ამისთანა სიტყვათშეერთებანს ფრაზეოლოგიური ერთეულები, ან ფრაზეოლოგიზმები ჰქვია. ფრაზეოლოგიური სიტყვათშეერთების ცალკე კორელატები მეტაფორულადაა გაგებულა. ხალხი ამბობს: სული დალიაო. დალია აქ მეტაფორულადაა გაგებული, თორემ სული წყალი არ არის, კაცმა რომ დალიოს. ამასთან საყურადღებოა, რომ არ იტყვიან: სულს სვამს. სულს დაფავს იდიომია, თანაც სულ სხვა მნიშვნელობისა — გაჭირვებულა, უჭირს!

ფრაზეოლოგიზმები მოსწრებული გამოთქმების, ფრთოსანი სიტყვების, სიტყვის მასალების, ანდაზებისა თუ მისთ. სახითაა დამკვიდრებული ენაში და ფართო ადგილს იჭერს სიტყვა-პასუხში. მდიდრულადაა იგი აღბეჭდილი მხატვრულ ლიტერატურაში. ფრაზეოლოგიურ ერთეულებად იქცა ხალხურ ენაში გავრცელებული გამოთქმები: ჩილურის წყალი დალია, ყურზე ხახვი არ დამაჭრა, სახე ჩამოსტირის, თვალს წყალი დააღვეინა, ტუჩზე დედის რძე არ შეშრობია, სირცხვილი ჰვამა, დიდი შიში ჰვამა, ენას კბილი დააჭირა, პირი ეწვის, ლელო გაიტანა, წყალს ნაყავს, სუფრაზე ჩიტის რძეც მოიტანა...

ასევე ანდაზებისა და სიტყვის მასალათა ერთი ნაწილი ფრაზეოლოგიზმებად ქცეულა და ახლა ერთ განუყოფელ ლექსიკურ ერთეულადაა გაგებული. ამის ნიმუშებია: ანაბარი მგელმაც იცის; გაწყდეს, სადაც წვრილია დაბალი ღობეა; დომხალივით აირია; თვალში უზის; თავის ჰიას ახარებს; შვიდი პარასკევი აქვს კვირაში; მუქთ კუბოში ჩაწვება; სული კბილით უჭირავს; ფეხები უკან რჩება; ჰკუას ძალას ატანს; სიტყვა ბანზე ააგდო...

ფრაზეოლოგიზმების სემანტიკურ-ლექსიკური თვისებები ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. არც ისაა მთლად ნათელი, თუ ენათმეცნიერების რომელმა დარგმა უნდა იკვლიოს ფრაზეოლოგიურ სიტყვათშეერთებათა სტრუქტურა და სემანტიკა — სინტაქსმა თუ ლექსიკოლოგიამ. რამდენადაც ფრაზეოლოგიზმა განუყოფელი და მთლიანია, ამდენად ის ჩვენ ლექსიკურ ერთეულად მიგვაჩნია.

¹ ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხი, თბ., 1961, გვ. 21-61.

ქართული ფრაზეოლოგიური ერთეულების სტრუქტურა იდიომებთან მიმართებაში შესწავლილი აქვს ა. თაყაიშვილს.¹

§ 27. ნასნსნაზი სიტყვაში. ქართული ენის ლექსიკის მარაგში გარკვეულ ადგილს იჭერს ნასნსნები, სხვა ენობრივი სამყაროდან შემოსული სიტყვები. სესხება ენის ლექსიკის გამდიდრების ფრიალ მნიშვნელოვანი საშუალებაა. სიტყვის სესხებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ის ბუნებრივია არა მარტო ქართული ენისათვის, არამედ მასდემამწაზე არსებული ყველა ენა მიმართავს, ამასთან ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. მეორე მხრით, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ქართველი მწიგნობრები, ჩანს, არ იღვნენ არა საჭირო პურიზმის პრინციპებზე, საყოველთაოდ გავრცელებულ ტერმინოლოგიას სიამოვნებით იღებდნენ უცხოური ენებისაგან და უგულებდნენ ქართულის სტრუქტურულ-სემანტიკურ ნორმებს.

არასაჭირო პურიზმს ქართველი მწიგნობრები მხარს არ უჭერდნენ, მაგრამ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ზოგჯერ მათ თხზულებებში პურისტული ტენდენციები მაინც იჩენდა თავს. ეს პირველ რიგში ითქმის ეფრემ მციერის თარგმანებზე. ს. ენუქაშვილმა გამოარკვია, რომ „ეფრემ მციერის ლექსიკას ახასიათებს ენობრივი პურიზმი“. მართლაც, ეფრემს ქართულად გადმოუღია არა მარტოდენ ჩვეულებრივი ბერძნული სიტყვები, არამედ საყოველთაოდ ცნობილი ბერძნული ტერმინებიც. თარგმანი ასე გამოიყურება: ანალოგია — შეტყუებულობა; ანტაგონისტი — წინა-განმწყობი; გენეზისი — დაბადება; ენერგია — მოქმედება; თეოლოგია — ღმრთის-მეტყუელება; თეორია — ხედვა; ისტორია — თხრობა; მისტერია — საიდუმლო; მელოდია — გალობა; ოპტიკა — სახედველი; პოლიტიკა — მოქალაქობა; სიმბოლო — სახე, იგავი; სიმეტრია — შეზავებულება; სიმფონია — ერთეობა; სინთეზი — შეწყობილება; ფანტაზია — ოცნება; ფიზიოლოგია — ბუნებისმეტყუელება; ფილანტროპია — კეთმოყუარეობა; ფილოსოფია — სიბრძნის-მოყუარეობა; ჰიერარქია — მლდელთ-მთავრობა; ჰიმნოლოგია — ქების-მეტყუელება; ჰიპერბოლა — ზეშთაგარდამეტებულება²...

მაგრამ ამისთანა განწყობილებას ხელი არ შეუშლია სიტყვათსესხების განვითარებისათვის.

სიტყვათსესხება ქართულში წარმოებდა როგორც უშუალოდ, უპირატესად ძველ საუკუნეებში (V—VIII სს.), ისე შუალობით, უპირა-

¹ ა. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62—129.

² პეტრე იბერიელი, შრომები, ეფრემ მციერის თარგმანი, გამოსცა, გამოკლვეა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა; თბ., 1961, გამოკვლ., გვ. 0117—0118.

ტესად XIX—XX საუკუნეებში. შუალობით, რუსული ენის მეშვეობით, განსაკუთრებით ბევრი სიტყვა (ტერმინი) შემოვიდა ქართულში ფრანგულიდან, ინგლისურიდან, გერმანულიდან.

ნასესხები სიტყვარი უმთავრესად მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის სფეროებს განეკუთვნება. ქართულს უცხოური ენებისაგან შეუთვისებია მხოლოდ არსებითი სახელები, იშვიათად ზედსართავი სახელები. რაც შეეხება ზმნებს, ნაცვალსახელებს, რიცხვით სახელებს, ზმნიზედებს, თანდებულებს, ნაწილაკებს, შორისდებულებს, მოდალურ სიტყვებს — აქ ნასესხები სიტყვარი ან სულ არა გვაქვს, ან თითო-ორორ შემთხვევას თუ აღნიშნავს კაცი. ამის ნიმუშია, მაგალითად, ზმნიზედა ა ლ ბ ა თ , რომელიც არაბული ენისაგან ჩანს შეთვისებული — ჰელბეთ...

მიუხედავად იმისა, რომ ნასესხები სიტყვარი თითქოს ფეხის ყველა გადადგმაზე გვხვდება, ქართულში იგი მაინც ცოტა და ენის მთლიან ლექსიკურ საგანძურში მცირე პროცენტს შეადგენს.

გავარჩიოთ ლექსიკური შედგენილობის თვალსაზრისით ერთი ამონაწერი აკად. კ. კეკელიძის ნაშრომიდან: „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პერიოდებად დაყოფისას ჩვენ გამოსავალ პრინციპად ვიღებთ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა ევოლუციას, სხვანაირად რომ ვთქვათ, განვითარების ეტაპებს თვით ფეოდალური ფორმაციისას, რომლის ჩარჩოებში მიმდინარეობდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ (ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, 35). ამ წინადადებაში სულ 30 სიტყვაა, საიდანაც 18 ქართულია, 10 — უცხოური: ლიტერატურა (მეორდება ორჯერ), ისტორია (მეორდება ორჯერ), პერიოდი, პრინციპი, სოციალური, ეკონომიური, ევოლუცია, ეტაპი, ფეოდალური, ფორმაცია.

უცხოური სიტყვები შეთვისებულია ა) ბერძნულიდან: ისტორია (historia), პერიოდი (periodos), ეკონომია (oikonomia); ბ) ლათინურიდან: ლიტერატურა (literatura), პრინციპი (principium), სოციალური (socialis), ევოლუცია (evolutio), ფეოდალი (feodalis), ფორმაცია (formatio); გ) ფრანგულიდან: ეტაპი (étape) და ა. შ. ამასთან ისტორია, პერიოდი, ეკონომია, ლიტერატურა ნასესხები უნდა იყოს უშუალოდ, პრინციპი, სოციალური, ევოლუცია, ფეოდალი, ფორმაცია, ეტაპი — შუალობით, რუსული ენის მეშვეობით. ზოგიერთ წყაროში აღნიშნულია, რომ თითქოს ისტორია შეთვისებულია შუალობით, რუსული ენის მეშვეობით. ეს დამაჯერებელი არ არის. ბერძნული სიტყვა ისტორია ქართულ ძეგლებში ნახმარია XII—XIII საუკუნეებში და უფრო ადრეც, როცა რუსული ენის მეშვეობაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. მაგალითად, ძეგლში „ისტორიანი და აზმანი შარავან-

დედთან“, რომლის პირველი ნაწილი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, 1196 წლის მახლობელ ხანებშია დაწერილი, ხოლო კ. კეკელიძის შეხედულებით კი — 1222 წლის მახლობლად, ჩვენთვის საინტერესო სიტყვა რამდენიმე გზისაა მოხსენებული: „იდიდსიტყუა ალექსანდრესადმი პლუტარხოს ზემომადლეელი ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემსხმელობისასა“ (ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩი-შვილის რედ., თბ., 1959, 2, 13); „გარდაცეცე ისტორიასა და ვასილოლრაფსა“ (იქვე, 2, 18); „დამდებნი თავისანი ისტორიის ქებისანი შესხმათასა“ (იქვე, 69, 17); „მოშიშმან ისტორიისა სიგარძისამან კმა-ვიყო თქმად“ (იქვე, 83, 15)... ამიტომ სიტყვა ისტორია უშუალოდაა ნასესხები ქართველ მწიგნობართა მიერ ბერძნულიდან და არა რომელიმე სხვა ენის მეშვეობით.

ქართულ ენას უძველესი დროიდან მოყოლებული შეუთვისებია უცხოური სიტყვები ბერძნული, ლათინური, სპარსული, არაბული, მოგვიანებით — ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული, იტალიური, ესპანური, პოლანდიური ენების სამყაროდან. უცხოური სიტყვები ისე შეუღუებია ჩვენს ენას, ისე მოუქცევია თავის გრამატიკულ სისტემაში, რომ ახლა ზოგი მათგანის გაშიფვრა და ნამდვილი წარმოშავლობის დადგენა მეტად რთულია და მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული. ეს ითქმის განსაკუთრებით უშუალოდ, არამწიგნობრობის გზით ნასესხები სიტყვების მიმართ.

დავიმოწმით რამდენიმე ნიმუში ნასესხები სიტყვა-ტერმინებისა. ბერძნულიდან: გრამატიკა — მეცნიერება ენის შესახებ; აფვისტო — ქველთობის თვე; გრამი — ნიშანი, ასო; გრაფიტი — რბილი მინერალი, მოშავო ფერისა; აედონი, იადონი — ვარდის ჩიტი; ანთრაქი — ნაკვერცხალი; ექსორია — განდევნა, გადასახლება, პატიმრად გაგზავნა; თეორია — ხედვითი სწავლა; გრამაფონი — სპეციალურ ფირფიტაზე ჩაწერილი ხმის გადმომცემი აპარატი; გრაფიკა — ხატვა ხაზებითა და შტრიხებით, უსაღებოდ; ფანტაზია — წარმოსახვა...

ლათინურიდან: აბორტი — მუცლის მოშლა; აბრევიატურა — შეკვეცა, შემოკლება; კომუნიკაცია — ურთიერთობა; კონსერვი — შეზავებული პროდუქტი, რომელიც ჰერმეტიკულად დახურულ ჭურჭელში ინახება; კონგრესი — ყრილობა; კონკურსი — შეჯიბრება საუკუთესოს გამოსავლინებლად; კოლონია — დაპყრობილი მხარე; ფატალური — საბედისწერო, გარდაუვალი; ფატუმი — გარდაუვალი ხედვრი; ფაუნა — ცხოველთა სამყარო; ფაქტი — სინამდვილეში მომხდარი მოვლენა...

სპარსულიდან: აზატი — თავისუფალი; აივანი — დერეფანი; ამქარი — ერთი ხელობის ოსტატთა გაერთიანება; გუფთა (ჭუფთა) — დაკეპილი ხორცი; დუქანი — სავაჭრო სახლი; ვერანი — აოხრებული

ადგილი; ფანჯარა — კედელში დატანებული სარკმელი; ლაღა — გამზრდელი; გურზი — კომბლის მსგავსი საომარი იარაღი; ფარატიანა — ნაგლეჯი, ნაფლეთი; ფარგალი — სამხატვრო იარაღი; ფაქიზი — სუფთა, წმინდა...

არაბულიდან: აბი (შაბი) — ქაშთაჯი; ასლი — ნამდვილი; ექიმი (შაქიმი) — მკურნალი; ყანთარი — ცალსასწორა; ვეჭილი — მაგიერი, დესპანი; თამაში — გამბედავი; იშტა — მადა; ლაჯათი — სილამაზე; ყისმათი — ბედი, იღბალი; ყომარი — თამაში ოთხი კოჭით...

ფრანგულიდან: აკვარელი — საღებავი, გახსნილი წყალში; აკომპანემენტი — თანმხლები; კომუნიკე — ოფიციალური ცნობა; კომპლიმენტი — ქათინაური; კომპანიონი — თანამონაწილე; კომისიონერი — შუამავალი სავაჭრო გარიგებაში; კომპინეზონი — მუშათა სპეციალური ტანსაცმელი; გრენადერი — ხელის გრანატით შეიარაღებული ჯარისკაცი; გრიპი — ინფექციური დაავადება; შურნალი — პერიოდული გამოცემა...

ინგლისურიდან: კონვეიერი — გადამტანი მოწყობილობა; კომფორტი — კეთილმოწყობა; კოლეჯი — სასწავლებელი; კლუბი — კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება; ნოკაუტი — ძლიერი დარტყმა; ნოკდაუმი — ძლიერი დარტყმის შედეგად მოწინააღმდეგის დაცემა; გრეიპფრუტი — ციტრუსოვანი ხეხილი; პიჯაკი — კოსტუმის ნაწილი; პლედი — შალის წამოსასხამი...

გერმანულიდან: აბლაუტი — ხმოვანთმონაცვლეობა სიტყვის ძირში; კომენდატურა — კომენდანტის სადგომი; კომანდირი — მეთაური; კიტელი — სამხედრო ფორმის ქურთუკი; გრაფი — მეფის მიერ დანიშნული უმაღლესი თანამდებობის პირი შუა საუკუნეებში; გრიფი — ყელი სიმებთან საკრავისა; გრუნტი — ნიადაგი...

იტალიურიდან: კოლორიტი — ფერების შეხამება სურათის საერთო იერის მისაცემად; კასა — სალარო; ლაჯარეთი — სამხედრო პოსპიტალი; ლატარია — ფულის ან ნივთის გათამაშება ბილეთებით; ლაქი — სპირტში გახსნილი ფისი; ნოველა — პატარა მოთხრობა; გირლანდა — დაწული ყვავილების ლენტი; გონდოლა — ბრტყელძირა ნავი; პროფილი — ადამიანის გამოსახულება გვერდიდან; რეჩიტატივი — ეოკალური მუსიკის ერთ-ერთი სახეობა...

რუსულიდან: პლიტა — ქურა; პოლკი — ჯარის ნაწილი; პოლკოვნიკი — ოფიცრის ხარისხი; პოლშევიკი — მეუმრავლესე; მენშევიკი — მეუმცირესე; სამოვარი — ქურქელი, რომლითაც წყალს ადულებენ, „თვითმადულარი“; ნაროდნიკი — ხალხოსანი; კნიაზი — თავადი; კნინა — თავადის ცოლი; გროში — ფულის ერთეული; პლასტუნი — ყაზახთა ჯარის ქვეითი ჯარისკაცი; პლაშიჩი — საწვიმარი...

ესპანურიდან: კოლიბრი — ფრინველი, პატარა ჩიტი; პლატინა — ყველაზე ძვირფასი ლითონი; რეალი — ძველესპანური ვერცხლის ფუ-ლი...

პოლანდიურიდან: კლიპერი — აფრიანი ხომალდი; ლავირება — ცურ-ვა; ფარვატერი — სანაოსნოდ გამოსადეგი სივრცე წყალში...

მეცნიერებას დადგენილი აქვს უცხოური ლექსიკის შემოსვლისა და გავრცელების გზები, ნასესხებ სიტყვათა ამოცნობის საშუალებანი, სესხების ხარისხი.¹ გამორკვეულია აგრეთვე ისიც, რომ ქართულში არა მარტოდენ შემოსულა უცხოური ლექსიკა, სხვა ენებსაც შეუ-თვისებიათ ქართული სიტყვებიც. პროფ. ს. ჯიქიას გამოკვლევით, ქარ-თველური ენობრივი სამყაროდან თურქულს შეუთვისებია სიტყვა ლაზუტ სიმინდის აღსანიშნავად², ქართულიდან უნდა იყოს შესული ინდოევროპულ ენებში სემიდალი (σεμδαλις)³, თანახმად რუსუ-ლი ენის განმარტებითი ლექსიკონისა, რომელიც პროფ. დ. ნ. უშა-კოვის რედაქციით გამოიცა (1935—1940 წწ.), რუსულ ენაში ქართუ-ლიდან შესულა მაწონი (II, 165), მცირე (II, 286), თამადა (IV, 649) და მისთ.

სიტყვათა ურთიერთსესხება და გაცვლა ინტერნაციონალური მოვ-ლენაა.

§ 28. პალპატი. კალკი ჰქვია უცხოური სიტყვის ისეთნაირად გად-მოღებას, რომ ერთნაირად აღინიშნოს ცნება. მსესხებელი ენა თავისი გრამატიკული სტრუქტურის ყალიბში აქცევს გადმოღებულ სიტყვას, უთანხმებს მის მორფოლოგიურ სისტემას. კალკი ამისთანა შემთხვე-ვაში ასლია, ერთი ცნების პირის გადაღება მეორე ენაში. ქართული რკინიგზა, მაგალითად, რუსული Железная дорога-ს კალკია, ხოლო უკანასკნელი თავის მხრით გერმანული Eisenbahn-ის კალკი (Eisen—რკინა, Bahn — გზა). ასევე ქართ. წყალხადენი რუს. водопровод-ის კალკია, უკანასკნელი კი გერმ. Wasserleitung-ის კალკი (Wasser — წყა-ლი, léitung — წარმოება); ქართ. წყალსაქაჩი, რუს. водокачка, გერმ. Wasserpumpe; ქართ. წყალსაზომი, რუს. водомер, გერმ. Wasser-messer და ა. შ.

კალკი ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი პროდუქტული სა-შუალებეა. განსაკუთრებით ფართო გავრცელება აქვს კალკებს მეც-

¹ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, საენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1960, გვ. 37—75.

² ს. ჯ ი ქ ი ა, „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, V, № 2, თბ., 1944, გვ. 231 და შემდ., მისივე: შენიშვნები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ, თბილ. უნივერსიტ. შრომები, XXXB—XXXIB, 1947, გვ. 444—446.

³ ნ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ბოლოსიტყვა, გვ. 486—487.

ნიერულ ტერმინოლოგიაში. ძნელად ვიპოვით მეცნიერების რომელიმე დარგს, რომლის ტერმინოლოგიის ძირითადი ნაწილის საფუძველს კალკირებული ერთეულები არ წარმოადგენდეს. ქართულში კალკირებულ ტერმინთა დიდი ნაწილის საფუძველი რუსული ენობრივი სამყაროა, რომელშიაც გარკვეული წყება ტერმინებისა უცხოური ენებისაგან მომდინარეობს.

კალკები გვქონდა ძველ ქართულ ტერმინოლოგიაშიაც. მაგალითად: ქართ. სახის მწერლობა (ხატოვანი მეტყველება) ბერძ. *επιγραφία*-ს კალკია, მიწის ხვნა-თესვა — ბერძ. *γεωμορία*-ის მიწათმფლობელი — *γεωμόριος*-ის კალკია და ა. შ.

ქართული გრამატიკული ტერმინები: წინადადება, ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება, პირი, რიცხვი, სახე შესაბამისი რუს. предложение, подлежащее, дополнение, определение, лицо, число. вид-ის კალკებია.

ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიაში გავრცელებულია შესაბამისი რუსული ტერმინების ასეთი კალკები: ადვილალღობადი — легковоспламеняющийся, ადვილანთებადი — легковозгорающийся, ადვილადგენადი — легковостановимый, ადვილდასამუშავებელი — легкообрабатываемый, ადვილდნობადი — легкоплавкий, ადვილხსნადი — легкорастворимый, აირშეულწევი — газонепроницаемый, აირსადენი — газопровод, ბურთულსაკისარი — шарикоподшипник, გამოსუქება — светоспускание, ელექტროწევა — электротяга, თანაზომადი — соизмеримый, თვითგანმუხტვადი — саморазряжаемый, თვითგორია — самокат, ფეროშენადნობი — ферросплав, საქალაქთაშორისო — междугородный, თვითმფრინავი — самолет, სამხედრო ვალდებული — военнообязанный (გერმ. *militärpflichtig* — *militär* — სამხედრო, *pflicht* — მოვალეობა), ცრუმეცნიერება — лженаука, მცირეწლოვანი — малолетний, მცირერიცხოვანი — малочисленный, მსხვილმარცვლიანობა — крупнозернистость, წვრილმარცვლიანი — мелкозернистый, ლითონდასამუშავებელი — металлообрабатывающий, გულჩვილი — мягкосердечный, გაუვნებლობა — обезвредить, გაუპიროვნება — обезличение, обезличка, ცეცხლსაშიში — огнеопасный, წყალქვეშა — подводный...²

კალკებს ამყამადაც მიმართავს ქართული ენა თავისი ტერმინოლოგიის დასახვეწად და შესავსებად.

ს ი ზ ყ ვ ა თ ნ ა რ მ ო ე ბ ა

მ ა რ ტ ი ვ ი ს ი ზ ყ ვ ა

§ 29. მარტივი სიტყვის რაობა. მარტივი ჰქვია სიტყვას, რომელიც შედგება ერთი ძირისაგან, რასაც შეიძლება თან ახლდეს გარკვეული დანიშნულების მორფემა და ფლექსია. მარტივია, მაგალითად, ქვა და ქვიანი, მაგრამ პირველი (ქვა) შეიცავს მხოლოდ ძირს, მეორე კი ძირთან ერთად (ქვა) მორფემას (-იან) და ფლექსიასაც (-ი).

მარტივი სიტყვა აგებულების მიხედვით ორი სახისაა: ძირეული და ნაწარმოები ანუ წარმოქმნილი. ძირეულია სიტყვა, რომელიც აღარ დაიშლება და „რომლის ფუძისაგან სხვა სახელია ნაწარმოები“.¹ ხე, ეზო, ბუ, ხელი, კაცი, შენ, ის, ზის, დგას, რბის, ორი, ხუთი, მაგარი, მძიმე... ძირეული სიტყვებია. წარმოქმნილია სიტყვა, რომელიც შედგება ძირისა და დერივატის ანუ საწარმოქმნო მორფემისაგან. ხიანი, უეზოო, საბუე, ხელიანი, კაცური, შენიანი, მიდგმული, წარბენი, ორიანი, სიმძიმე... წარმოქმნილი სიტყვებია.

ძირეულიცა და წარმოქმნილი სიტყვაც ლექსიკურად ერთ ერთეულს წარმოადგენს, ოღონდ სემანტიკურად ისინი განსხვავდებიან. წარმოქმნილი სიტყვა ისე როდი ჰგავს ძირეულს, როგორც შვილი დედას, არამედ მნიშვნელობით მისგან ისევე განსხვავდება, როგორც შვილი და შვილიშვილი. ხელ-ი ძირეული სიტყვაა, ხელ-ოსან-ი — წარმოქმნილი. რა აქვთ მათ საერთო? მხოლოდ ძირი ხელ, მნიშვნელობით ისინი სულ სხვადასხვა სიტყვებია. ხელი საესებით კონკრეტულ საგანს, ადამიანის სხეულის ნაწილს, აღნიშნავს, ხელოსანი კი ადამიანია, გარკვეული საქმიანობის მცოდნე, „ხელის მქონე“. ასევე გობი ნივთია, მე-გობ-არ-ი — ადამიანი, ყველაზე მახლობელი პირი. ახლა აზრადაც არავის მოუვა, რომ უკანასკნელი სიტყვის „მშობელია“ გობ-ი, რადგან „შვილი“ სრულიად არ ჰგავს „დედას“, შინაარსობლივად მათ შორის დიდი ზღვარია

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 108.

(თუმცა მეგობრები ადრე იმ პირებს ერქვათ, ერთი გობიდან რომ იღებდნენ საზარდელს).

მარტივი სიტყვა ქართულში ჩვეულებრივ შედგება ძირის, ფუძისა და სართისაგან.

ძირია სიტყვის დაუშლელი ნაწილი, რომელზედაც აშენებულია სიტყვის მთელი მოდელი.

ფუძეა სიტყვის ის ნაწილი, რომელთანაც დაკავშირებულია მისი მატერიალური, ლექსიკური მნიშვნელობა. ფუძე გაუვრცობელიცაა (მარტივი) და გავრცობილიც. მარტივი ფუძე იგივეა ძირია, გავრცობილი — წარმოქმნილი. ხელ-ომა-ში ხელ ძირია, რაც ხელ სიტყვის ფუძეცაა, — ომა გავრცობი ანუ მაწარმოებელია, ფუძეა ხელობა.

სართია ის ელემენტი (აფიქსი, მორფემა), რომელიც ემატება ფუძეს (ან სუფთა ძირს) და უცვლის მას ფორმასა და მნიშვნელობას.

ძირი წარმოქმნილ სიტყვათა საერთო მნიშვნელობაა. აფიქსთა მიმატებით იგი ახალ მნიშვნელობას იძენს. აფიქსთა მოშველებით ერთი ძირისაგან ათეულობით ახალი სიტყვა მიიღება.

მარტივი სიტყვა იშლება ძირად, ფუძედ, აფიქსად. სიტყვის ასეთ დაშლას მორფოლოგიური ანალიზი ჰქვია.

§ 80. სიტყვათწარმოების აგლუბინაციური ხასიათი. ფუნქციის მიხედვით აფიქსი (სართი) ქართულში ორი ხასისაა: სამიმოხრო ანუ საფლექსიო (ბრუნვათა, ზმნის პირისა და მისთ. ნიშნები) და საწარმოქმნო ანუ სადერეივაციო (ახალი ფუძის საწარმოებელი ელემენტები). ამიტომ ბრუნება და წარმოქმნა სხვადასხვა ენობრივი პროცესია. კარგადაა ნათქვამი: „სახელის ბრუნების დროს მიღებული ფორმები ერთია ლექსიკურად და გრამატიკულად, წარმოქმნით მიღებული ფორმები კი ერთია გრამატიკულად და განსხვავებულია ლექსიკურად“¹.

ლექსიკოლოგიას საქმე აქვს არა ყოველგვარ აფიქსთან (მორფემასთან), არამედ მხოლოდ საწარმოქმნო სართებთან, დერეივატებთან, რომელთა დართვა ფუძეზე იწვევს მისი ლექსიკური მნიშვნელობის მოდიფიკაციას.

ახალი ლექსიკური ერთეულების საწარმოებლად ქართულ ენას გამოყენებული აქვს პრეფიქსები და სუფიქსები როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად. თითოეულ აფიქსს ამასთან ერთი გარკვეული ფუნქცია აქვს და ამის გამო ქართული სიტყვათწარმოება ტიპოლოგიურად აგლუბინაციური ხასიათისაა. ქართულისათვის ბუნებრივია სწორედ ერთ-ფუნქციანი აფიქსები, რომელთაც კონკრეტული დანიშნულება აქვთ. ქართულ აფიქსებში აქა-იქ მოიპოვება ფლექსიურობის (აფიქსთა ორ- და

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 108; შდრ., გვ. 33.

მეტ ფუნქციურობის) კვლიც (რაც საგანგებოდაა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში), მაგრამ ეს სურათს ვერ ცვლის. თანამედროვე ქართული სიტყვათწარმოქმნა თავის ძირითად ნაწილში აგლუტინაციური ბუნებისაა.

ცალკე პრეფიქს-სუფიქსები შინაარსის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფის სახელებს აწარმოებს. დერივატებად გამოყენებულია როგორც საგანგებო ელემენტები, ისე ზოგიერთი ფლექსია და თანდებული.

ქართულ წარმოქმნილ სახელთა შინაარსობლივი კლასიფიკაციის ცდები მოცემული იყო ძველ გრამატიკოსთა ნაშრომებშიაც, მაგრამ მისი ნამდვილი, მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებული კლასიფიკაცია პირველად მოგვცა ა. შანიძემ თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, I (გვ. 120—149, § 161—177).

§ 31. დერივატივის ადგილი გრამატიკასა და ლექსიკაში.

სიტყვათწარმოება ისეთი ენობრივი პროცესია, რომელიც გრამატიკულ კანონებს არ ექვემდებარება. გრამატიკას საქმე აქვს სიტყვის არა სემანტიკურ მოდიფიკაციასთან, არამედ მისი ბრუნებისა და უღლების მიხედვით ცვლასა და სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულება-შეკავშირებასთან. გრამატიკა სიტყვას უცქერის როგორც მორფოლოგიურსა და სინტაქსურ ოდენობას და არა როგორც ენის ერთეულს. მორფოლოგიურად სიტყვა ფორმაცვალბადი ბგერათკომპლექსია, სინტაქსურად — წინადადების წევრი. სიტყვის სემანტიკური ცვლა, ძირის ან ფუძის შინაარსობლივი ვითარება, აფიქსთა ფუნქციები, დერივატია გრამატიკის ფარგლებს გარეთ რჩება. ამიტომ სიტყვათწარმოების შესწავლა ეკისრება არა გრამატიკას, არამედ ლექსიკოლოგიას.

გრამატიკოსთა შორის ამჟამად გავრცელებულია ორი შეხედულება: ერთს სიტყვათწარმოება გრამატიკის ობიექტად მიაჩნია და მას განიხილავს როგორც მორფოლოგიურ პროცესს. ამ თვალსაზრისს იცავდნენ და იცავენ გამოჩენილი ენათმეცნიერები ჩვენშიაც და დასავლეთშიაც. ა. შანიძეს პრობლემა ცალკე არ განუხილავს, მაგრამ, რადგან სიტყვათწარმოქმნაზე მას ლაპარაკი აქვს მორფოლოგიაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მკვლევარს უკანასკნელი გრამატიკულ პროცესად მიაჩნია. ეგვევ აზრია გატარებული რუსული ენის აკადემიურ გრამატიკაში.¹ ამასვე საფუძვლით ცხადად აღიარებს თანამედროვე დესკრიფტული ლინგვისტიკაც.² მეორე შეხედულებით, სიტყვათწარმოება ცალკე უნდა

¹ Грамматика русского языка, I, Изд. АН СССР, М., 1952, гл. 211—280: 327—367.

² Г. Глисон, Введение в дескриптивную лингвистику, М., 1959, гл. 146.

გამოიყოს და ლექსიკოლოგიას მიეკუთვნოს. მეორე თვალსაზრისი ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია. არის მესამე შეხედულებაც, რომლის თანახმად სიტყვათწარმოება ენათმეცნიერების ცალკე, დამოუკიდებელი დარგია, მას ვერ შეისწავლის ვერც გრამატიკა, ვერც ლექსიკოლოგია, ვერც სემანტიკა. სიტყვათწარმოება დამოუკიდებელი ენათმეცნიერული დისციპლინაა, რომელსაც მკვიდრო კავშირი აქვს როგორც ლექსიკასთან, ისე გრამატიკასთან. ასეთ თვალსაზრისს მხარს უჭერდნენ ცნობილი ენათმეცნიერები ა. შახმატოვი, ლ. შჩერბა, ვ. ვინოგრადოვი და სხვები. ახლა პირდაპირ ამბობენ: „სიტყვათწარმოება არის ენათმეცნიერების უალრესად მნიშვნელოვანი განყოფილება, რომელიც ცალკე დისციპლინად უნდა გამოიყოსო“¹.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ შეხედულებას ვერ გავიზიარებთ. სიტყვათწარმოება არ შეიძლება მივიჩნიოთ ენათმეცნიერების დამოუკიდებელ ნაწილად, მას არა აქვს საკუთარი კანონები, რაც მეცნიერების ყველა დარგს უნდა ახასიათებდეს, მას არა აქვს დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინისათვის აუცილებელი კატეგორიები. სიტყვათწარმოება ლექსიკის სფეროს განეკუთვნება და მისი ადგილიც ლექსიკოლოგიაშია საძებარი. ამის ცდები უკანასკნელ ხანებში შეინიშნება სასკოლო სახელმძღვანელოებშიაც.

§ 32. სიტყვათწარმოების საშუალებანი. სიტყვათწარმოების ერთდერთი საშუალება ქართულში დერივაციაა. დერივატებად გამოყენებულია როგორც საგანგებო დანიშნულების აფიქსები, ისე თანდებულები და ბრუნვათა (ნათესაობათის, მოქმედებითის, ვითარებითის) ნიშნები.

წარმოქმნა სამი სახისაა: პრეფიქსული, სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური (§ 6). თანდებულები და ბრუნვათა ნიშნები სუფიქსიდერივატის ფუნქციას ასრულებს.

დერივატად გამოყენებული პრეფიქსები რაოდენობით ცოტაა, მაგრამ დიდად პროდუქტულია. პრეფიქსი-დერივატი ან ცალკე იხმარება, ან სუფიქსებთან ერთად: მ-, მა-, მო-, უ-, ხა-, ნა-, მი-, სი-, მე-...

დერივატად გამოყენებული სუფიქსები რაოდენობით გაცილებით მეტია შესაბამის პრეფიქსებზე და ზოგი მთავანი პრეფიქსებთან შეწყვილებულია. ამ სუფიქსებიდან ყველაზე პროდუქტულია: -იან, იერ, -ოსან, -ედ, -ა, -იკ, -ილ, -უკ, -უნ, -ურ, -ო, -ელ, -იურ, -იელ, -დელ, -ე, -ობა, -ება, -ებ, -არ (|| -ალ), -ევ, -ის, -ეს, -ით, -ეთ, -თქო, -მეთქი...

წარმოქმნილი ფუძე შინაარსით სხვადასხვაგვარია, ერთი თანრიგიდან, როგორც ითქვა, გადადის მეორეში (§ 8). წარმოქმნილი სიტყვე-

¹ Е. А. Василевская, Словообразование в русском языке, М., 1962, 33. 11.

ბიდან გამოიყოფა: თანდებულებითა და ბრუნვის ნიშნებით ნაწარმოები, ხარისხის, ნამყოფობის, აბსტრაქტული, დანიშნულების, ქონების, უქონლობის, წარმომავლობის, მოსაქმეობის, კინობითი სახელები, ზმნები და სახელზმნები.

სახელთა და ზმნათა თითოეულ შინაარსობლივ ჯგუფს აწარმოებს სპეციფიკური დანიშნულების აფიქსები.

§ 83. თანდებულებით წარმოქმნილი სიტყვები. ზოგიერთი თანდებული ქართულში დერავატის ფუნქციას ასრულებს და ახალ ფუძეებს აწარმოებს. ეს ითქმის თანდებულებზე მიმართ, მიერ, გან, თანა, ებრ.¹

მიმართ-ი დერივატადაცა გამოყენებული ასეთ იშვიათ სიტყვებში: მთავრისმიმართი, მზისმიმართი, გზისმიმართი... „მიულის სიტყუაჲ იგი დათესული მათდა მიმართი“ (C მარკოზ, 4, 15)... ამისთანა წარმოქმნილი სიტყვები იშვიათი იყო ძველ ქართულშიაც.

მიერ-ი უფრო ხშირად იხმარება დერივატად, ქმნის როგორც მხოლობითის, ისე მრავლობითის ფუძეებს: ნუნისმიერი, ზაგისმიერი, კბილისმიერი, ცხვირისმიერი...

გან-ი ჩვეულებრივია როგორც ძველს, ისე ახალ ქართულში: გლეხთაგანი, მუშათაგანი, ქალთაგანი, გონიერთაგანი, შინაგანი, წერილთაგანი, საქმეთაგანი... „რამეთუ არარაჲთ არს არსთაგანი მიზეზი ყოველთა არსებისაჲ“ (პ. იბერიელი, შრ., 6, 24); „და მრავალნი ღმრთის-მეტყუელთაგანი ჰპოვნე“ (იქვე, 7, 2—3); „ხოლო შინაგანი თქუენი საესე არს ნატაცებითა“ (DE მათე, 23, 25); „რომელმან იგი გარეშე შექმნა, მანცა შინაგანი შექმნა?“ (C ლუკ., 11, 40); „მოგვერეოდა თუ არა ძილი, ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზ., I, 166)...

თანა თანდებული დერივატის ფუნქციით ასეთ მაგალითებში გვხვდება: მხეცისთანანი, ზალისთანანი, მაგისთანანი... „ხოლო ესენი არიან გზისათანანი“ (C მარკ., 4, 15); „მიიყვანა მამაჲ მის ყრმისაჲ და დედაჲ მისი და თკსათანანი“ (C მარკ., 5, 40); „რომელსა ვეძებ, ვერა ვცნენ ამბავნი მე მისთანანი“ („ვეფხისტყაოსანი“, 187, 2)...

ებრ-ი ახლაც ჩვეულებრივია ფუძეებში: ფარისებრი, ქვემდებარისებრი, პირდაპირისებრი, ირიბისებრი, ქალისებრი, ვარდისებრი... „იყო წიგნი წერილი მას ზედა ბერძულითა და ფრომინებრითა და ებრაელებრითა“ (C ლუკა, 23, 38); „შენთვის მოვეკვდე, ამისებრი შემცა საქმე არ ვადინე!“ („ვეფხისტყაოსანი“, 253, 4); „სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ გაზრდილი!“ (იქვე, 146, 2); „ცრემ-

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 117—118.

ლთა, მისთა მონადენთა, წყაროსებრნი ისმნეს წკარნი“ (იქვე, 1102, 3)...

მიერ-ი, გან-ი, ებრ-ი თანდებულებით წარმოქმნილია ზედსართავი სახელები არსებითი სახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმებისაგან.¹

§ 84. **ზრუნვის ნიშნები დერივატთა ფუნქციით.** ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნები -ის, -ით, -ად თავიანთ პირველად ფუნქციასთან ერთად დერივატების ფუნქციასაც ასრულებენ. აღნიშნულ ბრუნვებში დასმული სახელი ხელმეორედ იბრუნვის და ახალ ნიშანს დაირთავს. ერთი მხრით, გვაქვს პირ-ად სიტყვა ვითარებითში, ხოლო შემდეგ — პირად-ი, ვითარებითი ბრუნვის ფორმა გაგებულა ფუძედ და დაერთვის ახალი ფლექსია. ამისთანა შემთხვევაში სათანადო ბრუნვის ნიშანი (-ად) დერივატის როლში გამოდის.

1. -ის: თბილ-ის-ი, წედ-ის-ი, ქუთათ-ის-ი (ქუთა-ის-ი), ყინწე-ის-ი, მეღერეკ-ის-ი, იმ-ის-ი, მაგ-ის-ი...

2. -ით, ზეე-ით-ი, ქვეე-ით-ი, შრომ-ით-ი, წერ-ით-ი, ხატე-ით-ი, კითხე-ით-ი, ვნებ-ით-ი, ნატერ-ით-ი...

3. -ად: გულ-ად-ი, პურ-ად-ი, პირ-ად-ი, წილ-ად-ი, წიგნ-ად-ი, ფულ-ად-ი, ტან-ად-ი, სულ-ად-ი... „აღნიშნული წარმოება ამჟამად ძალიან იფართოებს მოქმედების არეს: ტექნიკური ლიტერატურის ენაში ჩვეულებრივი ხდება მსგავსად გაკეთებული ფორმები საწყისთაგან: ქელა-დ-ი, ფეთქა-დ-ი (ფეთქება-დ-ი), დენა-დ-ი, დნობა-დ-ი, ხსნა-დ-ი, ხურება-დ-ი, კუმშვა-დ-ი და სხვ.“²

4. -ით, -ად: ძირ-ით-ად-ი, გულ-ით-ად-ი, მამ-ით-ად-ი...

ა. შანიძემ გამოყო კიდევ ერთი უცნობი ბრუნვის ნიშანი -ივ, რომელიც მაწარმოებელია ებრ-თან ერთად: გონ-ებრ-ივ-ი, ქონ-ებრ-ივ-ი, საზოგადო-ებრ-ივ-ი, ჩვეულ-ებრ-ივ-ი... ებრ-ივ-ის გავლენით მიღებულა ობრ-ივ: კაც-ობრ-ივ-ი, ზნე-ობრ-ივ-ი, მამ-ობრ-ივ-ი, ჯგუფ-ობრ-ივ-ი, მიზეზ-ობრ-ივ-ი³...

§ 85. **უფროსობითი და ოდნაობითი სახელების წარმოქმნა.** ზედსართავ სახელებს თანამედროვე ქართულში ორი ხარისხი აქვთ: უფროსობითი და ოდნაობითი. ორივე მათგანი წარმოქმნის გზით მიიღება და ისევე უნდა განვიხილოთ, როგორც წარმოქმნილი სახელები. ხარისხის წარმოება, როგორც ენობრივი მოვლენა, განეკუთვნება ლექსიკის სამყაროს და ამ პროცესს უნდა სწავლობდეს არა გრამატიკა, არამედ

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 117—120.

² იქვე, გვ. 147—148.

³ იქვე, გვ. 148.

ლექსიკოლოგია. მკვლევარებს სწორად აღუნიშნავთ, ხარისხი წარმოადგენს ლექსიკოლოგიის კვლევის ობიექტს.¹

უფროსობითი ხარისხის საწარმოებლად თანამედროვე ქართულში მოგვეპოვება აფიქსი უ-ეს, რაც გამარტივებული სახეა ძველი ქართული ხუ-ეს (|| ჰუ-ეს) და მათი ვარიანტებისა (ხუ-შს, ეახ||ჰუ-შს, ეახ). უფროსობითის ფორმები მიიღება დადებითი ხარისხის ძირეული ზედსართავი სახელის ფუძისაგან უ-ეს-ის მიმატებით: მჟავე — უ-მჟავე-ეს-ი, თეთრი — უ-თეთრ-ეს-ი, სწრაფი — უ-სწრაფ-ეს-ი, ძნელი — უ-ძნელ-ეს-ი, ძველი — უ-ძველ-ეს-ი, მცირე — უ-მცირ-ეს-ი, მაღალი — უ-მაღლ-ეს-ი...

ძველი ქართულიდან დავისახელებთ ასეთ მაგალითებს: პატიოსანი — ხუპატიოსნეს: „რახ-მე რახ არს სხუა ხუპატიოსნეს ამისსა“ (ი. იმნაიშვილი, ქრესტ., თბ., 1953, 41, 26); მეტი — ხუმეტესსა: „რასა ხუმეტესსა ლალადებენ წინაწარმეტყუელისაგან დაწერილსა“ (იქვე, 45, 37); ჰუმეტშსად: „და ჰუმეტშსად დაჰუკურდებოდა მოწაფეთა მისთა“ (იქვე, 50, მარკ., 6, 51); ადვილი — ჰუადვილშს: „ჰუადვილშს არს მანქანისა“ (იქვე, 51, მარკ., 10, 25)...

ოდნაობითს სახელებს ვლებულობთ დადებითი ხარისხის ზედსართავთა ფუძეებზე მო-ო აფიქსის დართვით: მჟავე — მო-მჟავე-ო, თეთრი — მო-თეთრ-ო, ძნელი — მო-ძნელ-ო, მცირე — მო-მცრ-ო, ძველი — მო-ძველ-ო, მაღალი — მო-მაღლ-ო...

ტერმინები უფროსობითი, ოდნაობითი დადგენილია ა. შანიძის მიერ².

§ 36. ნამყოფობის სახელთა წარმოქმნა. სახელის ფუძეს თუ ნა-არ, ნა-ევ აფიქსებს მივუმატებთ; მივიღებთ ახალ სიტყვას, რომელიც გვაჩვენებს, თუ რას წარმოადგენდა უწინ ამ სიტყვით აღნიშნული საგანი, როგორია ის ახლა წინავეთარებასთან შედარებით. ნამყოფობის, წინავეთარების ჩვენება ქართული სიტყვათწარმოქმნის ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა, რასაც ყურადღება პირველად ა. შანიძემ მიაქცია.³

ნა-არ (|| -აღ), ნა-ევ აფიქსი ერთი ფუძიდან სრულიად ახალ, სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების სიტყვას აწარმოებს. თუ ფუძეში რ ურევია, დისიმილაციის კანონის თანახმად, -არ სუფიქსი -აღ-ის სახეს იღებს. -არ (|| -აღ) სუფიქსს ენაცვლება ფუნქციით ფარდი-ევ და ნა-პრეფიქსთან ერთად ნამყოფობის სახელს აწარმოებს.

¹ თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, ხარისხი ქართველურ ენებში, „თბ. უნივერსიტ. შრომები“, 67, 1957, გვ. 139.

² ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 141—145.

³ იქვე, გვ. 134—136.

ასეა მიღებული ნამყოფობის სახელები: ნა-არ (|| -ალ): სოფელი—
ნასოფლარი, ტანტი — ნატანტარი (სოფელი ღუშეთის რ.), სახლი —
ნასახლარი (ნასახლევი), კაცი — ნაკაცარი, ფეხი — ნაფეხარი (ნაფე-
ხური), ამხანაგი — ნამხანაგარი, სიმინდი — ნასიმინდარი, დიკა — ნა-
დიკარი (დიალექტ. ნადიკვარი), მუხლი — ნამუხლარი, მეხი — ნა-
მეხარი... ტერფი — ნატერფალი, პური — ნაპურალი, ქერი — ნაქე-
რალი....

ნა-ვე დერივატებით, ჩვეულებრივ, იწარმოება ტოპონიმიკური სა-
ხელები: წისკვილი — ნაწისკვილევი (ღელე მახარაძის რ., პარალელუ-
რად: ნაწისკვილარი), ვენახი — ნავენახევი (სოფელი თერჯოლის რ.,
პარალელურად: ნავენახარი), ბოსელი — ნაბოსლევი (სოფელი ტყი-
ბულის რ.), ღვარი — ნაღვარევი (სოფელი შუახევის რ.), ხახული —
ნახახულევი (სოფელი წულუკიძის რ.) და სხვ. (§ 67, 16).

ანალოგიურად წარმოქმნილი სახელები ჩვეულებრივია აგრეთვე
მეგრულსა და სვანურ ტოპონიმიკაში (§ 67).

§ 37. **განხილულ სახელთა წარმოქმნა.** ზოგადი, აბსტრაქ-
ტული ცნება-ტერმინების საწარმოებლად გამოყენებულია -ება, -ობა,
სუფიქსი და სი-ე.¹ სხვა ფუნქცია აღნიშნულ აფიქსებს დღეს არა აქვთ.
-ება და -ობა, ერთნაირი წარმოშობის სუფიქსები, ბუნებრივია, დანიშ-
ნულებითაც თანხვედნილია.

-ება უფრო დაერთვის ადიექტივის ფუძეს და აწარმოებს განყენე-
ბულ ცნებას: მშვენიერი — მშვენიერება, გონიერი — გონიერება, თვი-
ნიერი — თვინიერება (მღრ.: მოთვინიერება), წიგნიერი — წიგნიერება,
მადლიერი — მადლიერება... ასევე იწარმოება განყენებული სახელები:
უფალი — უფლება, შთაბეჭდილი — შთაბეჭდილება, გამოხატული —
გამოხატულება და მისთ.

-ობა უფრო დაერთვის სუბსტანტივებისა და მოქმედებითი გვარის
მიმღობათა ფუძეებს და აწარმოებს განყენებულ ან კრებით სახელებს:
ძმა — ძმობა, დედა — დედობა, მამა — მამობა, თავი — თავ(ვ)ობა,
ღლე — ღლეობა, ამხანაგი — ამხანაგობა, ქალი — ქალობა, მხატვარი —
მხატვრობა, მკედელი — მკედლობა, მწერალი — მწერლობა, მფარ-
ველი — მფარველობა... კრებითი სახელები: გლეხი — გლეხობა, მო-
წაფე — მოწაფეობა. მოსახლე — მოსახლეობა. ნათესავი — ნათესაო-
ბა, თავადი და აზნაური — თავადაზნაურობა...

სი-ე განყენებულ სახელს აწარმოებს ადიექტივის ფუძისაგან: ბრძე-
ნი — სიბრძნე, ბოროტი — სიბოროტე, ახალი — სიახლე. დიდი — სი-
დიდე, ზუსტი — სიზუსტე, კეკლუცი — სიკეკლუცე, კოჭლი — სი-

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 131—133.

კოქლე, ლალი — სილაღე, მდიდარი — სიმდიდრე, ღარიბი — სიღარიბე, მცირე — სიმცირე, ნამდვილი — სინამდვილე, წითელი — სიწითლე, კარგი — სიკარგე, ცუდი — სიცუდე, ავი — სიავე, მაგარი — სიმაგრე, ჩქარი — სიჩქარე, მხდალი — სიმხდალე, ლამაზი — სილამაზე, მამაცი — სიმამაცე, ბეცი — სიბეცე, ქაბუკი — სიქაბუკე... სი-ო ვარიანტია სი-ე-სა: თბილი — სითბო; მსხვილი — სი(მ)სხო, ტკბილი — სიტკბო, ლბილი — სილბო (ა. შანიძე).

-ება, -ობა, სი-ე, სი-ო აფიქსები დიდ შესაძლებლობას იძლევა განყენებულ სახელთა ახალი და ახალი მარაგის საწარმოებლად; ამისთანა სახელებს მეტად საჭიროებს ენა.

§ 38. განაწილებილობის სახელთა წარმოქმნა. განკუთვნილების ან დანიშნულებისა სახელი, რომელიც ვითარებითი ადიექტივის როლში გამოდის და სინტაქსურ წყვილში მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს. ასეთი მსაზღვრელი გვიჩვენებს, თუ ნივთი ვისთვის ან რისთვისაა განკუთვნილი, რა დანიშნულებისაა.

განკუთვნილების სახელთა საწარმოებლად მოგვეპოვება ხა—პრეფიქსი და -ე, -ო, -ურ (|| -ულ) სუფიქსები.

ხა-ურ (||-ულ) ნაკლებპროდუქტულია და რამდენიმე სიტყვას აწარმოებს: სანათური, საბეჭური, საკისური, სათბური, საგზური... საბარგული, საკარული, სამკერდული...

ხა-ე უფრო პროდუქტულია, გვაქვს ასეთ მაგალითებში: საღვინე, საძირე, საპირე, სათავე, საყურე, სათვალე, სასიმინდე, სამტრედე, საჩიტე, საკაბე, სასირე, სათოფე...

ხა-ო აფიქსი ფარდია ხა-ე-სა: საოჯახო, სასიძო, სამთავრო, საღურგლო, სამკედლო, სასადილო, სასოფლო, საქალაქო, სახალხო, საბავშვო, სამეფო, სახელმწიფო...

ხა-ო და ხა-ე აფიქსებით წარმოქმნილ განკუთვნილების სახელთა ერთ წყებას ჩამოშორებია თავდაპირველად მასთან მდგომი საზღვრული წევრი და სუბსტანტივის ფუნქცია შეუქმნია. გვქონდა ადიექტივები: სასტუმრო დარბაზი, სასადილო ოთახი, საღორე ბაკი და მისთ. ამეამად საზგასმულ სიტყვებს დაკარგული აქვთ ადიექტივის გაგება და სუბსტანტივის მნიშვნელობით იხმარებიან: სასტუმრო, სასადილო, საღორე.

§ 39. ყოლა-ქონების სახელთა წარმოქმნა. ქართულში ყოლა-ქონების სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია ექვსი სუფიქსი: -იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ედ, -ა.¹

-იან(-ევან) სუფიქსი რაიმეს ყოლას ან ქონებას აღნიშნავს: შვილი—

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 123—127.

შვილიანი, ქმარი — ქმრიანი, ბავშვი — ბავშვიანი, ცხენი — ცხენიანი, თმა — თმიანი, ფული — ფულიანი. თოფი — თოფიანი. ტყე — ტყიანი...

-იერ || -იელ სუფიქსი ქონებას აღნიშნავს: ძალა — ძლიერი. მადლი — მადლიერი. ნიკი — ნიკიერი, სული — ხულიერი, ღონე — ღონიერი...

-ოსან ყოლასა და ქონებას გვაჩვენებს: ტაიკი — ტაიკოსანი, ცხენი — ცხენოსანი, ფრთა — ფრთოსანი, მანდილი — მანდილოსანი. ხელი — ხელოსანი...

-ოვან სუფიქსი -ოსან-ის ტოლფარდია, მაგრამ დღეს იშვიათად იხმარება, შემორჩენილია მხოლოდ ძველი წარმოების რამდენიმე სიტყვაში: კლდე — კლდოვანი, გული — გულოვანი, სახელი — სახელოვანი... „ვერ დაიჭირავეს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი; მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი; ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი. სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“ („ვეფხისტყაოსანი“, 800); „ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრევა გულოვანი“ (იქვე, 1039, 4).

-ედ სუფიქსი არაპროდუქტულია. ა. შანიძის დაკვირვებით. „იხმარება რამდენსამე სიტყვაში“: ჭუარი — ჭუარედი, თუალი — თუალედი, კარი — კარედი, ხატი — ხატედი, მუხლი — მუხლედი, ფესვი — ფესუედი¹...

-ა აწარმოებს ა) ქონების სახელებს: უღვაში — უღვაშა, ცალი უღელი — ცალუღელა, ცხრა ფეხი — ცხრაფეხა, სამი ყურა — სამყურა, შავი თვალი — შავთვალა, ორი თვალი — ორთვალა... ბ) მსგავსებას სახელებს: ლურჯი — ლურჯა, ნაცარი — ნაცარა, ლოყაწითელი — ლოყაწითელა...

§ 40. უყოლობა-უყოლობის სახელთა წარმოქმნა. უყოლობის სახელთა საპირისპიროდ გვაქვს უყოლობა-უქონლობის მჩვენებელი სიტყვები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ადიექტივის ფუნქციას ასრულებენ. მათ ვღებულობთ არსებითი სახელების ფუძეებისაგან უ-ო, უ-ურ || -ულ აფიქსების მოშველიებით.

უ-ო: სული — უსულო, ყური — უყურო, ცხვირი — უცხვირო, წიგნი — უწიგნო, ეზო — უეზო, ბინა — უბინაო, კარი — უკარო, მარილი — უმარილო, რქა — ურქო...

უ-ურ || -ულ: ძალა — უძლური, სახე — უსახური, დღე — უდღური, ბედი — უბედური, წიგნი — უწიგნური, ფერი — უფერული...

§ 41. მოსაძმეობის სახელთა წარმოქმნა. აღმანიან მრავალ მოსაძმეობა-ხელობის გადმოსაცემად ენას აქვს აფიქსი მე-ე, მე-

1 ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 126..

ურ ||-ულ, რომელიც ახალ სიტყვას არსებითი სახელის ფუძისაგან აწარმოებს.

ასეა წარმოქმნილი: მანქანა — მემანქანე, მაწონი — მემაწვნი, ეზო — მეეზო(ვე), წისქვილი — მეწისქვილე, ნახირი — მენახირე, ბატი — მებატი, ჩონგური — მეჩონგურე, სტვირი — მესტვირე, ჯოგი — მეჯოგე, ცხვარა — მეცხვარე, ძროხა — მძძროხე, ხარი — მეხარე (ლიტ. მესხრე), წაღა — მეწაღე, ტივი — მეტივი, თევზი — მეთევზე, ხობა — მეხობე, ფურნე — მეფურნე... ბადე — მებადური, თავი — მეთავ(ვ)ური, ბარგი — მებარგული და მისთ.

მოსაქმეობის სახელი, მიუხედავად აღიექტური სამოსლისა, ამჟამად სუბსტანტივთა კლასს განეკუთვნება.

§ 42. ადამიანისა და ნივთის (არაადამიანის) სადაურობის სახელთა წარმოქმნა. ქართულში მკაცრადაა გარჩეული ადამიანი და არაადამიანი, ნივთი. ადამიანი ვინ ჯგუფისაა, ხოლო სხვა ყველა დანარჩენი, ცოცხალი თუ არა ცოცხალი საგანი — რა ჯგუფს განეკუთვნება. ეს გამოიყენა გამოხატულებას პოულობს სიტყვათწარმოებაშიაც. ადამიანთა სადაურობის სახელებს აწარმოებს სუფიქსი -ელ, ნივთის სადაურობასა და წარმოშელობას — ურ||-ულ, -იურ, -ეულ, -დელ. -ელ: მცხეთა — მცხეთელი, კახეთი — კახელი, ფშავი — ფშაველი, იმერეთი იმერელი, სოფელი — სოფელი, მთაწმიდა — მთაწმიდელი, ათონი ათონელი...

ამავე სუფიქსით ასლა აღინიშნება რომელიმე წამოწყება-მოძრაობის მიმდევრობაც: ლენინელი, გაგანოველი, კალათბურთელი...

ძველ ქართულში ადამიანის სადაურობის სახელს -ელ სუფიქსთან ერთად მ-პრეფიქსიც — მ-ელ აწარმოებდა. ასე იყო მიღებული აჩაბეთიდან მ-აჩაბ-ელი-ი, ეგრისიდან მ-ეგრ-ელ-ი და მისთ. ნ. ჩუბინაშვილი ამბობს: აწარმოებს „სადაობასა პირისასა თავად მ და ბოლოდ ელი. მაგალ: აჩაბეთი, ეგრისი, ეგვიპტე. ამათგან შეიქმნების: მაჩაბელი, მეგრელი, მეგვიპტელი. ვარნა აწყური — მაწყურელი, რუისი — მრუველი. ესენი ეწოდებოდა საკუთრად მუნებურთა ეპისკოპოსთა, ხოლო სხვათა მუნ მოსახლეთა ეწოდებენ: აწყურელი, რუისელი“.¹

ძველი წარმოებიდან თანამედროვე ქართულში შემორჩა მეგრელი (მცხორეები ეგრისში) და რამდენიმე გვარი: მაჩაბელი (აჩაბეთი — სოფელი ქართლში), მარგველი||მარგველაშვილი (არგვეთი — სოფელი იმერეთში), ასპინძელაშვილი (ასპინძა — სოფელი მესხეთში), მაპელიშვილი (აპე — სოფელი ღუშეთის რ.).

¹ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, გვ. 262.

ადამიანის სადაურობის საწარმოებლად რამდენიმე შემთხვევაში იხმარება ნიეთის აღმნიშვნელი სუფიქსი -ურ||-ულ: ხევსურეთი — ხევსური, გურია — გურული...¹

ნიეთის სადაურობა-წარმომავლობა გადმოიცემა ასე:

-ურ || -ულ: სოფელი — სოფლური, თუშეთი — თუშური, კახეთი — კახური, მანგლისი — მანგლური, იმერეთი — იმერული, სურამი — სურამული და მისთ. ეგევე სუფიქსი საზოგადო სახელთა ფუძეებთან რაიმე თვისება-ღირსებას აღნიშნავს: დედა — დედური, ოჯახი — ოჯახური, მოწაფე — მოწაფური, ამხანაგი — ამხანაგური, ქალი — ქალური, ვერაგი — ვერაგული, ზღაპარი — ზღაპრული და ა. შ.

-ეულ სუფიქსი რომელიმე პირის ნაქონ ნიეთს, სახელს, ადგილს აღნიშნავს: მამა — მამისეული (ის, რაც მამას ეკუთვნოდა), დედა — დედისეული, ანა — ანასეული (ადგილი მახარაძის რ.), დედოფალი — დედოფლისეული და მისთ. -ეულ აწარმოებს ასეთ ფუძეებსაც: თევზი — თევზეული, რკინა — რკინეული, ბოსტანი, — ბოსტნეული, ხუთი — ხუთეული, ღირსი — ღირსეული...

-იურ || -იულ სუფიქსი, როგორც გამოარკვია ა. შანიძემ, შედგენილობით რთულია: მიღებულია -ეგ და -ურ-ის შეერთებით.² აწარმოებს ამისთანა სახელებს: დღე — დღიური, თვე — თვიური, მზე — მზიური, მსოფლიო — მსოფლიური, მთა — მთიული, წრე — წრიული...

-დელ სუფიქსიც შედგენილია: დღ-ელ და ღროის აღმნიშვნელ ადიექტივებს აწარმოებს: გუშინ — გუშინდელი (-გუშინდელი), შარშან — შარშანდელი, ხვალ — ხვალინდელი და მისთ.³

სადაურობის სიტყვა ხსენებულ აფიქსთა საშუალებით წარმოქმნილია სუბსტანტივის ფუძისაგან და ადიექტივთა კლასს განეკუთვნება. ახლა ვიტყვი: იმერელი კაცი, კახური ღვინო, მამისეული სახლი, წლიური გეგმა და ა. შ. მაგრამ ამ გზით წარმოქმნილი ზოგი სიტყვა გასუბსტანტივებულია. ამის ნიმუშია: გუთნეული, ტპილეული, ხილეული და სხვ.

§ 43. მოფარებით-კინოზობითი სახელეზის წარმოქმნა. მოფერებით-კინოზობითი ჰქვია ისეთ წარმოქმნილ სიტყვებს, რომლებიც თავიანთი ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს დამცირებით, ან მოფერებით აღნიშნავენ. ძირეული სიტყვისაგან დედა მიღებულია. მოფერებითი, საალერსო ფორმა დედილო, ხოლო კაცისაგან — დამცირებითი ფორმა კაცუნა: დედილო მოფერებითი სახელია, კაცუნა — დამცირებითი.

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

² იქვე, გვ. 130.

³ იქვე, გვ. 131.

სალიტერატურო ენაში მოფერებით-კნინობითი სიტყვები მცირეა, დღლაქტებში მათი რაოდენობა გაცილებით მეტია. სალიტერატურო ენაში მათ საწარმოებლად იხმარება -ილ, -იქ||-იკო, -უკ-ა, -უნ-ა, -ა სუფიქსები.

-ილ-ო იშვიათად იხმარება და ეპოულობთ ორად-ორ ფუძესთან: დედა — დედილო, მამა — მამილო. ქართ. -ილ, ა. შანიძის დაკვირვებით, უკავშირდება სვანურ მაკნინებელ -ილ-ს და მისი ფონეტიკური ვარიანტია -ელ-ა. -ელ-ა საკუთარ სახელთა დამცირებითს ფორმებს აწარმოებს:¹ კაცია — კაციელა, გიორგი — გიორგიელა (უფრო: გოგიელა)...

-იკ-ო სუფიქსი წარმოშობით წოდებითი ბრუნვის ნიშანი ყოფილა, მაგრამ ამჟამად მკაფიოდ გამოკვეთილი დერიატია, მაწარმოებელი საალერსო ფორმებისა ა) საკუთარ სახელთა ფუძეებისაგან: თამარ — თამარიკო, ვერა — ვერიკო, სული — სულიკო, გული — გულიკო, დათა — დათიკო, შალვა — შალ(ვ)იკო... ბ) საზოგადო სახელთა ფუძეებისაგან: და — დაიკო, ძმა (ძამა) — ძამიკო, ბიძა — ბიძიკო. ბებია — ბებიკო, შვილი — შვილიკო, დედა — დედიკო, მამა — მამიკო...

-უკ-ა წარმოშობით რაჭული მაკნინებელი სუფიქსია (-უკ) და სალიტერატურო ენაში იშვიათად იხმარება. გვხვდება ასეთ შემთხვევებში: გლახა — გლახუკა, ბეჟია — ბეჟუკა, სახლი — სახლუკა...

-უნ-ა მოფერებით-დამცირებითს ფორმებს აწარმოებს სახელთა გარკვეული ფუძეებისაგან: ბიჭი — ბიჭუნა, დათვი — დათ(ვ)უნა, წალდი — წალდუნა, მკავე — მკა[ვ]უნა, ცუცა — ცუცუნა, ჩიტნი — ჩიტუნა, გვრიტი — გვრიტუნა...

-ა დერიატი დამცირებით (კნინობით) ფორმებს აწარმოებს ა) საკუთარ სახელთა ფუძეებისაგან: ბაგრატი — ბაგრატა, კაცი — კაცია, პავლე — პავლია, დავით — დავითა, ნესტორ — ნესტორა, ფატი — ფატია, ლევან — ლევანა, ნიკოლოზ — ნიკოლოზა, თადეოზ — თადეოზა, ვახუშტი — ვახუშტა, ვასილ — ვასილა, ამირან — ამირანა, სიმონ — სიმონა... ბ) საზოგადო სახელთა ფუძეებისაგან: ვაჟი — ვაჟა, დედოფალი — დედოფალა, ტიტველი — ტიტველა და მისთ.

§ 44. ზმნათა წარმოქმნა. ზმნათა ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნა ორი გზითაა შესაძლებელი: ერთი უკავშირდება სახელებს (და სხვა თანრიგის სიტყვებს), მეორე — თვითონ ზმნის ფუძეებს.

1. ზმნა მიიღება ყოველგვარი თანრიგის სიტყვაზე სათანადო საწარმოქმნო აფიქსთა და პირის ნიშანთა მიმატებით. ფითრი (სუბსტანტი-

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

ვი) — აფითრებს, დიდი (ადიექტივი) — აღიდებს, ჩვენი (ნაცვალსახელი) — აჩვენებს, სამი (რუცხვითი სახელი) — ასამებს, წინ (ზმნიზედა) — აწინებს, თვის (თანდებული) — ათვისებს, რომ (კავშირი) — არომებს, ნუთუ (ნაწილაკი) — ანუთუებს, ოხ (შორისდებული) — აოხებს. აწინებს, ათვისებს, არომებს რამდენადმე ხელოვნურად გამოიყურება, მაგრამ ამისთანა წარმოქმნა ქართულისათვის საესებით ბუნებრივი პროცესია..

ნასახელარი ზმნა საერთოდ წარმოქმნილია.¹ მოიპოვება საგანგებო დერიატები, რომლებიც სახელის ფუძისაგან ზმნას აწარმოებენ.

საწარმოქმნო, ოლონდ ფორმის საწარმოქმნო, დანიშნულება აქვს ზმნებში -ან, -ენ, -ონ, -ომ, -ელ, -ოლ, -ოდ, -დ, -დი, -დე ელემენტებს, თემის ნიშნებს -ი, -ავ, -ამ, -ევ, -ებ, -ემ, -ობ, -ოფ და მისთ. მაგრამ ამ აფიქსების სადერიაციო ფუნქცია ზმნაში დამატებითს შესწავლას მოითხოვს.

2. ზმნის ახალი ფუძე უფრო თვით ზმნისავე ფუძისაგან იწარმოება. ხატავს, მაგალითად, ერთი ლექსიკური ოდენობაა, უხატავს — მეორე. ისინი ორი სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვაა. პირველს თუ ძირეულად მივიჩნევთ, მეორე წარმოქმნილი იქნება. ასევეა წარმოქმნილი წერს ზმნისაგან გეზის, ორიენტაციის, ასპექტის, გვარის, ქცევისა და კონტაქტის ფორმები: იწერება, ეწერება, იწერს (დაიწერა), უწერს (დაუწერა), დაწერინა.

ზმნის პირის, დროისა და კილოს ფორმებს თუ შევადარებთ გეზის, ორიენტაციის, ასპექტის, გვარის, ქცევისა და კონტაქტის ფორმებს ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით, მათ შორის დიდ სხვაობას დავინახავთ. რაც მთავარია, პირველი რიგის (პირის, დროის, კილოს) ფორმები ძირეულად უნდა მივიჩნიოთ, მეორე რიგისა (გეზის, ორიენტაციის, ასპექტის, გვარის, ქცევის, კონტაქტის) კი — წარმოქმნილად.² მეორე რიგის ფორმები სტრუქტურითა და შინაარსით იმდენად განსხვავდება პირველი რიგისაგან, რომ მკვლევარები მათ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულებად თვლიან და სათანადო ლექსიკონებშიაც ცალ-ცალკე სიტყვებად შეაქვთ (ასეა, მაგალითად, ე. წ. ზმნის წარმოქმნილი ფორმები გაწყობილი ქართული ენის დიდ განმარტებითს ლექსიკონში).

ზმნის წარმოქმნილ ფორმებში დერიატის ფუნქციას ასრულებს ზმნისწინი (ა- (|| აღ-), ამო-, და-, ჩა- (|| შთა-), ჩამო-, გა- (|| გან-),

¹ ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, „თბილ. სახ. უნივერსიტ. შრომები“, XXVIII, 1946, გვ. 163—177; ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, II, 1947, გვ. 123—144.

² ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 242.

გამო-, შე-, შემო-, გადა- (|| გარდა-), გადმო- (|| გარდმო-), წა- (|| წარ-), წამო- (|| წარმო-), უკუ-, უკმო-, მი-, მო-) და ნიშნები გვირის (ი-, ე-, -დ), ქცევის (ი-, უ-, ა-), კონტაქტისა (-ინ, -ევ, -ეინ).

§ 45. **ზმნიზედის წარმოქმნა.** ზმნიზედა ფორმაცვლელი სიტყვა და წინადადების წევრებთან გრამატიკულ ურთიერთობაში არ არის, მაგრამ ზოგი მათგანის ფუძე წარმოქმნილია, მიღებულია სახელისაგან და გაქვევებულია გარკვეულ (მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით, ვითარებით) ბრუნვებში.

წონა-ზომის ზმნიზედა, ჩვეულებრივ, წარმოქმნილია სახელის ფუძეზე -ობა სუფიქსის მიმატებით: ფუთი — ფუთობა-ფუთობით, გირვანქა — გირვანქობით, მარცვალი — მარცვლობით, ნაბიჯი — ნაბიჯობით, ათასი — ათასობით, დღე — დღეობით, კვირა — კვირაობით, წელი — წლობით და მისთ.

ზმნიზედის მაწარმოებლად კიდევ გვხვდება -გან (ყველგან, ერთგან, ზოგან), -ივ (ირგვლივ, მარცხნივ, უკლებლივ), -რე (მეტადრე, მაგრე, აგრე), მო- (შემო, ქვემო, გარშემო), მა- (გაღმა, გადაღმა, წაღმა).

ზმნიზედა, განურჩევლად იმისა, ძირეულია ის თუ წარმოქმნილი, წინადადებაში უცვლელია და მიერთვის მის რომელიმე წევრს (უფრო შემასმენელს). მისი ორივე სახე—ძირეულიცა და წარმოქმნილიც—ცალცალკე დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია.

§ 46. **საწყისის წარმოქმნა.** საწყისი სახელზმნაა, წარმოქმნილი ზმნის ფუძისაგან. ამიტომ ზმნა პირველადია, საწყისი — მოქმედების სიტყვა — მეორადი.

საწყისის საწარმოებლად ზმნის ფუძე იყენებს -ა სუფიქსს, ხოლო ამ დერივატსა და ზმნის ფუძეს შორის ზოგიერთ ზმნაში ჩნდება გარკვეული, ამჟამად უფუნქციო, დერივატები -ომ-, -ოლ-; -ნ¹. ისტორიულად საწყისის მაწარმოებელი ყოფილა აგრეთვე -ილ, რომელიც ამჟამად გვხვდება მხოლოდ რამდენიმე ზმნის ფუძესთან.

-ა: ქსოვს — ქსოვა, ხატავს — ხატვა, ზრდის — ზრდა, ხრის — ხრა,

¹ H. M a p p, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, გვ. 118, 135, 208; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 578—583; ა. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 223; ვ. თ ო ფ ლ რ ი ა, ფუძედრეკად ზმნათა-სუფიქსაციისათვის, „თბილ. სახ. უნივერსიტ. შრომები“, III, 1936, გვ. 228. G. D e e t e r s, Das kharthwelische Verbum, 1930, გვ. 218; ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, ძირეული და ნასახლარი ზმნები ქართულში, „თბილ. სახ. უნივერსიტ. შრომები“, XXVIII, გვ. 171—176; ჩეენი: -ომ-, -ორ-, -ეტ მაწარმოებელი სუფიქსებისათვის საბას ლექსიკონში, „ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწ. პედინსტიტუტის შრომები“, 1947, გვ. 159—170.

ქრის — ჳრა, მკის — მკა, სვამს — სმა, აწენებს — შენება, აკეთებს —
კეთება, ჳამს — ჳამა...

-ილ: დულს — დულილი, დუმს — დუმილი, წუხს — წუხილი, ჩხა-
ვის — ჩხავილი, კივის — კივილი, ღმუის — ღმუილი, ჳყვირის — ჳყვი-
რილი, შხუის — შხუილი... ზოგიერთი ჳმნის ფუძეში -ილ-ს შეპნაც-
ვლება -ულ: უხარია — სიხარული, უყვარს — სიყვარული და მისთ.

-ომ-, -ოლ-, -ნ- ელემენტები გვხვდება ჳმნის ფუძესა და სა-
წყისის მაწარმოებელ -ა სუფიქსს შორის: ხტის — ხტომა (ხტ-ომ-ა),
სხედს — სხდომა, კვდება — კვდომა, დგას — დგომა, წყრება — წყრო-
მა, სქდება — სქდომა, ტყდება — ტყდომა... თრთის — თრთოლა, წვეს —
წოლა, ქრის — ქროლა, ძრწის — ძრწოლა, იბრძვის — ბრძოლა...
სთხოვს — თხოვნა (თხოვ-ნ-ა), შოულობს — შოვნა, ძოვს — ძოვნა,
პოულობს — პოვნა...

§ 47. მიმღეობის წარმოქმნა. მიმღეობა ნაზმნარი, ჳმნის ფუძი-
საგან წარმოქმნილი სიტყვაა ადიექტივის ფუნქციისა. ამიტომ საწყისის
მსგავსად მიმღეობაც მეორადია, პირიელი ფორმა ჳმნისა — პირველადი.
მიმღეობა ქართულში მდიდარია წარმოქმნილი ფორმებით.

მიმღეობა სამი სახისაა და საწარმოქმნო აფიქსებით აშის მიხედვით
გამოიყოფა.

1. მოქმედებითი გვარის მიმღეობის მაწარმოებელია მ-, მ-ელ, რო-
მელიც ჳმნის პირველი სერიის ფუძეს დაერთვის: წყვეტს — მწყვეტი,
გადამწყვეტი; წერს — მწერი, დამწერი; კეტავს — მკეტი, დამკეტი;
თესავს — მთესი, დამთესი; წმენდს — მწმენდი, გამწმენდი... აკეთებს —
მკეთებელი, გამკეთებელი; კლავს — მკვლელი, მომკვლელი; ღვრის —
მღვრელი, დამღვრელი; ქრის — მჳრელი, დამჳრელი, გამომჳრელი;
ქსოვს — მქსოველი, მომქსოველი... ისეთ ფუძეებთან, რომლებიც
ხმოვნით იწყებიან, პრეფიქსად გვაქვს არა მ, არამედ მა-: აკეთებს —
მაკეთებელი, ანათებს — მანათებელი, ათრობს — მათრობელი, ახა-
რებს — მახარობელი და მისთ.

მოქმედებითი გვარის მიმღეობის საწარმოებლად სპორადულად
გვხვდება მ-ულ, მ-არ (||-ალ) აფიქსიც: სჯის — მსაჯული; ხატავს —
მხატვარი, წერს — მწერალი... ა. შანიძე შეტყვევლისა და მოქმედის
ტიპის მიმღეობებში აფიქსებად გამოყოფს მე-ელ, მო-ელ-ს.¹

2. ვნებითი გვარის მიმღეობის საწარმოებლად უფრო მეტი აფიქ-
სია გამოყენებული, გაირჩევა როგორც სუფიქსური, ისე პრეფიქსუ-
ლი და პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება. პრეფიქსებია: სა-, ნა-,
მე-, მო-; სუფიქსები: -ილ, -ულ; პრეფიქს-სუფიქსები: მ-არ ||-ალ.

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 590.

აფიქსებით შეიძლება გავარჩიოთ მიმღეობის ღროიანი ფორმაც (წარსულისა თუ მომავლისა).

სა-: ხნავს — სახნავი, კლავს — საკლავი, ხატავს — სახატავი, გლეჯს — საგლეჯი, მოსაგლეჯი...

ნა-: გლეჯს — ნაგლეჯი, დანაგლეჯი, მონაგლეჯი; კრის — ნაჰერი, მონაჰერი; ქსოვს — ნაქსოვი, მონაქსოვი...

მე-: ირყევა — მერყევი, ტეხს — მეტეხი (ა. შანიძე)...

მო-: კვდება — მოკვდავი, იზრდება — მოზარდი (ა. შანიძე)...

-ილ: წყვეტს — წყვეტილი, გაწყვეტილი; ბანს — ბანილი, დაბანილი, გაბანილი; კრის — კრილი, დაკრილი, გადაკრილი; კვეთს — კვეთილი, გაკვეთილი, შეკვეთილი, მოკვეთილი...

-ულ: იცვამს — ცმული, ჩაცმული; ხატავს — ხატული, დახატული, გადახატული; ნგრევა — ნგრეული, დანგრეული, მონგრეული...

მ-არ || -ალ: ცდება — მცდარი, გამამცდარი; იწვის — მწვარი, მომწვარი, შემწვარი; კვდება — მკვდარი, გამამკვდარი; ჰქნება — მჰქნარი, დამჰქნარი; ცხება — მცხვარი, გამომცხვარი... შრება — მშრალი, გამშრალი, გამომშრალი; ღრება — მღრკალი, შემღრკალი; ძვრება — მძვრალი, გამძვრალი, გამომძვრალი; ქრება — მქრალი, ჩამქრალი, გამქრალი...

3. საშუალი გვარის მიმღეობას აწარმოებს მ-, მ-არე (|| -ალე), მ-არ (|| -ალ) აფიქსები. აღნიშნული ელემენტებით გაირჩევა საშუალი გვარის მიმღეობანი მოქმედებითი და ვნებითი გვარისაგან.

მ-: ყვინთავს — მყვინთავი, ჩამყვინთავი; ფრინავს — მფრინავი, ხოხავს — მხოხავი, ცოცავს — მცოცავი...

მ-არე (|| -ალე): წუხს — მწუხარე, დულს — მდულარე, დის — მდინარე, მიმდინარე, მომდინარე; სძინავს — მძინარე; ღვიძავს — მღვიძარე, დევს — მდებარე, წევს — მწოლარე, ჰქეპს — მჰეპარე...

მ-არ (|| -ალ): ყვირის — მყვირარი, გამყვირარი; ჩივის — მჩივარი, მომჩივარი; ყვირის — მყვირალი, გადაყვირალი...

ჩვენ განვიხილეთ მიმღეობის წარმოქმნის ზოგადი სისტემა¹, მისი ძირითადი მაწარმოებელი ელემენტები. არის კიდევ აფიქსთა ერთი რიგი (მაგ., მო-ე, მ-ე და მისთ.), რომელსაც მკვლევარები უკავშირებენ მიმღეობას, მაგრამ მათთვის სპეციფიკური არ არის და საერთოდ სიტყვათწარმოქმნისათვისაა გამოყენებული. ამისთანა აფიქსზე აქ სიტყვას აღარ ვაგრძელებთ, რადგან მათი დანიშნულება და საწარმოქმნო ფუნქცია შემდგომ დაზუსტებას მოითხოვს.

¹ უფრო დაწვრილებით: ევ. ო ს ი ძ ე, მიმღეობის წარმოება ქართულში, „თბილ. უნივერსიტ. შრომები“, 67, 1947, გვ. 187—213.

§ 48. რუსთველური სიტყვათწარმოების კლასიკურ ნიმუშებს გვაძლევს შოთა რუსთველი. „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ახალ სიტყვათა წარმოქმნის ასეულობით მაგალითი. ზოგი რუსთველური სიტყვა პირდაპირ უნიკალურია და მხოლოდ გენიალური პოემიდანაა ცნობილი. რუსთველური სიტყვათწარმოქმნა ემყარება აღიარებულ წესებს: პოემაში არცერთი გამოგონილი აფიქსი არ მოიპოვება, ორიგინალური აქ მხოლოდ აფიქსთა მოძრაობა-შეხამებაა.

რუსთველური სიტყვათწარმოქმნიდან აღვნიშნავთ მხოლოდ ორ ძირითად თავისებურებას.

1. რუსთველი პირველ რიგში სახელის ფუძისაგან ზმნათა წარმოების, სახელთა გაზმნავეების უბადლო ოსტატია. მკვლევარები ერთსულოვნად აღიარებენ: ამ მხრით იგი პირდაპირ შეუდარებელიაო.

ზმნა პოემაში აღწევს გამომსახველობის უმაღლეს მწვერვალს. სახელის ფუძისაგან ზმნათა ფორმების წარმოქმნა რუსთველამდისაც კარგად იყო ცნობილი, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ ეს პროცესი უფრო სიტყვათა მხატვრული გამომსახველობის შესაძლებლობის მაქსიმალურად ამაღლებიან ფუნქციითაა გამოყენებული. მკვლევარი შ. ლლონტი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა რუსთველის მხატვრული ენის ეს სპეციფიკური მხარე, მივიდა სავსებით ცხად დასკვნამდის. „რუსთველი, — ამბობს ავტორი, — ყველა სიტყვას როდი აზმნავეებს. იგი შერჩევით იყენებს ამგვარ ფორმებს. ცნობილია, თუ რა ესთეტიკური ღირებულება აქონდა რუსთველისათვის ძვირფას ქვებს, ხეს, ვარდს, ყვავილებს, მნათობებს. პოეტი არ კმაყოფილდება ამ სიტყვათა არსებითი სახელის ფორმებში წარმოდგენით. იგი აზმნავეებს მათ. ამით შემოქმედი აღწევს საგანთა ურთიერთმიმართების ჩვენებას მოქმედებაში, ამავე დროს მოქმედების გასაგნებას. რუსთველისეულ ზმნურ ფორმებში მინიატურულადაა წარმოდგენილი მთელი წინადადება; მათი საშუალებით თვალსაჩინოდ წარმოგვესახება დინამიკური პროცესი პერსონაჟის სულიერი განწყობილების ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისა; გაზმნავებულ სიტყვებში მძლავრად იგრძნობა ის სილამაზე და სურნელება, რაც ახასიათებდა მის პირვანდელ ფორმებს. ზმნადქვეულ სიტყვაში ეს თვისებები არაჩვეულებრივ ელვარებასა და იერს იძენენ და მკითხველს განაწყობენ მხატვრული სურათის ამალღებულად განცდისათვის“.¹

პოემაში სახელთა გაზმნავეებისა მთავარია მხატვრული გამომსახველობა. პოეტს სურს ყოველ ასეთ სიტყვას უფრო მეტი ფხა და

¹ შ. ლლონტი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961, გვ. 146.

ძალა მისცეს, ვიდრე ჰქონდა. ლერწამი — ლერწამობს: „ნახვა მკერეტელთა ახელებს, ტანი ლერწამობს რხევითა“ (979, 4); მზე — მემზოს, ხე — მებზოს: „ვისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მებზოს?“ (532, 3). აღმასნი — ააღმასნა, ძეწნა — აძეწნა: „დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეალეწნა; დააცთუნნა, მაგრა მისთვის ააღმასნა, არ აძეწნა“ (760, 1, 2); ბროლი — გაბროლდა, ლალი — გალალდა: „მუნ პირი ჩემი გაბროლდა და ლაწვი გამეღალოდა“ (380, 4); ბინდი — აბინდებს, დილა — აღიღებს: „მის მოყვრისა მოშორებება კვლა აბინდებს, არ აღიღებს“ (713, 4); ლომნი — გაალომნეს, შეელი — იშვლეს, თხა — ითხეს: „თავნი მათნი გაალომნეს, მათნი მბრძოლნი იშვლეს, ითხეს“ (1424, 4); ლაწვი — გააღაწვეს, წამწამი — აწამწამეს: „იგი სახლი განანათლეს, არ ნათელი შეაღამეს, ბროლ-ბადახში გააღაწვეს და გიშერი აწამწამეს“ (1541, 3—4); ღმერთი — იღმართო, ცა — იცო: „შენ გენუკვი, შემიჯერო, ღმერთი იღმართო, ცა ცა იცო“ (664, 3)...

რუსთველი ამოდის ქართული სიტყვათწარმოქმნის ტრადიციებიდან, ენის მასალას იგი იყენებს სიტყვის მხატვრულ ემბაზში ამოსავლებად, სიტყვაში დებს საოცარი მიზიდულებისა და ღრმა აზრის მუხტს. ამ შემთხვევაში პოეტი ტრადიციის ერთგულიცაა და ორიგინალური სატყვათშემოქმედიც.

2. რუსთველს უყვარს წარმოქმნილი, ნაწარმოები ფუძის კვლავწარმოება. ასე შექმნილი სიტყვა უფრო აზრტევადი და სხივნათელია. როდესაც მეფემ შეიტყო ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლა: „მართ მისგან გასატკივარდა“, „ხმა-მალა განხამყივარდა“ (572, 2—3). ხაზგასმული სიტყვები ორ-სამგზისაა წარმოქმნილი: ჭერ უნდა გექონოდა: ხტკივა, ხატკივარი; ხოლო აქედან გასატკივარდა, ე. ი. შეწუხდა, ავად გახდა, სატკივარი აეშალა. ასევე, მეორე სიტყვა ჭერ გექონდა ასე: ყივილი, შემდეგ მყივარი, გამყივარდა, გახმამყივარდა.

წარმოქმნილი ფუძის კვლავწარმოების ამისთანა მაგალითები ბევრია პოემაში. დავიმოწმებთ კიდევ ზოგიერთს.

სწყინს, წყენა, ხაწყინარი, გასაწყინარდა: „ვირე მომკლევდეს, მოვკვდები, სიცოცხლე გასაწყინარდა“ (582, 3) — მოსწყინდა, მობეზრდა.

ეკრძალება, განკრძალვა, განაკრძალები: „იგი მზე შესევს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები“ (1426, 4) — მოკრძალებული.

ცნობს, გაცნობა, გაავცნობება: „რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა, გაავცნობდა“ (756, 1) — გაბრაზდა, გაავდა, გაანჩხლდა.

მართი, მართალი, გამართლება, გამომართლება: „აწ ეგრეცა შეპყრობილმან თავი გამომართალე“ (456, 2) — თავი გაიმართლე.

გვალვა, გაუგვალავი: „მზემან არ დაგწვენ, იცოდით, დაგყარენ
გ ა უ გ ვ ა ლ ა ვ ა დ“ (459, 4) — მზისაგან დაუწველად.

უმეცარი, გაუმეცარება: „იგი ტირს და არა ესმის, მისგან გ ა უ -
უ მ ე ც ა რ დ ა“ (87, 3) — გაშტერდა.

ცვილი, გაცილებება; ტინი, გატინება: „რკინა, ჩემი მონაცვალე, ხამს,
გ ა ც ვ ი ლ დ ე ს, არ გა ტ ი ნ დ ე ს (749, 2) — გარბილდეს, ცვი-
ლად იქცეს, არ გასაღდეს.

მომჩივარი, გამომჩივარება: „მოგნახეს, შინა ვერ გპოვეს, მით
მეფე გ ა მ ო მ ჩ ი ვ ა რ დ ა“ (572, 4) — გაწყრა, გაგულისდა.

ხრმალი, გახრმლება: „რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანერთსა გ ა -
ვ ე ხ რ მ ლ ე ნ ი თ“ (451, 3) — ხრმლით გაბრძობება, ხრმალში
გასვლა.

ბაღდადი, მობაღდადე: „გარდახდა. ჰკადრეს: „ჩვენ ვართო მ ო -
ბ ა ლ დ ა დ ე ნ ი ვ ა ქ ა რ ნ ი“ (1031, 1) — ბაღდადელი.

სადაფი, მოსადაფე: „კბილნი ბროლნი და ბაგენი სადაფთა მ ო ს ა -
დ ა ფ ე ნ ი (1445, 2) — სადაფის მქონენი...

რუსთველს უყვარს ნამყოფობის პრეფიქსით სიტყვათწარმოქმნა:
ნავაჭირები (426, 1) — ნათათბირევი; ნათურქალი (55, 1), ნამუხთაღევი
(1331, 2), ნასწრაფავი (1315, 2), ნატუსხალი (1345, 1), ნაჩანგდაფენი
(1445, 3), ნაჩინი (419, 3), ნაცქაფავი (1315, 1), ნაჭორი (130, 2), ნახმო-
ბარი (370, 4), ნახოკარი (498, 2)...

რუსთველის ენაშვობის მარგალიტებია წარმოქმნილი სიტყვები:
გოგმანიდან საგოგმანები (9, 12), სალუქიდან სასალუქო (1077, 4),
დაქერიდან საქირავი (1466, 3), სროლიდან სრეული (333, 1), დასწრე-
ბიდან სწრობილი (1335, 2), არაკიდან უარაკო (879, 4), მაგარიდან
უმაგრო (400, 3), ნათელიდან უნათლე (685, 3), ხანიდან უხანო (529, 4),
კერეტიდან შენაჭერეტი (269, 4), მსგავსიდან შესამსგავსი (1550, 3),
დარდიდან ჩადარდება (1524, 4), ცნობიდან ცნეული (1267, 2),
ქვიტირიდან აქვიტირა (1634, 3) და მისთ.

რუსთველური სიტყვათწარმოქმნანი ქართული სიტყვათშემოქმე-
დების მწვერვალია, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს სიტყვათწარ-
მოებაში ჩამარხული პოტენცია ჩვენი ლექსიკის რაოდენობრივი და
თვისებრივი გამდიდრებისა.

რთული სიზჷვე

§ 49. რთული სიტყვის რაობა. რთული, ან შედგენილია სიტყვა,
რომელიც ორი ან მეტი ძირის შეერთებითაა მიღებული და ერთ ცნე-
ბას გამოხატავს.

რთული სიტყვა მიიღება ორი გზით. პირველი გზა: ორი, ან მეტი

ძირის გაერთიანება ერთ ფუძედ, რასაც სიტყვათშეერთება, კომპოზიცია ჰქვია; მეორე — სიტყვათწარმოქმნა, გაერთიანებული ფუძის მნიშვნელობის ცვლა აფიქსებით, რასაც დერევიაცია ეწოდება.

სიტყვათშეერთების ნიმუშებია: მთაწმიდა (მთა წმიდა), ჯარჯვალა (ჯა მეგრ. ხე — რჯვალი), მზეთუნახავი (მზის უნახავი), ციხისთავი (ციხის თავი), ჯავახიშვილი (ჯავახის შვილი), ქავთარაძე (ქავთარას ძე), ვაჩიშვილი (ვაჩის შვილი), ახალციხე (ახალი ციხე) და მისთ.

სიტყვათწარმოქმნის მაგალითებია: თავპირმოგლეჯილი (თავს პირის მოგლეჯა), სულმდაბალი (სულით მდაბალი), ხელგარჯილობა (ხელით-გარჯილ-ობა), თავლაფდასხმული (თავს ლაფ-და-სხმ-ულ-ი), უკეთილშობილესი (უ-კეთილშობ-ილ-ეს-ი), ასოცდახუთი (ას-ოც-და-ხუთ-ი)...

ორივე გზა რთული სიტყვის მიღებისა უხსოვარი დროიდანაა ცნობილი ქართულში და ამჟამადაც მყარია. ორივე მათგანი საშუალებად ენის ლექსიკის გამდიდრებისა. ამ გზით შეიძლება აურაცხელ ახალ-ფუძეთა შექმნა.

რთული სიტყვა, ა. შანიძის ტერმინოლოგიით, არის თხზული სახელი ანუ კომპოზიტი. მკვლევარი თხზულ სახელებს აჯგუფებს ცნებიანობის მიხედვით, გამოყოფს ერთცნებიან, ორ- და მეტცნებიან სახელებს. აქედან რთულ სიტყვებად მას მხოლოდ ერთცნებიანი კომპოზიტები მიაჩნია, ხოლო ორ- და მეტცნებიან სიტყვებს — შერწყმულს ეძახის. „ერთ-ცნებიანი თხზული სახელები შეადგენენ კომპოზიტებს ვ ი წ რ ო გაგებით (ანუ ს ა კ უ თ რ ი ვ კომპოზიტებს), ორ- და მეტ-ცნებიანი სახელები კი, რომლებიც ფორმალურად არიან ერთმანეთთან შეერთებული, კომპოზიტებად შეიძლება მიჩნეულ იქნენ მხოლოდ ფორმის თვალსაზრისით (კომპოზიტები ფ ა რ თ ო გაგებით). საკუთრივ კომპოზიტებისაგან განსხვავებით მათ შ ე რ წ ყ მ უ ლ ი ჰქვია“¹.

ა. შანიძემ საგანგებოდ შეისწავლა ქართულში თხზული სახელის კომპოზიციის წესები და დაადგინა მათი ძირითადი ტიპები², რომლებიც მდიდარი ფაქტობრივი მასალის ჩვენებას ემყარება და დღეს საყოველთაოდ აღიარებულია.

§ 50. სიტყვათშეერთება. სიტყვათშეერთება მხოლოდ ქართული ენის თვისება არ არის: ენათა დიდი უმეტესობისათვისაა დამახასიათებელი. მ. ლომონოსოვი თვლიდა, რომ „произхождения и сложения“³ — არის ორი ძირითადი გზა, რომლითაც ენაში იქმნება სიტყვა. სიტყვათ-

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 149.
² იქვე, გვ. 149—163.
³ М. В. Ломоносов, Соч., т. 7, М.-Л., 1952, გვ. 409.

შეერთების გზით რთულ სიტყვათა წარმოქმნის პროცესი ცალკე ენებში ერთნაირი არ არის: ზოგ ენაში ის უფრო ძლიერია, ზოგში — ნაკლებფექტური. მკვლევარები მიუთითებენ, რომ, მაგალითად, გერმანულში, სანსკრიტში, ინგლისურში, რუსულში, პოლონურში იგი ფართოდაა გავრცელებული, ფრანგულში ნაკლებფექტურია¹. ამას მოწმობს ხსენებულ ენათა ლექსიკაზე დაკვირვება. იგრძნობა, ნეოლოგიზმები ძირითადად სწორედ ამ გზით რჩება ენაში. ამიტომ რთულ სიტყვათა წარმოება-განვითარების ეს პროცესი ზოგადენობრივია და არა კუთვნილება ერთი რომელიმე ენის, ან ენათა ოჯახისა. ცალკე ენათა ლექსიკონებში მდიდრულადაა წარმოდგენილი რთული სიტყვები განსაკუთრებით ბევრია ის სპეციალურ ტერმინოლოგიაში. მეცნიერების, ტექნიკის, ტრანსპორტის, ხელოვნების, ლიტერატურის, კულტურის განვითარება ბუნებრივად ქმნიდა და განუწყვეტლივ ქმნის პირობებს ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად.

ქართულში ბევრი სიტყვის ძირი გამხდარა ახალი რთული სიტყვების საფუძვლად. ისეთი გავრცელებული სიტყვებისაგან, როგორცაა გული, დედა, სული, ხელი აღმოცენებულა ათეულობით რთული სიტყვა, რომლებიც დამკვიდრებულა ქართული ენის ლექსიკურ მარაგში. საბა ორბელიანის ლექსიკონში გულ ძირისაგან მიღებული 30-მდის რთული სიტყვაა დამოწმებული (გულგდებული, გულზიდება, გულთმისანი, გულისათქმელი, გულისბჭე, გულსზრახვა, გულსყური, გულსხმა, გულმანკიერი, გულმავიწყი, გულპყრობილი, გულსმოდგინე, გულსხმა, ორგული, დიდგულა, კვარცხისგულა და ა. შ.); ნიკო ჩუბინაშვილის ლქსიკონში — 40-მდის, დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში — 180-მდის, ხოლო ქართული ენის განმარტებით ლექსიკონ-

¹ E. Dickmann, Untersuchungen über die Nominalkomposition im Russischen, Teil, I, Leipzig, 1934, გვ. 15 და შემდ., Э. Сепир, Язык, Л., 1934, გვ. 51—52 და შემდ., И. И. Срезневский, Замечания об образовании слов и выражений, ЗАН, т. 22, кн. II, СПб., 1873; В. Д. Богородицкий, Общий курс русской грамматики, М.-Л., 1935; В. В. Виноградов, Русский язык, М.-Л., 1947; Из истории русской литературной лексики, «ДС ИРЯ АН СССР», 2, 1948; Об основном словарном фонде и его словообразующей роли в истории языка, ИАН СССР, Отделение литературы и языка, т. X, вып. 3, 1951; Г. О. Винокур, Заметки по русскому словообразованию, ИАН СССР, Отделение литературы и языка, т. V, вып. 4, 1946; Л. А. Булаховский, Русский литературный язык, 1, Киев, 1952; Е. А. Василевская, Слово-сложение в русском языке, М., 1962; Н. М. Шанский, Очерки по русскому словообразованию и лексикологии, М., 1959; К. А. Левковская, Словообразование, М., 1954; И. В. Арнольд, Лексикология современного английского языка, М., 1959; И. Лось, Сложные слова в польском языке, СПб., 1901; А. Доза, История французского языка, М., 1956.

ში — 260-მდის.¹ ასევე, საბას ლექსიკონში დედა ძირისაგან მიღებული 10-ზე მეტი რთული სიტყვაა დამოწმებული (დედაბერი, დედაკაცი, დედაზარღლი, დედამთვრალი, დედამთილი, დედამძძქე, დედაწული, დედინაცვალი, დედოფალი, დედათლიაკონი და სხვ.), სულ-ი ძირისაგან — აგრეთვე 10-ზე მეტი (სულთამხუთავი, სულთქმა, სულის დადება, სულის კვეთა, სული წმიდა, სულმოკლე, სულმცირე, სულშემოსილი და მისთ.).² ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში დედა-ისაგან—15-ზე მეტი (დედაბერი, დედაზარღლისა, დედათლიაკონი, დედათმოურავი, დედაკაცი, დედამთვრალი, დედამთილი, დედამძძქე, დედაქალაქი, დედაშვილობა, დედიდა, დედისნაცვალი, დედოფალი და მისთ.), სულ-ისაგან—14-ზე მეტი რთული სიტყვაა (სულგრძელობა, სულგრძელი, სულდგმური, სულთამხუთავი, სულთაბრძოლა; სულისკვეთა, სულისმობრუნება, სულმოკლე, სულმცირე, სულსწრაფი, სულწასული, სულმოკლეობა, სულსწრაფობა და ა. შ.).³ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში დედა ძირისაგან — 25-ზე მეტი, სულ-ისაგან 55-ზე მეტი რთული სიტყვაა.⁴ ქართული ენის დიდ განმარტებით ლექსიკონში დედა ძირისაგან 55-ზე მეტი, სულ-ისაგან — 90-ზე მეტი რთული სიტყვაა.⁵

სიტყვათა ძირისაგან ნეოლოგიზმთა წარმოება წმეიძლება უსაზღვროდ. ამ მხრით განსაკუთრებით დიდ გასაქანს იძლევა როგორც მხატვრული ლიტერატურა, ისე სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისა და გაუმჯობესების საჭიროება.

ახალი სიტყვები იბადება ყოველდღიურ ურთიერთსაუბარში (§ 21), მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაშინვე დაეწიებას ეძლევა, რადგან ძნელია ყველა მათგანის ზეპირად დახსოვება. ახალი სიტყვების მხოლოდ ის ნაწილი განაგრძობს ხალხში სიცოცხლეს, რომელიც განმტკიცდა ადვილად დასახსომებელ გამოთქმებში, ჩვეულებრივ ურთიერთსაუბარში, ხალხურ ლექსებში, ანდაზა-გამოცანებში, ზღაპრებში, თქმულება-გადმოცემებში, ან წერილობითს ლიტერატურ-

¹ ს. - ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, გვ. 75—76 და სხვ., ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, გვ. 182—184 და სხვ., დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სპბ., 1887, გვ. 332—343; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. ა. ჭიქო ბაეას საერთო რედაქციით, II, თბ., 1951, გვ. 1496—1526 და სხვ.

² ს. - ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, იქვე, გვ. 96, 324, 325 და სხვ.

³ ნ. ჩუბინაშვილი, იქვე, გვ. 203—204, 371—372 და სხვ.

⁴ დ. ჩუბინაშვილი, იქვე, გვ. 472—474, 1196—1200 და სხვ.

⁵ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, II, თბ., 1953, გვ. 1115—1126; IV, თბ., 1960, გვ. 1173—1189.

რამი. რთული სიტყვა ენის ლექსიკურ მარაგში გზას იკვლევს და მკვიდრდება ზეპირი და მწიგნობრობის გზით. ისეთი შესანიშნავი რთული სიტყვები; როგორცაა დედოფალი (დედა უფალი), მზეთუნახავი (მზის უნახავი), ხელმწიფე (ხელ-ი მწიფე), ნაცარქექია (ნაცრ-ის ქექია), თითისტარი (თით-ის ტარ-ი), ბელტიყლაპია (ბელტ-ის ყლაპია), ვაკიჯვარი (ვაკ-ის ჯვარ-ი), მეჯვრისხევი (მეჯვრდ-ის ხევი-ი) ქალთამზე (ქალთა მზე), ჭავახიშვილი (ჭავახის შვილ-ი), ქავთარაძე (ქავთარ-ა-ს ძე) და მისთ. გავრცელებულია ზეპირად, ხოლო თავმჯდომარე, გულთამხილავი, სულგრძელი, თვითმფრინავი, დრომოკმული, ხანმოკლე, დოინჯშემოყრილი, მთაგრეხილი, წყალწადებული, ხელშეკრულება, თავმდაბლობა, კაცთმოყვარეობა, საცოლშვილო, ფეხბურთი, ფრენბურთი, ნაცვალსახელი, აბრეშუმსართავი, გადატვირთული, მოპირკეთებული, გზატყეცილი, ტანვარჯიშობა, გრძელვადიანი, ვარსკვლათმრიცხველობა, თანაშემწე, თანასწორი, ნახშირწყლები, ნახშირყანგი, ბუნებისმეტყველება, თავსამკაული და მისთ.— მწიგნობრობის გზით. ორივე გზა ტრადიციული და პროლექტულია. მწიგნობრული გზა განსაკუთრებით გაფართოვდა ბეჭდვის განვითარების შემდეგ, დიდი გაქანება მიიღო მან ახალ ეპოქაში, როცა შეუჩერებელი ნაბიჯით წავიდა წინ მეცნიერება, ტექნიკა, ეკონომიკა, ტრანსპორტი, კულტურა.

§ 51. სიტყვათშეერთების უახლესი პროცენი. რთული სიტყვების შექმნამ სიტყვათშეერთების გზით დიდი გაქანება მიიღო უკანასკნელ ხანებში. ტრადიციული ნორმები გაფართოვდა, ტერმინოლოგიის უნიფიკაციის მოთხოვნამ გააძლიერა სიტყვათშეერთების საჭიროება.

ჩვეულებრივ, ახალი, რთული, სიტყვის შესადგენად ადგილობრივ, ძირეულ სიტყვებთან ერთად მიმართავენ ნასესხებ სიტყვებსაც. უნდა გავარჩიოთ ამისთანა სიტყვათშეერთების სამი ძირითადი სახე.

პირველი — პირდაპირ ან შუალობით ნასესხებია რთული სიტყვა მთლიანად; მეორე — ნასესხები სიტყვა გამოყენებულია პირველ კომპონენტად, ადგილობრივი — მეორედ; მესამე — ადგილობრივი სიტყვა გამოყენებულია პირველ კომპონენტად, ნასესხები — მეორედ.

1. ნასესხები რთული სიტყვები სპეციალური ტერმინოლოგიის სამყაროდანა ამოღებული: აგროტექნიკა, ავტომექანიკა, აეროპორტი, კოსმოდრომი, კოსმონავტი, პრეამბულა, ავტოტრანსფორმატორი, ელექტრომაგნიტიზმი, რადიოაპარატი, რადიოლოკაცია, რადიოკონცერტი, რადიონავიგაცია, რადიოტრანსლაცია, რადიორეპორტაჟი, რადიოტელემექანიკა, რადიოსიგნალიზაცია, თერმომეტრი, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ტრიგონომეტრია, გეოგრაფია, გეოლოგია, რენტგენოლოგია, პაპირუსოლოგია... ამისთანა ტერმინები ნასესხებია ან უშუალოდ (ბერძნულიდან: თერმომეტრი, დიალექტოლოგია, ლექსი-

კოლოგია, გეოგრაფია...¹), ან შუალობით (რუსული ენის გზით: პრემ-ბულა, კოსმოდრომი, კოსმონავტი, რადიოლოკაცია...).

2. ნასესხები სიტყვა პირველი კომპონენტია, ქართული — მეორე: დუბლშემადგენლობა (დუბლთა შემადგენლობა), ელექტრომანქანა (ელექტრონის მანქანა), ელექტრომრეწველობა (ელექტრონის მრეწველობა), პიონერხელმძღვანელი (პიონერთა ხელმძღვანელი), რადიომაუწყებლობა (რადიოს მაუწყებლობა), რადიოკავშირი (რადიოს კავშირი), რადიოგადაცემა (რადიოს გადაცემა), რადიომიმღები (რადიოს მიმღები), ტანკშენებელი (ტანკის მშენებელი), ტანკსაწინააღმდეგო (ტანკის საწინააღმდეგო), ლარიბლატაკური (ლარიბი-ლატაკური)...

3. ქართული სიტყვა პირველი კომპონენტია, ნასესხები — მეორე: ბრტყელპარალელური (ბრტყელი პარალელური), ნახევარფაბრიკატი (ნახევარი ფაბრიკატი), ნახევარრემონტი (ნახევარი რემონტი), ნელფილტვრა (ნელა ფილტვრა), ოთხელემენტიანი (ოთხ ელემენტიანი), ოთხტაქტიანი (ოთხ ტაქტიანი), თბილკლიმატიანი (თბილი კლიმატიანი), ღიღფანჯრიანი (ღიღი ფანჯრიანი), ბედილბლიანი (ბედ-ილბლიანი)...

ასე შედგენილი რთული სიტყვები ჩვეულებრივ ერთ ცნებას აღნიშნავს და ერთადაც უნდა ვწეროთ. უფრო მეტი გავრცელება აქვს ისეთ შედგენილ სიტყვებს, რომელთა პირველი კომპონენტი უცხოურია, მეორე — ქართული. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით ხშირია შემოკლებული სიტყვები: რაიგანყოფილება, გრამჩანაწერი, ტექზედამხედველი, ელმავალი, სპორტსაზოგადოება, სპორტსასახლე, ავტომძლოლი, ფიზმომზადება, კულტსაქონელი...

ერთი ცნების აღმნიშვნელი კომპოზიტი ცალკე ლექსიკური ერთეულია. მასში, ჩვეულებრივ, გვაქვს „სიტყვის ნაწილები“ ისევე, როგორც სიტყვათშეერთებაში — მთლიანი სიტყვები. ა. პეშკოვსკის აღნიშნული აქვს: „Слова также состоят из „частей слов“, как и словосочетания из целых слов.“²

¹ ჰ. გლისონი ბერძნული წარმოშობის რთული სიტყვების ხმარებას ინგლისურში მიიჩნევს ბერძნული ძირისაგან, ან ბერძნულის მიხედვით წარმოქმნილ ერთეულებად. ასეთებადაა გაგებული თერმ-ო-მეტრ-ი, მორფ-ო-ლოგია, გეო-გრაფ-ია, ფილ-ო-სოფია და ა. შ., რომლებშიაც -ო საწარმოქმნო სუფიქსიაო (Г. Глисон; Введение в дескриптивную лингвистику, М., 1959, გვ. 102). მაგრამ ავტორი დუმილთ უელის გვერდს იმას, რომ ამისთანა სიტყვები მხოლოდ ბერძნულის ყაიდაზე კი არ არის წარმოქმნილი ინგლისურში (ან სხვა ენებში, რომლებშიაც ისინი იხმარებიან, მათ შორის ქართულში), არამედ პირდაპირაა ნასესხები ბერძნულიდან.

² А. М. Пешковский, Методика родного языка; лингвистика, статистика, поэтика, Л., 1925, გვ. 125—126, 128.

კომპოზიტიში თავს იყრის რამდენიმე სიტყვა და მორფემა. ასე შედგენილი რთული სიტყვა სემანტიკურად ენას ამძიმებს, მეტყველების პროცესს ერთგვარად აძნელებს. ენა კი ყოველთვის გამარტივებისაკენ მიისწრაფვის, უკუაღებებს ნაკლებადსაჭირო აფიქსებს, თვით ფუძესაც ამარტავეებს და ასე უკვლევს გზას ენის წიაღში კომპოზიტურ ერთეულს. გავეცნოთ, მაგალათად, რკინიგზა სიტყვის განვითარებას. ის მიღებულია მსაზღვრელ-საზღვრული წყვილისაგან, რკინის მართულია საზღვრულისაგან. სემანტიკურად აქ სიტყვათშეერთება (შესიტყვება) გვაქვს; მაგრამ ერთი ცნების მნიშვნელობით. ამ ორი სიტყვის გაერთიანებამ მოგვცა კომპოზიტური ერთეული, გაერთიანებას შედეგად მოჰყვა ნათ. ბრუნვისეული ხ-ს დაკარგვა და სიტყვათშეერთების გამარტივება. ენა ადვილად იგუებს ასეთ პროცესს. ანალოგიურადაა შედგენილი კომპოზიტები: ვაიკვარა, ხელწერალი, ქალიშვილი, დეიდა, მამიდა, შავიშვილი, ხიზანიშვილი, ოქროპირიძე... გამარტივების პროცესი ნელა მიმდინარეობს. ყველა სიტყვა ერთბაშად ვერ გამარტივებულა. ამიტომ ჭერ კიდევ ბუნებრივად გვესმის: უფლისციხე, ციხისფერდი, გორისფერდი, ბერძნისწყარო, ხილისთავი, რუსთავი, მთისპირი, ქინძისთავი, ხარისძირა და მისთ., რომელთა პირველ კომპონენტს კვლავ შემონახული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -ის.

§ 52. **გადასვლა სიტყვათშეერთიანიდან რთულ სიტყვაზე.**
 თავისთავადი სიტყვა, როგორც ვნახეთ, ორი ელემენტისაგან შედგება. ერთია იდეა, მეორე—მორფემა. ე. ვანდრიესი ამ იდეას სემანტებს უწოდებდა, მორფემად კი მიაჩნდა ენობრავი ელემენტი, რომელიც იდეათა შორის დამოკიდებულებას გამოხატავს.¹ სიტყვის მთლიანობა გულისხმობს მისი ერთ-ერთი ელემენტის, რომელსაც მთავარი მახვილი ხვდება, გაბატონებას მეორე ელემენტზე და უკანასკნელის ამა თუ იმ სახით დამორჩილებას. პ. პაული უფრო ცხადად ამბობდა: სიტყვის მთლიანობა იქმნება იმით, რომ მისი ერთ-ერთი ელემენტი, რომელსაც მთავარი მახვილი ეცემა, დომინანტობს სხვა ელემენტზე და ამა თუ იმ სახით ემორჩილება მას.²

რთული სიტყვა მიღებულია ორი ან მეტი მარტივი სიტყვისაგან, ან პირდაპირ სიტყვათშეერთებისაგან, რომელსაც სინტაქსური ძალა დაუკარგავს და ერთ ლექსიკურ ერთეულად გაფორმებულა. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სიტყვათშეერთების (შესიტყვების) გადასვლას რთულ სიტყვაზე.

ქართულში, ჩვეულებრივ, ნათესაობითსა და მოქმედებითში დას-

¹ Ж. Вандриес, Язык, М., 1938, გვ. 76—77.

² Г. Пауль, Принципы истории языка, М., 1960, гв. 389.

მული სახელი მსაზღვრელის როლში გამოდის და წინადადებაში სინტაქსურ ერთეულს — მართულ სიტყვათშეერთებას (შესიტყვებას) ქმნის. ასეა მიღებული გენიტიური მსაზღვრელისაგან მართული სიტყვათშეერთება: რკინის გზა (რკინიგზა), ხელი(ით) ნაწერი (ხელნაწერი). რკინიგზა, ხელნაწერი სინტაქსური ერთეულები, სიტყვათშეერთებანია, შედგება წამყვანი და დაქვემდებარებული წევრებისაგან და წყვილს ქმნის. ასეთი სიტყვათშეერთება წინადადებაში არის სინტაქსური წყვილი — ერთმანეთთან გრამატიკულად დაკავშირებული ორი წევრი, წინადადების გარეთ კი — რთული სიტყვა, ენის საშენი მასალა.¹

ეს ეხება არა მარტო მართულმსაზღვრელიან სიტყვათშეერთებას, არამედ ატრიბუტულ სიტყვათშეერთებასაც.

ავიღოთ მაგალითი: „ახალგაზრდა ქალები ხადრეო ბოსტნეულს თესავდნენ“ (კ. ლორთქიფანიძე, „კოლხეთის ცისკარი“, 1952, 86). ხადრეო ბოსტნეული აქ ატრიბუტული სიტყვათშეერთებაა, სინტაქსური ერთეული, წამყვან და დაქვემდებარებულ სიტყვათა წყვილი, რომლითაც გადმოცემულია საგანი. ხსენებული საგნის გადმოსაცემად საკმარისი არ არის მარტო საზღვრულის — ბოსტნეული — ხმარება, რადგან ამ სიტყვით ყოველგვარი, მათ შორის საადრეო, ბოსტნეული გადმოიცემა. ამიტომ ორი სიტყვის შეერთებულ გამოიხატა ერთი საგანი.

სადრეო ბოსტნეული რთული სიტყვაა, ლექსიკური და არა სინტაქსური ერთეული. სიტყვათშეერთებისაგან, სინტაქსური წყვილისაგან მიღებულია რთული სიტყვა, ლექსიკური ერთეული, ენის საშენი მასალა. ასევეა მიღებული რთული სიტყვები: კუროს თავი (კუროსთავი), ხიდის თავი (ხიდისთავი), ტანის სამოსი (ტანისამოსი), მამის და (მამიდა), ახალი ციხე (ახალციხე), ახალი ქალაქი (ახალქალაქი), ახალი სოფელი (ახალსოფელი), ხელით ნაწერი (ხელნაწერი), ქვით კირი (ქვიტკირი), ვარდის ფერი (ვარდისფრად), ხვეის ბერი (ხვეისბერი), მთის კაცი (მთისკაცი), გუთნის დედა (გუთნისდედური), კარის კაცი (კარისკაცი), ქინძის თავი (ქინძისთავი), ცის კარი (ცისკარი), მამულის შვილი (მამული-შვილი), დედის ნაცვალი (დედინაცვალი), მთიულის შვილი (მთიული-შვილი), იმერლის შვილი (იმერლიშვილი), მეტყველების ნაწილი...

სიტყვათშეერთების — სინტაქსური ერთეულის — დაზუსტება და რთულ სიტყვად — ლექსიკურ ერთეულად — ქცევა თანდათანობითი პროცესია. მას ფსიქოლოგიურ ფაქტორთან ერთად პრაქტიკული საჭიროებაც აპირობებდა. ამიტომ ახლა ხშირად სიტყვათშეერთებითს ერთეულებსა და რთულ სიტყვებს შორის არსებითი სხვაობის დადგენა

¹ ჩენი: ქართული წინადადება, თბ., 1961, გვ. 6.

ძნელდება. სხვაობას ქმნის ის მერყეობაც, რომელიც ასეთი რთული სიტყვების მართლწერაში გვაქვს. სიტყვათშეერთებითი ერთეული ორ სიტყვად უნდა იწერებოდეს, ხოლო რთული სიტყვა—ერთად, მაგრამ ზოგჯერ ცალ-ცალკე წერენ.¹

ჯერ კიდევ პ. პაულს აღნიშნული აქვს: „სინტაქსური შეხამებიდან რთულ სიტყვაზე გადასვლა იმდენად თანდათანობითია, რომ მათ შორის შეუძლებელია ზუსტი მიჯნის გავლება. ეს აშკარადდება თანამედროვე ორთოგრაფიის რყევით მრავალი რთული სიტყვის ერთად თუ ცალ-ცალკე წერის საკითხზე“².

სიტყვათშეერთებითი ერთეულების თანდათანობითი გადასვლა რთულ სიტყვათა ჯგუფში ახლაც კმედიითი პროცესია ქართულში. ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსიურობით იგრძნობა ტერმინოლოგიაში.

§ 53. კომპოზიტივი ვიწრო და ფართო ბაზებში. ა. შანიძის აზრით, ერთცნებიანი რთული სიტყვა არის კომპოზიტი ვიწრო გაგებით, ხოლო ორ- და მეტ-ცნებიანი რთული სიტყვა კი — კომპოზიტი ფართო გაგებით. ორივე მათგანი თავისებური ენობრივი ერთეულია და ყურადღებას იპყრობს როგორც სემანტიკურად, ისე სტრუქტურულად. ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ დახასიათებულია კომპოზიტები ვიწრო და ფართო გაგებით³.

კომპოზიტი ვიწრო გაგებით მიიღება:

ა) ფუძის გაორკეცვებით ანუ რედუპლიკაციით, რომელიც რამდენიმე სახისაა. მარტივი რედუპლიკაცია: კაქ-კაქი, თავ-თავი, წამ-წამი, ქონა-ქონა, ია-ია... თანხმოვნის დისიმილაციით: ცუნ-ცულა (ცულ-ცულ-ა), ზან-ზალ-აკი (ზარ-ზარ-აკი)... ამ რუბრიკში ექცევა ისეთი სახელები, „რომელთაც ფუძის უკანასკნელი თანხმოვანი ტ შეცვლილი აქვთ რ-დ პირველ ნაწილში: წერ-წეტი (წეტი-წეტი), კერ-კეტი-ი, ფირ-

¹ ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის ორთოგრაფულ ლექსიკონში (თბ., 1949) რთული სიტყვები დედინაცვალი, ვარსკვლავთმრიცხველი, მამინაცვალი, ნათლიდედა, მამიდაშვილი, კირისუფალი, ხელისუფალი, ხელისკვრა და მისთ. ერთად უდღეფისოდაა გადმოცემული, ხოლო ცხენისძალა, წვიმის წყალი, ხელის მოწერა, ხელის ხლება და ასეთი ტიპის რთული სიტყვები ცალ-ცალკეა. გ. შალამბერიძე ჩვეულებრივ იცავს რთული სიტყვების ერთად წერის პრინციპს (ქართული მართლწერა, თბ., 1961, გვ. 38 — 39). ეგვევ აზრია გატარებული ნ. ბასილაიას წიგნშიაც (ქართული მართლწერის საკითხები, 1, სოხუმი, 1960, გვ. 86—96).

² Г. Пауль, Принципы истории языка, М., 1960, გვ. 388.

³ ა. შანიძე, დასახ. ნშრ., გვ. 149—163.

ფიტ-ი, ჩერ-ჩეტი“...¹ თანხმონის ჩავარდნით: პაწ-აწ-ა (-პაწ-პაწ-ა), ბე-ბერ-ი (-ბერ-ბერ-ი), ხუ-ხულ-ა (-ხულ-ხულ-ა)... ხმოვანთა შე-ნაცვლებით: ა—უ: პანტა-პუნ-ტი, ბაქი-ბუქი-ნი, ნაყარ-ნუყარ-ი... ე—უ: ხევ-ხუვი-ი, ერთ-ურთ-ი... ი—უ: ბიქ-ბუქი-ნი, ბინდ-ბუნდ-ი... ო—ა: გორ-გალ-ი, ხორ-ხალ-ი... ი—ა: ქივ-ქავი-ნი, ხირ-ხალ-ი... დასაწყისი მარცვლის შენაცვლებით: ქობ-მახ-ი, გიჟ-მაჟი-ნი, კუჭ-მაჭი-ნი...

ბ) სხვადასხვა სიტყვის ფუძეთაგან. და-თი შეერთებით: მი-და-მო, ოც-და-ერთ-ი, ოც-და-რვა, პირ-და-პირ-ი... ატრიბუტულმსახლერელიანი: ვაჟ-კაცი, გლეხ-კაცი, ქალი-შვილ-ი, ფურ-კამეჩ-ი, ქალ-ბატონ-ი, ავ-დარი, ძვირ-ფას-ი, ცა-რგვალ-ი, ხორც-მეტ-ი, ორ-ხევი-ი, ორ-ღობე, ას-ფურცელ-ა, ხუთ-ას-ი... მართულმსახლერელიანი: ხელის-უფალ-ი, თავის-უფალ-ი, ცის-კარი, მამი(ს)-და, წუთი(ს)-სოფელ-ი, ხელ(ის)-ეჩო, ხელ(ის)-საქმე, სულთა-მხუთავ-ი, მზეთ-უნხახავ-ი, ხურთ-მოძღვარ-ი, ნავთ-სადგურ-ი, წყალ(თ)-სადენი, პაპა(თ)-ნაქება, ჭაპან(თ)-წყევტა... მოთხრობითის, მიცემითის, მოქმედებითისა და ვითარებითის ფორმები კომპოზიტის პირველ კომპონენტში: ერთმან-ე(რ)თ-ი, თავ(ს)-ზარ-ი, თავ-ს-ლაფ-ი, ქვით-კირ-ი (|| ქვიტკირი), ავად-მყოფ-ი...

კომპოზიტი ფართო გაგებით, ანუ შერწყმული სახელი, მიიღება ორი გზით: ა) ერთი და იმავე ტიპის სახელთა გაერთიანებით. შეიძლება გაერთიანდნენ სინონიმური გამოთქმები: ძალ-ღონე, დევ-გმირ-ი, ტოლ-ამხანაგი-ი, ოხერ-ტიალ-ი... ანტონიმური გამოთქმები: მთა-ბარი, ტყე-ველ-ი, დედალ-მამალ-ი, ცოცხალ-მკვდარ-ი... რაღაც ნიშნით დაახლოებულ საგანთა სახელები: თვალ-წარბ-ი, ცხვირ-პირ-ი, ხელ-ფეხ-ი, დედ-მამა, ცოლ-შვილ-ი, გულა-ნაბად-ი... ბ) სხვადასხვა ტიპის სახელთა გაერთიანებით. ასეთი რთული სიტყვა, ჩვეულებრივ, ქონების გაგებას შეიცავს და ხან წინ უძღვის ზედსართავი სახელები (დიდ-ყურ-ა, შავ-თვალ-ა, შავ-ტარ-ა, გრძელ-წვერ-ა...) და რიცხვითი სახელები (ორ-პირ-ი, ოთხ-ფეხ-ი, სამ-ფეხ-ა, თორმეტ-გოჯა-...), ხან კი ბოლოს ერთვის ზედსართავი სახელები (გულ-წრფელ-ი, სულ-მოკლე, თავ-მდაბალ-ი, ხელ-მოკლე, ფეხ-შიშველ-ი, თავ-შავ-ა, დედა-ბერი-ი...) და მიმღობანი (თავ-დადებულ-ი, თავ-განწირულ-ი, ხელ-გაშლილ-ი, თერგ-დალეულ-ი, ცრემლ-მორეულ-ი, გულ-მართალი...).

ა. შანიძის დაკვირვება სწორად ასახავს სინამდვილეს. მის კლასიფიკაციაში² ჩვენ ცვლილება არ შეგვიტანია. ამ კლასიფიკაციის სიმყარეს მოწმობს სხვა ავტორთა ძიებანიც³.

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 151.

² იქვე, გვ. 149—163.

³ მზ. მრეველიშვილი, კომპოზიტები ქართულ ენაში, „თბ. უნივერსიტ. შრომები“, 67, 1947, გვ. 165—183.

კომპოზიტი ვიწრო და ფართო გაგებით რთული სიტყვაა და რამდენ ცნებასაც უნდა აღნიშნავდეს იგი, მაინც ერთ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს, ფორმას იცვლის როგორც ერთი სიტყვა, გრამატიკულად და ლექსიკურადაც ერთი სიტყვაა, ასევე უნდა აღიბეჭდოს ლექსიკონშიაც.

§ 54. რუსთველური კომპოზიციბა. რუსთველი ქართული კომპოზიტების უბრწყინველესი მტვიფრავია. მისი პოემა აღსავსეა მშვენიერი სიტყვათშერწყმით, კომპოზიტებით. პოეტის მხატვრული სიტყვათძიების წყაროა ქართული ენის ლექსიკური და გრამატიკული პოტენცია. შოთა ორიგინალურად თხზავს ახალ სიტყვებს. მისი შემოქმედებითი მუშაობა ლექსიკაზე მაგალითია შთამომავლობისათვის. ქართული სიტყვის გვიანდელი, განსაკუთრებით თანამედროვე, ოსტატები განიცდიან რუსთველური სიტყვათშემოქმედების მძლავრსა და მეტად ნაყოფიერ გავლენას.

მხატვრულ წარმოსახვათა გადმოსაცემად რუსთველს შეუქმნია ასეთი კომპოზიტები:

გათავისწინება: „მონებიცა მოიშორეა, თავი გაითავისწინა“ (171, 2) — განმარტოება, თავის წინ დადგომა.

გასისხლმდინარება: „დანა დაიცა, მოცაკედა, დაეცა, გასისხლმდინარდა“ (582, 4) — სისხლის მდინარედ ქცევა.

გახმამყიფარება: „შენ დაგიზახნა: „მიხმეთო“, ხმამალღა გახმამყიფარდა“ (572, 3) — აკივლება, ყვირილის დაწყება, აყვირება.

გულნალმობარი: „კვლა იქით ქალი ატირდა, მისთვის გულნალმობარი“ (244, 4) — გულშენატკივარი.

გულსადაგი: „ამას ზედა შეიფიცნეს მოყვარენი გულსადაგნი“ (668, 1) — გულწრფელი, გულდაგული.

გულფიქალი: „რომე მისცე ქალი თქვენი მკლავ-მაგარსა, გულფიქალსა“ (1522, 4) — გულმკერდსავსე.

დავლაპრავალი: „თქვენვე გნახნე მხიარულნი დიდებით და დავლაპრავლად“ (796, 3) — მდიდარი.

კუშტგვარი პირქუში: „ქალი დაუჯდა კუშტგვარად, ქუშობს, ჯერთ არ დამტკბარია“ (244, 1).

მშვილდფიცხელი კარგი მოისრე: „მუნ დაგვხვდების მეფე ჩვენი მშვილდფიცხელი“ (973, 2).

პატიუფარდახდილი ტანჯვა-წვალებას გამოვლილი: „უთხრა, თუ: ნახე ნაწერი მის პატიუფარდახდილისა“ (1359, 3).

პირგამეხებული პირდარენილი: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპარალსა ვეფხი პირგამეხებულნი“ (522, 1)...

ქართული ონომასტოლოგია

§ 55. ონომასტოლოგიის რაობა. ონომასტოლოგია ანუ ონომასტიკა ლექსიკოლოგიის ნაწილია, რომელიც სწავლობს საკუთარ (ადამიანთა, ტომთა, ადგილთა) სახელებს. ჩვეულებრივ, მასში გამოყოფენ ეთნონიმიკას — ტომების, ხალხების, ერების სახელწოდებებს და ტოპონიმიკას — გეოგრაფიული პუნქტის, ადგილის სახელწოდებებს. საკუთარ სახელთა შესწავლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ენის სისტემის, ყოფითი რეალიებისა და კულტურის წარსულის გასათვალისწინებლად. ყოველი ხალხის ონომასტიკონში თვითმყოფთან ერთად გარკვეული ადგილი გარედან შემოსულ მასალას უჭირავს. ქართული ონომასტიკა უცხოური მასალით ქრისტიანიზმის გავრცელების ხანაში შევსებულა მწიგნობრობის გზით. წარმართულ ონომასტიკონზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ის ადგილობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული და უძველეს ეპოქაშია დამკვიდრებული ხალხის ყოფაში.

ქართულ ონომასტიკონში ჩვენ გამოვყოფთ ადამიანთა საკუთარ სახელებს, გვაროვნულ სახელებსა და ადგილის სახელებს (ტოპონიმიკას).

§ 56. ადამიანთა სახელწოდება. ადამიანის საკუთარი სახელი ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა. საკუთარ სახელებს სხვადასხვა წარმოშობა აქვთ და მათ გავრცელებას სხვადასხვა პირობები განსაზღვრავდა. უწინარეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მათი გაჩენა პრაქტიკულმა საჭიროებამ გახადა აუცილებელი — ერთი პიროვნება უნდა გარჩეულიყო მეორისაგან. კოლექტიური შრომის პროცესში, რაც უფრო გავრცელდა და ნაირფეროვანი გახდა საზოგადოება გამრავლებისა და გათვითცნობიერების წყალობით, მიმართვას ურთიერთდამოკიდებულების დროს უფრო მეტი ადგილი დაეთმო. ერთად ცხოვრება-ურთიერთობის პრაქტიკულმა მოთხოვნამ სახელის აუცილებლობა გამოიწვია.

თავდაპირველად ადამიანთა საკუთარ სახელად გამოუყენებიათ ნივთის, საგნის, ცხოველის, ფრინველის, მწერის, თვისების, მოქმედებისა და სხვ. სახელწოდებანი. ამის კვალი კარგადაა შემონახული იმ საკუ-

თარ სახელთა შინაგან სტრუქტურაში, რომელთაც ძველი წერილობითი ძეგლებიდან და ხალხის წარმართული ყოფის ჩვენამდის მოღწეული გაღმონაშთებიდან ვიცნობთ.

ტოტემურ ცხოველთა სახელებისაგან არის მიღებული ადამიანთა აქამად მთაში შემორჩენილი სახელები: ძალი — ძაღლიცა, ვეფხვი — ვეფხვია, ლომი — ლომა, მგელი — მგელიცა, მგელა, აფთარი — აფთარა, ფოცხვერი — ფოცხვერა, ირემი — ირემა, კურღლევი — კურღლევა, ხარი — ხარიცა, ხარა, მელი — მელა...

ფრინველთა სახელებისაგან: ჩიტი — ჩიტო, ჭაჭა — ჭაჭა (ჭაჭალა). მერცხალი — მერცხალა, კაკაბი — კაკაბა, ყორანი — ყორანა, შავარდენი — შავარდენა, ქორი — ქორი, ქორია... საგნის სახელებისაგან: ბროლი — ბროლა, ხელი — ხელა, ნამგალი — ნამგალა, თვალი — თვალი, კაეი — კაეა (|| კაეან)... თევზთა სახელებისაგან: თევზი — თევზა, კალმახი — კალმახა... ადამიანის სახელებისაგან: კაცი — კაცია, კაცობა; ქალი — ქალია, ქალუკა; ვაეი — ვაუა, ვაჟია, ვაჟიკა... თვისების (ადიექტიური) სახელებისაგან: პატარა — პატა, პაატა; ბერი — ბერა, ბერიკა, ბერო, ბერუკა; თეთრი — თეთრუკა, თეთრო; ჭრელი — ჭრელა, ჭრელო; ახალი — ახალა, ზვიადი — ზვიადა, ფიცხელი — ფიცხელა... მოქმედების სახელებისაგან: ჩენა — საჩინა, საჩინო; ცხოვრება, ნანობა, მშვიდობა და მისთ.

საკუთარ სახელთა ისტორიას შორს მიეყავართ. მათი დიდი უმეტესობა მეტსახელებიდან მომდინარეობს. მეტსახელების ხმარება ახლაც ხშირია: ზოგჯერ დღესაც ადამიანს იცნობენ არა ნამდვილი, არამედ მეტსახელით. მეტსახელებიდან მომდინარეობს ძველი რუსული, საერთოდ სლავური ონომასტიკა. მეტსახელები საკუთარი სახელებით შეიცვალა გვიან, ეს პროცესი დაიწყო XIV საუკუნეში და XVI საუკუნეში სასებით დამკვიდრდა.¹ ვ. ჩიჩაგოვმა დაასაბუთა, რომ ძველ რუსულ წყაროებში დამოწმებული სახელები Ворона, Волк, Воробей, Заяц, Муха, Рыба, Алмаз, Дубина, Осина, Золотой, Орех, Иголка, Паук, Соловей და მისთ. თავდაპირველად ადამიანთა საკუთარი სახელები კი არ იყო, არამედ მეტსახელები².

ქართული მასალებიც მოწმობენ, რომ ცხოველთა, ფრინველთა,

¹ А. Соколов, Русские имена и прозвища в XVII веке, Казань, 1891, 2; Н. И. Костомаров, Очерк домашней жизни и нравов великорусского народа в XVI и XVII ст., 1887, 225—226; Н. Чечулин, Личные имена в писцовых книгах XVI в., не встречающиеся в православных святцах, «Библиограф», № 7—8, 1890, 73—74; В. К. Чичагов, Из истории русских имен, оиществ и фамилии, М., 1959, 21—22.

² В. К. Чичагов, დასახ, ნაშრ., გვ. 21—22.

მწერთა, საგანთა სახელები თავდაპირველად ადამიანთა მეტსახელები იყო და არა საკუთარი სახელები. უკანასკნელი სწორედ ამ მეტსახელთა ნიადაგზე შეიქმნა და დამკვიდრდა ყოფაში.

§ 57. მატსახელნი. კაცს დღეს ზოგჯერ საკუთარი სახელითაც იცნობენ და მეტსახელითაც. მაგრამ ახლა გავრცელებული მეტსახელები გვიანდელი წარმონაქმნია, შექმნილია იმ თავისებური ღირსებისა თუ ნაკლის მიხედვით, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ ადამიანს ახასიათებდა. თავდაპირველად ადამიანს გასარჩევად მეტსახელი ჰქონია, ხოლო საკუთარი სახელი შემდეგ დარქმევია. დღეს მეტსახელი საკუთარი სახელის პარალელურად იხმარება. ის ერთგვარი ეპითეტია, საქებარი, ან საძაგებელი.

სოფელში ერთი გვარის ოთხი ივანე ცხოვრობდა. მეზობლებმა ერთს შეარქვეს ივანე მაღალი, მეორეს — ივანე დაბალი, მესამეს — ივანე მოკლე, მეოთხეს — ივანე სქელი. მაღალი, დაბალი, მოკლე, სქელი — ეპითეტი-მეტსახელებია. მაგრამ მეტსახელები უფრო სპეციფიკურადაც იწარმოება. ერთი კაცი ქვევრიდან ღვინის ამოდებისას კოპეს (ჭურჭელია) ლოკავდა, ამიტომ შეარქვეს კოპელოკია (გურ. კოპეტლაკია). მეორე სულ კეეს ღებავდა, ამიტომ შეარქვეს კევიღეჭია; მესამე ქათამს იპარავდა — შექათამია, მეოთხე ღვინოს იპარავდა — ღვინიპარია, მეხუთეს დიდი თავი ჰქონდა — თავბუაჭა... ასეა მიღებული მეტსახელები: ნივრიგლეჯია, ნიორთავა, ცხენისთავა, თითილოკია, თვალბრეცია, დოყლაპია, კარკაკუნა, თავბელატა და მისთ. ბევრ მეტსახელს სულ სხვა წარმოშობა აქვს. არა იშვიათად მეტსახელი სრულიად შემთხვევითაც გაჩენილა.

საქართველოს ცალკე კუთხეებში მეტსახელთა ხმარებულება მეტნაკლებადაა გავრცელებული. ასეთი ეპითეტი ახლავს არა მარტო საკუთარ სახელს, გვარსაც. ს. მაკალათიას ცნობით, თუშეთში ასეა გავრცელებული მეტსახელები: ყარტულა, რქაწამძვრალი, ჯანდაგი, შებუ, ტობრაკა და სხვა.¹ სახალხო მგოსანს გიორგი ლეონიძეს შეკრებილი აქვს მეტსახელთა მდიდარი კოლექცია, რომლის ერთი ნაწილი შეტანილია მისი ნოველების წიგნში — „ნატვრის ხე“. თალრია, კუჭია, რეხვია, ნივრიგლეჯია, დოღრიალა, კიტრიპარია, შაბაშელა, ჩირიკი, გოჭიყლაპია, ბატიყვლეფია, ღრინჭოლა, კოკროჭინა, ყინჭალა, რუმბია, ყლარტა, ბანჯურა, რაფა, ღინტალა, ბატატა, ხიწვა, ყბალია, ტარაკუჭა, ლოპო, წვერიკემაზია, ტიტლია, ბრაცანა, ციცლა, ბოყო, ყყყე, ყოყო, ქვაფქვია, მოჭისკულა, კეტურა, წიბრუა, ძუნძგლია, ძველიფა,

¹ ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1933, გვ. 164.

ქამპურა, წვერიცენეტია... მეტსახელებია, რომლებიც ამ მშენებელ
წიგნში გვხვდება.

მეტსახელი ლექსიკის შენაჯადია. ქართული მეტსახელები ცოტა
შეკრებილი და უფრო მცირე—გამოქვეყნებული. მათი წარმოება სრუ-
ლიად შეუსწავლელია. მეტსახელთა შესწავლა საინტერესო სურათს
გადაშლის ჩვენს წინაშე. მას არა მარტო ეთნოგრაფიული, წმიდა ენათ-
მეცნიერული ინტერესიც აქვს. ონომასტიკურ ლექსიკონში მეტსახე-
ლებსაც თავისი ადგილი მიეჩინება.

§ 58. წარმართული ონომასტიკა. ქართულ საკუთარ სახელებს
დიდი ტრადიცია აქვს. ქართველ ტომებს თავიდანვე შეუქმნიათ საკუთარ-
ი, ადგილობრივი ონომასტიკა, რომელიც თაობიდან თაობას გადმოეცა.
ფეოდალიზმის ეპოქაში, როგორც ჩანს, ადამიანთა საკუთარი სახელების
მტკიცედ ჩამოყალიბებული ნომენკლატურა გვექონია. არა ადგილობ-
რივი წარმოშობის საკუთარი სახელები ქართველ ტომებში გავრცელ-
და გვიან, მწიგნობრობის შექმნის შემდეგ, მაგრამ დიდი დაწოლის მიუ-
ხედავად, უცხოური ონომასტიკის ტალღამ ვერ წალეკა ადგილობრივი
სახელები. ჩვენამდის მოვიდა წარმართული ონომასტიკა, რომლის გა-
თვალისწინება სახელდების პროცესის შესწავლის ახალ პერსპექტი-
ვას შლის ჩვენს წინაშე.

წარმართული ონომასტიკონი შემორჩა ხალხის ხსოვნასა და ძველ
წყაროებს. V—XVIII საუკუნეთა ძეგლებში აღბეჭდილია ასეთ სახელთა
ერთი წყება. ტრადიციულმა ონომასტიკამ გაუძლო ეპოქებს და მისი
დიდი ნაწილი დღესაცაა ხმარებაში. ასეულობით სახელი მოძველდა და
გავიდა ხმარებიდან.

V—XVIII საუკუნეთა ძეგლებში¹ დამოწმებულ მამაკაცთა და დედა-
კაცთა სახელებიდან აქ შეიძლება მოვიხსენიოთ: მამაკაცთა — აბედ,

¹ ქართლის ცხოვრება, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., ტ. I, თბ., 1955, ტ. II, თბ., 1959; საქართველოს სძველენი, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედ., I, II, III, თბ., 1909—1920; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, II, თბ., 1892—1895; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და ძველი ვაჰანის ქვაბ-
თა, თბ., 1896; მისივე: ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების საბუთები, ფო-
თი, 1903; ალაპანი ჭუარის მონასტრისანი იერუსალიმისა შინა, ნ. შ ა რ ი ს გამოც.,
პეტრგ., 1914; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები,
I, თბ., 1921; მისივე: სამილახვროს დაეთარი XVII ს-ის მეორე ნახევრისა, თბ.,
1925; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი-
ლ ი ს რედ., I, თბ., 1940, II, თბ., 1953; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები
(XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შ ა-
რ ა შ ი ძ ი ს ა, თბ., 1961; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გუ-
რია-ოდიშის სამთავროებისა (1466—1770 წწ.), I, შ. ბ უ რ ჭ ა ნ ა ძ ი ს გამოც.,
თბ., 1958; ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი ალაპებით, თბ., 1901.

აბო, აბუსერ, ავაგ, ავალ, ადერკ, ათანა, ათუა, ალავერდა, ამირან, ამოან, არში, არჩილ, არჯევან, ასათ, ასან, ასპან, ასფაგურ, აფრილონ, ბადურ, ბააკა, ბაგრატი, ბაკურ, ბარძიმ, ბაქარ, ბეჟია, ბეჟიტა, ბეჟა, ბეშქენ, ბოცო, გოდერძი, გოსტაშაბ, გოჩა, გუარამ, დაჩი, დუშია, დუჩი, ეჯბი, ვარამ, ვახტანგ, ვახუშტი, ვაჩე, ზაალ, ზაზა, ზებედე, ზეზვა, ზურაბ. თადა, თაყა, იმედა, კახა, ლაშა, ლიპარიტ, მამია, მამუკა, მაყა, მახარა, მშექაბუკ, ნადირა, ნინია, ნუგზარ, ოთია (|| ოტია), პაატა, პაპუნა, რატი, სააკა, საგინა, საღირ, სიაუშ, სულა, როსტია, ქაეთარ, ქუაბულ, ქუმსი, ქუჯი, ყუარყუარე, ჩუბინი, ჩხეტი, ცოტნე, კილა, შალვა, შამანდუხ, შანშე, შერგილ, შიომ, ჩოლოყა, ხახუტა, ჯაბო, ჯავახ, ჯანო, ჯაფარ, ჯოჯიკ, ჯუანშერ, ჯუმბერ... დედაკცთა — აბეშურა, აგუტი, აღუსაქან, ანუკა, ბობა, ბორენა, გულქან, ბურდუხან, დარეჯან, თამარ, თინათინ, ლატაერი, ლელა, მზექალა, ნანა, ნინო, როდამ, რუსა, რუსუდან, სალომე, ფოტინე, ხუარამზე...

ამ სახელების სტრუქტურა მკვეთრადაა ჩამოყალიბებული. მათი ანალიზი ახლა ძნელდება. ავაგ, ადერკ, ვაჩე, თაყა, ჯავახ და მისთ. სახელების სემანტიკურ-ლექსიკური ანალიზი შეუძლებელიცაა, რადგან ისინი წარმოდგენილი სახითაა გაქვევებული სიტყვა-პასუხსა და წყაროებში. თითო-ოროლა ნიმუშის ეტიმოლოგიით გაიხსნა ცალკე სახელთა წარმოშობის ისტორია. საკუთარ სახელთა ძირითადი ნაწილის ეტიმოლოგია ჯერ დაუდგენელია და საექვოცაა, რომ ოდესმე გაირკვევა ასეთი სიტყვების ნამდვილი ეტიმოლოგია. სახელის დამრქმევ საზოგადოებას თავიდანვე შეურჩევია სიტყვათა გარკვეული წრე, გაუთვალისწინებია მოლაპარაკეთა სუბიექტური დამოკიდებულებაც იმ პირის მიმართ, ვისაც უნდა დარქმეოდა ახალი სახელი და ასე შექმნილა საკუთარ სახელთა მთელი მარაგი. ენის დიალექტურ განშტოებებს უფრო მეტი თავისებური ონომასტიკონი დაუცავს.

საქართველოს ეთნიკური კუთხეებიდან თავისებური ონომასტიკონით განსაკუთრებით მთა გამოირჩევა. მთის მოსახლეობაში დღემდისაც შემორჩენილია და კვლავ ხმარებაშია უძველესი, წარმართული ონომასტიკა. ხევსურეთში გავრცელებულია ა) მამაკცთა სახელები: ახალა, აღუა, აფშინა, ახვაი, ალუდი, აპარეკა, ბაბუტი, ბერდია, ბაიქური, ბაქია, ბაჭყი, დია, დათვია, გოგოთურ, თათია, მგელა, ჯურხა. უშიშა, მინდია, ჭლუნა, სიხარულა, კვირია, უთურგი, ქორია, ხადელი, ძადლიკა, მგელიკა, ჩალხაი, ჯარაი, ომიკა, უა, წვრილა, ჩუა, თორღვა, ხიჩლა, წიქაი, თოთია, ბაბლია, ბერდა, ბახურა... ბ) დედაკცთა: აშექალი, აგუნდაი, დედიკა, ლელა, თუთი, სანდუაი, თარუაი, მზექალა, დედაქალი, ხოშერა, ქაქია, ძილო, სამძიმარი, მზია, შუქია, კმარაი,

მინდაი, ქალობაი, ზეჟუაი, ხორა, ქაქალაი, ხოშა, ძიძილი, მძიძია, მექო, ნათუა, სანათაი, ბუბაი'...

ფშავეში—ა) მამაკატა: არჩემა, არჯალა, ბათირა, ბაჩია, ბანჯურა, ბალია, ბაცო, ბუდურა, ბუთხია, ბუთლა, გამიხარდი, გოდორა, გულ-ბათი, გურჯელი, გოზია, ვაეიკა, ზაზა, თურქა, თურმანი, თუშა, კარახელი, კახი, კუნძა, ლომა, ლეგა, ლეკვა, მაჩურა, მქედელა, ნადირა, ნიბლუა, ოსა, ობლია, პიპილა, ქანგირა, საღირა, საღულა, სორეჟა, ურჯუა, ფოცხვერი, ფუნჩა, ქავთარი, ქუმსი, ღალო, ყიზილა, ყი-ღულა, ყვირილა, ყაყიჩი, შაბურა, შუღლია, შეთე, ჩალხა, ჩარგალა, ჩეკურა, ჩხინთა, ციფო, ციხელა, ძაღლია, ძეგარა, ჭიპურა, ხარეკა, ხახა, ხაწე, ხარება, ხაზარა, ხეჩია, ხუტია... ბ) დედაკატა: არმინდა, ბატარქალი, დედუა, დედუნა, დუთა, ვარღამაზე, თაკანა, თეთრუა, კუქუცა, კეკა, მეწყინა, მზევინარი, მზეთანდარი, მიყვარა, სალია, ფარ-გოზ, ქალღამაზე, ქალიკმა, შვენა, ციგო, ცუკანა, ძუბა, ხორამზე, ჯა-ვარა...³

თუშეთში — ა) მამაკატა: აბალო, ახაი, ბუჩაი, ბუერათი, ბერღია, ბახტურაი, ბოხია, გოთა, გუბი, ეკო, ზობაი, თილი, თორღვა, იჩო, კეჩილა, ლუხუმი, ლეგო, ნადირა, სამო, უთურგა, ფეშუმი, ქურაქო, ღადრი, ყვაჯა, შეთე, ცოგი, წისკარა, ჭანრო, ჭერიტი, ხვედაი, ხევსუ-რა... ბ) დედაკატა: თახო, მარ, სამო, ციკრო, შურთხა, კიკი, ქრუში, ბაქი, ზოყ, მთვარია, მერცხალი, ბაი, ყრუნწო...

წოურში — ა) მამაკატა: აფშინა, ბაჩულა, დათილი, დაყ, დარქი-ზან, შველა, ფოცხვერი, ჯიხო, ჭანთო, შორთი... ბ) დედაკატა: მიერ, გელიანძ, ყომლი, ქაცო, ტურფა, შუქო, ხოხობ...³

ლეჩხუმში — ა) მამაკატა: ვარადებული, ერაჯი, აღდგომელა, ქუჩუკი, ლომერი, ქაქუჩელა, ბიჭილა (|| ბიჭინა), ნასყიდა, შოშიტა, ყათნარი, მუხიერი, წყალობა, დისიონი, უფლისა, ნაძენიკი, სადალო, პაჭულია, კიკოლია, პაჩულია, ჩიჩოლია, ოსია, აბიბო, კვირია, შეღანი, კაცოლია, თვალა, საყვარელა, სისონია, საჩინო, მიზანა, გადოლია, გოტე, ბახუსია, გახო, გლახუა, სეხნია, ხუჩუქელა, ზაზუ, ხეთისო... ბ) დედაკატა: სევღია, სურათა, მზეხა, ეღნოსია, ქატია, ლოქსანა, მა-ხუა, ყაზმისი, მატა, ქანა, აპია, პისტი, ოსანა, ხაზუ, აღია, თათია, ხვა-ხვა, გაფი, თარუა, სერნო, დორია, კონია, საბელა, სიდონია, ბუქღუნ-ტია, კუქუშა, ვარდიკონა, ხვაშა, ჯალხანა...⁴

1 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევსურეთი, თბ., 1935, გვ. 191—192.

2 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფშავე, თბ., 1934, გვ. 147—148.

3 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, თბ., 1933, გვ. 163—164.

4 მ ი ნ. ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, თბ., 1951, გვ. 112—113.

აღნიშნულ სახელთა ერთი რიგი რთულია, შედგენილია ორი სიტყვისაგან (ვარადებული, მზეთანდარი, ქალთამზე, მზეენარი, მზექალა და მისთ.), ძირითადი ნაწილი კი მარტივია. მარტივ სიტყვებში მთავარი ყურადღება ხმოვანთა ცვლილებას ექცევა (შდრ.: თათია, თოთია; აღია, აღუა).

წარმოქმნილ საკუთარ სახელთა შორის გარკვეულ ადგილს იჭერს კნინობით-მოფერებითი ფორმები, რომელთა საწარმოებლად გამოყენებულია -ა, -უა, -იკა ღერივატები (ქატია, აღია, სევედია, თარუა, მახუა, ხარიკა, ძაღლიკა, და მისთ.).

ამჟამად ხმარებულ და სარეკომენდაციო საერთო ქართულ საკუთარ სახელთა ნუსხა შეადგინა და გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ.¹

§ 59. **ნასესხები ონომასტიკა.** ნასესხები საკუთარი სახელები, როგორც აღინიშნა (§ 58), გავრცელდა გვიან, მწიგნობრობის წყალობით. უფრო ფართო გზა ნასესხები საკუთარი სახელების ხმარებას დაეთმო ქრისტიანობის მიღების შემდეგ. ქრისტიანულმა ეკლესიამ, სსასულიერო მწერლობამ ხელი შეუწყო წარმართული ონომასტიკის თანდათანობით შეზღუდვას და ბიბლიური ონომასტიკის დამკვიდრებას.

ხალხი, ცხადია, ერთბაშად ვერ მიიღებდა ნასესხებ ონომასტიკას. ამიტომ გაჩნდა ორი სახელი: ერთი, ოფიციალური, რეგისტრირებული დოკუმენტებში, მეორე, არაოფიციალური, საშინაო. პირველს ძველად ნათლის სახელს უწოდებდნენ. სახელის დარქმევის ეს წესი რამდენადმე ახლაცაა შემორჩენილი. აქა-იქ ვხვდებით ადამიანებს, რომელთაც დღესაც ორ-ორი სახელი აქვთ, ერთი — დოკუმენტებით, მეორე საშინაოდ. ამასთან ორივე სახელი სხვადასხვაა (მაგ., ოფიციალური ალექსანდრე, საშინაო² ვასო; ასევე: თეოფილე — დომენტი, პეტრე — ხუტა; მიხეილ — ბაჩა; თამარ — ფთილა; ეფროსინე — მაყვალა და მისთ.).

ოფიციალური სახელების პარალელურად ხმარებაშია მათი მოფერებითი ფორმები. ხშირად ადამიანს მხოლოდ ამ მოფერებითი სახელებით იცნობენ ხოლმე. ამის ნიმუშებია: თევდორე — თედო, ვლადიმერ — ლადო, ტიტე — ტიტუკო, ალექსანდრე — სანდრო, დიმიტრი — დიტო, ან მიტო, გიორგი — გოგი, ივანე — ვანო, აკაკი — კაკო, ილია — ილიკო,³ დავით — დათიკო, დათო, დათუნა, კონსტანტინე — კოტე, ვასილ — ვასო, ვარლამ — ვალიკო, თამარ — თამარიკო, ნატალია — ნატო, ვერა — ვერიკო, ელენე — ელიკო, თებრონე — თებრო, ეკატერინე — კატო და ა. შ. მოფერებით სახელთა ერთ წყებას

¹ გ. ლეონიძე, ქართული სახელები, „ლიტერატურული გაზეთი“, № 12, 1961 წ.

ემჩნევა საკუთარ სახელად გადაკეთების მისწრაფება. ასეთებია ვანო, თელო, კოტე, სანდრო, ნატო, ვერიკო, ელიკო და მისთ.

ნასესხები სახელების გავრცელების პირველ ხანებში ხმარებაში ყოფილა ორ-ორი სახელი (ნასესხები — ქრისტიანული და ტრადიციული — წარმართული), მაგრამ ქართულ საისტორიო და სალიტერატურო წყაროებს ამის ცნობები არ შემოუნახავთ. ხალხური ტრადიცია კი ამას უდაოდ მოწმობს. XVI—XVII საუკუნეთა რუსული საისტორიო წყაროები ადასტურებს, რომ ორ-ორი სახელი (წარმართული და ქრისტიანული) ფართოდ ყოფილა გავრცელებული სლავური ტომების ყველა ფენაში¹.

უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელები ქართულში შემოსულია ბერძნული, სპარსული, თურქული და რუსული ენების მეშვეობით. ბერძნული ენის მეშვეობით ნასესხებია თვით ბერძნული და ებრაული საკუთარი სახელები, რომელთა მეტი ნაწილი ბიბლიური წიგნებიდან მომდინარეობს. ეს სახელები დამოწმებულია ძველ ქართულ საისტორიო და სალიტერატურო ძეგლებში ან უცვლელად, ან ოდნავი ფონეტიკური ნიუანსით. საბას ლექსიკონში წარმოდგენილია. ამ საკუთარ სახელთა თარგმანიც.

რამდენიმე ნიმუში: აბრაჰამ (ახლანდელი გამოთქმით: აბრამ) — „მამა მრავალთა, მამა მალალი, მამა ნათესავთა“; პიმენ — მწყემსი; ალექსანდრე — „მწყემსი ძროხათა“; ამბაკომ (ახლანდელი: ამბაკო) — „მორკინალი, გინა მამაო აღდევ“; ანანია — „ღრუბელი უფლისა, ანუ მადლი უფლისა“; ანგია — ღდესასწაული; ბენედიქტე — კურთხეული; გედეონი — შემმუსრველი; გიორგი — მუშაკი; დავით — „სასურველი, გინა ნიჭი“; ელია — „უფალი ღმერთი ჩემი“; ფეროსინა — სიხარული; თეოფილე — „ღვთის მოყუარე“; იაკობ — „მორკინალი, გინა მწიხნელი, გინა მზაკუარი, გინა შემძლებელი, გინა მომასრულებელი, ღირსად მბრძოლი“; იონა — „ტრედი, გინა დაუბადებელი“; იოსებ — „ალორძინება, გინა ღიდება“; ისაკი — „კიცხევა, გინა სიცილი“; მარკოზ — „ზღუდე მრჩობლი, გინა მალალი მცნება“; მარიამ — განმანათლებელი; ლუკა — აღდგომა; სვიმონ — მორჩილი; ნესტორ — შინ დაბრუნებული; სიმონ — „მშუკტმუნვილი, გინა სმენალ წუხილი“...

¹ А. Соболевский, Груша и Дуня, «Живая старина», вып. 1, СПб., 1890, 126—127; А. Соколов, Русские имена и прозвища в XVII веке, Казань, 1891, 2; М. Морозкии, Славянский именослов или собрание славянских личных имен в алфавитном порядке, СПб., 1867, 96; Н. Чечулин, Личные имена в писцевых книгах XVI в., не встречающиеся в православных свяцах, «Библиограф», № 7—8, 1890, 73—78; Н. М. Тупиков, Словарь древне-русских личных собственных имен, СПб., 1903, 3—6.

კირილე ალექსანდრიელის საკუთარ სახელთა ლექსიკონის თანახმად: ანდრია — „სიმკნენე, უძლეველი“; ანა — მადლი; ბარნაბა — „ძე მოძღვრისა, გინა მამისა“; ბართლომეოს (ახლანდელი: ბართლომე) — „დამოკიდებული წყალთაჲ“; ელიას — „უფალი ღმერთი“; ელისაბედ — „ღმერთი სავსება ჩუენი“; ზაქარია — „ხსენება უფლისა“; თომა — „უფსკრული, გინა მარჩბივი“; იოვანე — „დადგრომილ არს მადლი, გინა ნიჭი“; მათათეოს (ახლანდელი: მათე) — გარდართხმული; სალომე — მშვედობა; სიდონი — „სანადირო ურგები“; სკმონ — მორჩილი...¹

სპარსულ-თურქული ენობრივი სამყაროდანაა შეთვისებული: ნოდარ, როსტომ, გივი, თეიმურაზ (თემურ), ლეილა, ომარ, ბეჟან... რუსულიდან: ლუბა, იაროსლავ, ვლადისლავ, ვლადიმერ, ვერა... ევროპული ენებიდან: კარლო, ტიციან, ტრისტან, იზოლდა, პიერ, ჰამლეტ, მათილდა, ანეტა, ვიქტორია და მისთ.

ამისთანა უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელები ხმარებაშია მსოფლიოს მრავალ ენაში და ავსებს საკუთარ სახელთა ადგილობრივ ნომენკლატურას.

ნასესხები ონომასტიკის ცალკე ნიმუშები გაანალიზებული აქვთ ნ. მარს, ი. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, ა. შანიძეს. კერძოდ ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემას ქართულში საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ს. ყაუხჩიშვილმა.² ბერძნული (და აგრეთვე ბერძნულის გზით რომაული) მამაკაცთა სახელები, ავტორის დასკვნით, ქართულში გადმოცემულია ორნაირად: ა) სრული ბერძნული ნომინატივის ფორმით და შეკვეცილად; ბ) შეკვეცილი ფორმების ორი დიდი ჯგუფი — ენიანი (ბერძნული — ოს) და ინიანი (ბერძნული — იოს) წარმოშობილია ბერძნული ვოკატივის ნიადაგზე; ამნაირი ფორმები შეთვისებული ჩანს მხოლოდ ზეპირად; გ) შეკვეცილი ფორმების დანარჩენი ჯგუფები შეთვისებული უნდა იყოს როგორც მწიგნობრულად, ისე ზეპირად.³

§ 50. სპანური ონომასტიკა. უძველესი სვანური ონომასტიკის გარკვეული ნაწილი აღბეჭდილია საისტორიო სიველ-გუჯრებსა და აქტებში, რომლებიც თვით სვანეთში (სეტის, ლატალის, ლენჯერის, მულახის, იფარის, კალის, უშკულის (|| უშგულის), ლახამულას, ეცერის, ბეჩოს || ბეჩუს თუ სხვ. თემებში) ან საქართველოს სხვა კუთხეებში შეუღდგენიათ, ხოლო ძირითადი ფონდი კვლავ ხმარებაშია და საყოველთაო ქართულ საკუთარ სახელებთან ერთად დღესაც მიმოქცევაშია ზემო და ქვემო სვანეთში.

¹ ჩენი: ნარკვევები, I, 1955, გვ. 107—110.

² ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, „არილი“, თბ., 1925, გვ. 89—105.

³ იქვე, გვ. 105.

ხსენებული საისტორიო დოკუმენტების მდიდარი კოლექცია (სევანეთის საისტორიო აქტები XIII—XVI სს., „მატიანე სუანეთის კრებისაჲ“ — XIII ს.) 1941 წელს გამოსცა პ. ინგოროყვამ¹. გამოქვეყნებული ტექსტები უხვ მასალას გვაწვდის სევანური ისტორიული ონომასტიკის გამოსავლინებლად და შესასწავლად. სიგელ-გუჯრებსა და აქტებში დამოწმებული საკუთარი სახელები ადგილობრივი წარმოშობისაა და მათი სტრუქტურა ზოგადქართულისეულია. მამაკაცთა სახელებიდან აღსანიშნავია: ადაჲ, აზნაგ, აფაჲი, ბადა, ბაკუ, ბურზი, გვიდა, გაბი, გერგი, გეშელ, დათუთარ, დაიფუნ, დუდაჲ, ვაჟილა, ვახდაგ, ვეშაგ, ზაზი, თაბა, თელე, იალოუზ, ირუგაჲ, კვანჭი, კვიბიხი, ლომინ, მახუჯეგ, მამქან, მუგლურ, ნანგეჭი, ნასყან, ოზაგან, რუშაგ, სანლურ, სპანდა, ტიღვა, ტონთო, ფალგოზ... დედაკაცთა სახელებიდან: გვანცაჲ, დედაჩი, დუდაჲ, ვანელი, თათე, თინათე, ლულაჲ, მარმატა, ნუნაჲ, ხალინა და ა. შ.

იმ მიზნით, რომ გავეთვალისწინოთ, თუ რა მდიდარსა და მშვენიერ ლექსიკურ მასალას გვაწვდის სევანური ონომასტიკა, დავიმოწმებთ კიდევ რამდენიმე ნიმუშს ჩვენ მიერ ზემო სევანეთში შეკრებილი კოლექციიდან.² მამაკაცთა სახელები: აბაგ, აბალ, აბდი, აბეშ, ადი, ადიმე, ათბი, ანდალ, ანთუყ, ასლო, ალვან, აჩახმათ, ბაბდიშ, ბავა, ბაჟი, ბათალბი, ბალჩი, ბატუ, ბაჭუ, ბექაზა, ბიგო, ბიუ, ბურნაუ, ბუჭა, გადუ, გერგილ, გოდა, გუჩი, დადში, დევეთ, ეფთი, ვეზდენ, ვენგო, ჭახუ³... დედაკაცთა: აიშათ, ამინათ, ანუკე, ბაბლინე, ბერდუფხ, გერნიფხ, გიჭუ, გუშარა, დადარ, დაჯი, ილდაფხ, იმახათ, კვანგირ, ლოლი, მადი-

¹ პ. ინგოროყვა, სევანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941, გვ. 5—160.

² მასალა ჩაწერილია ბერის (გული, დოლი, მაზერი, ნანხერი, ნაშთქოლი, უშხვანარი, ქართვანი, კოხულდი), ლატალის (იფხი, კვანქიანარი, ლახუმი, ლაპილი, ლეშუევი, მაცხვარიში, სიდიანარი, სკობულდი, შყალერი, ლელშაგი), ლენჯერის (ლეშნია, კაერი, ლაშთხვერი, სოლი, ნესგუნი, ქაშვეთი, ქეშქილი), იფარის (ბოგარეში, იელი, ზეგანი, ნაკიფარი, წვირპი, აღიში), კალის (ლალხორი, აგრაი, დაებერი, იფარაი, ხე), მესტიის (სეტი, ლანჩვალი, ლალამი, ლეხთაგი, სპარდიში, კახშანი), ეცერის, ხაიშის, მულახის, ფარის, კუბერის სასოფლო საბჭოებში 1962 წლის აგვისტოში.. ათასსამამდის სევანური საკუთარი სახელი ჩამაწერინა მესტიაში ცისანა გვედოს ასულმა ჭაფარიძემ.

³ ეს ფუძე გვაქვს გვარში ჭახუ-ა. აქედანაა სახელი ჭახუტა || ჩახუტა და გვარი ჭახუტაშვილი. საგულისხმოა, რომ ტ. გუდავას დადისტანში უპოვია საფლავის ქვა XIV საუკუნის წარწერით, რომელშიაც საკუთარი სახელი ჩახუტი (თუ ჩახოტი) იკითხება (ტ. გუდავა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) სდალისტინდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 186).

ნა, მამუ, მაჭი, ნატარ, ნენო, ოსანო, პეპა, ჟარნა, რადიმ, როდო...

სვანურში საკუთარ სახელთა ერთი წყება, ჩვეულებრივ, შემოკლებითა და მოფერებით გამოითქმის. შემოკლებანი: აფრასიონ—ა ფ რ ა ს, ელგუჯა—გ უ ჯ ა, დემეტრე—დ ე მ ე (|| დემეტ), ერმილე—ე მ ი, ვახტანგ—ვ ა ხ ო, მალაქია—მ ა ლ ა ქ, მიხეილ—მ ი ხ ე, სპირიდონ—ს პ ი დ ო, ანასტასია—ტ ა ს ი... მოფერებითი ფორმები: აღი—ა დ ო ლ, ამრი—ა მ რ ო ლ, ბაბი—ბ ა ბ ო ლ, ბეგი—ბ ე გ ო ლ, ბიძი—ბ ი ძ ო ლ, ბიჯო—ბ ი ჯ ო ლ, დაი—და ი ო ლ, ვიცი—ვ ი ც ბ ო ლ, თოფო—თ ო ფ ო ლ, ოთი—ო თ ო ლ, ჯოჯი—ჯ ო ჯ ო ლ, დაჩი—და ჩ ო ლ, დივო—დი ვ ო ლ, მაი—მა ი ო ლ. მინდი—მ ი ნ დ ო ლ, ტასი—ტ ა ს ო ლ...

მოფერებით გამოითქმის როგორც ადგილობრივი, ისე ნასესხები საკუთარი სახელები.

§ 61. მებრუღლი ონომასტიკა. მეგრული საკუთარი სახელები

სრულიად შეუსწავლელია და არც არავის შეუკრებია. მეტად მცირე ნაწილი ძველი მეგრული ონომასტიკისა დამოწმებულია XIV—XVIII საუკუნეთა სიგელ-გუჯარებში, რომლებიც ქუთაისსა, ან ოდიშშია შედგენილი. მეგრულ საკუთარ სახელთა სტრუქტურის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო ახლოს გავითვალისწინოთ ძველი ქართული ონომასტიკის ისტორია და შედგენილობა.

XIV—XVIII საუკუნეთა სიგელ-გუჯარებში გვხვდება მეგრული მეტყველებისათვის ბუნებრივი საკუთარი სახელები: ვეარკალი, მამაგული, ბიძაბ, გვიგვიმ, კოკი, ფაცულა, ელიჯარ, გაიდურთ, ძვიბი, გალამაფუ, პიპილეი, ინალახუ, პატუა, ბიბია, გვინიში, კაკალეი, კაკაშია, დოსქუდა, დათვია, ჯაშუშია, ბახუ, გარჯლუ, მათითა, მწყაზარია, ჯატუე, ბიძილია, ხუხუ, ბაბადი, ობიშხა, უჩაკოჩა, ჯვიბი, ბაქუ, გაბუ, გორგი, ხარამია, ხაზაკა, ხუხა, ზუმალა, სუბუქია. მორდებუ, ხუტა, ბიშხუა, ჩოხოლე, ახალკოჩი, ნიკურცხია, ბაბაკოჩი, ლიფო, ძლიკი, გოჯი, ხანჩქილა, ჟოჟუა, არჩაი, კოჩობია, კაჩაია, წიწაია...¹

სპეციალურ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნაშრომში ს. მაკალათიას დასახელებული აქვს მეგრულ მოსახლეობაში ხმარებული ასეთი საკუთარი სახელები: მამაკატოა: არდიანი, აბი, აგრე, გურკოჩა, ფია, მირღია, სქვამა, გაძინია, ქუჩუ, ტუტუ, უჩანა, ჯვატალია, ქერექია, მაძინია, ცექვე, სქვამგური, პასა, ოქრია, თანაფია, ჯუნი, თუთაშხია,

¹ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, თბ., 1921, გვ. 42—43, 52, 97, 99, 104—105, 143—144; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1461—1770 წწ.), I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე მ, თბ., 1958, გვ. 151—158.

ქუთარ, მაშურია, ბათაყვა, ბიჭვა, თემურყვა, ჯურუმია, უჩარდია, ნარტია, ჯოდორია, ბურდღლია, გვაჩია, ბოშკოჩი, ხუტუია, ბალირია, გუტა, გუდღულა, მანჩა, ბეკოია, კუქუ, გოჩა, ბაზალა, ჯაკუია, ბათა, კვიკვი, გვიჩი, ბახუ, უთუ, ბეჩუ, გახა, ჯარუ, ბარდღუ, ძუქუ, ქენჩი, პეხუ, ძოკია, შავაზი, თარაფონი, აფიონი, ტაგუ, დუტუ, ხარა, შამუ, ყალმათი, მაცი, ჯაგა, ჯოტი, ჩიტი, ძვაძვალა... დედაკაცთა: როდა, თათია, ხანტუ, ტატა, სადა, სოსუ, ასანდა, ცირა, ხვანვა, ჭუჭა, ფეჩე, მადა, რუსუ, ჩვაფი, ასტანდარ, სკვამცირა, ჩუია, ჩუკა, ხიამზე, ქვეთე, ვარდია, თუთუ, ჩუბუ, ჩეცირა, ჩელა, მისო, მაცირია, პიპა, სუნთა, მუხნია, ცოცო, ჯოლიკი, შუკო, ხანძე, ხელქანი, მანტილო, ფაჩუია, სადუ, გუქა, ქოჩო, ჭონტია, ხიმური, გუქიტი, ელუ, ფუტა, ესა, შუქური, ვოცირა...¹

მეგრული ონომასტიკის მრავალფეროვნების გასათვალისწინებლად დავასახელებთ კიდევ ჩვენ მიერ აღვილებზე შეკრებილ მეგრული საკუთარი სახელების ამჟამად ხმარებულ ნიმუშებს.²

მამაკაცთა სახელები: აკო, არხილი, აბე, ახმა, ალიმი, აბრა, ათა, აჯგუ, ადამური, ბიჭვა, ბაჟია, ბრუსი, ბაღრია, ბადა, ბურდღუ, ბატულა, ბეკა, ბარილა, ბიჩა, ბატურია, ბერდღე, ბუჭუჭი, ბიხტუია, ბუტუ, ბაკუია, ბუცი, ბუჯგა, ბეგინა, ბუშკოჩი, ბოჩუა, ბათილო, ბურჭულია, გასი, გვიჩა, გვიჩი, გვაჩი, გვანჯი, გუტია, გუძა, გეთა, გუტულა, გოტა, გვაჯილა, გადუ, გურა, დრიგი, დაფინო, დიკვანწი, დირი...

დედაკაცთა სახელები: ათინო, ატატო, აონა, აიზო, ბროლა, ბაჩია, ბაცა, ბუცუ, ბაძლია, გვინარი, გოგოშა, გეჩა, დოუ, დადუა, დესი, დერე, დუკი, ეუმე, ვაზიკო, ზესა, თამუშა, თხაია, კეკეცა, კანდუ, კუნია, კუკუტი, კარკუნტი, კვაგა, კურიე, ლიო, მეცე, მოკოშა, მისა...

მეგრულ საკუთარ სახელებად რიგ შემთხვევაში გამოყენებულია ა) ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა, მწერთა, მცენარეთა სახელები: თხაია — თხა, თუნთია — დათეი, ტურიე — ტურა, ლეჯიოჩი — ლორი, ხოჯა — ხარი, ჯოდორია — ძაღლი, კვატია — იხვი, მიმინო — მიმინო, ტორონჯია — მტრედი, ლორღონჯია — ბატი, ჩიტი(ა) — ჩიტი, ჭუია — ჭუკი, კალმანია — კალმანი, ლორჯოია — ლორჯო, კოდონა — კოდო, ბუშკოჩი — ბუნი, ზაკაია — ბზა, კინტირია — კიტრი, ჭუჭუღია — ჭინჭარი, ჭარხალაია — ჭარხალი... ბ) დღეთა სახელები: თუთაშხია — ორშაბათი, ობიშხია — პარასკევი... გ) საზოგადო სახელები:

¹ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა , სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 276—277.

² მასალები ჩაწერილია გეგეჭკორის, ცხაკაის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობისა და ვალის რაიონებში 1963 წლის ივლისში და შეჯერებულია სოფლის საბჭოთა საკომლო წიგნებთან.

ბურჭულია — წალდი, ბროლა — ბროლი, ქობალია — პური... დ) ზმნე-ბი: მოკონა — მინდა, ვამოკონა — არ მინდა, მოკოლია — მინდოდი, მისოკოდი — ვის უნდოდი, რუნია — არისო, ვალურია — არ მოკვდი და მისთ.

სამ- და მეტმარცვლიანი ნასესხები საკუთარი სახელები მეგრულში, ჩვეულებრივ, შემოკლებით (ორმარცვლად) გამოითქმის და ასევეა სიტყვა-ხმარებაში.

მამაკაცთა საკუთარი სახელების შემოკლება: აბესალომ — აბე, ერმილე — ერი, გიორგი — გიო, ვლადიმერ — ლადი, ბიკენტი — ბიკი, აპოლონ — აპო, იპოლიტე — იპო, ნაპოლეონ — ნაპო, ეპიფანე — ეპი, დომენტი — დომე, მანასე — მანა, კიმოთე — კიმო, იუსტინე — იუ, საჩინო — საჩი, სარდიონ — სარდი, დანიელ — დანე, ზოსიმე — ზოსი, დარისპან — დარი, პანტელეიმონ — პანტე, გალაქტიონ — გალა, ლაზარე — ლაზა, ტროფიმე — ტროფი, ლევარსი — ლევა, ედიშერ — ედი, გაბრიელ — გაბი, ივანე — ივა, გერასიმე — გერა, ბესარიონ — ბესა, ყარამან — ყარა...

აშ, ოშ, ონ, არ, ორ მარცვლებზე დაბლოვებულ საკუთარ სახელებში ბოლოკიდური თანხმოვნები (მ, ნ, რ) მოკვეცილია: აბრამ — აბრა, როსტომ — როსტო, სოფრომ — სოფრო, ანტონ — ანტო, სიმონ — სიმო, ბეგლარ — ბეგლა...

დედაკაცთა საკუთარი სახელების შემოკლება: ალათი — ალა, ეპრაქსია — ეპრა, ედუკია — ედუ, ბაბილინა — ბაბი, დესპინე — დესი, ელისაბედ — ელისა | ესა, ვასასი — ვასა, რუსუდან — რუსუ, პელაგია — პელა, მინადორა — მინა, სუსანა — სუსა, შუშანა — შუშა, ფოტინე — ფოტი, ქრისტინე — ქრისტი, ქიონია — ქიო, ფეოდოსია — ფეო...

ნასესხებ საკუთარ სახელთა თავისებური შემოკლება და თავისი სტრუქტურული მოდელისათვის დაქვემდებარება ქართველურ ენათა ონომასტიკური სისტემის საერთო თვისებაა. ეს პროცესი მეტნაკლებად გავრცელებულია ქართულში, სვანურსა და კოლხურში.

§. 82. **გმარცხნული სახელმწიფი.** ქართული გვარების ძირითადი ნაწილი საკუთარი სახელებიდან მომდინარეობს ფუძეზე ძე, შვილ-ის ან მათი ეკვივალენტების მიმატებით. ძველი ქართული მწერლობის ისტორიამ იცის ასეთი გვარები: იოანე საბანის ძე (VIII ს.), იოანე ქონქოზის ძე, სტეფანე ხანანოძის ძე (X ს.), ვაჩე კარიჭის ძე¹, იოანე ტარი-

¹ XI საუკუნის დიდი ფილოსოფოსი ეფრემ მცირე იყო გვარად კარიჭისძე, ძმა ვაჩე კარიჭისძისა (ქ. ქველიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 231). ვაჩე კარიჭისძე მოხსენებულია „მატიანე ქართლისაში“ და სუმბატ დავითისძის ქრონიკებში („ქართლის ცხოვრება“, I, ს. ყაუხჩიშვილის რედ., I, თბ., 1955, გვ. 291, 385).

ქის ძე, სუმბატ დავითის ძე (XI ს.), ნიკოლოზ გულაბერიძე, ჩახრუხაძე (XII ს.), არსენ ბულშაისიძის ძე, აბუსერიძე (XIII ს.); ათონის მონასტრის 1074 წლის ალაპებში მოხსენებულია ქველისძე, ქობულისძე, აბუსერისძე, შაბუაძე, ბუქაძე, აბრაჰამისძე, ფოფხაძე, კოჭიხისძე, კილაკისძე, აბულასანისძე, თბილაძე¹; თამარის დროინდელ სიგელში ნახსენებია გვარი ტოხასძე²; 1202 წლის სიგელში — მწიგნობარი იაკობ აწრელისძე³...

ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებიდან ამისთანა წარმოშობის გვაროვნული სახელებით განსაკუთრებით მდიდარია „ამირანდარეჯანიანი“, რომლის პერსონაჟები სახელებთან ერთად გვარებთაცაა მოხსენებული (დარეჯანისძე, სავარსამისძე, ქავისძე, დარისპანისძე, ნაღიბისძე, იამანისძე, რაბაგისძე. ყამისძე, რაბიშინისძე, ჯიზიშვილი და ა. შ.).

ქართული მწიგნობრობის ძეგლებში XII საუკუნემდის იშვიათად გვხვდება გვაროვნული სახელები, XIII—XIV საუკუნეებიდან მოყოლებული კი ჩვეულებრივია და შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მათი წარმოება-სტრუქტურის განვითარებას.

§ 63. ბმაროვნულ სახელთა წარმოება. ქართული გვაროვნული სახელები სხვადასხვანაირადაა მიღებული. ძირითადი ჯგუფები შემდეგია:

1. საკუთარ სახელთა ფუძეებზე ძე, შვილ-ისა და მათი ეკვივალენტების -ურ || -ულ, -ია (|| -ა), -უა || -ვა-ს მიმატებით. თითოეული მათგანი ძე, შვილ-ს აღწერს.

ა. ძე: ჯავახ — ჯავახიძე, არსენ — არსენიძე, არჯევან — არჯევანიძე, აბუსერ — აბუსერიძე, ქავთარა — ქავთარაძე, თაყა — თაყაძე, ჩახრუხა — ჩახრუხაძე, კაკაბა — კაკაბაძე, ჩხეტი — ჩხეტიძე, რატი — რატიძე, დუჩი — დუჩიძე, კახა — კახაძე, შოთა — შოთაძე, ბერა — ბერაძე, მშვიდობა — მშვიდობაძე, მახარა — მახარაძე...

ბ. შვილი: ვაჩე — ვაჩეშვილი, რატი — რატიშვილი, ჯავახ — ჯავახიშვილი, გურამ — გურამიშვილი, ჩოლოყა — ჩოლოყაშვილი, მიქელა — მიქელაშვილი, ავალ — ავალიშვილი, ზაალ — ზაალიშვილი, გოჩა — გოჩაშვილი, ქუმსი — ქუმსიშვილი, თაყა — თაყაიშვილი...

ძე და შვილი ნათესაობით ბრუნვას მართავენ. ძველ ქართულში

¹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთნაწერი ალაპებით, თბ., 1901, გვ. 220, 225, 226, 242, 248, 253, 265, 273.

² თ. ქო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაპანის ქვაბთა, თბ., 1896, გვ. 25.

³ იქვე, გვ. 26.

გვერდნი: ფოფხაჲს ძე, აბუსერის ძე, ჩოლოყას შვილი... ახალ ქართულ-ში ნათესაობითისეული ს დაკარგულია.

გ. -ურ || -ულ: გიგა — გიგაური, შადი — შადური, ხარა — ხარა-ული, ბეჟა — ბეჟაური, გოგოქი — გოგოქური, ელია — ელიაური, სულაქა — სულაქაური, კოკილა — კოკილაური... გაფრინდა — გაფრინდაული, კინქარა — კინქარაული, ყორია — ყორიაული, აეთარა — აეთარაული... -ურ || -ულ სუფიქსი ჩვეულებრივ ნივთის, იშვიათად ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელია (§ 42).

დ. -იან || -ან: დავით — დავითიანი, ვიბლ — ვიბლიანი, დევდერ — დევდერიანი (|| დევდარიანი), მარგველა — მარგველიანი, ზურაბ — ზურაბიანი, გირგელ — გირგელიანი, წერედ — წერედიანი, ავალ — ავალიანი, კახ — კახიანი, ქურდ — ქურდიანი, ხვისტ — ხვისტანი, აბდელ — აბდელიანი, ნანსყ — ნანსყანი, შუკვ — შუკვანი, ფილფ — ფილფანი...

ამისთანა გვარები ახლა უფრო სევანეთში გვხვდება. ა. შანიძის აზრით, ძველად „ასეთი დაბოლოების გვარები აღმოს. საქართველოშიაც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ აქ ეს იან შემდეგ შეუცვლია ძე-სა და შვილ-ს. ამის გამო იან დაბოლოებას დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა და გარკვეულ შემთხვევებში შემონახულია ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფორმა მრავლობითია. ამ შემთხვევაში მერმინდელი შვილ-ი ჩამოშორდება ხოლმე გვარს და აღდგება ძველი იან. ციცი(ს)-შვილი: ციცი-იან-(ნ)-ი = ციციშვილები, სადაც ორი ნ-საგან ერთი ისმის ხოლმე, მაგრამ რომ ორი იგულისხმება, ამას ადასტურებს ნათესაობითის ფორმა, ვთქვათ ასეთი: „ციციან-თ პური“, ან ნათ.-სახელობითი: ციცი-ან-თ-ი“¹.

ე. ია (|| ა): ბარქა — ბარქაია, გაბილა — გაბილაია, ბასილა — ბასილაია, ეჯიბ — ეჯიბია, რატი — რატიია, ჩხეტი — ჩხეტიია, ჭიქი — ჭიქია, ზაქარა — ზაქარაია, ხვიჩა — ხვიჩაია, შონი — შონია, გეთი — გეთია, დოჩი — დოჩია, ხასი — ხასია, ხელა — ხელაია, კილა — კილაია, ძველა — ძველაია, ხუნუ — ხუნუა...

ვ. უა || ვა: თონთ — თონთუა, ხუბი — ხუბუა, ჩხოტი — ჩხოტუა, გვათი — გვათუა, ჭკადი — ჭკადუა, ბაჩილა — ბაჩილავა, ვართაგა — ვართაგავა, ელია — ელიავა, ოჩიგა — ოჩიგავა, ქაცარა — ქაცარავა, ნანა — ნანავა, ჭითა — ჭითავა, ჯობა — ჯობავა...

2. გვაროვნულ სახელთა ერთი წყება ადგილის სახელწოდებებისაგან შექმნილა, გამოხატავს ადამიანის სადაურობას, წარმოქმნილია -ელ, მ-ელ აფიქსებით. ოშკი ადგილია, ოშკელი კი შეერქვა ადამიანს,

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 124.

რომელიც ამ ადგილთან დაბალებით, მოღვაწეობით, თუ რაღაც მოსაქმეობით იყო დაკავშირებული. პირველად ამისთანა ზედწოდება სასულიერო პირებს (ზოგჯერ სხვა მოხელესაც) ჰქონდათ, შემდეგ გვარად შემორჩა. ასეა მიღებული გვარები აჩაბეთისაგან — მაჩაბელი (§ 42), ჯაყისაგან — ჯაყელი, ამაშუკეთისაგან — ამაშუკელი, ბოდავისაგან — ბოდაველი, თუხარისისაგან — თუხარელი, ყანჩავეთისაგან — ყანჩაველი, კორინთისაგან — კორინთელი, ბეთანიისაგან — ბეთანელი, ახმეტისაგან — ახმეტელი, შილდისაგან — შილდელი, ვარძიისაგან — ვარძიელი, ცაგერისაგან — ცაგერელი¹... ანალოგიური წარმოშობის გვარებია: წერეთელი, სავანელი, ზანდუკელი, ბეწუკელი, გიჟიმყრელი, მეტრეველი, ვეშაპელი, ინწყირევი, კვეზერელი, გურიელი, საჩაღელი, ბარათელი, კარგარეთელი, გამრეკელი, ჩხენკელი, ოცხელი და მისთ.²

3. ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის ეთნიკური ტერმინებისაგან წარმოქმნილა ამისთანა გვარები: სვანი: სვანიძე, სვანიშვილი, სვანი; ქანი: ქანიშვილი (შდრ.: ქან-ის-ყმა-ძე-ქანიყმაძე-ქანიყვაძე-ქანუყვაძე); მეგრელი: მეგრელიძე, მეგრელაძე, მეგრელიშვილი; ქისტი: ქისტიშვილი, ქისტაური, აპარა: აპარაძე; კახი: კახიძე, კახიშვილი; კახელი: კახელიშვილი, კახეთელიძე; იმერელი: იმერლიშვილი; რაქველი: რაქველიშვილი; ხევსური: ხევსურიშვილი; გურული: გურული; მესხი: მესხიძე, მესხიშვილი, მესხია, მესხი; მუსხელი: მუსხელიშვილი; ქართველი: ქართველიშვილი, ქართველაძე; ფშაველი: ფშაველიშვილი, თუში: თუშიშვილი; მოხევე: მოხევეიშვილი; ოდიშელი: ოდიშელიძე, ოდიშელიშვილი, ოდიშარია; ბანძელი: ბანძელაძე; ვარძიელი: ვარძიელაშვილი-ვარძელაშვილი; დვალი: დვალიშვილი, დვალი; ჩაჩანი: ჩაჩანიძე, ჩაჩანიშვილი; აფხაზი: აფხაზიშვილი, აფხაზავა; ლეკი: ლეკიშვილი; ოსი: ოსიძე, ოსიშვილი (შდრ.: ოსიყმიშვილი. რაც შეეხება ოსაძეს, ის მომდინარეობს საკუთარი სახელისაგან ოსა); სომეხი: სომეხიძე, სომეხიშვილი; ჩერქეზი: ჩერქეზიშვილი, ჩერქეზია; თათარი: თათარა-

¹ ძველ სიგელ-გუჯრებში სწორედ ც ა გ რ ე ლ ი იხსენიება და არა ც ა გ ა რ ე ლ ი. 1656 წლის სიგელში: „ც ა გ ე რ ლ ო ბ ა გვიბოძეს“ (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, თბ., 1921, გვ. 55); 1669 წლის განჩინების წიგნში: „ქონდიდელი ც ა გ ე რ ე ლ ი მოვახსენებ“ (იქვე, გვ. 73).

² ი. შ ა ი ს უ რ ა ძ ე, გეოგრაფიულ სახელთა ფუძეები თანამედროვე ქართულ გვარებში, „საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა I (V) სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები“, თბ., 1963, გვ. 22—23; მისივე: ნარკვევები ქართული ონომასტიკიდან, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესია, თეზისები, თელავი, 1956, გვ. 23—24.

ძე, თათარიშვილი; თურქი: თურქაძე, თურქიშვილი, თურქია; არაბი: არაბიძე, არაბიშვილი, არაბული; სპარსი: სპარსაძე, სპარსიაშვილი; ფრანგი: ფრანგიშვილი; რუსი: რუსიძე, რუსაძე, რუსიშვილი, რუსია; ბერძენი: ბერძენაძე, ბერძენიშვილი, ბერძენი...¹

4. ხელობა-მოსაქმეობის სახელებისაგან მიღებული გვარები: მკედელი: მკედლიძე, მკედლიშვილი; კალატონი: კალატონიშვილი; ფირალი: ფირალიშვილი; მეყანწე: მეყანწიშვილი; მენაბდე: მენაბდიშვილი, მენაბდე; მემარნე: მემარნიშვილი; მებორნე: მებორნიშვილი; მეშვილდე: მეშვილდიშვილი; მეცხვარე: მეცხვარიშვილი; მეკოკე: მეკოკიშვილი; მექოთნე: მექოთნიშვილი; მეფარე: მეფარიშვილი; მეძმარე: მეძმარეშვილი, მეძმარიაშვილი; ხარატი: ხარატიშვილი; მდივანი: მდივნიშვილი, მდივანი; მექვაბე: მექვაბიშვილი; მეკრავე: მეკრავიშვილი; მეზურნე: მეზურნიშვილი; ხარაზი: ხარაზიშვილი; ღურგალი: ღურგლიშვილი; გამრეკელი: გამრეკლიშვილი, გამრეკელი; ძიძა: ძიძიშვილი; მღებარი: მღებრიშვილი; წინამძღვარი: წინამძღვრიშვილი; ხუცესი: ხუციშვილი; მასხარა: მასხარაშვილი; მკალავი: მკალავიშვილი; მესაბლე: მესაბლიშვილი; მესტვირე: მესტვირიშვილი; მეგრვალი: მეგრვალიშვილი, მეგრ(რ)ვალიშვილი; მელიქი: მელიქიშვილი, მელიქიძე, მელიქაძე; მექვევრე: მექვევრიშვილი (—მექვევრიშვილი); მეჭურჭლე: მეჭურჭლიშვილი; ოქრომკედელი: ოქრომკედლიშვილი; მოძღვარი: მოძღვრიშვილი; ქურდი: ქურდაძე, ქურდიშვილი, ქურდიანი; მეზვრე: მეზვრიშვილი; ნაცვალი: ნაცვალიშვილი, ნაცვალაძე; ქევხა (ქევხუდა, მამასახლისი, ნაცვალი სოფლისა): ქევხიშვილი; ყორჩიბაში (მცველთა უფროსი): ყორჩიბაშიშვილი²; მოურავი: მოურავიშვილი; დეკანოზი: დეკანოზიძე, დეკანოზიშვილი; მცურავი: მცურავიშვილი; მგალობელი: მგალობლიშვილი; ხურო: ხუროძე, ხუროშვილი...

5. თანამდებობა-წოდების სახელებისაგან მიღებული გვარები: ერისთავი, ციხისთავი, ხატისკაცი, დადიანი, კანდელაკი, ხარატი, მუჭირი, მდივანი, მეღვინეთუხუცესი³ და მისთ.

ძველ საქართველოში ერისთავი და დადიანი დიდი თანამდებობის პირები იყვნენ, ციხისთავს ებარა ციხე-სიმაგრე, მუჭირი „ხორბლის

¹ ი. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, დასახ. თეზისები.

² ეს გვარი მოხსენებულია XVIII საუკუნის ეპიგრაფიკულ ძეგლებში: კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თ. ბარნაველის რედ., თბ., 1961, გვ. 87—88.

³ თუმცა ვაჰქეს გვარი მეღვინეთუხუცესიშვილიც. მოხსენებულია ეს ერთი ხატის წარწერაში 1804 წ.: „მე მონა შენი მეღვინეთუხუცესიშვილი“ (კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თ. ბარნაველის რედ., თბ., 1961, გვ. 90).

მნე“ (საბა) იყო, მდივანი — „უსტართა მწერალი“ (საბა), კანდელაკი — მნათე, ხარატი — „ხის ქურჭლის მხეწელი“ (საბა). ეს თანამდებობა- მოსაქმეობის სახელები გვიან გვაროვნულ სახელებად იქცა.

6. ცხოველთა, ფრინველთა, თევზთა, მცენარეთა სახელებისაგან მიღებული საკუთარი სახელების მიხედვით შედგენილი გვარები წარმოქმნილია ამ სახით: ა) ცხოველთა სახელებისაგან: ირემი(ა): ირემამდე; მგელი: მგელამდე; ლომი(ა): ლომამდე, ლომიმდე, ლომია; ვეფხვი: ვეფხვამდე; ხარი: ხარამდე, ხარიაშვილი; ფოცხვერი: ფოცხვერიშვილი, ფოცხვერაშვილი; მელა: მელამდე, მელაშვილი, მელია; არჩვი: არჩვამდე; დათვი, დათუნა: დათვამდე, დათუნაშვილი; ქურციკი: ქურციკამდე; ყოჩი: ყოჩიშვილი, ყოჩიაშვილი; კურდღელი: კურდღელაშვილი; თიკანი: თიკანამდე; ცხვარი: ცხვარამდე, ცხვარიაშვილი; ტურა: ტურიაშვილი, ტურაშვილი; შველი: შველიმდე... ბ) ფრინველთა სახელებისაგან: სირი: სირამდე; არწივი: არწივამდე; მამალი: მამალამდე; შაში: შაშვამდე; ჯაფარა: ჯაფარიმდე; ჩხიკვი: ჩხიკვამდე, ჩხიკვიშვილი;¹ შოშია: შოშიაშვილი; წერო: წერომდე; გვრიტი: გვრიტამდე, გვრიტიშვილი; ჩხარტი: ჩხარტიშვილი; ჩიტი: ჩიტამდე, ჩიტიშვილი, ჩიტიაშვილი, ჩიტია; შევარდენი: შევარდენამდე || შევარდნამდე; ქორი: ქორიმდე; ქათამი: ქათამამდე; ბატი: ბატიაშვილი; ბუ: ბუამდე; მიმინო: მიმინოშვილი; კაქკაქვი: კაქკაქვიშვილი; ყანჩა: ყანჩამდე, ყანჩაშვილი; ყვაგი: ყვავამდე; ყორანი: ყორანიშვილი, ყორანაშვილი... გ) თევზთა სახელებისაგან: თევზამდე; კალმახი: კალმახამდე, კალმახელიმდე... დ) მცენარეთა სახელებისაგან: ჰინკარი: ჰინკარამდე || ჰინკარამდე, ჰინკარაშვილი, ჰინკარაული; ნიორი: ნიორამდე; ჰილი: ჰილამდე, ჰილაშვილი, ჰილია; მუხა: მუხამდე; წაბლი: წაბლამდე; ტყემალი: ტყემალამდე; ბალახი: ბალახაშვილი; თელა: თელია; ია: იაშვილი...

7. დედაკაცთა საკუთარი სახელებისაგან მიღებული გვარები: თამარ(ა): თამარაშვილი; ნინო: ნინოშვილი; თინიკა: თინიკაშვილი; მარიამ: მარიამიმდე; ქალი(ა): ქალიაშვილი; პაპალა: პაპალაშვილი; ქეთელა: ქეთელაური; დედანა: დედანაშვილი; ელისაბედ: ელისაბედაშვილი.

8. თვისების აღმნიშვნელი მიმღობის ფორმებისაგან მიღებული გვაროვნული სახელები: დაფანჩული, ფანჩვიმდე, ფანჩულიმდე, შეწირული, ქურკუმული...

დაფანჩული ზედწოდებადაა, მოხსენებული X საუკუნის ძეგლში „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაჲ“: „იყო ვინმე აზნაური დიდებუ-

¹ გრ. ზარიმე, ყველაზე გავრცელებული გვარები საქართველოში, „თბილისი“, 12. XII. 1961 წ.

ლი წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქვა მას სახელი გაბრიელ და ფანჩული. და აწ ნათესავთა მისთა ჰრქვან და ფანჩულინი“ (პ. ინგოროყვას გამოც., თბ., 1949, გვ. 32); „მიიწია ნებითა ღმრთისაჲთა სახლსა გაბრიელ და ფანჩული სასა“ (იქვე, გვ. 33). და ფანჩული ვნებითი გვარის მიმღეობა ზმნისა ფანჩეა, ფანჩავს, რაც, საბას განმარტებით, ნიშნავს დაფანტვას ანუ დაქსაქსევას. ზმნა სწორედ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი ძველ ქართულ ძეგლებში.

დაფანჩულისაგან მიღებულია გვაროვნული სახელები ფანჩვიძე, ფანჩულიძე. დაფანჩული კი ისეა ნაწარმოები გვარად, როგორც შეწირული — ვნებითი გვარის მიმღეობა ზმნისა „ეწირავ“. ეს გვარი დღესაც გავრცელებულია.

ზმნის ფუძეებისაგან ან საწყის-მიმღეობისაგან წარმოქმნილი გვარებია აგრეთვე: საყვარელი: საყვარელიძე, სიხარული: სიხარულიძე, ხარება: ხარებაძე; მინდა, მინდოდა: მინდაძე, მინდიაშვილი, მინდოდაშვილი (|| მიდოდაშვილი); ძულეზა: ძულიაშვილი; მოსვლა: მოსულიშვილი; ძაგება, საძაგელი: საძაგლიშვილი; გაფრენა, გაფრინდა: გაფრინდაშვილი; მქელი: მჭელიძე (ახლა: ქელიძე)...

9. გვაროვნულ სახელთა ფუძეებად, ჩვეულებრივ, გვხვდება არსებითი ან ზედსართავი სახელი, ზოგჯერ რიცხვითი და ნაცვალსახელიც. სავარაუდოა, რომ ამისთანა სიტყვები თავდაპირველად გამოყენებული იყო საკუთარ სახელებად და შემდეგ მათგან გვარები მიღებულია.

ა) არსებითი სახელები ჩვეულებრივი ან მოფერებითი ფორმით: რთველი (რთველია): რთველიაშვილი; ფერი (ფერა): ფერაძე; მეფე (მეფისა): მეფისაშვილი; ტივი (ტივა): ტივაძე; სული (სულა): სულაძე, სულიაშვილი; ყავლი (ყავლა): ყავლაშვილი; ცეცხლი (ცეცხლა): ცეცხლაძე; ბარძიმი (ბარძიმა): ბარძიმაშვილი; ბზე: ბზიშვილი; ცერი: ცერაძე; ჭვარი: ჭვარიძე; ხელი (ხელა): ხელიძე, ხელაძე, ხელაშვილი; მაწონი (მაწონა): მაწონაშვილი; ოქრო (ოქროა): ოქროაშვილი; წიგნე (წიგნა): წიგნაძე; მარგალიტი (მარგალიტა): მარგალიტაძე; ქერქი (ქერქა): ქერქაძე; მხეცი: მხეციძე; თარი (თარა): თარიშვილი, თარაშვილი; ჯერი: ჯერიშვილი; ბერი (ბერა, ბერო, ბერუა): ბერიძე, ბერაძე, ბეროძე, ბერიაშვილი, ბერიშვილი, ბერუაშვილი, ბერაია, ბერია; მარჯანი: მარჯანიშვილი...

ბ) ზედსართავი სახელები დადებითი ან კნინობითი ფორმით: მთავარი: მთავარიშვილი; ლალი: ლალიძე; გრძელი: გრძელიძე, გრძელიშვილი; ცხელი: ცხელიშვილი; თეთრი (თეთრა): თეთრაძე; დიდი: დიდიძე; ქვრივი: ქვრივიშვილი; შავი (შაეა): შავაძე, შავიშვილი; ცივი (ცივა): ცივაძე; მალალი (მალალა): მალალაშვილი; მწარე (მწარეა): მწარიაშვილი; ძნელი: ძნელაძე; წითელი: წითლიძე, წითლანაძე...

გ) რიცხვითი სახელი კნინობითის ფორმით: ორმოცა: ორმოცაძე...

დ) ნაცვალსახელი: რომელი(ა): რომელაშვილი...

10. ფუძედ გამოყენებულია საყუთარ სახელთა კნინობით-მოფერებითის ფორმები: ქავთარ(ა): ქავთარაძე, ქავთარიშვილი; რევან(ა): რევანაშვილი, რევანიშვილი; კაცი(ა): კაციაშვილი; ტალან(ა): ტალანაძე; გიორგი(ა), გოგია: გიორგაძე (არის აგრეთვე გიორგიძე), გოგიაშვილი, გოგია; ხუტა(ულა): ხუტა(ა)ულაშვილი; დავით (ა, -უნა, -ია): დავითაძე, დავითაშვილი, დათუნაშვილი, დათიკაშვილი, დავითაია; მამა(ია, -უკა): მამაიაშვილი, მამუკაშვილი; პატარა, პატა (|| პაატა): პაატაშვილი; პაპა, -უნა: პაპაშვილი, პაპუნაშვილი; ლევან(ა): ლევანაშვილი...

11. ფუძედ გამოყენებულია რთული ორი ან სამი ძირისაგან შედგენილი სიტყვა: თავზარაშვილი (თავ-ზარ-ა-შვილ-ი), თავბერიძე, თავდგირიძე, თავხელიძე, თავდიდიშვილი (|| თავდიშვილი), თავდუმაძე, თავაქარაშვილი¹, თავაქალაშვილი,² თავყელიშვილი, თავშეიშვილი, ცისკარიშვილი, ფეხშველაშვილი, პურიჭამიაშვილი, კატაპარიაშვილი, შავდავითაშვილი, ლომკაციშვილი, სალიქვაძე (=სალი-ქვა-ძე, ლიტ. სალუქვაძე), ბოლქვაძე, თალაქვაძე (=თალა-ქვა-ძე, ლიტ. თალაკვაძე), მამამთავარიშვილი, ცალქალამანიძე, ბალაშქარაშვილი, პატარკაციშვილი, კახაბერიძე, მამასახლისიშვილი³, ფეხმოჭრილაშვილი,⁴ ზედაძნელაშვილი⁵, ორაგეანდასშვილი⁶, დარჩიბეგიშვილი⁷, ორბოძელის-შვილი⁸, წვეგრგრძელიძე,⁹ თივაქრთილაძე¹⁰, ბედისმწერლიშვილი...

¹ 1666 წლის წყალობის წიგნში: მდივანმწიგნობარი ასლან თავაქარაშვილი (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 430.)

² 1742 წლის ნასყიდობის წიგნში: გიორგი თავაქალაშვილი (იქვე, გვ. 308).

³ XVIII საუკ. ნასყიდობის წიგნში: გიორგი მამასახლისის შვილი („დოკუმენტები“, იქვე, გვ. 160).

⁴ ეპიგრაფიულ ძეგლზე: თერძი ე. ზ. ფეხმოჭრილაშვილი (კახეთის ისტორიულ ძეგლების წარწერები, გვ. 91).

⁵ გვხვდება შეფე აღუქანდარეს 1579 წლის სიგელში (საქართველოს სიძველენი, I, წიგნ. I, ე. თაყაიშვილის რედ., თბ., 1920, გვ. 10).

⁶ ქაიხოსრო ორაგეანდასშვილი (ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1959, გვ. 523).

⁷ 1477 წლის ნასყიდობის წიგნში („დოკუმენტები“, გვ. 4).

⁸ ალაპნი ჭვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გამოსცა ნ. მარამან, პტრგ., 1914, გვ. 27.

⁹ მოხსენებულია 1250—1260 წწ. სიგელში (თ. ეორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 60).

¹⁰ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, თბ., 1921, გვ. 6.

12. VIII—XVIII საუკუნეთა ქართულ საისტორიო და სალიტერატურო წყაროებში, ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და სიგელ-გუჯრებში გვხვდება ასობით თავისებურად წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელი, რომლის ძირითადი ნაწილი ახლა ხმარებაში აღარაა. ეს გვარები ისტორიულად ან გადაშენებულა ან სხვა გვართ შეცვლილა. ვიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს: აბაზასძე, ბაკურიანისძე, კარიკისძე, ასპანისძე, თოლობელისძე, მარუშისძე, ტაიკისძე, შარაღანისძე, ამანელისძე, ართუმელისძე, ვარდანისძე, ბოსტოლანაშვილი, ბურდიასვილი, დოღენჯიშვილი, ჩხეტისძე, ვამაყისვილი, ჭუჭუნასვილი, ამბაკიშვილი, სავალინაშვილი, მხეცისძე, კოლონკელისძე, სოლოღასვილი, ურდუბეგაშვილი, უნდლაძე, ქავთარისვილი, ქურულისვილი, ობლიძე, უყურეშლიძე, კოზოლაძე, ფუტუშნელიძე, ორალელისძე, ჯანდიერიშვილი, ავშანდაძე, ლეექელაშვილი, ხიხანიშვილი, რუსთველისვილი, ღაზნელიძე, არდაშელისვილი, აბულგარდისვილი, დიღარგეთიშვილი, გულიკაშვილი, შალბალაქიშვილი, დუჩიძე, ქამქამისძე, ბულდაღარაშვილი, ციდაშვილი, ქოროთძე, კლიაკისძე, ამილახორისვილი, ყაფლანისვილი, ლომოურიძე, ერისთვიშვილი, ხუციანდაბისძე, ალფე-როზისვილი, ანდირაშვილი, ირუბაქიძე, ყარაბულაშვილი, ჩომახიშვილი, ბენაშვილი, ლასურისძე...

§ 84. ტოპონიმიკა. ტოპონიმიკა სწავლობს გეოგრაფიულ ნომენკლატურას მცირე და ფართო მასშტაბით. გამოიყოფა როგორც მიკრო, ისე ვრცელი გეოგრაფიული მონაკვეთის ტოპონიმიკა, ე. ი. სახელწოდებანი დასახლებული ადგილებისა — სოფლისა, ქალაქისა, რაიონისა, ოლქისა, ხეობისა, ვინიდან მოსახლეობა სწორედ აქ იყო ყოველთვის განლაგებული. ერთი რომელიმე გეოგრაფიული რაიონის ადგილის სახელწოდებათა ერთობლიობა, გაწყობილი ანბანის რიგზე, იქნება ამ რაიონის ტოპონიმიკური ლექსიკონი.

ტოპონიმიკური ტერმინოლოგია ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ, სპეციფიკური მიზეზების გამო, ის ვერ აისახება ენის განმარტებითს ლექსიკონში და ცალკე უნდა გამოიცეს.

ქვეყნის გეოგრაფიულ სახელწოდებათა სრულ გამოვლინებას, საისტორიო, სალიტერატურო, საეპიგრაფიკო წყაროებში დამოწმებული და ხალხის ზეპირხსოვნაში შემონახული ტოპონიმიკური ტერმინების აღნუსხვა-გამოცემას ფართო მეცნიერული ინტერესი აქვს. ამჟამად ჩვენში გაცხოველებული მუშაობა წარმოებს ცალკე კუთხეთა გეოგრაფიული ნომენკლატურის ყოველმხრით შესასწავლად და სრული ქართული ტოპონიმიკური ლექსიკონის შესადგენად.

ქართული ტოპონიმიკის შეგროვებასა და შესწავლას დიდი ტრადიცია აქვს. პირველი ცნობები ტოპონიმიკის შესახებ შემონახულია ძველ

ქართულ სალიტერატურო და საისტორიო თხზულებებში, რომლებიც V—XI და მომდევნო საუკუნეთა ეპოქას ეკუთვნის. მდიდარ მასალას გვაწვდის „ქართლის ცხოვრება“, სიგელ-გუჯრები და საისტორიო-საგეოგრაფიო ძეგლები, რომლებშიაც გვხვდება ძვირფასი ცნობები ამა თუ იმ გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებათა შესახებ. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ქართული ტოპონიმის მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელი მაინც არის XVIII საუკუნის შესანიშნავი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი ვახუშტი ბაგრატიონი (1696—1770) — შვილი ქართლის მეფის, გამოჩენილი პოეტისა და მეცნიერის, ვახტანგ VI-ისა.

ქართული ტოპონიმის შესწავლას შემდეგ ახალი მძლავრი ბიძგი მიეცა XIX საუკუნეში. მ. ბროსეს, ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილის, თ. ბაგრატიონის, ნ. დადიანის, დ. ბაქრაძის, გ. წერეთლის, ბ. ნიქარაძის, კ. გვარამაძისა და სხვათა ისტორიულ-ლიტერატურულ ნაშრომებში განხილულია არა ერთი და ორი გეოგრაფიული სახელი და დადგენილია მათი ეტიმოლოგია.

ბევრი გეოგრაფიული სახელი საგანგებო მსჯელობის საგნად გაუხდათ: ილიას, აკაკის, ვაჟას.

ტოპონიმისადმი ინტერესი განსაკუთრებით XX საუკუნის პირველ ნახევარში გაღვივდა ჩვენში. ისტორიული ტოპონიმისა და სპეციალური კვლევა-ძიების საგნად. ალ. ხახანაშვილისა და ე. თაყაიშვილის, მ. ჯანაშვილისა და ს. გორგაძის, ნ. მარისა და ი. ყიფშიძის, ი. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის, ა. შანიძისა და გ. ახვლედიანის, ს. კაკაბაძისა და ლ. მელიქსეთ-ბეგის, ს. ყაუხჩიშვილისა და ალ. სვანიძის, ს. ჯანაშისა და ნ. ბერძენიშვილის, პ. ინგოროყვასა და გ. მელიქიშვილის ისტორიულ-ეთნოგრაფიულსა და ლიტერატურულ-საენათმეცნიერო ნაშრომებში დიდი ადგილი ეთმობა გეოგრაფიულ სახელებზე მსჯელობას. ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, ალ. სვანიძის, ა. შანიძის ნაშრომებში ტოპონიმის მასალის ანალიზის საფუძველზე გადაწყვეტილია უმნიშვნელოვანესი პრობლემები ეთნოგენეზისა და ქართველთა ნათესაობის შესახებ ევრაზიის უძველეს ხალხებთან.

ცალკე ტერმინთა ეტიმოლოგიური ძიების პარალელურად უკანასკნელ წლებში ფართოდ გაჩაღდა ტოპონიმის მასალების შეგროვება ადგილებზე და მათი პუბლიკაცია. ი. მეგრელიძემ გამოაქვეყნა გურიაში ჩაწერილი ტოპონიმის მასალის ნაწილი¹. ს. ჭიჭიამ საგანგებოდ შეისწავლა „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“ და გამოამზეურა მესხეთ-ჯავახეთის ძველი გეოგრაფიული ნომენკლატურა

¹ И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слон в гურიиском, М.-Л., 1938.

თურქული წყაროების მიხედვით¹. ამავე კუთხის ახლანდელ ტოპონიმიკას სწავლობს ი. მაისურაძე, რომელსაც ამ თემაზე გამოქვეყნებული აქვს ცალკე სტატიები². ლეჩხუმურ ტოპონიმიკას ეძღვნება მიხ. ჩიქოვანის³ და მიხ. ალავედის⁴ სპეციალური ნაშრომები. მიხ. ალავედის გამოქვეყნებული აქვს რაჭული მასალა⁵. აჭარის ტოპონიმიკას მიეძღვნა იური სიხარულიძის ნაშრომი ორ წიგნად⁶, ქსნის ხეობის ტოპონიმიკას — ამ სტრიქონების ავტორის ნაშრომი⁷ და ა. შ.⁸ აქედან უნდა გამოიყოს იური სიხარულიძის ნაშრომი, რომელიც სპეციალური მონოგრაფიაა საქართველოს ერთ-ერთი გეოგრაფიული რაიონის — აჭარის—ტოპონიმიკაზე.

§ 65. ვახუშტი ბაგრატიონის ტოპონიმიკური მასალა. ვახუშტის ნაშრომში—„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“⁹ და სპეციალურ რუკებში, რომლებიც მას მოგზაურობის დროს შეუდგენია, შეტანილია

¹ ს. ჩიქოვაძე, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, I, თბ., 1947, II, თბ., 1941, III, თბ., 1958; მისივე: სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმიკისა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, „თბილ. უნივერ. შრ.“, XLI, 1950, გვ. 185—195.

² ი. მაისურაძე, ბორჯომის ეტიმოლოგიისათვის, „კომუნისტის გზით“, № 21, 1961; მისივე: „წყალი“ ქართულ ენაში, „კომუნისტის გზით“, № 63, 1961; მზე ქართულ ენაში, „კომუნისტის გზით“, № 65, 1961; ადგოლა სახელები, „ლიტერატურული გაზეთი“, № 33, 1963; სიტყვის ეტიმოლოგია, „საბჭოთა ოსეთი“, 13. VIII. 1955.

³ მიხ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, „თბ. უნივერ. შრ.“, IX, 1939, გვ. 135—155; მისივე: ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, „ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახ. პედინსტიტუტის შრომები“, VII, 1949, გვ. 233—242.

⁴ მიხ. ალავედი, ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი, „ა. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, XVIII, 1958.

⁵ მიხ. ალავედი, ქვემო რაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი, იმავე ინსტიტუტის შრომები, XVII, 1957.

⁶ იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, ბათომი, 1958, II, ბათომი, 1960. მასვე მოზადებული აქვს გამოსაცემად მასალები გურიისა და სამეზის ისტორიული გეოგრაფიისათვის.

⁷ ჩენი: ტოპონიმიკური მასალები, „ცხინვალის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, II, 1955, გვ. 264—285.

⁸ არავეის ხეობას ეხება ა. შანბის ნაშრომი: Нынешние эквиваленты географических названий Арагвского ущелья по описанию 1774 г., „Христ. Вост.“, 3, 1914, გვ. 212—214. იხ. აგრეთვე: მ. გეგეშიძე, ქართლის სამეურნეო ტოპონიმიკა, „ოსტრ შრომები“, XXVII, 1949, გვ. 166—173; ვ. გამრეკელი, დვალეთის ტოპონიმიკის ანალიზისათვის, „ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, IV, ნაყ. I, 1958.

⁹ პირველად იგი გამოიცა მ. ბროსის რედაქციით (სპბ., 1842), შემდეგ მ. ჯანაშვილის (თბ., 1904), ხოლო უკანასკნელად ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის რედაქციით (თბ., 1941).

ასობით ტოპონიმიკური სახელწოდება, რაც საშუალებას გვაძლევს სწორად გავითვალისწინოთ ისტორიული საქართველოს გეოგრაფიულ ტერმინთა ნომენკლატურა და სტრუქტურა. გზადაგზა ავტორს მოცემული აქვს ზოგი ტერმინის ეტიმოლოგიის საინტერესო ცდები, რაშიაც ამქვეყნებს სიფრთხილესა და გონებამახვილობას. ძირითადი ნაწილი ვახუშტის ეტიმოლოგიური ძიებისა დასტურდება როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული, ისე ენობრივი მონაცემებითაც. მცირე ნაწილი კი დაზუსტებას მოითხოვს, რადგან არსებული წყაროების შედარებითი ანალიზი და ადგილზე ახლად შეკრებილი მასალები არ ამართლებენ ზოგი ტომობრივი და გეოგრაფიული ტერმინის ვახუშტისეულ ეტიმოლოგიას.

ვახუშტის ყველა გეოგრაფიული ერთეული არ აღუწერია. ზოგი გამოუტოვებია, ზოგი გამორჩენია, ზოგი კი მას შემდეგ აღმოცენებულა. ამიტომ ვახუშტის ტოპონიმიკური მასალის შედარება ახალ გეოგრაფიულ ნომენკლატურასთან ჩვენს წინაშე მეტად ჭრელ სურათს შლის. შემოვიფარგლებით მხოლოდ სამი გეოგრაფიული რაიონის — გურიის, ქსნისა და ლიხვის ხეობათა — ტოპონიმიკური ნომენკლატურის შემოწმებით. სამივე მხარე მუდამ მჭიდროდ იყო დასახლებული და მათ მოსახლეობას გარკვეული როლი უთამაშია საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურსა და კულტურულ ცხოვრებაში.

გურიის აღწერაში ვახუშტის დასახელებული აქვს 16 გეოგრაფიული ერთეული:¹ აკეთი, ასკანა, ბაილეთი, ბახვის წყალი, გურიანთა, ლანჩქეთი (ახლანდელი ლანჩხუთი), ლეხეური (ახლანდელი: ლიხაური?)² პალასტომის ტბა, ოზურგეთი (ახლანდელი ქ. მახარაძე), სურები, სუფსეი (ახლანდელი სუფსა), შემოქმედი, ფოთი, ხინო, ჭუმათი. მხარის მოსახლეობა, როგორც ცნობილია, განლაგებულია მდინარეთა ხეობებში. ამ მდინარეებიდან ვახუშტის დასახელებული აქვს მხოლოდ სუფსა, ბახვის წყალი და ხინო, მაგრამ არაფერი აქვს ნათქვამი ისეთ მოდიდო მდინარეებზე, როგორცაა ნატანები შენაკადებითურთ (ყუყი,

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა დ ა თ. ლ ო მ ო უ რ ი ს რ ე დ., თბ., 1941, გვ. 174—176.

² ისტორიულად უნდა გვქონოდა სწორედ ლე-ხე-ე-ურ-ი, რომლის ძირია ხევ. დამახასიათებელია, რომ ვახუშტი იმოწმებს ლ ე ხ ე უ რ ი ს ც ი ხ ე ს, მაგრამ არაფერს ამბობს იქვე მდებარე და იმავე სახელით ცნობილ ეკლესიაზე, რომელიც XIV საუკუნის შუაწლებშია აშენებული (Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Ачаре, СПб., 1878, გვ. 99; მისივე: Кавказ в древних памятниках христианства, «Записки общества любителей кавказской археологии», 1, 1875, 147; Ф. И. Успенский, Старинная крепость на устье Чороха, ИАН, 1917, 168; И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слон в гурийском, М.-Л., 1938, 35).

აქის წყალი, დვაბზუა, სკურდუმში, ჩოლოქი, ხეისწყალი, გუბაზოული¹ (სუფსის შენაკადი), ან უფრო პატარა ღელე-მდინარეებზე: ავილდაყვა (სოფ. მაკვანეთი), არკუნა (სოფ. შემოქმედი), აცაურა, თიკაურა, ყურეფა, ხუთუნა (სოფ. აკეთი), აქიე (სოფ. აქი), ბაზრის წყალი (ოზურგეთი), ბოვილა (სოფ. გურიანთა), გულეფა (სოფ. ასკანა, ბახვი), დურლანა (სოფ. ბახვი), ვოლროფინა, თაფლაურა (სოფ. ასკანა), კაპარჭინა (ლანჩხუთის რ.), ოტურო (სოფ. გვაბრათი), მახათა, ჭახვათა, სკოლონქრო (სოფ. მერია), სკუჩა (სოფ. დვაბზუ), ცუცქურა (სოფ. კონჭკათი), წყალწითელა (სოფ. გვაბრათი), რომლებითაც დასერილია მხარე.

ანტიკურ ეპოქაში ახლანდელი გურიის მიწა-წყალზე უძველესი ქართველი ტომები ლაზ-მეგრელები სახლობდნენ, ხოლო შემდეგ, VI—VII სს., აქ ქართვების ტომი (გურულები) გადმოსახლებულა, მაგრამ ლაზურ-მეგრულ გეოგრაფიულ სახელთა ნაშთები ჩვენამდისაც მოღწეულა. „გურულები და იმერლები, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — მეგრულ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შუაგულში არიან შექრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთი-ერთმანეთისაგან აშორებენ... გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო; ბევრ სოფლებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება, ან არა და მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ.“² ამის მაგალითებად ავტორს დასახელებული აქვს: ჭიხანჭირი (მეგრ. ჭიხა ციხე), ჭუმათი (მეგრ. ჭუმა ძმა), ჭყონგვარი (მეგრ. ჭყონ მუხა), ოჩხომური (მეგრ.-ლაზ. ჩხომ თევზი, „ო“ პრეფიქსი, ფარდი ქართ. პრეფიქსისა ხა-), ჭანიეთი (ჭან ლაზთა ტომობრივი სახელი), ან ოჭილაური, ჭყვიში, კინტრიში, ონჭიკეთი, ოცხანა და ა. შ.³ ვახუშტის „აღწერაში“ ამ სახელებს (გარდა ჭუმათისა) ვერ ვხვდებით. იქ არ მოიპოვება აგრეთვე ძველთაძველ ხალხთა ეთნიკურ შემადგენლობასთან დაკავშირებული სახელები, რომლებშიაც ჩანს ამ ხალხთა

¹ ტერმინი მიღებულ ჩანს ლაზთა მეფის საყუთარი სახელისაგან გ უ ბ ა ზ წ ა რ - მომავლობის სუფიქსით -ოულ (ლიტ.-ეულ), ე. ი. გ უ ბ ა ზ -ო უ ლ - ი—გუბაზის კუთვნილი მდინარე (შდრ.: Н. Я. Марр, Из лингвистической поездки в Абхазию, ИАН, 1913, 308; მისივე: Из Пиренейской Гурии, ИР, IV, М.-Л., 1937, 48; К. Келиძე, Историко-агиографические отрывки, ХВ, т. II, вып. II, 190; И. В. Мегрелидзе, იქვე, გვ. 91). ლაზთა მეფე გუბაზი ცხოვრობდა VI საუკუნეში, 554 წელს ის ვერაგულად მოუკლავს რომის იმპერატორ იუსტინიანეს (ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 258).

² ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 420.

³ იქვე.

ურთიერთობის ანარეკლი ქართველებთან (ხეთი, ან ზემო ხეთი, ბაღ-დადი...).

ვახუშტის „აღწერაში“ შეტანილი არ არის გურიის დასახლებულ პუნქტთა ასეთი სახელები: აკეთი, კვირიკეთი, ხვარბეთი, ქანიეთი, ფამფალეთი, ზომლეთი, ჩანჩეთი, მაკვანეთი, ჭიხეთი, ჭურუყვეთი, გოგეთი, ერკეთი, ინტაბუეთი, მეწიეთი, ბასილეთი, კაჭიეთი, ხორეთი, ჭინათი, მამათი, კონჭკათი, ტობათი, ტაბანათი, კანჭათი, ჩიბათი, ჩოჩხათი, კოკათი, ქვაპალათი (ახლა: კვაპალათი), ბურნათი, ნიგოთი, ძიმიტი, ხეთი, ვეიჭვარი, უჩხუბი, დვაბზუ, ბერეკოული, ვარჯანელი, ნიგოზეული, გაგური, ყანაური(ა), მშვიდიბაური, ქანიეთური, მელექედური, გუთური, ჩოხატაური, ჩაიკატაური, ციციბაური, ნიბაური, ბოხვაური, გვიმბრალაური, გოგოური, ვარჯანელი, ნაბოზირი, ნაცხვატევი, ნალობილეთი, ნაღინები, ნაგომარი, ნასაკირალი, ნასათიბვარი (ნასათიბარი), ნაციხვარი (ნაციხარი), გულიანი, ქვიანი, აცანა, მალთაყვა, გომი, გონებისკარი, ურეკი და სხვ., რომელთა დიდი უმეტესობა ძველთაძველია.

ანალოგიური სურათი გვაქვს ქსნისა და ლიხვის ხეობათა აღწერაშიაც. მდინარე ქსანი გამოდის ყელის ტბიდან და ერთვის მტკვარს მარცხნიდან. ქსანი ქმნის თვალწარმტაც ხეობას, რომელიც მუდამ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. ვახუშტის, როგორც ჩანს, ამ ხეობაში დიდხანს უმოგზაურია და ადგილმდებარეობანიც შედარებით უფრო დაწვრილებით აღწერია. ნაჩვენებია აქვს ა) დასახლებული პუნქტები: ოძისი, ბაზალეთი, ქარჩოხი, მუხრანი, ახალგორი (ახლანდელი ლენინგორი), წირქვალი (ახლანდელი წირქოლი), ბოლი, ახალდაბა, ყანჩიეთი (ახლანდელი ყანჩაეთი), საძეგური, ჭურთა, ლარგვისი, ყამური; ბ) მთები: ალევისა, ზებეყურისა, ლომისისა; გ) ხეები და მდინარეები: ქსანი, ცხრაზმის ხევი, ჭურთის ხევი; დ) ციხე-მონასტრები: ხოფა, ხადი, ლომისა, ბერციხე, წინკიბე, ლარგვისი.¹ „აღწერაში“ მოხსენებული არ არის არა მარტო ასეულობით ტერმინი მიკროტოპონიმიკიდან, არამედ ათეულობით უძველესი დასახლებული პუნქტის სახელიც. სახელდობრ: გეზევრეთი, გუდაწვერი, დოჩიანი, გეხავი, დაბაქნეთი, კორინთა, იკოთი, მეტეხი, მუჭუხი, ზოდეხი, სალბიერი, კორა, კორკოხი, ძეგლეთი, ცხავათი და სხვ.

ლიხვის ხეობიდან ნახსენებია: ნაქარმაგვეი (კარალეთი), თედოწმინდა, ვარიანი, ახალდაბა, შერთული, არბო, კულბითი, სნეკვი; საცხენისი, ბულოთი, ვანათი, მელვრეკისი, ნიქოზი, ქციხილვანი (ახლანდელი ცხინვალი), საბაწმინდა, უდაბნო, თამარშენი, აჩაბეთი, თირი,

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი , დისახ. თხზ., გვ. 68—69.

კეხვი, სვერი, ქემერტი, გერი, ითრაფულა, ფაწა, ერწო, ქეშელთა, სხლები, ჯავა, მუგუთი, ტბეთი, დუღეთი. აღწერილია აგრეთვე მთები, ხეხევი, ციხე-მონასტრები.¹

მოსხენებული არ არის დასახლებული პუნქტები: ერგნეთი, ქორდი, ღრე, წერეთი, იკენევი, ღვედრეთი, ხვითი, თერგვისი, ქერე, ქიწინისი, ჩხარაული, დგვრისი, ანძისი და ასეულობით სხვა ტერმინი ადგილობრივი ისტორიული ტოპონიმიკიდან.

ყოველივე ამის მიუხედავად, ვახუშტის ტოპონიმიკური მასალის მნიშვნელობა განუზომლად დიდია². იგი დახმარებას გვიწევს ისტორიული საქართველოს როგორც ძველი გეოგრაფიული ნომენკლატურის სრული სახით გამოსავლინებლად და შესასწავლად. ისე დავიწყებულ დასახლებულ პუნქტთა კოორდინატების სწორად დასადგენად. მართებული ისტორიული რუკის შესადგენად. ვახუშტის აღწერილი აქვს ათეულობით ისეთი დასახლებული ადგილი, რომელიც დღეს ან სულ არ იხსენიება, ან სულ სხვა სახელს ატარებს. მათი ლოკალიზება და სწორი კოორდინატების ჩვენება შესაძლებელია მხოლოდ ვახუშტის „აღწერის“ წყალობით.

ვახუშტის ტოპონიმიკური მასალა ძვირფას ცნობებს გვაწვდის ქართული საგეოგრაფიო ნომენკლატურის წარსული სურათის დასადგენად და სტრუქტურის განვითარების ტენდენციების გასათვალისწინებლად.

§ 56. ტოპონიმიკურ სახელთა აგლუტინაციური წარმოშობა. სიტყვათწარმოება ქართულში, როგორც აღინიშნა (§ 30), საერთოდ აგლუტინაციურია, ამავე ტიპოლოგიისაა ტოპონიმიკურ სახელთა წარმოქმნაც. ცალკე, გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებელ აფიქსებთან ერთად ამავე ფუნქციითაა გამოყენებული სხვა სიტყვათმწარმოებელი აფიქსები. თითქმის ყველა მათგანი პროდუქტულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ ნომენკლატურაში.

ქართული გეოგრაფიული სახელები სხვადასხვა წარმოშობისაა და ყველა მათგანის ეტიმოლოგია ახლა შეუძლებელი ხდება. ძირითადი ნაწილი მიღებულია საგნის, ცნების, ცხოველის, ფრინველის, მცენარის, ადამიანის საკუთარი და გვაროვნული სახელისაგან. ამისთანა სახელი გამოყენებულია ფუძედ, რასაც ერთვის საგანგებო საწარმოებელი აფიქსი. ასეა მიღებული, მაგალითად, ტბეთი, რომელშიაც ტბ ძირია, -ეთ — გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებელი სუფიქსი. მაგრამ გვაქვს სოფელი ტბა-ც, რომელიც უაფიქსოდაც გეოგრაფიულ

¹ ვახუშტი, დასახ. თხზ., გვ. 74—78.

² А. А. Глonti, Топонимические материалы грузинского историка и географа XVIII века В. Багратиони в свете новых записей; «Друга республіки» онмастична народа», Київ, 1962, გვ. 216—219.

პუნქტს აღნიშნავს. ასეთი, სუფთა ძირით წარმოდგენილი, გეოგრაფიული ერთეული ბევრია: ალი, ანდა, არბო, ატოცი, აცანა, აძვი, ახალი, ახო, აჭი, ბაკო, ბაჯი, ბილა, ბოგა, ბორი, გდუ, გერი, გომი, გორი, დერჩი, დიცი, დრე, ზანა, ზოტი, ზუმი, თაგო, თეზი, ინო, ირი, კარბი, კობი, კოკი, კოხი, კურზუ, ლესა, მნა, მუსხი, ნოსტე, ნოლა, ოთა, ონი, საჯა, სკრა, ტამი, ფცა, ქერე, ლუ, შოვი, ცახი, ცლო, ცემი, ძეგვრ, წიფა, ხინო, ხონი, ჯავა, ჯრია...

ტოპონიმიკურ სახელთა წარმოქმნა ქართულში ხორციელდება ან პრეფიქსებითა (ნა-კარ-ი) და სუფიქსებით (კარალ-ეთ-ი), ან პრეფიქს-სუფიქსებით (სა-სირ-ეთ-ი). უფრო გავრცელებული სუფიქსური და პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებაა.

§ 67. ტოპონიმიკურ სახელთა საწარმოებელი აზიძსები.

გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად მოგვეპოვება ცალკე აფიქსები, რომელთა დანიშნულება მხოლოდ ასეთ სიტყვათა წარმოქმნაა. ყველაზე პროდუქტულია -ეთ, -ათ, -ით, სა-ეთ, -ნ, -ან, -სა-ე, სა-ო, სა-ის, სა-ურ, ნა-ეე, ნა-არ, ნა-ურ, -ის, -იან, -ოვან¹ და ა. შ.

1. -ეთ სუფიქსი ძირითადაა, -ათ, -ით (-ოთ, -უთ) — ვარიანტები. -ეთ სახელის ფუძისაგან აწარმოებს როგორც დასახლებული პუნქტის, ისე ტომობრივსა და ეთნიკურ სახელწოდებებს: ბასილ-ეთ-ი, ზორ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი, კვირიკ-ეთ-ი, არად-ეთ-ი, მესხ-ეთ-ი, სევან-ეთ-ი, იმერ-ეთ-ი, აფხაზ-ეთ-ი, ოს-ეთ-ი, ინდო-ეთ-ი, რუს-ეთ-ი...

-ათ: ვან-ათ-ი, ბობოყე-ათ-ი, ზან-ათ-ი, მამ-ათ-ი, ჯუმ-ათ-ი, თეკლ-ათ-ი, კირნ-ათ-ი, კვაჭალ-ათ-ი (|| ქვაჭალ-ათ-ი), ცხავე-ათ-ი, ზარ-ათ-ი, გვამბრ-ათ-ი, ქინძ-ათ-ი, ფერს-ათ-ი, ყორ-ათ-ი...

-ით: ბორ-ით-ი, ბაჯ-ით-ი, ალგ-ით-ი, ზირბ-ით-ი, კვარბ-ით-ი, ისრ-ით-ი, სხლ-ით-ი, ძიმ-ით-ი, ნიგო-ით-ი, ხე-ით-ი, მოლ-ით-ი...

-ოთ: ბობ-ოთ-ი, იკ-ოთ-ი, ქოლ-ოთ-ი, ბელ-ოთ-ი, როფ-ოთ-ი...

-უთ: გეგ-უთ-ი, გოგ-უთ-ი, ახ-უთ-ი, მაგ-უთ-ი, უხ-უთ-ი, შუქრ-უთ-ი, ბუხ-უთ-ი, ქაქ-უთ-ი, წურ-უთ-ი, ხურ-უთ-ი...

-თ(ა) მრავლობითობის სუფიქსი ფუნქციით -ეთ-ის ფარდია, აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს ასეთი ფუძეებისაგან: ბელო — ბელოთი; შდრ.: აზანთა, აკურთა, არუთა, ბალანთა, ბალთა, გურინთა, დუნთა, ვესტომთა, ჩხიკეთა, ქურთა, კორინთა და მისთ.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 137—141. აგრეთვე: ვ. დონდუა, „ლიპარიტეთისა“ და ანალოგიური ფორმის გვარსახელებსისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში, „თსუ შრომები“, XXXIII, 1948, გვ. 133—166; თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმიკის შესწავლისათვის, „ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, II, თბ., 1961, გვ. 127—159.

-ეთ სუფიქსი და აქედან წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელები შესულა რუსულ ენაშიაც. ამის ნიმუშებია: Ос-ет-ия, Ингуш-ет-ия, Сван-ет-ия, Имер-ет-ия...

2. სა-ეთ ისევე აწარმოებს დასახლებული პუნქტებისა და ტომობრივ-ეთნიკურ სახელწოდებებს, როგორც დამოუკიდებლად -ეთ და მისი ვარიანტები: სა-ზელ-ეთ-ი, სა-კვირ-ეთ-ი, სა-ლი-ეთ-ი, სა-მოლ-ეთ-ი, სა-მხრ-ეთ-ი, სა-რკინ-ეთ-ი, სა-ქაშ-ეთ-ი, სა-ქორ-ეთ-ი, სა-ცხენ-ეთ-ი, სა-ბერძნ-ეთ-ი, სა-ფრანგ-ეთ-ი...

3. სა-ე, განკუთვნილება-დანინშულების სახელთა საწარმოებელი აფიქსი, ტოპონიმიკაშიაც იმავე ფუნქციითაა ნახმარი. ბოლოკი: საბოლოკე, ბუ: საბუე, თავი: სათავე, თივა: სათივე, თოვლი: სათოვლე, თხა: სათხე, ირემი: საირმე, კვერი: საკვერე, კირი: საკირე, მშვილდი: სამშვილდე, ყავარი: საყავრე, წირი: საწირე, ჯვარი: საჯვარე...

4. სა-ო ფუნქციით სა-ე-ს ბადალია, აწარმოებს ასეთ ტოპონიმიკურ სახელებს: ჭავახი: საჭავახო, ადამია: საადამიო, ბაქი: საბაქო, ბერი: საბერო, ბექვია: საბექვაიო, ბოკურჩავა: საბოკურჩავო, ბუთბაია: საბუთბაიო, ბუკია: საბუკიო, გარეჯი: საგარეჯო, გურამი: საგურამო, ესებუა: საესებუო, კანაფი: საკანაფო, კერპი: საკერპო, ნავარდი: სანავარდო, ხალვაში: სახალვაშო...

5. სა-ის: ცხენი: საცხენისი, კურთხევა: საკურთხისი, ორბი: საორბისი...

6. სა-ურ: ციხე: საციხური, ძეგვი: საძეგ(ვ)ური, ლიბა: სალიბაური, ჩხე: საჩხეური...

7. -ნ, -ებ მრავლობითის სუფიქსებს გეოგრაფიულ სახელებში დაკარგული აქვთ რიცხვის გაგება. ნიმუშები: ყოყონი, თოთიაურნი, უშარნი, რკონი... ველეზი, ზურზუტები, ვერნები, ვეძები, კურსები, მსხლები, ქარცები, ხიზნები, ბაგები, ბზები...

8. -ებ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს გვარებისაგან. სოფლებს სახელები მიუღიათ იმ გვართა მრავლობითი რიცხვის ფორმისაგან, რომლებიც იქ სახლობდნენ. ასეა მიღებული სოფლის სახელწოდებანი: დუაძეები, ელიძეები, ვანიძეები, ვაშაყმაძეები, იაკობიძეები, ზარიძეები, ზარნაძეები, თაბაგრები, თვაურები, იარაჯულები, ირემაძეები, კახოიანები, კვაიხიძეები, მეკეიძეები, მინდაძეები, ქიძინიძეები, ღორჯომელაძეები, ცივაძეები, ჯაბიძეები, მიგრაიულები, მწითურები, პოპოშვილები, ჩიტაურები, ძებნიაურები, ჭურჭელაურები...

9. -ან (წარმოშობით -იან) სუფიქსით წარმოქმნილი გვაროვნული სახელი შემდეგ იმ დასახლებული პუნქტის სახელწოდებად ქცეულა,

1 ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 80, 138.

სადაც ეს გვარები სახლობდნენ (§ 63, 1, დ). ასეთი სოფლები უფრო კახეთსა და ქართლში გვხვდება. თინიკა: თინიკაანი, მიდელაშვილი: მიდელაანი, ქავთარაძე: ქავთარაანი, მორბედაძე: მორბედაანი, ყიტაშვილი: ყიტაანი, ჭიკაშვილი: ჭიკაანი, მირზაშვილი: მირზაანი, ბაზუაშვილი: ბაზუანი, ბალაშვილი: ბალაანი, ბასიკაშვილი: ბასიკაანი, მალრაძე: მალრაანი...

10. -იან (-ეან) ყოლა-ქონების სუფიქსით წარმოქმნილი ტოპონიმიკური სახელი გვიჩვენებს, რომ იმ ადგილას რაღაც საგანი ყოფილა: დოლიანი ნიშნავს ადგილს, სადაც დოლის პური მოდიოდა. ასეა მიღებული: ვაზიანი (ვაზი), ვერხვიანი (ვერხვი), ფიჭვიანი (ფიჭვი), ქარიანი (ქარი), პანტიანი (პანტა), მუხიანი (მუხა), თელიანი (თელა).

11. -ოვან სუფიქსი ტოპონიმიკურ სახელებში -იან-ის მსგავსადაა გამოყენებული: ბალოვანი, ბაყილოვანი, ვაშლოვანი, თელოვანი, თხილოვანი, ლამოვანი, ტყემლოვანი, წითლოვანი...

12. -(ა)ურ ||-(ა)ულ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელებში ნასესხებია გვარებისაგან (§ 63, 1, გ): ბაღიაური, ბულაჩაური, თოხლიაური, კაკაბაური, კალაური, კანდაური, კობალაური, კოკოტაური, კოლოტაური, კურდღელაური, მაჩიტაური, მახვილაური, მახინჯაური, სილიბაური, ჩიკიტაური...

13. -ეულ ||-იულ (§ 42): ანასეული, ივანეული, დორეული, კიტრიული...

14. -ევ სუფიქსი -ებ-ის ტოლია. ა. შანიძის დაკვირვებით, „გადმონაშთის სახით შემონახულია ევ დაბოლოებიანი მრავლობითიც“.¹ ალევნი (ალევი), აბრევი, აენევი, არცევი, ძეგლევი,² ბეთლევი, ბელლევი, ბობნევი, ბჟინევი, ღვლევი...

15. ნა- ნამყოფობის სუფიქსი ამავე მნიშვნელობით იხმარება ტოპონიმიკაშიაც: ნაგუთნი, ნაკაფი, ნახილი³, ნადარბაზი, ნატეხი⁴...

16. ნა-ევ ||ნა-ებ გვიჩვენებს ნამყოფობას (§ 36): ნაბაკევი, ნატყევი, ნაბახტევი, ნაგარევი, ნაგომევი, ნადარბაზევი, ნაქულბაქევი, ნავენახევი, ნალობილევი, ნალორევი, ნაცხავატევი, ნახახულევი... ნაგუბრები, ნაჯოხრები, ნარუჭები... (ნაოხრები იქნებ ოხრება და ნარუჭები რუჭება -საგან იყოს წარმომდგარი).

17. ნა-არ (||-ალ) ფარღია ნა-ევ-ისა,⁵ ისიც ნამყოფობას აღნიშ-

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 138.

² ჩენი: ტოპონიმიკური მასალები, „ციხნვალის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, II, 1955, გვ. 266.

³ იქვე.

⁴ მის. ჩიქოვანი, ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით, „ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, VII, 1949, გვ. 236.

⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 134—136.

ნავს და აწარმოებს ასეთ საგეოგრაფიო სახელებს: ნადუქნარი, ნაკლოვარი, ნადიკ(ვ)არი, ნასომხარი, ნატახტარი, ნაფილნარი, ნალომარი, ნაგომარი, ნაწისქვილარი, ნაენდროვალი, ნასაკირალი, ნასამხრალი...
 ა. შანიძის თანახმად, „ნა-ურ-იც გვხვდება ერთ გეოგრაფიულ სახელში ნა-არ-ის ნაცვლად: ნა-დაბ-ურ-ი. ეს ურ ხელმეორედ არის დართული ევ-ზე მეორე გეოგრაფიულ სახელში: ნა-ტბ-ე(ვ)-ურ-ი (ნა-ტბ-ე(ვ)-ურ-ა)“¹.

18. -ის(ა), ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, როგორც ითქვა, გამოყენებულია დერივატადაც (§ 34, 1). პირველ რიგში -ის გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელია: თბილისი, შინდისი, რუისი, ურბნისი, ფრისი, დგვრისი, ოძისი, ანძისი, დელისი, გულისი, ფხვენისი... ელისა, ლომისა, ქვაისა...

19. -ერ ||-იერ დადასტურებულია ლეჩხუმის ტოპონიმიკაში: ჩაიდ-ერ-ი, ცხუკუშ-ერ-ი, ცაგ-ერი (სვ. ცაგ—ეკალი?), იუნდ-ერ-ი, ისუნდ-ერ-ი, წუნდ-ერ-ი, უცხანდ-ერ-ი, ყელ-იერ-ი, წალამ-იერ-ი²...

20. -ოურ || -ოულ ლეჩხუმურში „ადგილის რაგვარობას, რისამე ნამყოფობას, ნაქონობას მიუთითებს“: მონ-ოურ-ი, ციციდ-ოურ-ი, გომ-ოურ-ი, ჩხეტ-ოურ-ი, ჰინკრ-ოულ-ი, ხორგ-ოულ-ი³...

21. ო- (ქართ. ხა-), ო-ე, ო-ეშ, ო-ურ (ქართ. ხა-ო, ხა-ე, ხა-ურ) მეგრული წარმოშობის აფიქსებია, რომელნიც გამოყენებულია ტოპონიმიკურ სახელთა მაწარმოებლად. ო-: ოკრიბა, ოჯოლა, ოტორონჯია, ოხოჯა, ოხური (მდინარე ვალის რ.), ოფიტარა⁴. ო-ე: ორაგვე, ოკვიწორე, ოცარცე, ოჭუბურე, ოხარკალე (მდინარე ზუგდიდის რ.), ოფუჯე, ოჭაკე (მთები ვალის რ.), ოგუგულე (ტყე სოფ. აგუბელიაში, ოჩამჩირის რ.)... ო-ეშ: ოყურეში, ომენჩქეში (სამაჩვე, ადგილი გეგეჰკორის რ.), ოტორონჯეში (სამტრედე, ადგილი სოფ. ნაქიფუში, წალენჯიხის რ.), ორეკეში (ადგილი სოფ. შხეფში, ცხაკაის რ.), ოჩვამეში (ადგილი ნაქალაქეში, ცხაკაის რ.), ოყარყალეში (ადგილი სოფ. ლეძაძამეში, ცხაკაის რ.)... ო-ურ: ოჩხამური, ოჩხომური, ოხოჭური (ადგილი სოფ. მიქევაში, წალენჯიხის რ.)...

22. ნა-ეშ; -აშ ||-ეშ || -იშ აგრეთვე მეგრული წარმოშობის აფიქსებია. ნა-ეშ: ნაყურალეში, ნაკარეში⁵... -აშ: მახაში, ფინცაში, ცულა-ში, მერულაში, არნაში⁶... -ეშ: ჩიხეში, გუნამეში, ციგულეში, ჩოლ-

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 136.
² მიხ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 235.
³ იქვე.
⁴ იქვე, გვ. 238.
⁵ იქვე.

ხეში...¹ -იშ: ტვიში, კუვიში, ბორგოშ (ადგილი ადიშში, მესტიის რ.), ლაყმედიშ (ტყე ლენჯერში, მესტიის რ.)... -აშ || -ეშ ხშირია სევანურ ტოპონიმიკაშიაც: -აშ || -ვშ: ბალშ (ადგილი მაზერში, მესტიის რ.), ბაჩშ (ადგილი ლენჯერში), ბოგრეში (სოფელი მესტიის რ.), გელშ (ადგილი ლატალში, მესტიის რ.), გოლშ (ადგილი იქვე), დალბეშ (ადგილი ადიშში, მესტიის რ.), კოლაში, ზარდლაში, ცალდაში, კიხხულდაში, ხერხვაში (სოფლები მესტიის რ.)...

23. ლე-ე, სევანური წარმოშობის აფიქსი, ხშირად გვხვდება არა მარტო სევანური, არამედ სევანურ-მეგრულ-ქართული ტოპონიმიკური სახელების საწარმოებლად². მაგალითები: ლებაჩე, ლეახალე, ლებალათურე, ლეგახარე, ლეგოგე, ლეგულორდავე, ლედარსალე, ლედგებე, ლებარდე, ლევახანე, ლეკაკულე, ლეკეკელე, ლეკეანტალე, ლეკოკიე, ლეპატარავე, ლესალე, ლესაჯაიე, ლესიჭინე, ლეწურწუმე, ლეხარჩილე... ლე-თია წარმოქმნილი: ლენტეხი, ლეჩხუმი, ლეზგარა, ლეკალმახი, ლეკუხონა, ლემსია, ლესინდი, ლეუშერი, ლეშქედა, ლეშუქვი, ლეწყერი, ლეფურა, ლემუში და მისთ.

სევანური წარმოშობისაა აგრეთვე გეოგრაფიული სახელები ა) ლა-აშ: ლაილაში, ლაჭებაში, ლავალიაში³... ბ) ლა-იშ: ლანჯეიში... გ) ლა-არ (|| -ალ): ლახარჩვალი, ლახარი, ლარჩვალი... დ) ლა-ან: ლაქეკვანა⁴...

სევანური გეოგრაფიული სახელების დიდი ნაწილი წარმოქმნილია -არ || -ვარ სუფიქსით: ცალანარი, ნაკიფარი, იფრარი, კვანჭიანარი, სიდიანარი, ხოსვარარი... ბავდანარ, ბულუნდნარ (ადგილი იფარში, მესტიის რ.), ზავგარ (ადგილი მულახში), ზავგარ (სოფელი მესტიის რ.) და მისთ. ქართული -არ სუფიქსი მცენარეთა კრებულს აწარმოებს წ-ს მიმატებით (თხილ-წ-არ-ი) და ამ გზით მიღებულია გეოგრაფიული სახელებიც: მუხნარი (= მუხრანი, გაღასმით), კოპიტნარი, წიფ(ლ)ნარი და მისთ.

ქართული გეოგრაფიული სახელების ძირითადი ტიპები პირველად დაადგინა ა. შანიძემ⁵. აქ ეს ტიპები წარმოდგენილია გავრცობილი სახით.

§ 88. კომპოზიტური ტოპონიმიკური სახელები. ქართული ტოპონიმიკური სახელები მრავალგვარი წარმოშობისაა და ერთურობისა-

¹ მის. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

² А. Цагарели, Мингрельские этюды, II, СПб., 1880, გვ. 50—51; Н. Кипшидзе, Грам. мингр. яз., გვ. 0128; გ. კაკარავეა, ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების აგებულებისათვის ქართველურ ენებში, „ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, 15, 1960, გვ. 220—221.

³ მის. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 240.

⁴ იქვე, გვ. 240—241.

⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 137—141.

გან არა მარტო შინაარსით, არამედ, რაც მთავარია, სტრუქტურითაც სხვაგვარად. მნიშვნელოვანი ნაწილი ტოპონიმიკური სახელებისა, როგორც ვნახეთ, წარმოქმნილია, ერთი წყება — კომპოზიტური ტიპისაა. კომპოზიტურ გეოგრაფიულ სახელებში გვაქვს ორი წევრი (იშვიათად სამი) მსაზღვრელ-საზღვრულის სახით. გამოიყოფა შემდეგი ტიპები¹:

1. სახელობითში შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული: ახალი ათონი, ახალი კადუეთი, ახალი მარაბდა, მალალი ეწერი, დიდი ატენი, დიდი ბეკამი, დიდი გორიჯვარი, დიდი ლილო... ან: ახალციხე, ახალდაბა, ავქალა, ახალუბანი, ახალშენი, ახალწყარო, დიდმუხა...

2. მართული მსაზღვრელი და საზღვრული: ა) მხოლოდითში: აბა-შისპირი, აბისისთავი, არდისუბანი, არხილოსკალო, ახშისველები, ვაიჯვარი, მეჯვრისხევი (— მეჯუღისხევი), ბეტისჩრდილი, ბარისახო, უფლისციხე... ბ) მრავლობითში: ბაკანათხევი, ბაკურათბლები, ბან-ცურთკარი, ბარნაბიანთკარი, ბიჩინგაურთკარი, თელათგორი...

3. ხმოვანფუძიანი ადიექტივი და სახელობითში დასმული სუბსტანტივი: ასკლადელე, გუნდახევი, თელაწყალი, კობტაწყარო...

4. მდინარეთა, წყაროთა, ტბათა და ხევთა კომპოზიტური სახელების მეორე კომპონენტად, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია წყალი, წყარო, ტბა, ხევი: აქის წყალი, ცხენის წყალი, არმაზის წყალი, ბერძნის წყარო, თეთრი წყარო, წითელი წყარო, ცხრაწყარო, გური(ი)სტბა, ერწოს ტბა, ყელის ტბა, ვეძისხევი, ბიჭათხევი, კავთისხევი...

5. ადგილისა და მთების კომპოზიტურ სახელთა მეორე კომპონენტად გვაქვს მიწა, მთა, ქედი, ველი, ახო, ტყე, მზვარე, წმინდა, ჩირდილი. ა) მიწა: წითელი მიწა, გოგლას მიწა... ბ) მთა: გომის მთა, იკოთის მთა, ტაბაწყურის მთა... გ) ქედი: სურამის ქედი, ვანის ქედი, ალგეის ქედი... დ) ველი: პატარა ველი, დიდველი... ე) ახო: ბარისახო, მილათახო... ვ) ტყე: მონასტრის ტყე, გურისტყე, პანტიანის ტყე... ზ) წმინდა: მთაწმინდა, გიორგიწმინდა, ანდრიაწმინდა... ც) მზვარე: საყდრის მზვარე, ძეგლვეის მზვარე... თ) ჩირდილი: საღორის ჩირდილი, საყდრის ჩირდილი...

6. დასახლებული ადგილების კომპოზიტურ სახელთა მეორე კომპონენტად გვაქვს კარი, უბანი, ციხე, ჭვარი, ფერდი, თავი, ან მათ წინ ერთვის ზემო, ქვემო, გაღმა, გამოღმა, ზედა, ქვედა, დიდი, პატარა, შუა და ა. შ.

ა) კარი: ბაკურათკარი, გონებისკარი, ბზიკურთკარი... ბ) უბანი:

¹ ჩუენი: ტოპონიმიკური მასალები, „შრომები“, II, 1955, გვ. 265—266.

ვარდისუბანი, გაგლუანთუბანი, გუდათუბანი... გ) ციხე: უფლისციხე, დაბლაციხე, ბულბულის ციხე... დ) ჭვარი: გორისჭვარი, კეხიჭვარი, მკადიჭვარი... ე) ფერდი: გორისფერდი, ციხისფერდი... ვ) თავი: ხიდისთავი, კუროსთავი, რუსთავი... ზ) ზემო: ზემო ხეთი, ზემო ხეთი, ზემო ფარცხმა... ლ) ქვემო: ქვემო ჭალა, ქვემო ჭყვიში, ქვემო სობისი... მ) ზედა: ზედა აგარა, ზედა გორდი, ზედაველი... ი) ქვედა: ქვედა ძიმიტი, ქვედა სიმონეთი, ქვედა ონჭეიში... ია) გაღმა: გაღმა დვებზუ, გაღმა ბოსლევითი, გაღმა ზანათი... იბ) გამოღმა: გამოღმა ბოსლევითი, გამოღმა კოდორი, გამოღმა ნოლა... იგ) დიდი: დიდი ირაგა, დიდი ლილო, დიდი ნეძი... იდ) პატარა: პატარა ლეზი, პატარა ჩორჯო, პატარა ცემი... იე) შუა: შუა ალევითი, შუამთა, შუაფხო...

აქ დასახელებულია კომპოზიტური ტიპის ტოპონიმიკურ სახელთა ძირითადი ტიპები. გვხვდება კიდევ სხვაგვარი ნიმუშებიც, რომელთა შეჭერება ხელს შეუწყობს წარმოდგენილი სქემის დაზუსტებას.

ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა უ ი ა

§ 69. **ქართული ლექსიკოგრაფიის სათავეები.** ლექსიკოგრაფიული მუშაობა საქართველოში მწიგნობრობის წარმოქმნისთანავე დაწყებულია. ამას, უწინარეს ყოვლისა, მოწმობს უძველესი ხელნაწერი ძეგლები (ორიგინალური და ნათარგმნი), რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს თან ახლავს სქოლიო-შეისწავე -შეგონებანი, ამა თუ იმ სიტყვების განმარტებას რომ წარმოადგენს. სქოლიო-შეისწავე ადვილებდა .ართული ტექსტის გაგება-შესწავლას, ამასთან, აღვივებდა და აცხოველებდა ლექსიკოგრაფიულ მუშაობასაც. სხვანაირად არც შეიძლებოდა. იმის გამო, რომ მწიგნობრობის სხვადასხვა ცენტრებში ნაირი ტერმინოლოგია იყო მიღებული და თანაც მწერლობას სათავეში სხვადასხვა კილო-თქმებზე მოლაპარაკე პირები ედგნენ, დღის წესრიგში დაისვა პრაქტიკული შინაარსის ამოცანა: თხზულებანი გასაგებად, მკითხველთა ხელმისაწვდომად გამართულიყო.

თავდაპირველი ლექსიკოგრაფიული მუშაობის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ეფთჳმე მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, იოვანე პეტრიწს, იოვანე სინაელს (ზოსიმეს), გიორგი მთაწმიდელსა და სხვებს. უეჭველად ამ დიდ საქმიანობასაც გულისხმობდა ეფთჳმეს ბიოგრაფოსი გიორგი მთაწმიდელი, როცა ამბობდა: „ნეტარი ეფთჳმე, რომლისა -იგი სახელი ოდენ კმა არს სათნოებათა მისთა სიმაღლისა გამოჩინებად, რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესაეისა ჩუენისა და მობაძვად წმიდათა მოციქულთა, განანათლა ქართველთა ენაჲ და ქუეყანაჲ. რამეთუ, ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, ამის ღირსისა მოღუაწებითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებელად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა, რომლისა -იგი ნამუშავეი ახარებს შორიელთა და მახლობელთა, და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებაჲ, ვითარცა ნესტუ ოქროსაჲ კმა-მაღალი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა, რამეთუ ბალაჳვარი და

აბუეურაჲ და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძულად“.¹

საკმარისია, თვალი გადავაგლოთ ხსენებულ ავტორთა თხზულებების უძველეს ხელნაწერებს, რომ დავრწმუნდეთ მათს ლექსიკოგრაფიულ განსწავლულობაში. ეფრემ მცირისა და იოვანე პეტრიწის თარგმანები და ორიგინალური თხზულებანი ქართული ენის ლექსიკაზე შემოქმედებითად მუშაობის ნიმუშს წარმოადგენს. ეს თხზულებანი ერთგვარი ლექსიკოგრაფიული ცნობარებიცაა, რომლებიც საესეა ახალი ტერმინოლოგიით, ცოცხალი ნეოლოგიზმებით. პროკლეს „კავშირისი“ პეტრიწისეული კომენტარები (განმარტებანი) ლექსიკოგრაფიული თხზულებაცაა, ამ სიტყვის სპეციფიკური გაგებით. იოვანე პეტრიწი კარგად იცნობდა ქართული ენის გრამატიკულ სტრუქტურასა და ლექსიკას, მას შეთვისებული ჰქონდა ქართული სიტყვათწარმოების სისტემა და ცდილობდა ენის გამდიდრებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით. მართალია, პეტრიწისეული ნეოლოგიზმების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით მიმღეობანი,² დავიწყებას მიეცა და არც აისახა ისტორიულ ლექსიკონებში, მაგრამ ზოგი მათგანი მაინც შემოგვრჩა და შემოენახა შთამომავლობას.

მწიგნობრობის განვითარება ორგანულად აპირობებდა ლექსიკოგრაფიული მუშაობის აუცილებლობას. უამისოდ გაძნელებოდა მთარგმნელობა. მთარგმნელობის გაფართოება კი მწვავედ აყენებდა განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონების შედგენის საკითხს. ყოველ მთარგმნელსა და გადამნუსხავსაც კი საფუძვლიანად უნდა სცოდნოდა ქართული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოების მიღებული წესები ისევე, როგორც ყოველივე ამის ცოდნა მოეთხოვებოდა ორიგინალური თხზულებების ავტორებს. ამიტომ ქ ა რ თ უ ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა ფ ი ის ს ა თ ა ვ ე ე ბ ი ც რ ე ე ნ უ ნ დ ა ვ ე ძ ე ბ ო თ ძ ე ლ მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ე ბ თ ა ნ . პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ლ ე ქ ს ი კ ო გ რ ა ფ ო ს ი , ა მ ს ი ტ ყ ვ ი ს ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ი თ , უ დ ა ვ ო დ პ ი რ ვ ე ლ ი ა ვ ტ ო რ - მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო . მ ა თ ი ს ქ ო ლ ი ო - შ ე ი ს წ ა ვ ე ე ბ ი და სხვა შენიშვნები ძვირფას ლექსიკოგრაფიულ ცნობებს გვაწოდის.³

¹ გ. მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, ი. ჟავახიშვილისისა და ა. შანიძის რედ., თბ., 1946, გვ. 15.

² ნ. კეკელიძე, იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის, „თბილისის სახ. უნივერსიტ. შრომები“, 51, 1953, გვ. 243—256.

³ ჩვენს წარსულის მკვლევარებს ამის არა ერთი და ორი საგულისხმო ფაქტი გამოუქვეყნებიათ. უკანასკნელ ხანებში ამ გარემოებას ზედმიწევნით სწავლობს პროფ. ილ. აბულაძე („საქმე მოციქულთა“, ილ. აბულაძის გამოც., ა. შანიძის რედ., თბ.,

მრავალრიცხოვანი სქოლიო-შეისწავესაგან აქ მხოლოდ ორიოდ მაგალითს გავიხსენებთ. ერთ ხელნაწერზე, რომელიც XII საუკუნეშია გადაწერილი, ტერმინი გრამატიკოსის შესახებ გაკეთებულია ასეთი სქოლიო: „ღრამმა წერილად გამოითარგმანების, ხოლო ტიკოსი — დამდნობელად; რათა რაქამს სთქვა „ღრამმატიკოსი“, უწყოდე, ვითარმედ დამდნობელსა იტყვ წერილისასა, ესე იგი არს, რომელი დაქსნის სიმყვრტესა სიტ(ყუ)ათა სიღრმით შეყინებულთასა“,¹ რ. ბლეჯკს დამოწმებული აქვს იმავე ეფრემ მცირის მეორე შენიშვნა, რომელიც გვხვდება „სამოციქულოს თარგმანების“ ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში: „ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყვაჲ მრავალსა პირსა აღიარებს. და უპირატესად ყოვლისა მას ადგილსა ზედა მიწვევით გამოიკულებეს წმიდაჲ იოვანე ოქროპირი და განცხადებულად უშტუშლ ჰყოფს ვითარებასა მისსა. ამა ესე ვითართა ღრმათა ადგილთა, სადაცა უკმდა შეცვალებად და სხუტბრ ცვალებად სიტყუასა სამოციქულოსა ქართულსა, რომელი მაშინ-ღა ძლით გულისკმა იყოფებოდა. ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგოდენნივე ლექსიკონნი (ესე არს ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა განწყობილნი სიტყუანი) ერთად შემოვკრიბნი, მაშინ-ღა ძლით მოუპოჲ ქართული მსგავსებული სიტყუაჲ.“²

ავტორი აქ პირდაპირ მიუთითებს ლექსიკოგრაფიული მუშაობის აუცილებლობაზე, „ღრმათა წიგნურთა სიტყუათა“ ქართული შემსგავსებით“ განმარტებაზე, რასაც უხვად ვპოულობთ მის ნაღვაწში, ძველი ქართველი მწიგნობრები (ავტორები, მთარგმნელები, გადამნუსხანნი) არა თუ ეწეოდნენ ლექსიკოგრაფიულ მუშაობას, არამედ უცხოური ენებიდან უშუალოდ თარგმნიდნენ „ძნელოანთა სიტყუათა“ ლექსიკონებსაც. 1184 წელს გადაწერილ ერთ ხელნაწერ კრებულში შეტანილია კირილე ალექსანდრიელის (გარდაიცვალა 444 წ.) ლექსიკონი („ლექსი მათეს თავისა სახარებისა ძნელოვანთა სიტყუათა განმარტებაჲ ლექსიკონი“), რომელშიაც განმარტებულია 92 უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელი³. ბუნებრივია, ეს და მსგავსი ლექ-

1950, გვ. 207; ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართულისა და სომხურის საერთო სიტყვები, „ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები“, I, თბ., 1954, გვ. 1—9; ი. მ ო ს ხ ი, ლიმონარი, ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამომც., თბ., 1960, გვ. 012—015).

¹ თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, თბ., 1892, გვ. 219.

² რ. ბ ლ ე ა კ ი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, „მიმომხილველი“, I, თბ., 1926, გვ. 161—162.

³ A 65, გვ. 340—349; ჩვენი: კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონი, „ნ. ბართაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, II, 1947, გვ. 170—177; ან ჩვენივე: ნარკვევები, I, 1955, გვ. 104—112.

სიკონები, რომლებიც კიდევ მიუკვლეველია, მთარგმნელ-გადამწერ-
თა ერთგვარი სახელმძღვანელო იქნებოდა.

მაგრამ მთარგმნელი მაინც მთარგმნელია და არა ლექსიკოგრაფო-
სი. ლექსიკოგრაფია მისთვის დამხმარეა და არა მთავარი. პროფესიუ-
ლი ლექსიკოგრაფია საქართველოში უფრო გვიან შეიქმნა.

XVI—XVII საუკუნეებში ჩნდებიან პირველი ქართველი ლექსი-
კოგრაფოსები, რომელთა სახელებთან უშუალოდაა დაკავშირებული
ქართული ორიგინალური ლექსიკოგრაფიის განვითარება.

§ 70. პირველი ლექსიკონები. პირველი ლექსიკონები ჩვენში
შეუღდგენიათ XVII—XVIII საუკუნეებში. ამ მხრით, უწინარეს ყოვლისა,
აღსანიშნავია ნიკიფორე ჩოლოყაშვილის, ფარსადან გორგიჯანიძის,
ვახტანგ მეექვსისა და, რაც მთავარია, საბა ორბელიანის უდიდესი
ღვაწლი.

ქართულ ლექსიკოგრაფიაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანი-
ლი ნიკიფორე ირუბაქის ძე ჩოლოყაშვილს (ირბახს). მან სტეფანე პა-
ულონთან ერთად პირველმა შეადგინა და 1629 წელს გამოსცა რომში—
„ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. ნიკიფორე ირბახი ფართო განათ-
ლების მქონე, მრავალი ენის მცოდნე მწიგნობარი, ლექსიკოგრაფოსი,
თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი ყოფილა.¹ მან დი-
დი შრომა გასწია პირველი ქართული სტამბის მოსაწყობად რომში,
სადაც კიდევ გამოსცა ხსენებული ლექსიკონი. მ. თამარაშვილის ცნო-
ბით, ნიკიფორემ „საკმაოდ შეისწავლა იტალიური ენა და მასთანვე ცოტა
ქართულიც ასწავლა სტეფანე პაულინას, რომელმაც ნიკიფორესთან
ერთად შრომა მიიღო ამ ლექსიკონის გამოცემისათვის“².

ნიკიფორეს სხვა ნაშრომებს, სამწუხაროდ, ჩვენამდის არ მოუ-
ღწევია. ხსენებულ ლექსიკონს კი დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნე-
ლობა აქვს, როგორც არამართო პირველ ქართულ-იტალიურ ლექსი-
კონს, არამედ როგორც პ ი რ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ ნ ა ბ ე ქ დ წ ი გ ნ ს.
მასში მრავალ შეცდომასა და შეუსაბამობას ვპოულობთ. ბევრი ქართული
სიტყვა ისე დამახინჯებულადაა დაბეჭდილი, რომ გაგება ძნელ-
დება. ზოგი ბერძნული და სხვა უცხოური სიტყვა მიჩნეულია ქართუ-
ლად, ბლომადაა კორექტურული შეცდომებიც. ლექსიკური მასალა
ანბანზე არ არის გაწყობილი და სხვ., მაგრამ მისი ისტორიული ღირე-
ბულება მაინც დღია³.

¹ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ.,
1902, გვ. 92—125; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საისტორიო მასალანი, „ძველი საქართვე-
ლო“, II, თბ., 1911—1913, განყ. III, გვ. 33; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ნიკიფორე ირბა-
ხი — ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში, „ეტიუდები“, II, თბ.,
1954, გვ. 292—313; ჩენი: ნარკვევები, I, 1955, გვ. 68.

² მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. თხზ., გვ. 95.

³ საინტერესოა, რომ ლენინგრადის ყოფ. სააზიო მუზეუმის (ИВ АН СССР) ხელნა-

ფარსადან გორგიჯანიძე საბა ორბელიანის უფროსი თანამედროვეა. იგი 1626 წელსა¹ დაბადებული და ჩვენში უფრო ისტორიკოსადაა ცნობილი. მისი საისტორიო ნაშრომები განხილული აქვთ მ. ბროსეს², ი. ჯავახიშვილის³, ს. კაკაბაძეს.⁴ აქედან ი. ჯავახიშვილის ნაშრომი საგანგებო მონოგრაფიაა ფარსადანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ფ. გორგიჯანიძეს შეუდგენია ლექსიკოგრაფიული შრომაც „ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი“, რომელიც ორჯერაა გამოცემული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ნუსხების მიხედვით. პირველად ის გამოსცა მ. ჯანაშვილმა⁵, მეორედ — ვ. ფუთურიძემ.⁶ უკანასკნელი გამოცემა შესრულებულია მეცნიერული კეთილსინდისიერებით და სრულ წარმოდგენას გვაძლევს მის უშუალო წყაროთა შესახებ.

თავისი შინაარსით ლექსიკონი პოლიგლოტურია. ასეთი ლექსიკონის შედგენა, უეჭველია, პრაქტიკულმა საჭიროებამ გამოიწვია. ქართულ ენაში უხვად იყო შემოჭრილი არაბული და სპარსული ლექსიკა, რომელიც სათანადო ცოდნასა და ახსნა-განმარტებას მოითხოვდა. ფარსადანს უკისრია ამ პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა. სიტყვარი მას შეუდგენია არა რაიმე გარკვეული სისტემის მიხედვით, არამედ იმის თანახმად, თუ როგორ შეხვედრია ცალკეული სიტყვა. ნაშრომის დასაწყისში ავტორი კიდევ წერს: „დიდება დიდებულსა, არვისგან გადიდებულსა, ვსთხოვე ძალი და შეწევნა მძლეთა მძლესა მე, ცოდვილმან და უღირსმან ფარსადან გორგიჯანიძემ, რომ არაბული და სპარსული და ქართული სიტყვანი და სახელნი, თუ რომელსა რა ჰქვიან, შესწრე-

წერებში ინახება ბროსეს მიერ გამოკრებილი „ანბანური ლექსიკონი ქართ. და ფრანგ. ენასა ზედა“, შეთხზული პაულინის მიერ ირბაქის შეწევნასა თანა, პარიზს, 1827“ (E 141). ჩანს, მასალა ბროსეს ამოუყრებია ი რ ბ ა ხ - პ ა უ ლ ი ნ ი ს ა და კ ლ ა პ რ ო თ ი ს ლექსიკონებიდან. მასალა შეცდომებსა და დამახინჯებებს შეიცავს.

¹ ბ რ ო ს ე, II, გვ. 509; ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 285; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტორიო მოამბე, II, თბ., 1925, გვ. 198; ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ი ს რ ე დ., თბ., 1941, წინასიტყვაობა.

² ბ რ ო ს ე, იქვე, გვ. 509 და შემდ.

³ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 284—298; შ რ დ.: ვ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание рукописей, I, გვ. 351, 375.

⁴ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, იქვე, გვ. 198 და სხვ.

⁵ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი, თბ., 1896, გვ. 29—72.

⁶ ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ი ს გ ა მ ო ც., თბ., 1941.

ბით ამაში დაეწერო.“¹ იგი არაფერს გვეუბნება განმარტებებზე, ლაპარაკობს მხოლოდ „სიტყვათა და სახელთა“ შესახებ, „თუ რომელსა რა ჰქვიან“. ასეთი სიტყვარი თარგმნითა და არა განმარტებითი.

ლექსიკონი ანბანზე არ არის დალაგებული. იწყება ასე: ღმერთი, მასწავლებელი, ცო, მიწა, სადგომი, ჯოჯოხეთი, სამოთხე, საიქიო და ა. შ. თითოეულ სიტყვას მიწერილი აქვს არაბული და სპარსული შესატყვისები. სიტყვარის პრიმიტიული სტრუქტურა ასახავს ლექსიკოგრაფიის იმდროინდელ (XVII ს. პირველი ნახევარი) დონეს.

ვახტანგ შეექვსეს ქართულ ლექსიკოგრაფიაში საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს. მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგი საბას მოწაფე იყო, იგი ჩვენ მაინც საბამელ ლექსიკოგრაფოსთა შორის უნდა მოვიხსენიოთ. ჯერ ერთი, ეს იმიტომ, რომ „ვეფხისტყაოსნის თარგმანი“ ვახტანგმა შეადგინა 1709—1712 წლებში, როცა საბას ლექსიკონის ავტოგრაფული რედაქცია დიდი ხნის წინათ იყო დამთავრებული, მაგრამ მას მომხმარებელთა მეტად მტირე წრე იცნობდა. მეორე მხრით, ვახტანგის ლექსიკოგრაფიული ნაშრომი უკვე 1712 წელს დაიბეჭდა, ხოლო საბას ლექსიკონს კი ავტორის გარდაცვალებიდან მხოლოდ 160 წლის შემდეგ ელირსა ბექდურად გამოცემა. ამიტომ ვახტანგის „ვეფხისტყაოსნის თარგმანი“ პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ბექდური ლექსიკოგრაფიული შრომაა.

ვახტანგს, რა თქმა უნდა, განმარტებითი ლექსიკონი არ შეუდგენია და ასეთი მიზანი მას არც ჰქონია. მაგრამ თავის „თარგმანში“, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარს წარმოადგენს, მოცემული აქვს 650-ამდის ძნელად გასაგები სიტყვის განმარტება. უნდა ითქვას, რომ ვახტანგის განმარტებანი საბას განმარტებებს არა თუ ჩამოუყარდება, ზოგი მათგანი, თავისი მოკვეთილობითა და სიზუსტით, საბას მსგავსია, უტოლდება მას.

ვახტანგის ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობის მკვლევარი პროფ. ა. შანიძე ამბობს: „ლექსიკონი იმ სახით, როგორც ეს ამჟამად გვესმის, ვახტანგს ვეფხისტყაოსნისთვის არ გაუყუთებია, მაგრამ თავის „თარგმანში“ შეუტანია პოემის მრავალი ძნელად გასაგები სიტყვის ახსნა-განმარტება. ეს ახსნა-განმარტება სიტყვებისა წარმოადგენს ცდას სპეციალური ლექსიკონის შედგენისას. ეს ცდა, უთუოდ, მეტად მნიშვნელოვანია თავისი შედეგით. მართალია, ვახტანგი თავის ლექსიკონს ანბანზე არ ალაგებს, მაგრამ ეს მხოლოდ ტექნიკური ნაკლია... მთავარია გაუგებარისა ან ძნელად გასაგები სიტყვების ახსნა. აქ კი ძირითადად ვახ-

¹ ფ. გორგიჯანიძე, ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, ვ. ფ. უ. თ. უ. რ. ი. ძის გამოც., თბ., 1941, წინასიტყვაობა.

ტანგი მოპრევია მძიმე საქმეს... ბევრი სიტყვა ვახტანგს ჩინებულად აქვს ახსნილი“.¹

პროფ. ა. შანიძემ, რომელმაც აღადგინა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა (1712 წლისა), რედაქტორის „თარგმანში“ გაბნეული ლექსიკოგრაფიული მასალა ცალკე, ანბანზე დალაგა და თანაც ვახტანგის ახსნა-განმარტებანი შეადარა საბას ნაშრომს. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა, სათანადოდ შევაფასოთ ვახტანგის ლექსიკოგრაფიული მუშაობის შედეგი.²

ვახტანგს დიდი შრომა გაუწევია არა მარტოდენ „ვეფხისტყაოსნის თარგმანზე“, არამედ შეუდგენია სხვა ლექსიკოგრაფიული შრომებიც. მის მიერ სპარსულიდან ნათარგმნ ულულ-ბეგის ერთ ასტრონომიულ ნაშრომს („ზიჯი“) თან ერთვის სპარსულ-ქართული ლექსიკონი³. ასევე ვახტანგის ლექსიკოგრაფიული შრომის შედეგებს ჩვენ ვპოულობთ „ქილილა და დამანას“ თარგმანში⁴ და სხვ.

ამრიგად, ვახტანგ მეექვსეს ჩვენთვის არა მარტოდენ ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის თხზულებები დაუტოვებია, არამედ მას დარჩენია მდიდარი ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობაც. ვახტანგის ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებს მძლავრად ამჩნევია საბას გავლენა. სხვანაირად არც შეიძლებოდა. საბა მისი არა უბრალოდ აღმზრდელი, დიდი მასწავლებელიც იყო.

§ 71. საბა ორბელიანის „სიტყვის ძონა“. სულხან-საბა ორბელიანის (1658—1725) „სიტყვის კონა“ პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონია, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ჩვენს ლექსიკოგრაფიაში. „სიტყვის კონის“, ან როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ „ქართული ლექსიკონის“, ახლო შესწავლა და შედარება იმდროინდელ წყაროებთან გვარწმუნებს, რომ საბა ორბელიანს, მართლაც, „ფრიადი შრომა“ გაუწევია მის გაწყობაზე. ლექსიკონში შეტანილი ყოველი სიტყვა სიფრთხილითაა ამონარდი წყაროებიდან, საკმარის მათგანს მი-

¹ შ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ., თბ., 1937, რედაქტორის „დამატებანი“, გვ. 367.

² იქვე, გვ. 367—387.

³ გ. მარტი, ულულ-ბეგის ზიჯის ვახტანგისეული თარგმანი სპარსულ-ქართული ლექსიკონით, „სპარსულ-ქართული ცდანი“, I, ლენ., 1926, გვ. 1—53; შდრ.: ა. შანიძე, იქვე, გვ. 367. აგრეთვე: ქ. დონდუა, პიდააათ ილ-ნუჯუმი და საიმიხო სპარსულ-ქართული ლექსიკონი, „სპარსულ-ქართული ცდანი“, I, ლენ., 1926, გვ. 54—91.

⁴ ქილილა და დამანა, იგავ-არაკები, აღ. ბარამიძისა და პ. ივგოროვი-ვასრედ., თბ., 1949; ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II₁, II₂, აღ. ბარამიძისა და ვ. მეტრეველის რედ., ქილილა და დამანა, საბასეული რედაქცია (ვახტანგ VI-ის თარგმანი), თბ., 1962.

თითებული აქვს წყაროც, ერთი ნაწილი ლექსიკური ერთეულებისა კი წყაროს უჩვენებლად აღბეჭდილი. უწყაროდ საბას არც ერთი სიტყვა არ შემოუტანია ლექსიკონში, მაგრამ ყველა მათგანისათვის ამის მითითება, ჩანს, საჭიროდ არ დაუნახავს. ავტოგრაფული ხელნაწერების ჩვენამდის მოღწეული ნუსხებით ირკვევა, რომ თავდაპირველად საბას მხოლოდ რამდენიმე სიტყვისათვის მიუთითებია პასპორტი, ხოლო ლექსიკონის მერმინდელ გადაწერილ პირებში ავტორის, ან ზოგჯერ რედაქტორთა, ხელითაა დამატებული სათანადო წყაროთა დასახელება თხზულებათა თავებისა და მუხლების ჩვენებით.

„სიტყვის კონაში“ შეტანილი ლექსიკური ერთეულები განსაკუთრებული სიყვარულითაა შესწავლილი და შეჯერებული. საბას ხელთ ჰქონია თავის დროისათვის ცნობილი თითქმის ყველა ძირითადი ქართული ლიტერატურული ძეგლი, ორიგინალური თუ ნათარგმნი, და იქიდან ამოუკრებია ქართული ენის საუნჯის მასალა. ვინაიდან ქართული ლექსიკონი „უამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო“, საბამ იტვირთა მისი შედგენა. წინამორბედი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მას არ ჰყოლია. საბამ თვითონ ჩაუყარა საფუძველი ქართულ მეცნიერულ ლექსიკოგრაფიას. თვითონვე შეადგინა პირველი ქართული მეცნიერული განმარტებითი ლექსიკონი. დახმარებისათვის, უცხოურ ენებზე არსებულ სპეციალურ ლიტერატურასთან ერთად, ერთი სომხური ლექსიკონისათვის მიუმართავს. „ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ენახე, რომელსა მათისავე ენითა ბარგირქი ეწოდების და მეც მათის ბაძით კელი მივყავ და, როდენ ძალ მედვა, აღეწერო“. ¹ ეს სიტყვები საბას თავმდაბლობით უთქვამს, თორემ იმ ხანად, როდესაც ის თავის ლექსიკონს ადგენდა, მისაბაძი ლექსიკონი არა თუ საქართველოსა და სომხეთში, სხვაგანაც არ მოიპოვებოდა.

საბას დიდი სიფრთხილით შეუჯერებია მის ხელთ არსებული ლექსიკური მასალა. წყაროების გამოყენების, მათი მეცნიერული ღირებულება-მნიშვნელობისა და მასალის შეჯერების შესახებ ავტორი ლაპარაკობს ლექსიკონის „ანდერძნამავში“. „რომელიცა წერილთა შინა ენახე, — ამბობს საბა, — გამოვიღე, სამლო წერილთა და ლუთის-მეტყველებათა შინა, რომელიმე ღრმათა ფილასოფოსთა წიგნებთაგან და ლუთის-მეტყუელებათა კავშირთა პროკლეს პლატონურთა დიოდოზოსთა, არისტოტელისა და პორფირის კათილორიათაგან გამოვიღე, ნემსიოს და იოანე დამასკელის პლატონურის სიტყვის საქცევები აღეწერე, რომელიმე არა მათებრ ლულარქნილად, არამედ მათივე წმი-

¹ ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, გვ. 01.

დათა მამათაგან საადვილო ვპოე და საადვილონი აღვწერენ, რათა ის-
წაონ ენა ქართული შესრულებული და განვრცლებული ფარნავაჲ
ქართველთა პირველისა მეფისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომე-
ლი იყო ძეთაგან ქართლოსიანთა, წარმართი“.¹

აქ ყველაფერია თქმული საბასათვის ჩვეული სიზუსტითა და სისხარ-
ტით. ამით ირკვევა, თუ დიდი ლექსიკოგრაფოსი რა გულმოდგინებით
ამოწმებდა ყოველ სიტყვას, როგორი მეცნიერული სიფრთხილით ეძი-
ებდა თითოეული მათგანის სემანტიკასა და მნიშვნელობას ცალკეულ
ძეგლებში და როგორი დაზუსტების შემდეგ შეჰქონდა ის ლექსიკონ-
ში. საბას ეს ცნობა უბრალო მობოდიშება როდია. ამის ჰეშმარიტებას
მოწმობს მთელი მისი ნაშრომი თავიდან ბოლომდის.

ჩვენი დაკვირვებით, „ქართულ ლექსიკონში“ გამოყენებულია 140-
ზე მეტი წყარო. მათ შორისაა როგორც ორიგინალური, ისე ნათარ-
გმნი, როგორც საერო, ისე სასულიერო მწერლობის ძეგლები. ზოგი
წყაროდან 200—300-ზე მეტი სიტყვობრივი მასალაა ამოკრებილი,
ზოგიდან კი — თითო-ოროლა. ამასთან დიდი ლექსიკოგრაფოსი ბრძდ
როდი მისდევს ერთ რომელიმე წყაროს. იგი სხვა წყაროსთანაც ამოწ-
მებს ერთი ძეგლიდან ამოღებულ სიტყვას, კრიტიკულად ცხრილავს
მას, უცხოურ სიტყვებს ადარებს შესაბამის ლექსიკონებს და შემდეგ
შეაქვს ნაშრომში. ლექსიკონის „ანდერძნამაგში“ საბა განაგრძობს:
„რომელნიცა ვიცოდი, დავწერე, და რომელნიცა ძნელნი სიტყვანი არ
ვიციოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხუათა ენათა
შევაძოწმე და გამოწვლილვით რომელნიცა ვიპოე, ადვილად თან მოვა-
წერე. რომელიცა ვერა ვპოე, საცილობელი არ დავწერე“... „რაოდენ
ძალ მედვა, ვეცადე ელლენთა, ლათინთა, სომხურთა, რუსთა და არაბ-
თა წიგნებისაგან და მით გამოვიღეო“... „ამა ენათა, რომელნიცა სწო-
რედ თქუეს, გინა რომელმან დამაჭერა, იგი დავწერე, რომელნი არა
ემოწმენ, არცა მე დავწერე და თქუენ იგულის-მოდგინეთ“; „მე უწი-
ნარეს ლათინური და ელლენური ლექსიკონი ვერ ვნახე, თვარა უკე-
თესის რიგით აღვწერდი. მას უკან ვნახე და ზოგი რამ ამით გავმართე
და რიცხვებიც წერილთანი თან ჩართეთ დაუსხნ“.²

ასე შეუდგენია საბას თავისი „სიტყვის კონა“. მისი შრომა, მარ-
თლაც, დიდ გაკვირვებას იწვევს. ერთმა ადამიანმა, რომელიც „სოფლისა
საქმისაგან უცალო იყო“, როგორ მოახერხა ამ უზარმაზარი ლიტერა-
ტურის ასე გულმოდგინედ შეჭერება, როგორ შეძლო ამოდენა სპე-
ციალური წყაროების გათვალისწინება. ყოველივე ეს ლაპარაკობს შე-

¹ ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და
პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, გვ. 01—02.

² იქვე, გვ. 02—03.

სანიშნავი ლექსიკოგრაფოსის არაჩვეულებრივ მეცნიერულ ერუდიციასა და ტიტანურ შრომისმოყვარეობაზე.

საბას ლექსიკონში აღბეჭდილია 17.000-მდის ლექსიკური ერთეული. განმარტებებში ნახმარ სიტყვებთან ერთად ამ ციფრს კიდევ თითქმის ერთი ამდენი მიემატება. ცხადია, ქართული ლექსიკა საბას დროს ამაზე მეტი რაოდენობის სიტყვას ითვლიდა. ლექსიკის სრული სახით ასახვა ლექსიკონში ვერ მოხერხდა და არც შეიძლება მოხერხებულყო.

საბა ორბელიანმა გამოავლინა და ლექსიკონში აღბეჭდა ქართული ლექსიკის ის ნაწილი, რასაც ის მისწვდა. ავტორი, როგორც ითქვა, ემყარებოდა ცნობილ ლიტერატურულ ძეგლებს, მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებდა ცოცხალ ენობრივ სამყაროსაც და მისი საუნჯითაც სარგებლობდა. საბა გაუყვალავი გზით მიდიოდა და ამიტომ, ბუნებრივია, მას — ერთ ადამიანს — რა შრომისმოყვარეობითა და ნიჭითაც უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული, არ შეეძლო ამომწურავი სიზუსტით გამოველინებინა ქართული ენის ლექსიკური მარაგის სიმდიდრე. სიძნელეს ორი გარემოება ქმნიდა. ერთი, ლიტერატურული ძეგლების სიმცირე, განსაკუთრებით, ეპოქის ამსახველი საერო ხასიათის თხზულებების დიდი ნაკლებობა და, მეორე, ბეჭდური გამოცემებისა და ლექსიკონების უქონლობა. ასევე საეკლესიო და საერო-საქმეთაგან მოუძლეელ მოღვაწეს გაუძნელებოდა საქართველოს ყველა კუთხის შოვლა-შესწავლა ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით. ამ სრულიად ობიექტური მიზეზებით, დიდი მეცნიერის დაუცხრომელი სურვილისა და თავდადებული შრომის მიუხედავად, „სიტყვის კონაში“ ვერ აისახა ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლისა და კილო-თქმის ლექსიკური მასალა. მაგრამ ყოველივე ეს ოდნავადაც ვერ აყენებს ჩრდილს სწორუბოვარი ლექსიკოგრაფოსის დიდებულ ნაშრომს. საბამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ მეცნიერულ ლექსიკოგრაფიას და ერთბაშად აიყვანა იგი იმ ეპოქის ევროპისა და აზიის მოწინავე ქვეყნების ლექსიკოგრაფიის დონეზე. მოგვცა შესანიშნავი ლექსიკონი, რომელიც როგორც მასალითა და განმარტებებით, ისე პრინციპებითა და სტრუქტურით მეცნიერების უდიდესი მონაპოვარია.

მონათესავე სიტყვები ჯერ მოქცეულია შესაფერის ბუდეში, შემდეგ კი სათანადო ანბანზე. ლექსიკონში შეტანილია ყოველგვარი თავისთავადი სიტყვა — ენის ერთეული, სახელები — სახელობითი ბრუნვის ფორმით, ზმნები — საწყისის, ზოგჯერ პირიანი ფორმით. მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ნასესხები სიტყვები, მათ შორის, უცხოური წარმოშობის საკუთარი და გეოგრაფიული სახელებიც. განმარტებანი არის მოკლე, ამომწურავი და ნათელი. ტექსტიდან ამოკრებილ სიტყვებს ახლავს ფრაზეოლოგია. სემანტიკა ასეთი სიტყვისა გახსნილია ტექსტის ჩვენების თანხმად. სიტყვის განმარტებისას საბა ამოდის კონტექს-

ტის მონაცემებიდან: დოკუმენტირებულ სიტყვათა განმარტებას საფუძვლად უდებს კონტექსტში მათ მიერ შესრულებულ ფუნქციას. მისთვის მთავარია სიტყვის ახლანდელი მნიშვნელობა კონტექსტის ჩვენებით. საბას მიერ გამოყენებული მეთოდები შემდეგ გამოიყენეს და განავითარეს მისი სკოლის სხვა ლექსიკოგრაფოსებმაც.

§ 72. როდისაა შედგენილი საბას ლექსიკონის შედგენის თარიღის განსაზღვრაში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა. საბას Curriculum vitae, რომელიც „სიტყვის კონის“ მრავალ ნუსხას ერთვის, გვაუწყებს, რომ ლექსიკოგრაფოს ამ ნაშრომზე 30 წელიწადს უმუშავია. ამ ცნობაზე დაყრდნობით აკად. კ. კეკელიძე ფიქრობდა: საბას ლექსიკონის შედგენა „დაუწყია 1685 წელს და დაუსრულებია 1716 წელს“.¹ ეგვევ დასკვნა გამეორებულია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოშიაც: „დასრულებული სახე მისცა სულხან-საბა ორბელიანმა თავის უკვდავ ლექსიკონსო (იწერებოდა 1685—1716 წლების მანძილზე)“.² ა. ცაგარელი ამბობდა: „Словарь грузинского языка, — гигантский труд, над составлением которого Сулхан трудился в продолжении 30-ти лет (1669—1698), и, кончив его, поступил в монахи“.³ რ. ერისთავი თვლიდა, რომ საბას თავისი ნაშრომის შედგენა დაუწყია 1676 წელს და „ის მოათავებდა ლექსიკონის შედგენას 1706 წელს, თუ იმუშავა ოცდაათი წელიწადი“.⁴ ეს თარიღი (1685—1707) მიღებული აქვს ე. მეტრეველსაც.⁵ ა. შანიძე ვარაუდობდა: ლექსიკონი შედგენილია „მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულსა და მეთვრამეტის დასაწყისის“ პერიოდშიო.⁶ დასასრულ, ლ. ქუთათელაძის აზრით, საბამ ლექსიკონზე მუშაობა დაიწყო 1685 წელს და მისი პირველი, მოკლე, რედაქცია დაამთავრა 1698 წელს, ბერად აღკვეცამდის.⁷

მაგრამ ლექსიკონის შედგენის დროის შესახებ ჩვენ გვაქვს არა მარ-

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 348.

² ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 342.

³ А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка. СПб., 1873, გვ. 101.

⁴ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, რ. ერისთავის რედ., თბ., 1884, გვ. XI.

⁵ ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტორად, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, XIX-B, 1956, გვ. 9.

⁶ ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., თბ., 1928, ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. III.

⁷ ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957, გვ. 52.

ტოდენ საბას Curriculum vitae-ს, არამედ პირდაპირი ცნობებიც. რომლებიც პირადად დიდი ლექსიოგრაფოსის ხელიდანაა გამოსული. მხედველობაში გვაქვს ლექსიონის „ანდერძნამავში“ ნათქვამი, შემდეგი სიტყვები: „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუჯობის ეამსა და სიყრმესა, ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედაო“.¹ ე. ი. საბა აქ პირდაპირ გვეუბნება, ლექსიონზე სიყრმისა და ჭაბუჯობის ეამს ვმუშაობდიო.

როგორ უნდა გავიგოთ ცნებები სიყრმე და სიჭაბუჯე? განსაზღვრავენ თუ არა ისინი ავტორის ასაკობრივ მდგომარეობას? ჩვენი აზრით, უეჭველად განსაზღვრავენ, და ამაზე თავის დროზე ლაპარაკი ჰქონდა. რ. ერისთავსაც.

საბას განმარტებით, ყრმა ეწოდება ვაჟს თხუთმეტიდან ოცი წლის ასაკამდის, ჭაბუჯი კი — ოცი წლიდან ოცდაათ წლამდის. სიტყვასთან „კაცი“ ლექსიოგრაფოსი ამბობს: „ათხუთმეტის წლითგან ვიდრე ოცამდე ვაჟსა [ეწოდების] ყრმა... ოცის წლითგან ვიდრე ოცდაათამდე ვაჟსა — ჭაბუჯი“. აქ თითქოს ზუსტადაა მითითებული თარიღი, თუ როდის დაიწყო და როდის დაამთავრა საბამ ლექსიონის პირველ რედაქციაზე მუშაობა.

თუ სიყრმე ადამიანისა იწყება 15 წლის ასაკიდან, ხოლო საბას თავისი ნაშრომის შედგენა დაუწყია სიყრმეში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ლექსიონისათვის ხელი მოუყიდა 15 წლის ასაკში, ე. ი. 1673 წელს (საბა დაიბადა 1658 წელს). მაგრამ ამ თარიღს ლექსიონის შედგენის დასაწყისად ვერ მივიჩნევთ. საქმე ისაა, რომ საბას ლექსიონის შედგენისათვის ხელი მოუყიდა არა პირადი ინიციატივით, არამედ მეფე არჩილისა და მეფე გიორგის (XI-ის) დავალებით: „ამა მეფეთა ბრძანებით აღიწერა წიგნი ესეო“; ან: „ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ მიბრძანა ამის კელ-ყოფაო“, — ამბობს საბა. ყოველ შემთხვევაში, აქედან აშკარაა, რომ საბა ლექსიონის შედგენას ვერ დაიწყებდა, სანამ ის გიორგის, როგორც მეფის, დავალებას არ მიიღებდა. გიორგიც ამ ცნობაში სწორედ მეფის ტიტულითაა მოხსენებული. როგორც ცნობილია, გიორგი იყო მემკვიდრე შაჰ-ნავაზად წოდებული ვახტანგ მეხუთისა. ვახტანგი გარდაიცვალა 1675 წელს და მაშინვე ტახტზე ავიდა მისი შვილი, გიორგი XI. რაკი გიორგი დამოწმებულ „ანდერძნამავში“ მეფის ტიტულით იხსენიება, უნდა ვფიქროთ, რომ საბამ მეფის დავალება მიიღო 1675—1676 წლების შუალედში, როცა იგი მართლაც სიყრმის (17—18 წლისა) ასაკში იმყოფებოდა, და შეუდგა ლექსი-

¹ ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქცია, თბ., 1928, გვ. 01.

კონზე ზრუნვას. მუშაობა განაგრძო ჰაბუკობის (1680—1690) წლებშიაც და დაამთავრა ბერად აღკვეცამდის, არა უგვიანეს 1698 წლისა და ამის შემდეგ „მონაზონ იქნა“.

უკანასკნელ ხანებში სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო ხელნაწერთა ინსტიტუტის S 2498-ე ნუსხამ (საბას ლექსიკონია), რომლის Curriculum vitae-ში ნათქვამია: „ქორანიკონი იყო ქრისტეს აქათ ჩქმე [1685] გამოჩენისა ამის წიგნისაო“ (ფურც. 189). აქ პირდაპირაა მითითებული ლექსიკონის პირველი ვარიანტის გამოჩენის თარიღი — 1685 წელი. ხსენებული ხელნაწერის შესწავლის შედეგად მ. ქავთარია მივიდა უთუოდ სწორ დასკვნამდის: „საბას ლექსიკონზე მუშაობა 1685 წელს კი არ დაუწყია, არამედ 1685 წელს დაუსრულებია პირველი რედაქცია“.¹

დიდ ლექსიკოგრაფოსს თავისი ნაშრომის შევსება და გაშალაშინება არ შეუწყვეტია მთელი სიცოცხლის განმავლობაში. იგი მუდამ თავს დასტრიალებდა ლექსიკონს, ასწორებდა, ახალი მასალით ავსებდა, ხვეწდა მას. ავტოგრაფების შეჩერება მოწმობს, რომ საბა თავის ლექსიკონზე თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მუშაობდა. საკმარისია გადავსინჯოთ ლექსიკონის ავტოგრაფული ნუსხები (საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტისა: A 75, A 1473, H 95, H 1429, H 1658, H 2404, Q 400; საქართველოს სსრ ცენტრალური არქივისა: № 163; ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა: № 300), რომ დავრწმუნდეთ, თუ საბას და მასთან ერთად ზოსიმეს (ლექსიკოგრაფოსის ძმასა და უახლოეს თანამშრომელს) რა შრომა გაუწევია „სიტყვის კონის“ სრულყოფისათვის.² H 1658-ე ნუსხა ლექსიკონისა თვით საბას გაუმართავს და გადაუწერია კონსტანტინეპოლს 1715—1716 წლებში, H 1429-ე ნუსხის გადაწერაც საბასვე დაუწვია, მაგრამ ვეღარ დაუსრულებია და მისი გარდაცვალების შემდეგ, 1725 წლის აპრილში, დაუმთავრებია ზოსიმეს. ასევე სხვა ავტოგრაფებიდანაც ჩანს, რომ საბა განუწყვეტლივ ავსებდა, აშალაშინებდა და სრულყოფდა თავის ნაშრომს.

¹ მ. ქავთარია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწ. ინსტ. I სამეცნიერო სესიის თეზისები, 8. X. 59 წ. გვ. 5.

² ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები, ენიმკ-ის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 109—114; ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17—52; ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრ., გვ. 10—11; შდრ.: ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, რ. ერისთავის რედ., თბ., 1884, რედაქტორის წინასიტყვაობა, გვ. I—XVI; ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1949, რედაქტორის წინასიტყვაობა.

ამრიგად, საბოლოო დასკვნა ლექსიკონის შედგენის თარიღზე მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: საბა ორბელიანს „ქართული ლექსიკონის“ შედგენა დაუწყია სიყრმის ეპოს (1676—1680) და მისი პირველი ძირითადი ვარიანტი დაუსრულებია ჭაბუკოძისას (1680—1685). ავტორს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ლექსიკონის სრულყოფა-გაშალაშინება. 1716 წელს კონსტანტინეპოლს გადაუწერია ლექსიკონის შევსებულ-შეჭვრებული პირი. მუშაობა არც ამით დამთავრებულა. შემდეგ პირადად საბას როგორც ცალკე, ისე ძმასთან (ზოსიმესთან) ერთად კიდევ გაუცხრილავს ლექსიკონი და რამდენიმეგზის გადაუწერია. ეს მუშაობა ავტორს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უწარმოებია. მაგრამ შემდეგი მუშაობის მიზანი ლექსიკონის მაინც სრულყოფა ყოფილა და არა ახალი რედაქციის შექმნა. მთავარი საქმე (მასალის შეკრება-გაწყობა, ძირითადი სისტემის ჩამოყალიბება, უმთავრესი განმარტებანი) შესრულდა XVII საუკუნის 80-იან წლებში. ეს სისტემა არ შეცვლილა. ამიტომ საბა ორბელიანი კი არ არის XVIII საუკუნის ლექსიკოგრაფოსი, როგორც ამას ბევრი მკვლევარი ჩვეულებრივ აღნიშნავს, არამედ XVII საუკუნის 80-იანი წლების ლექსიკოგრაფოსია. ამ პერიოდში შეიქმნა საბას სწორეუპოვარი ნაშრომი და ჩამოყალიბდა მისი ორიგინალური ლექსიკოგრაფიული თეორია.

ამ გარემოების აღნიშვნას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ირკვევა, საბა თავის „ქართულ ლექსიკონსა“ და ლექსიკოგრაფიულ თეორიას ქმნიდა იმ ეპოქაში, როდესაც თეორიული ლექსიკოგრაფია თვით რუსეთსა და დასავლეთ ევროპაშიაც ეს-ეს იყო ფეხს იდგამდა და ისახებოდა. საბა აღზრდილი იყო ქართულ მასალაზე და არ იცნობდა ფრანგულ ლექსიკოგრაფიულ სკოლას, რომელმაც სწორედ XVII საუკუნის მიწურულს მოგვცა ლექსიკოგრაფიული შრომების საუკეთესო ნიმუშები და მთელი ეპოქა შექმნა ცოდნის ამ დარგის განვითარებაში. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ საბას ლექსიკონის შედგენის დაწყებისას არ უნახავს (და არც შეეძლო ენახა) ფრანგული სკოლის წარმომადგენელთა ზოგადი და კერძო ნაშრომები; მას ხელთ არ ჰქონია არც აბატ ლ. მორერის „დიდი ისტორიული ლექსიკონი“ („Le grand dictionnaire historique“), რომლის პირველი გამოცემა განხორციელდა ლიონს 1674 წელს; არც პ. ბეილის ცნობილი „ისტორიული და კრიტიკული ლექსიკონი“ („Dictionnaire historique et critique“), რომლის გამოცემა განხორციელდა როტერდამს ორ ტომად, 1695—1697 წლებში; არც კლასიკურად წოდებული „საფრანგეთის აკადემიის ლექსიკონი“ („Dictionnaire de l'Académie Française“), რომელიც 1694 წელს გამო-

იცა, და არც სხვა მოგვიანო ფრანგ, გერმანელ, რუს ავტორთა შესაბამისი ნაშრომები. საბა თვითონ გადმოგვცემს, რომ მას ხელთ არ ჰქონია უცხოური ლექსიკოგრაფიული ნაშრომები.¹

ლექსიკონის შედგენის შემდეგ, სავარაუდოა, როცა დაიწყო მისი უფრო სრულყოფილი რედაქციის გამართვა, საზღვარგარეთ მოგზაურობის შემდეგ, განსაკუთრებით, კონსტანტინეპოლს საფრანგეთის დესპანთან ერთ წელიწადს ყოფნის დროს, მას უპოვნია და გამოუყენებია ლათინური და ელინური ლექსიკონები: „მას უკან ვნახე და ზოგი რამ იმით გაგმართო“,² მაგრამ თავდაპირველად იგი უცხოურ წყაროებს არ იცნობდა. საბას თავისი ნაშრომის პრინციპული საფუძვლები შეუქმნა და დამოუკიდებლად, უცხოური წყაროების დაუხმარებლად. ზოგი წყარო შემდეგ კი გამოუყენებია, მაგრამ ამას ნაშრომის ძირითადი მიმართულება და სისტემა არ შეუცვლია. საბამ თავისი ლექსიკოგრაფიული სისტემა შეიმუშავა ისე, რომ არ განუცდია უცხოური სკოლების გავლენა. მისი საყრდენი იყო ქართული ენის უმდიდრესი ლექსიკა და ის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რაც შემოგვინახა ჩვენმა ორიგინალურმა და მთარგმნელობითმა მწერლობამ. ყოველივე ეს კიდევ უფრო ზრდის საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიული მოძღვრების მეცნიერულ მნიშვნელობას, აქცევს საბას არა მარტო ეროვნულ მოღვაწედ, არამედ ადგილს უძებნის მსოფლიო ლექსიკოგრაფიის უდიდეს წარმომადგენელთა შორის.³

§ 78. საბას ლექსიკონი XVII საუკუნის მცირეგნობართა შესახებ. საბას „ქართული ლექსიკონი“ ჩვენი ძველი კულტურის ერთ-ერთი უმესანიშნავესი ძეგლია. მსგავსი ფართო მოცულობის ლექსიკონის შედგენა XVII საუკუნის 80-იანი წლებისათვის შეეძლო იმ ხალხის შვილ მეცნიერს, რომელსაც ტრადიციული ენათმეცნიერული კვლევა-ძიების მდიდარი მემკვიდრეობა ჰქონდა. XVII საუკუნის 80-იან წლებში საბამ შექმნა ქართული ორიგინალური ლექსიკოგრაფიული სკოლა,

¹ „ანდერქამაგვი“ დამოწმებული „მომცრო სომხური ლექსიკონი“ — ბარგირქი, როგორც გამოირკვა, საკუთარ სახელთა სიტყვარი ყოფილა (ილ. აბუღაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, „თბილ.სახ. უნივერსიტეტ. შრომები“, III, 1936, გვ. 253—270) და არა ისეთი ნაშრომი, რომელიც ავტორს თეორიულ საყრდენად გამოადგებოდა და „მისის ბაძით“ ჩამოაყალიბებდა ახალ ლექსიკოგრაფიულ სისტემას. ასეთი ზოგადი ლექსიკონები იმხანად არც სომხურად არსებულა და არც ქართულად.

² ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედ., გვ. 03.

³ დაწვრილებით ჩვენი: საბა ორბელიანის ლექსიკონის შედგენის თარიღის დადგენისათვის, „ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, XIV, 1959, გვ. 175—184.

რომლებიც სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში. შეიქმნა საბას ლექსიკონის მთელი სახობო პოეზია, რაც რუსთველის გენიალური ქმნილების გარდა არღირსებია სხვა არცერთ ქართულ წიგნს.

ბევრ პოეტურ შეგონებას ვპოულობთ ლექსიკონის ნუსხებზე მიწაწერთა სახით: „სულხან-საბა ორბელის ძე სიბრძნით აღჰხდა ორბების ზე!“ „ეს ლექსიკონი ჩემი საკონი, ესრეთ სასურვო, ვით ვარდის კონი“...¹

საბას ლექსიკონს ასევე დიდ შეფასებას აძლევდნენ XVIII საუკუნის გამოჩენილი მგოსნები და მეცნიერები. ეპითეტი, რითაც საბა მოხსენებული, არის ბრძენი, ლექსიკონზე ამბობენ: „რა ვიხილე, სიბრძნე მეცა“, „სიბრძნის წყაროა“, „სიბრძნის ტრფიალია“ და ა. შ.

ყველაზე დიდი და ობიექტური შემფასებელი უბადლო მეცნიერის ხელთუქმნელი ნაშრომისა არის ჩვენი თანამედროვეობა.

საბას ლექსიკონზე შექმნილია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, რის უბრალო ჩამოთვლასაც მთელი წიგნი დასჭირდებოდა.

ლექსად დაწერილ „ანდერძნამაგში“ საბა ამბობს: „აქ ლექსიკონი არ იყო, დაცაეკარგათ ქართველთა“, „ახლად შეეპკრიბე, შეგაწყევე, ჩემი ვიშრომე სულ ხანია“. ავტორი სთხოვს ბრძენთ, ნუ დაუწუნებენ ნაღვაწს, რადგან „ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხუდი თქვენთანას დასარწმუნოთა“; ან როგორც სხვა ადგილას ამბობს ავტორი, ყოვლად სრული და უნაკლო ქმნილება ძნელი საპოვნელია, „თუცა ესრე სრული ვერ იშოვნო, და ვერა ჰპოო, ერთისა და ორის კლებისათჳს ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნელია“ (ნ. სიტყვები: „კრმალი“ და „ჯავშანი“).

შთამომავლობამ სწორად შეაფასა დიდი მოღვაწის ნაშრომი. საბას ლექსიკონი სამაგიდო წიგნია ჩვენი კულტურის ყველა მუშაკისათვის.

§ 74. საბას ლექსიკონის რედაქციები და გამოცემანი. როგორც აღინიშნა (§ 73), ჩვენამდის მოღწეულია საბას ლექსიკონის 150-ზე მეტი ნუსხა, რომლებიც ამჟამად დაცულია თბილისის, ქუთაისის, ლენინგრადის, პარიზის არქივებში. ამ ნუსხებიდან ოთხი ავტოგრაფულია, გადაწერილი პირადად ავტორის მიერ, ხოლო ხუთი — ნახევრად ავტოგრაფული, გადაწერილი საბასა და მისი ძმის, ზოსიმეს, ან მარტო ზოსიმეს მიერ.

¹ ჩვენი: ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან, „ნარკვევები“, I, 1955, გვ. 127—128; აგრეთვე: ლ. ქუთათელაძე, დახაზ. ნაშრ., წინასიტყვაობა, გვ. 8—14.

ავტოგრაფული ნუსხები მდიდარ მასალას გვაწვდის საბას მუშაობის მეთოდის შესასწავლად. ამიტომ ისინი მკვლევართა ცხოველ ინტერესს იწვევენ. პროფ. ალ. ბარამიძემ სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა საბას ლექსიკონის ავტოგრაფებს,¹ პროფ. ე. მეტრეველმა შესისწავლა ყველაზე უძველესი ავტოგრაფი², ხოლო დოც. ლ. ქუთათელაძემ თავის მონოგრაფიაში განიხილა საბას ლექსიკონის რედაქციები ავტოგრაფების მიხედვით³.

ავტოგრაფული ნუსხებიდან ყველაზე ძველია H 416, რომელიც გადაწერილი უნდა იყოს საბას ბერად აღკვეცამდის, ე. ი. 1698 წლამდის. H 1658 გადაწერილია საბას მიერ კონსტანტინეპოლს 1715—1716 წლებში, H 2404—1706—1708 წლებში, ხოლო A 1473-ს თარიღი არ უზის, მაგრამ გადაწერილია საბას ხელით.

ნახევრად ავტოგრაფული ნუსხებიდან H 1429 და ქუთათისის მუზეუმის № 300-ე ნუსხა გადაწერილია საბასა და ზოსიმეს ერთად თანამშრომლობით, ხოლო Q 400, H 95 და A 75 — ზოსიმეს მიერ.

ლექსიკონი გამოცემულია სამჯერ. პირველად გამოიცა 1884 წელს რაფ. ერისთავის რედაქტორობითა და ვრცელი წინასიტყვაობით. მეორედ — პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციითა და აკაკი შანიძის წინასიტყვაობით (თბ., 1928), ხოლო მესამედ — ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით (თბ., 1949). პირველი გამოცემის საფუძვლად აღებულია S ფონდის 2696 და 2727-ე ნუსხები, მეორისა — ძირითადად H 1035 და კიდევ სხვა ხელნაწერები, მესამე გამოცემისა კი ნახევრად ავტოგრაფული ნუსხა — H 1429, გადაწერილი საბასა და ზოსიმეს მიერ.

§ 75. **მართვალურ ენათა მასალა მსოფლიო ენათა უაღრამდითს ლექსიკონში.** 1787—1791 წლებში პეტერბურგში გამოქვეყნდა „Сравнительные словари всех языков и наречий“ (პირველად გამოიცა 1787—1789 წწ. — ორ ტომად, მეორედ — 1790—1791 წწ. — ოთხ ტომად). ეს იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის კოლექტიური ნაშრომი, რომელმაც დიდი საერთაშორისო გამოხმაურება გამოიწვია. ლექსიკონის პირველ გამოცემაში შესულია 200, ხოლო მეორე გამოცემაში — 272 ენის, მათ შორის ქართველური ენების, ლექსიკური მასალა.

¹ ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ლექსიკონები, ენიშვი-ს მოამბე, V—VI, 1940; ან მისივე: ნარკვევები, III, თბ., 1952, გვ. 337—343.

² ე. მეტრეველი, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, XIX-B, 1956.

³ ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონების რედაქციები (ავტოგრაფების მიხედვით), თბ., 1957.

ლექსიკონში სულ შეტანილია 285 ქართული (ტექსტით: კარტ-
линский, № 108), 107 მეგრული (ტექსტით: имеретинский, № 109) და
109 სვანური (ტექსტით: суанетский, № 110) სიტყვა, რომელთა
შორის თორმეტ-თორმეტი რიცხვითი სახელია. ამ ლექსიკურ მასალას
უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქართველურ ენათა ლექსიკის ისტორიის
შესასწავლად. განსაკუთრებით ფასეულია მეგრულისა და სვანურის
ლექსიკური მასალა, რომელიც ამ ენათა შესახებ პირველ ბეჭ-
დურ ცნობებს გვაწვდის რუსულ ენაზე.

x მასალა, როგორც ჩანს, მრავალ მხრითაა საგულისხმო. რაც მთავა-
რია, ამით ვეცნობით ქართულის, აგრეთვე მეგრულისა და სვანურის
ლექსიკის ერთ ნაწილს. სიტყვარის ძირითადი ნაწილი სწორადაა დაბეჭ-
დილი, მაგრამ ამასთან ბევრი სიტყვის რუსული ტრანსკრიფცია შეც-
დომებს შეიცავს. შეცდომები ამ ენათა უცოდინარობით იყო გამოწვეუ-
ლი. ლექსიკონის რედაქციას არ ჰყოლია სათანადო სპეციალისტი, რო-
მელსაც შეეძლებოდა, თვალუჭური მიედევნებინა უცნობი ენების ლექ-
სიკური მასალის რუსული ტრანსკრიფციისათვის. მასალა ლექსიკონში
წარმოდგენილია ანბანზე გაუწყობლად.

საიდან და ვისი მეშვეობით მოხდა ქართულ-მეგრულ-სვანური ლექ-
სიკური მასალა შედარებითს ლექსიკონში? ვინ მიაწოდა ლექსიკონის
რედაქციას ეს მასალა?

პირველ პასუხს ამ კითხვაზე გვაწვდის ლექსიკონის ერთ-ერთი რე-
დაქტორი პ. ს. პალასი. ლექსიკონის პირველი ტომის წინასიტყვაობა-
ში ავტორი წერს: „Кавказские языки (от 108 до 119)¹ все взяты
из непечатных словарей и составляют одну из важнейших час-
тей сего собрания.“²

თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, ქართულ-მეგრულ-სვანურის მასალები
შედარებითს ლექსიკონში შეუტანიათ ხელნაწერი სიტყვარების მიხედ-
ვით. მაგრამ ამის სარწმუნოდ მიჩნევა შეუძლებელია. ჯერ ერთი, ვისი
მეშვეობით უნდა გაცნობოდა პ. ს. პალასი „ხელნაწერ სიტყვარებს“?
მან ქართველური და სხვა კავკასიური ენები არ იცოდა, ხოლო ლექსიკო-
ნის რედაქციაში ამ ენათა პრაქტიკულად მცოდნე პირები არ შედიოდ-
ნენ; მეორე მხრით, მართალია, იმ ხანად, XVIII საუკუნის მეორე
ნახევარში, მოიპოვებოდა ქართული ლექსიკონის ხელნაწერი რედაქ-
ციები საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ სახით, მაგრამ აქედან მხო-
ლოდ ქართული მასალის ამოკრეფა შეიძლებოდა. რაც შეეხება მეგ-

¹ აქ ივარაუდება ქართული (№ 108), მეგრული (№ 109) და სვანური (№ 110)
ლექსიკური მასალები.

² Сравнительные словари всех языков и наречий, I, СПб., 1787, გვ. 6.

რულსა და სვანურს, მათი სიტყვარები ისევე, როგორც სიტყვარებში სხვა კავკასიურ ენათა, არა თუ მაშინ, უფრო გვიანაც არ მოიპოვებოდა. ამიტომ პალასის განცხადება მთლად სწორი არ არის, იგი ყოველ შემთხვევაში მეგრულს, სვანურსა და ჩრდ.-კავკასიის ზოგიერთ უმწერლობო ენას არ ეხება. საეკვოა ისიც, რომ თითქოს ქართული ლექსიკური მასალა სათანადო ხელნაწერი სიტყვარებიდანაა უშუალოდ ამოკრებილი შედარებითი ლექსიკონის რედაქციის მიერ. ამ მასალების არსებული ხელნაწერი სიტყვარებიდან ამოღება, ისევე როგორც მეგრული და სვანური მასალების შეგროვება, უნდა ეყისრა ერთ პირს, რომელსაც, სავარაუდოა, დავალებული ჰქონდა მასალის შეკრება უშუალოდ ადგილზე, საქართველოში.

ქართულ-მეგრულ-სვანური ლექსიკური მასალა ადგილზე, 1771—1775 წლების შუალედში, მართლაც, შეუკრებია ცნობილ ბუნებისმეტყველსა და მოგზაურს აკად. ი. გიულდენშტედტს (1745—1781) და, ს. კ. ბულიჩის ცნობით, 1775 წლის 18 სექტემბერს გადაუცია შედარებითი ლექსიკონის ერთ-ერთ მესვეურ ლ. ბაქმაისტერისათვის (1730—1805).¹

ი. გიულდენშტედტმა თავისი მოგზაურობის დროს საქართველოში ადგილზე შეკრება არა მარტო სალექსიკონო მასალა, რაც განსაზღვრული გეგმითა და მიზნით გროვდებოდა, არამედ საქართველოს, მისი მაშინდელი პროვინციებისა და ჩრდილოეთით მეზობელ ხალხთა პოლიტიკურ-გეოგრაფიულისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ცხოვრების აშსახველი ცნობებიც. მთელი ეს მასალა შემდეგ, როგორც ცნობილია, შევიდა პ. ს. პალასის მიერ 1791 წელს გამოცემულ წიგნში², ხოლო საკუთრივ ი. გიულდენშტედტის „აღწერილობანი“ მთლიანი სახით, 1834 წელს ცალკე გამოიცა ბერლინში ი. კლაპროთის რედაქციით.³ ქართულ-მეგრულ-სვანური ლექსიკური მასალა აქ ოდნავი შემოკლებითაა გამოცემული: ყველა სიტყვა, შედარებითს ლექსიკონში რომ იყო შეტანილი, გამოქვეყნებულ აღწერილობაში აღარ გვხვდება, ამასთან აქ დამოწმებულია ზოგი ისეთი სიტყვაც, რომელიც შედარებითს ლექსიკონში არ იყო. ბერლინში გამოცემულ მასალებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ მათი საშუალებით შეგვიძლია დავაზუსტოთ ქართულ-მეგრულ-

¹ С. К. Булпч, Очерк истории языкознания в России, I, СПб., 1904, 478—479.

² Reisen durch Russland und Kaukasischen Gebirge, Petersburg, 1791, I, 496—504; II, 343—344.

³ J. A. G ü l d e n s t ä d t s, Beschreibung der Kaukasischen Länder. Aus seinen Papieren gänzlich umgearbeitet, verbessert herausgegeben und mit erklärenden Anmerkungen begleitet von Julius Klapproth, Berlin, 1834.

სენაურ სიტყვათა რუსული ტრანსკრიფცია, რაც მრავალ შეცდომას შეიცავს. ბევრი სიტყვა უფრო მართებულად გადმოცემულია გერმანული ტრანსკრიფციით ბერლინის გამოცემაში, ვიდრე რუსული ტრანსკრიფციით გვაქვს მოცემული შედარებითს ლექსიკონში.

ი. გიულდენშტედტისათვის, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, მასალების შეკრება-შეჭერებაში ადგილზე დახმარება გაუწევია ნ. ი. ახვერდოვს (1755 — 1817)¹ — წარმოშობით ქართველ თავადიშვილს. ამასთან, ახლა გამორკვეულია², რომ ნ. ი. ახვერდოვს ქართული მასალა და კერძოდ „მამაო ჩვენოს“ ქართული ტექსტი მიუწოდებია ი. ადელუნგისათვისაც, რომლის „მითრიდატში“ სწორედ ეს ტექსტია გაანალიზებული 500 ენის მონაცემთა მიხედვით³.

როგორც საარქივო მონაცებიდან ჩანს, შედარებითი ლექსიკონის რედაქციას გამოუყენებია აგრეთვე ქართველი მოღვაწის ანტონ მოჟრავოვის მიერ მიწოდებული და რუსულად თარგმნილი მასალაც⁴.

ამრიგად, ქართული და ქართველურ ენათა მასალები „მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში“ შეტანილია აკად. ი. გიულდენშტედტის, ნ. ი. ახვერდოვის, ა. ე. მოჟრავოვისა და სხვათა ჩანაწერების მიხედვით. შედარებითს ლექსიკონში გამოქვეყნებულ ქართულ-მეგრულ-სვანურ ლექსიკურ მასალას, როგორც პირველ ბექდურ წყაროს რუსულ ენაზე ქართული და ქართველური ენების ლექსიკის შესახებ, დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ენათა მეცნიერული შესწავლის ინტერესის გაღვივებისათვის რუსეთსა და დასავლეთში.

§ 76. ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“. საბას შემდეგ ახალი ქართული განმარტებითი ლექსიკონი შეადგინა ნიკო ჩუბინა

¹ ნ. ი. ახვერდოვი თავისდროისათვის ფართო განათლების ადამიანი ყოფილა. 1806 წელს მას, სხვათა შორის, შუედგენია სანსკრიტულ-რუსული ლექსიკონი და გადაუცია ი. ადელუნგისათვის, რომელიც იმ ხანებში „მითრიდატის“ შედგენაზე მუშაობდა [(C. K. Булич, დასახ. ნაშრ., გვ. 626—632). ასე რომ მას ლექსიკოგრაფიაში მუშაობის საკმარისად დიდი გამოცდილება ჰქონია.

² ჩვენი: ქართული მასალები მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში, „ცხინვალის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები“, II, 1955, გვ. 243—254.

³ Mithridates oder allgemeine Sprachenkunde mit dem „Vater Unser“ als Sprachprobe in beynahe fünfthundert Sprachen und Mundarten, Berlin, 1806—1817.

⁴ ჩვენი: ქართული მასალები მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში, გვ. 252—253.

ნაშვილმა. ნიკო ჩუბინაშვილი XIX საუკუნის პირველი ოთხი ათეული წლის გამორჩენილი ლექსიკოგრაფოსი, მთარგმნელი და არქეოლოგოსი იყო. მშობლიურ ქართულთან ერთად მან კარგად იცოდა რუსული, ბერძნული, ლათინური ენები. ლექსიკოგრაფია მას სიყრმიდანვე შეუყვარებია, ხოლო მთელი გატაცებით ამ მუშაობაში 1812 წლიდან ჩაბმულა.

პროფ. ა. ცაგარელი, პირველი ბიოგრაფოსი სახელოვანი მეცნიერისა, მიუთითებს, რომ ნიკო 1825 წლამდის მოღვაწეობდა თბილისში და უმთავრესად სახელმძღვანელოებსა და დამხმარე წიგნებს ადგენდა, 1825—1837 წლებში იყო პეტერბურგს და მუშაობდა ქართული ლექსიკოგრაფიისა და გრამატიკის საკითხებზე, ხოლო, 1842—1845 წლებში საქართველოსა და პალესტინაში არქეოლოგიურ ძიებას ეწეოდა.¹

ამ ცნობაში ძირითადად სწორადაა გადმოცემული მეცნიერის მოღვაწეობის მთავარი ეტაპები, მაგრამ მასში მცირე კორექტივის შეტანა მაინც არის საჭირო. ნ. ჩუბინაშვილს ლექსიკოგრაფიული მუშაობა 1825 წლიდან კი არ დაუწყო, როგორც ფიქრობდა პროფ. ა. ცაგარელი, არამედ ამაზე გაცილებით ადრე. ახლა გამორკვეულია, რომ თავისი ძირითადი ლექსიკოგრაფიული ნაშრომები (ქართული და რუსულ-ქართული ლექსიკონები) ნ. ჩუბინაშვილს 1812 — 1825 წლებში დაუმთავრებია, ხოლო მომდევნო წლებში მათ რედაქციასა და გადაწერას შესდგომია.

ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ შედგენილია 1815—1825 წლებში და ჩვენამდის მოღწეულია ორი ავტოგრაფული ნუსხის სახით. ერთი ნუსხა ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (S 3709), მეორე — ლენინგრადს, მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში (№ 271). ორივე ნუსხა სრულია, გადაწერილი ავტორის მშვენიერი მხედრულით. ახლავს შესავლის სახით გრამატიკულ-ლექსიკოლოგიური ტრაქტატი.

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონი პირველად გამოიცა 1961 წელს ამ სტრიქონების ავტორის რედაქციით, გამოკვლევითა და ბოლოსიტყვით.² გამოცემას საფუძვლად დაედო S 3709 ნუსხა.

ნ. ჩუბინაშვილი ძირითადად საბა ორბელიანის მიმდევარია, იცავს და ავითარებს მის სისტემას. თავის ლექსიკონს ავტორი უწოდებს „სა-

¹ А. Цагарели, Сведения о памятниках груз. письменности, т. I, вып. III, СПб., 1894, LXVII.

² ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, სახელმწიფო გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“ (რედაქტორი პროფ. ს. ყაუხჩიშვილი), თბ., 1961.

ბა-სულხან ორბელიანისაგან შეთხზულს და მცირედ გამართულს სისტემისაებრ მისისა“ (შესავალი, გვ. 99).

საბა ავტორის უზენაესი მასწავლებელია და ყოველთვის დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით იხსენიებს მის სახელს. მაგრამ ნ. ჩუბინაშვილი საბას ბრმად არ მიჰყვება. ცალკეულ პრინციპულ საკითხებში არ ეთანხმება საბას და იყენებს საკუთარ მეთოდს, რაც მანამდის ცნობილი არ ყოფილა. „შესავალში“ ნ. ჩუბინაშვილი ვრცლად გადმოსცემს და ახასიათებს საბას მეთოდოლოგიას („სისტემა საბასი არს ესრეთით“) და საგანგებოდ ჩერდება იმ ხერხებზე, რომელთაც თვითონაც იწონებს და იყენებს თავის ნაშრომში.

ნ. ჩუბინაშვილმა გაასწორა საბას ნაშრომში უნებლიეთ შეპარული შეცდომები და აგრეთვე არსებითი ხასიათის ცვლილებებიც შეიტანა ლექსიკონის სტრუქტურაში.

ნ. ჩუბინაშვილმა უარყო უცხოურ სიტყვათა გასარჩევად საბას მიერ გამოყენებული ნიშანი, რადგან იქვე მიუთითა ასეთ სიტყვებს სადაურობა, მეორე მხრით, მინიმუმამდის შეამკირა უცხოური სიტყვები, ხოლო უცხოური წარმოშობის საკუთარი სახელები სულ განდევნა: „განმარტება მათი არა ეკუთვნის ქართულსა ლექსიკონსაო“. ლექსიკონში აღარ შეიტანა თითო-ოროლა ხელნაწერში ნახმარი არაქართული წარმოშობის სიტყვები, „უშვერი“ და „საგიობელი“ სიტყვები და ა. შ. იშვიათი ან უცნობი სიტყვების განმარტებისათვის გამოუყენებია ორი ხერხი: „სარწმუნოდ გამოძიებისათვის ლექსთასა და მეტადრე ესრეთთა ლექსთასა, რომელნიცა საზოგადოსა შინა საუბარსა იშვიათად იხმარებინან, ანუ სრულიად უცნაურ არიან, გუქონან ორნი ღონისძიებანი: 1. ანუ ჯერ არს გასწავლება წერილთა შინა, სადაცა ლექსი იგი იპოვების; 2. ანუ ჩვენება მის თემისა, სადაცა იხმარების იგი და რა თარგმანება აქჳს, ვითა საბას აღუნიშნავს კანოხი, ანუ ღანუხობა მესხურად და ოჯოჯა მეგრულად და სხ. თვნიერ ორთა ამით ღონისძიებათა, უცნაურნი ლექსნი არა ჯერ არიან შემოტანად ლექსიკონსა შინა, რამეთუ არიან ვიეთნიმე თვთმომგონნი ლექსთანი, რომელნი არცა იპოვებიან წერილთა შინა, არცა იხმარებიან სადამე და, მაშასადამე, არავისთვის არიან შესამეცნებელნი“ (შესავალი, გვ. 121).

სიტყვის განმარტებაში ნ. ჩუბინაშვილი დიდ „განმკაცრებას“ (სიფრთხილეს) იჩენს, რომ გასამარტავი ცნება ისეთი სიტყვით არ განიმარტოს, რომელიც თვითონ ახსნას მოითხოვს: „განმარტებასა შინა ლექსთასა ჯერ არს განმკაცრებაჲ, რათა ერთისა ლექსისა სათარგმანებელად ხმარებულნი სხუანი ლექსნიცა, მეტადრე ხმარებასა შინა უცნობნი, კჳლად განმარტებულ იყუნენ ცხლად თვისა ადგილსა, რამეთუ თვნიერ ამისსა შეუძლებელ არს გაგება მათი. მაგალ., აღა წის-

ქვილის ალატა და ალატა საფქვილე ალა. ეს ლექსნი არ გაიგებინან. კუ-
ალად კაპანი. ამას უწერია განმარტებად ქვალოჯი, დადალუდას გან-
მარტება არს კაპანი და არც ერთი ნათლად არა სჩანს. კუალად ქოჩი (ხე)
შებარდული ხე, ხოლო რას ჰნიშნავს შებარდული, ანუ ბარდი? — ესე
ვითარნი თარგმანებანი არიან უმეტეს დაბნელება და არა თუ განმარ-
ტება“ (შესავალი, გვ. 123).

სინონიმურ სახელთა განმარტებაში ავტორმა ორიგინალური შეხე-
დულება განავითარა. „კუალად ჯერ არს განმკატრებაჲ, — წერდა ლექ-
სიკოგრაფოსი, — რათა სინონიმნი, ანუ ერთსახელნი ლექსნი არა დაი-
დებოდენ რეცა სახეებად ნათესავისა. მაგალ., ტიტველი და შიშველი
არიან სინონიმნი, ანუ ერთისა და მისვე მნიშვნელნი და არა თუ სახენი
ნათესავისა რომლისამე და სხვაობა მათი არს მხოლოდ ესე, რომელ
ტიტველი იხმარების საუბრის ენასა შინა, ხოლო შიშველი — წერილ-
თა შინა. ეგრეთვე ცერცო და ანისული, არიფანა და ფსონი და სხ.
ესრეთთა სინონიმთაჲს, — დაასკენის ავტორი, — საკმაო არს, რა-
თა განიმარტოს ერთი მათგანი და სხუანი გასწავლებულ იქმნენ ურთი-
ერთისადმი ჩვენებითა სხვაობისა მათისათა“ (იქვე).

5. ჩუბინაშვილის ლექსიკონს ასაზრდოებს საბას „სიტყვის კონა“. საბასაგან უსესხნია ლექსიკონის აგების ძირითადი პრინციპები, წყარო-
თა დამოწმების მეთოდისა, სიტყვათა ანოტაცია-განმარტებანიც. მართა-
ლია, საბასეულ პრინციპებში ავტორს საკუთარიც ბევრი ჩაურთავს,
მაგრამ პირველი წყარო მანინც საბა და მისი უბადლო ნაშრომი.

6. ჩუბინაშვილი საბას ლექსიკონთან ერთად რუსული ნაწილის გა-
სამართავად ემყარებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ლექ-
სიკონს („Словарь Академии Российской“, პირველი გამოცემა: 1789—
1794, მეორე — 1806—1822 წწ.). ამ ლექსიკონისაგან მას შეუთვისებია
საბასაგან განსხვავებული პრინციპები და ლექსიკური მასალა ქართული
სიტყვების თარგმანისათვის.

6. ჩუბინაშვილის ლექსიკონი ახალი ქართული ენის ლექსიკონია
და ამ მხრით საბასთან შედარებით იგი ნაბიჯია წინ.

სახელისა და, განსაკუთრებით, ზმნის ლექსიკური მრავალფეროვ-
ნების ჩვენების საკითხში ნ. ჩუბინაშვილმა საბასთან შედარებით აგ-
რეთვე ახალი ნაბიჯი გადადგა წინ. მან აღიარა, რომ ლექსიკონში უნდა
შევიტანოთ არა ზმნის პირიანი ფორმები, რასაც ვხვდებით საბას „სი-
ტყვის კონაში“, არამედ სახელზმნეები (საწყისი, მიმღობა). ეს შეხე-
დულება პრინციპულად უფრო სწორიცა და დასაბუთებულიც იყო,
მაგრამ პრაქტიკამ ავტორი მანინც აიძულა, რომ საწყისთან ერთად
(ფრჩხილებში) წარმოედგინა პირიანი ფორმებიც. ამ ფორმებით ნაჩ-
ვენები არ ყოფილა ზმნის გრამატიკული სტრუქტურა, მაგრამ ხაზი

ესმებოდა მის ზოგიერთ, ზოგჯერ არსებით მხარეს (პირიანობას, გვარს, მწკრივს, ასპექტს, ქცევას, კონტაქტს).

ლექსიკონში მოცემულია სიტყვათა სხარტი განმარტებანი. ამ შემთხვევაშიაც ის საბას კვალს მიჰყვება. საბას ლექსიკონიდან ნასესხებო სიტყვების ახსნისას ნ. ჩუბინაშვილი ან სიტყვა-სიტყვით იმეორებს საბას განმარტებებს, ან სესხულობს მათ ოდნავი რედაქციული ცვლილებით, ანდა იძლევა სრულიად ახლებურ განმარტებებს. უფრო კი ლექსიკოგრაფოსი ცდილობს, განმარტებანი მიუახლოვოს თანადროულობას, ყოველი სიტყვა ახსნას იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობით იხმარება იგი ახლა და ამასთან, გვაჩვენოს მისი მნიშვნელობის ისტორიაც.

ნ. ჩუბინაშვილმა შექმნა ბევრი გონებამახვილური ცნება-ტერმინი, მრავალი რუსული და უცხოური ტერმინის კალკიც, რომლის მეტმა ნაწილმა. გზა გაიკვლია ქართულ სალიტერატურო ენაში დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონების მეშვეობით. მაგალითად, ნიკო ჩუბინაშვილის მიერაა შემოღებული ცნებები ვ ნ ე ბ ა ს უ ლ ი ე რ ი და ვ ნ ე ბ ა ხ ო რ ც ი ე ლ ი რუსული страдание და страсть-ის შესატყვისად და ა. შ.

ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“ ჩვენი წარსული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. საბას შემდეგ ნიკო ჩუბინაშვილმა ქართული ლექსიკოგრაფია განვითარების ახალ სიმაღლეზე აიყვანა, გაამდიდრა ახალი აზრებით, დებულებებით, პრინციპებით, მასალებით. განსაკუთრებით ძვირფასია ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ახალი სიტყვობრივი ერთეულები და ქართული სიტყვების რუსული თარგმანი. ავტორს ზედმიწევნით კარგად სცოდნია ორივე ენა — ქართული და რუსული. დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ძველი ქართული სიტყვების ჯერ თანამედროვე მომხმარებლისათვის გასაგებად განმარტება და შემდეგ მათი რუსული თარგმანი. ავტორმა ეს სიძნელე დაძლია, თუმცა იგი გაუკვალავი გზით მიდიოდა, წინამორბედი არ ჰყოლია. საბა თუ მისი უშუალო წინამორბედი იყო ქართული ლექსიკონის დარგში, ვისაც იგი სრულიად დამშვიდებით ეყრდნობოდა, რუსულ-ქართული ლექსიკონის დარგში მას წინამორბედი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არ ჰყოლია. ყოველ შემთხვევაში, ნ. ჩუბინაშვილს ხელთ არ ჰქონია არც ერთი ქართულ-რუსული ლექსიკონი, მას წყაროდ რომ გამოსდგომოდა. მართალია, ამ პერიოდში არსებობდა ხელნაწერი ქართულ-რუსული ლექსიკონები, რომლებიც პრაქტიკული საჭიროებისათვის იყო შედგენილი, მაგრამ მათ ჩვენი ავტორი არ იცნობდა. რუსული ენის ზედმიწევნით ცოდნამ ნიკო ჩუბინაშვილს შესაძლებლობა მისცა სწორედ ეთარგმნა ქართული სიტყვები რუსულად.

მართებულად გაეხსნა მათი ლექსიკური შინაარსი და ყოველივე ეს აესახა ლექსიკონში.

ნ. ჩუბინაშვილმა ქართულთან ერთად შექმნა კაპიტალური რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც ჩვენამდის მოღწეულია ორი ნუსხის სახით (S 3712, 3713—1825 წ., H 1739, ა, ბ — 1832 წ.) და, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გამოუცემელია.

ნ. ჩუბინაშვილის ქართული და რუსულ-ქართული ლექსიკონები ავტორის უდიდესი ცოდნის, ერუდიციის, შრომისმოყვარეობისა და ფართო განათლების მაჩვენებელია. მათ შედგენაზე გაწეულია ტიტანური შრომა. ერთ კერძო წერილში ნ. ჩუბინაშვილი თავის წიგნებზე აკიკიდევ ამბობს: მათი „ფასის დაღებაც არ შეიძლება იმიტომ, რომ ამაზედაც დიდი შრომა გამიწევია ჩემს ცხოვრებაში“.¹

§ 77. **დავით ჩუბინაშვილის „საუნჯე ქართულისა ენისა“.**
დ. ჩუბინაშვილმა (1814—1891) დაგვიტოვა ძვირფასი ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა. იგი ავტორია რამდენიმე ლექსიკოგრაფიული შრომისა. რომელთა შორის მთავარია ქართულ-რუსულ-ფრანგული, ქართულ-რუსული („საუნჯე ქართულისა ენისა“) და რუსულ-ქართული ლექსიკონები. ამ ლექსიკონებს მნიშვნელობა ღვსადაც არ დაუკარგავთ და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებია.

დ. ჩუბინაშვილის სამენეული „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“ (სპბ., 1840) და „ქართული ენის საუნჯე, ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (სპბ., 1887—1890) ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონის“ საფუძველზე აღმოცენდა. ნიკო ჩუბინაშვილი იყო არა მარტო აღმზრდელი ბიძა დავით ჩუბინაშვილისა, არამედ მისი პირველი მასწავლებელიც ლექსიკოგრაფიაში. ნიკომ სიყრმიდანვე შეაყვარა ნიკიერ ძმისწულს, მომავალ გამოჩენილ ფილოლოგოსს, ქართული ლექსიკონი, დაუტოვა თავისი ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობა, რომლის გამოკვეყნებასაც სიცოცხლეში ვერ ეღირსა და, თავისთავად ცხადია, ჩვენც, შთამომავლობას, ღვს არაფერი გვეცოდინებოდა ნ. ჩუბინაშვილის ღვაწლის შესახებ ქართულ ლექსიკოგრაფიაში, რომ დავითს თავის წიგნებში არ მოეხსენებინა საკუთარი ბიძის ნაშრომები.

დ. ჩუბინაშვილი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში 1846 წელს აღნიშნავდა, რომ ნაშრომისათვის საჭირო მასალა მივიღე განსვენებული ბიძისაგანო. იგი პირდაპირ წერდა: „В заключение автор считает себя обязанным принести должную дань признательности покойному его дяде Коллежскому советнику

¹ А. Цагарели, Сведения... გვ. 32.

Николаю Чубинову за материалы для составления русско-грузинского словаря и сообщенныя им основательныя замечанія.“¹

აქ თითქოს ყველაფერია ნათქვამი. მართალია, ასეთი შენიშვნა ავტორს არ გაუკეთებია არც ქართულ-რუსულ-ფრანგული (1840) და არც ქართულ-რუსული ლექსიკონისათვის (1887), მაგრამ ესეც საკმარისია, რომ სათანადო წარმოდგენა ვიქონიოთ დ. ჩუბინაშვილის ლექსიკოგრაფიული შრომების პირველ წყაროთა შესახებ. ეს წყაროებია საბას „სიტყვის კონა“ და ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“.

დ. ჩუბინაშვილს, ცხადია, გაცილებით ფართო და მეტი შესაძლებლობანი ჰქონდა, ვიდრე მის წინამორბედებს საბა ორბელიანსა და ნიკო ჩუბინაშვილს. მისი მოღვაწეობის ეპოქა და სარბიელი სულ სხვა იყო. გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ავტორმა გამოსაცემად მოამზადა თავისი კაპიტალური ნაშრომი, უკვე გამოცემული იყო საბას ლექსიკონი (მხედველობაში გვაქვს რ. ერისთავის გამოც., თბ., 1884 წ.). ავტორს ხელთ ჰქონდა აგრეთვე ბექლდურად გამოცემული ლიტერატურული თხზულებანი და მდიდარი ქართული პერიოდიკა. ამასთან, მის განკარგულებაში იყო რუსული ენის ბრწყინვალე ლექსიკონები, რომლებიც XIX საუკუნის 40-იანი წლების შემდეგ შეიქმნა, და მდიდარი ლექსიკოლოგიურ-ენათმეცნიერული ლიტერატურა. ყოველივე ეს დ. ჩუბინაშვილისათვის ხელმისაწვდომი იყო და კიდევ სარგებლობდა მით.

დ. ჩუბინაშვილის „საუნჯე ქართულისა ენისა“ ბევრად განსხვავდებოდა საბასა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებისაგან. განსხვავება, უწინარეს ყოვლისა, მოცულობას ეხება. საბას ავტოგრაფულ ლექსიკონებში შეტანილია 16.600-ზე მეტი სიტყვა (იხ., მაგალითად, ს. იორდანიშვილის გამოცემა), ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში კი — 13.500-მდის სიტყვა. რაც შეეხება დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებს, მათში ორჯერ და თითქმის სამჯერ მეტი სიტყვობრივი ერთეული გვხვდება. მის სამენულ ლექსიკონში (1840 წ.) — 21.223 სიტყვაა, „საუნჯეში“ კი — 33.402 სიტყვა. ლექსიკური მასალის ოდენობის მხრით დ. ჩუბინაშვილის ნაშრომის უდიდესი ღირსება ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. იგი ამ მხრით ყველა მანამდის არსებულ ლექსიკონზე მაღლა დგას.

დ. ჩუბინაშვილმა თავისი ლექსიკონის უკანასკნელი რედაქცია დაასრულა გასული საუკუნის 80-იან წლებში. ეს იყო ქართული მწერლობის აღმავლობის პერიოდი. 60-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული

¹ Д. Чубинов, Русско-грузинский словарь, ч. 1, СПб., 1846; წინასიტყვაობა.

მწერლობა შეუჩერებელი ნაბიჯით მიიწევდა წინ. მწერლობაში მოვიდნენ ახალი ადამიანები: გიორგი ერისთავი და დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არაღაზიანი და ზურაბ ანტონოვი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე და სერგეი მესხი, ალექსანდრე ყაზბეგი და ვეჟა-ფშაველა, შეიქმნა პერიოდული გამოცემები, გაიზარდა ბექდური ლიტერატურა, გამოიკა მრავალი მხატვრული თხზულება, ძველი ქართული მწერლობის ძეგლი, ხალხური სიტყვიერების ნიმუში. ამ მდიდარ მასალას, ასე თუ ისე, თავისი ასახვა უნდა ეპოვა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა.

ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ, კაპიტალიზმის განვითარებამ, ეკონომიური და კულტურული დამოკიდებულების გაფართოებამ ახალი ლექსიკური მასალით გაამდიდრა ქართული ენა. ენის ლექსიკურ მარაგს, მართალაა, მოაკლდა ბევრი მოძველებული სიტყვა, მაგრამ მოემატა გაცილებით მეტი რაოდენობის ახალი სიტყვა, რომელიც ასახავდა ახალ ურთიერთობას. მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩვენი ენის ლექსიკა. ეს კანონზომიერი პროცესი ყველა ენისათვის და, მათ შორის, ქართულისათვისაც ბუნებრივი იყო. ამ ცვლილებებმაც თავისი მხოლოდ ნაწილობრივი ასახვა ჰპოვა დ. ჩუბინაშვილის ნაშრომშიაც. ლექსიკონი გაიზარდა მოცულობით, დაიტვირთა ახალი მასალით, დაიხვეწა განმარტებანი. აქ ისევე, როგორც ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომში, აღარ გვხვდება უცხოური წარმოშობის არაპოპულარული სიტყვები (მათ შორის, საკუთარი სახელები), აღარ გვხვდება ზმნის პირიანი ფორმები, რომელთა ნაცვლად დამოწმებულია სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა).

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონმა დიდი სამსახური გაუწია შთამომავლობას. ის უკანასკნელ ხანებამდისაც ერთადერთი, ხელმისაწვდომი ლექსიკონი იყო, რომლითაც სარგებლობდა ქართული კულტურით დაინტერესებული პირი. მას მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს მიუხედავად მოძველებისა, არსებითი ხასიათის ნაკლისა და შეცდომებისა, რისგანაც ის დაზღვეული არ არის.

პროფ. ვუკ. ბერიძე წერდა: „ჩუბინაშვილი ბრმად არ მისდევს არსებულ ლექსიკონებს არც სიტყვათა დალაგებაში, არც განსაკუთრებით ახსნაში. ამით იმის თქმა არ მინდა, რომ იგი ყველგან მალლა დგასმეთქი თავის წინამორბედებზე. არა, ზოგ რამეში კიდევაც ჩამოუვარდება მათ, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მას თ ა ვ ი ს ი ს ა კ უ თ ა რ ი შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა ა ქ ე ს ა მ ა თ უ ი მ ს ი ტ ყ ე ს ი შ ი ნ ა ა რ ს ზ ე, თავისი საკუთარი განწყობით ლაპარაკობსო“.¹

¹ ვუკ. ბერიძე, დავით ჩუბინაშვილი, „რუსთაველოლოგიური ეტიუდები“, შედგ. ი. მეგრელიძის მიერ, პროფ. ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1961, გვ. 25—26.

§ 78. ღისაუსნია ლეჰსიკონის საპითხზე XIX საუკუნის 90-იანი წლების პრესაში. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის შემდეგ („საუნჯე ქართულისა ენისა“, 1887—1890) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი აღარ გამოცემულა. საზოგადოებრიობა მწვავედ განიცდიდა ამ გარემოებას. საყოველთაოდ ცნობილი იყო დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონის ღირსებანიცა და ნაკლიც. განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა მისი უსრულობა. ამიტომ ის გამოსვლისთანავე მოძველებული აღმოჩნდა: ვეღარ აკმაყოფილებდა იმ ღროის საზოგადოებრიობის ფართო მოთხოვნებს. თავისთავად ცხადია, ამის გამო ღლის წესრიგში დადგასეთი ახალი ლექსიკონის შედგენის ამოცანა, რომელშიაც სრულყოფილად ასახებოდა ქართული ლიტერატურის, მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის, კულტურის განვითარება. XIX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ პრესაში სულ თანდათანობით გაისმოდა ხმები ამისთანა ლექსიკონის შედგენის გადაუდებელ საჭიროებაზე.

ამ საკითხზე მსჯელობდნენ საზოგადო მოღვაწენი, მწერლები, კერძო პირები, მსჯელობდა პრესა. ი. ჰევეჰაჰის „ივერია“ მოითხოვდა ახალი ლექსიკონის შედგენის მიზნობას „მცოდნე და სათანადო კაცთათვის“.

1897 წელს გაბრიელ ბარნაბიშვილმა განიზრახა დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონის ხელმეორედ გამოცემა. ღიდი აქტუალობის გამო ამ საკითხს გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“. სარედაქციო წერილში — „ლექსიკონი და მისი დაბეჭდვის საჭიროება“ — გაზეთი წერდა: „სრულიად ვეთანხმებით ბ-ნს ბარნაბიშვილს, რომ ხსენებულ ლექსიკონების (ლაპარაკია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებზე, ა. ღ.) მოთხოვნილება ჩვენს ქართველ საზოგადოებაში ამჟამად ფრიად ღიდა და არსებული ძველი ლექსიკონებიც, მრავალ საჭირო სიტყვათა უქონლობის გამო, ყველა შრომისათვის ვერ გამოდგება. ამ მხრივ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები მცოდნე და სანდო კაცთაგან უნდა იქნეს შეესებულ-შემუშავებული, რისთვისაც ქართველ საზოგადოების მოვალეობა იყო, აერჩია კომისია ენის საუკეთესოდ მცოდნეთა საქართველოს ყველა კუთხეში და ამათვის მიენდო იმათი გადასინჯვა და შეესება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა. ახლა, თუ მაინცდამაინც კერძო კაცი იკისრებს ამ ღიღმნიშვნელოვან საქნელო საქმის შესრულებას, არ შეიძლება არ ვერჩიოთ: მიჰმართოს ჩვენის ენის საფუძვლიანად მცოდნეთა და განათლებულთ, დაეხმარნენ და ყოველივე ახალი მასალა, რომელიც კი ლექსიკონებში იქნება შეტანილი, გადასინჯონ, აგრეთვე მთელი ახლად დასაბეჭდი ლექსიკონებიც უთუოდ გადაათვალიერონ და მხოლოდ შემდეგ შეუდგეს იგი დაბეჭდვას, თორემ ვაფრთხილებთ, უამისოდ ახალი ლექსიკონები მაინც ვერ შესძლებენ საესებით კი არა, თუნდა ნახევარზედ დააკმა-

ყოფილონ დღევანდელი ქართველი საზოგადოების მოთხოვნები და მალე ისევე ხელმეორედ დასაბუქდი შეიქმნება“.¹

ეს იყო მთელი მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობისა და პირადად ილიას ავტორიტეტული, მეცნიერულად დასაბუთებული აზრი ახალი ლექსიკონების შედგენისა და ძველის ხელმეორედ გამოცემის საკითხზე. აღძრულ პრობლემას არაერთგზის დაბრუნებია „ივერია“. გაზეთის ერთ-ერთი თანამშრომელი — განდევილი, მაგალითად, შეუწყნარებლად მიიჩნევდა მოძველებული და ხმარებიდან გამოსული სიტყვების შეუტანლობას ლექსიკონში. თავის „მცირე შენიშვნაში“ იგი ამბობდა: „თუ ჩვენის თავის სიკეთე გვინდა, პირიქით, საჭიროა რაც შეიძლება მეტი ძველი სიტყვები იყოს ლექსიკონში შეტანილი და ამასთანავე ახალსაც შესაფერისი ადგილი მიეცეს. ერთი მეორეს არას დაუშლის და დიდად საჭიროც არისო“.²

ქართული, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონების შედგენა-გამოცემის საკითხზე საინტერესო აზრები აქვთ გამოთქმული პრესაში თ. სახოკიას,³ მ. ჯანაშვილსა⁴ და სხვებს.⁵ მ. ჯანაშვილს კიდევ შეუდგენია ქართული ლექსიკონი, მაგრამ იგი არ გამოცემულა. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველი ტომის წინასიტყვაობაში მთავარი რედაქცია ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავს: „გამოუცემელი დარჩა, სამწუხაროდ, პროფ. მოსე ჯანაშვილის ქართული ლექსიკონი, რომელზედაც ავტორი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდაო“ (გვ. 014, სქოლიო).

ამრიგად, ფართო დისკუსიაში, რომელიც ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონების შედგენა-გამოცემის საკითხებს მიეძღვნა 90-იანი წლების პრესაში, ხაზგასმით აღინიშნა ასეთი ლექსიკონების გამოცემის დიდი საჭიროება. სხვა შედეგი ამ დისკუსიას არ მოჰყოლია. ლექსიკონების უშუალო შედგენისათვის პრაქტიკული ნაბიჯი არ გადადგმულა. ადგილი ჰქონდა მხოლოდ ლექსიკური მასალის შეკრება-გამოცემის ცდებს (პ. ჭარაია, დედაენის ზოგიერთ სიტყვათა განმარტება, ქუთაისი, 1910; კირიონი, სალექსიკონო მასალა „ძველი საქართველო“, II, 1913 და სხვ.).

¹ „ივერია“, № 118, 1897 წ.

² „ივერია“, № 124, 1897 წ.

³ თ. სახოკია, ქართული ლექსიკონის შედგენის გამო, „ცნობის ფურცელი“, № 223, 1897; აგრეთვე მისი რეცენზიის რეცენზია: „ცნობის ფურცელი“, №№ 388, 389, 390, 391, 1897 წ.

⁴ „ივერია“, № 206, 1895; „ცნობის ფურცელი“, № 226, 1897 წ.

⁵ დაწერილებით ჩვენს: რუსულ-ქართული ლექსიკონები საქართველოში, გაზ. „გორი“, № 182, 1954 წ.

მოგვიანებით დაისახა უფრო კონკრეტული გეგმა. ქართული ენის ლექსიკონის შესადგენად 1915 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია — ი. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, იუსტ. აბულაძის, ი. ყიფშიძის, ს. გორგაძის, ვ. ლამბაშიძის, ვ. ბერიძის, პ. ინგოროყვასა და ა. შანიძის შემადგენლობით, გამოიცა „სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად“ (თბ., 1915, 14 გვერდი), მაგრამ ლექსიკონის შედგენა-გამოცემა მაინც ვერ მოხერხდა.

§ 70. ქართული ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი.

ახალი ქართული ენის სრული განმარტებითი ლექსიკონის შედგენა და გამოცემა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ამ დიდი ეროვნული საქმის ორგანიზაცია დაეკისრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. საქმის სახელმძღვანელოდ აკადემიის სისტემაში შეიქმნა ორი ორგანო: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია“ (1945 წ.) და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქცია“ (1949 წ.), რომელთაც სათავეში ჩაუდგა აკად. ა. ჩიქობავა. მანვე დაამუშავა გამოცემის ძირითადი პრინციპები (1945 წ.) და ლექსიკონიც მისი საერთო რედაქციით გამოდის.

ლექსიკონი შეიცავს 125-ათასამდის სიტყვას და გამოდის 8 ტომად. ჩერკერობით გამოსულია 7 ტომი (ტ. I, 1950, ა — ბ, რედაქტორი პროფ. ა. ჩიქობავა; ტ. II, 1951, გ, რედაქტორი პროფ. გ. წერეთელი; ტ. III, 1953, დ — ე, რედაქტორი პროფ. ვ. თოფურია; ტ. IV, 1955, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, რედაქტორები პროფ. ა. ჩიქობავა, დოც. მ. ჭაბაშვილი; ტ. V, 1958, მ — ნ, რედაქტორები დოც. ს. ვაჩნაძე, დოც. ო. კახაძე; ტ. VI, 1960, ო, პ, ყ, რ, ს, ტ, უ, რედაქტორები პროფ. თ. შარაძენიძე, დოც. მ. მესხიშვილი; ტ. VII, 1962, ფ; ქ, ლ, ყ, შ, რედაქტორები პროფ. ქ. ლომთათიძე, დოც. ს. მენთეშაშვილი, პ. გაჩეჩილაძე; ტ. VIII, ჩ, ც, ძ, წ, ჰ, ხ, ჯ, ჰ — იბეჭდება).

ხსენებული კოლექტიური ნაშრომი არიხ ახალი ქართული სალიტერატურო ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონი.

წინასიტყვაობაში ჩამოყალიბებულია კოლექტიური ნაშრომის მიზნები და ამოცანები. „ახალი სალიტერატურო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის დანიშნულებაა აღწესდეს და განმარტოს ყველა სიტყვა, რაც კი არის და მკვიდრებულ იმეამად სიტყვაჯამულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, — ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებასში; სათანადოდ გვაჩვენოს, თუ რა ლექსიკონური მართაგნი მოეპოვება ჩვენს ენას, ხელშესახები გახადოს, როგორ გამდიდრდა ქართული ენის ლექსიკონი საბჭოთა პე-

რიოდში და რა წყაროები გააჩნია მას შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის“ (ტ. I, გვ. 007).

ლექსიკონში აღბეჭდილია თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის მთელი სიმდიდრე. ნაჩვენებია თითქმის ყველა სიტყვა, რაც კია ხმარებაში, „რა ზედრითი წონაც აქვს სახელსა და ზმნას ქართულ მეტყველებაში“ (ტ. I, გვ. 013). განსაკუთრებით მდიდრულადაა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ფრაზეოლოგია.

ზმნა ქართულში მეტყველების ყველაზე რთული კატეგორიაა, დედაძარღვია, რომელიც ენის მთელ ძალას, შნოსა და გამომსახველობის უსაზღვროდ დიდ უნარს გვაჩვენებს. ამიტომ მისი სრულად წარმოდგენა ლექსიკონში მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული. ლექსიკონის მთავარი რედაქცია აღნიშნავს: „ქართული ზმნის ეს სიმდიდრე ქართულ ლექსიკონში არ გამოჩნდება, თუ ზმნის წარმომადგენლად ნაზმნარი არსებითი სახელი (მოქმედებისა) გვექნება“ (ტ. I, 011). ტრადიციულად ლექსიკონში ზმნა საწყისის (სახელზმნის) სახითაა შეტანილი. დიდი განმარტებითი ლექსიკონი არ მიჰყვება ამ ტრადიციას. პირიქით. ზმნა იქ ნაჩვენებია არა საწყისის ფორმით, არამედ პირის, ქცევის, გვარის, კონტაქტის, დინამიკურობა-სტატიკურობის მიხედვით. „ზმნის ლექსიკურ ერთეულად კომისიამ მიიღო ა წ მ ყ ო ს (მყოფადის) მ ე ს ა მ ე პირი ყველა იმ წარმოებისა, რაც ზევით აღვნიშნეთ: თესავს, ითესავს, უთესავს, ათესვინებს, ეთესება, ითესება, თესია, უთესია (თითოეული მათგანი დროებს აწარმოებს: თესავდა, თესავდეს, თესა, თესოს, უთესავს, ეთესა, ეთესოს, მაგრამ ესენი ლექსიკურ ერთეულებად არ მიიჩნევა და ლექსიკონში არ შედის“) (იქვე).

ლექსიკონში შეტანილია სპეციალური დანიშნულების ქართული და უცხოური ტერმინები, იდიომატური მასალა, ცალკე დიალექტური ერთეულები. სრულადაა წარმოდგენილი ბოტანიკისა და ზოოლოგიის სამყარო.

დიდი განმარტებითი ლექსიკონის გამოცემა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. გაკეთდა საშვილიშვილო საქმე. ის, რაზედაც ოცნებობდნენ ჩვენი ენის უდიდესი მოამაგენი წარსულ ეპოქებში, ახდა, სინამდვილედ იქცა. რვატომეულს, უეჭველია, მოჰყვება ერთტომეული ქართული ლექსიკონისა, გათვალისწინებული მასობრივი მკითხველის პრაქტიკული საჭიროებისათვის.

§ 80. ძველი ქართული ენის ძეგლთა ლექსიკონები. ძველი ქართული ენის სრული ლექსიკონი ჯერ არ გამოცემულა. მოგვეპოვება მხოლოდ ცალკე ძეგლებისა და ძეგლთა ქრესტომათიების მცირე ლექსიკონები.

ძველი ქართული ლექსიკონების შედგენაში განსაკუთრებით დიდი დეწლი მიუძღვით ნიკო მარსა (§ 84) და ა. შანიძეს.

ა. შანიძემ მშვენიერი ლექსიკონი დაურთო გიორგი მთაწმიდლის თხზულების გამოცემას¹. „ცხორება იოვანესი და ეფთუმესი“ ძველი ქართული ენის ერთ-ერთი ისეთი შესანიშნავი ძეგლია, რომლის მდიდარი ლექსიკა ყოველთვის იქცევედა მკვლევართა ყურადღებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავი აქ ისაა, რომ ა. შანიძემ წარმოადგინა ლექსიკონში სიტყვათა, პირველ რიგში ზმნათა, გაწყობის ახალი პრინციპი, რასაც თეორიულ ინტერესთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საქმე ეხება ზმნის ლექსიკური ერთეულების დალაგებას ლექსიკონში. ავტორი თავისი სისტემის შესახებ ამბობს: „ამ ლექსიკონში შემოტანილია ერთი ძირის ზმნების პირიან ფორმათა დალაგება გარკვეული სისტემით. აქ პირველად არის გამოყენებული ე. წ. ინდექსები, რომლებიც ადვილებენ ქართული ზმნის რთულ ფორმებში გარკვევას და ლექსიკონის მოხმარებას“²; „ლექსიკონში ზმნის გამოსავალ ფორმად მიღებულია საწყისი, რომელსაც პირიან ფორმათა საჩვენებლად ქვევისა და ვნებითი გვარის ნიშნები აქვს მიწერილი“³.

ინდექსების თეორია ა. შანიძემ უფრო განავრცო მისივე ხელმძღვანელობით შედგენილ „ვეფხისტყაოსნის სიმფონიაში“. აქ მკვლევარი ინდექსებზე გვეუბნება: „მათი შემწეობით ზმნა დახასიათებულია მოკლედ, თვალსაჩინოდ და ადვილ მისახვედრად, ამასთანავე ადვილად ხერხდება, თავი მოვუყაროთ ლექსიკონში ერთი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნის ფორმებს (ვხევა: აესებს, იესებს, უესებს, იესება, ვესება; მოღორება: მოვიღორები, მოვღორდები; მინდობა: მივანდობ, მივიანდობ, მივენდობი და მისთ.), რაციონალურად დავალაგოთ ისინი და არ ვაფხანტოთ სხვადასხვა ადგილას“⁴.

ა. შანიძეს ქართულ ლექსიკოგრაფიაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. უაღრესად ძვირფასია მისი მასალები დიალექტოლოგიური (§ 88) და სიმფონიური ლექსიკონებისათვის (§ 83).

ძველი ქართული ენის ძეგლთა მრავალ გამოცემას ახლავს მოკლე ლექსიკონი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ძეგლის ტექსტის გაგებისათვის, არამედ საერთოდ ლექსიკოგრაფიისათვის. აღვნიშნავთ ამის რამდენიმე ნიმუშს.

პროფ. იუსტ. აბულაძემ მოზრდილი ლექსიკონები დაურთო „ვე-

¹ გ. მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ეფთუმესი, ივ. ჭავჭავაძის შრომებისა და ა. შანიძის რედ., თბ., 1946, გვ. 82—161.

² იქვე, რედაქტორისაგან, გვ. VIII.

³ იქვე, გვ. 82.

⁴ ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1956, გვ. 013.

ფხისტყაოსნის“, „შაპ-ნამეს“, „ვისრამიანის“ გამოცემებს;¹ ს. რ. გორგაძემ — ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისას“ (1914), ბესიკის თხზულებათა გამოცემას (1912); პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა — ი. პეტრიწის შრომებს (1937), „ქართლის ცხოვრებას“ (1955, 1959); პროფ. ილ. აბულაძემ — „ბალაჰვარის“ (1937), ი. ცურტაველის „შუშანიკის წამების“ (1938), ვახტანგ VI-ის თხზულებების (1947), ი. მოსხის „ლიმონარის“ (1960) გამოცემებს; პროფ. ნ. ბერძენიშვილმა — არჩილის თხზულებებს (1937). პროფ. ნ. ბერძენიშვილმა და თ. ლომოურმა — ვახუშტის გეოგრაფიას (1941); ს. იორდანიშვილმა — საბას „სიბრძნე სიკრუისას“ (1938) და ფეშანგის „შაჰნავაზიანის“ (1935) ტექსტებს; პროფ. კ. კეკელიძემ — საგალობლებს (1912), ეკლესიასტეს თარგმანებას (1920), ნ. ციციშვილის „შვიდ მთიებს“ (1930), ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურის ტექსტებს (1935); გ. ლეონიძემ — ი. ტფილელის „დიდმოურავიანს“ (1939); პროფ. ა. შანიძემ — შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ (1959); გ. ჯაკობიამ — ქაიხოსროს „ომიანიანს“ (1937), თეიმურაზ პირველისა (1934) და თეიმურაზ მეორის თხზულებებს (1939); ილ. ჭყონიამ (1886), ალ. ბარამიძემ და პ. ინგოროყვამ (1949) და ე. მეტრეველმა (1962) — „ქილილა და დამანას“ გამოცემებს; პროფ. ვ. თოფურბამ — ბესიკის თხზულებებს (1932); პროფ. ი. იმნაიშვილმა — ოთხთავის უძველეს რედაქციებს (1948—1949), „იოვანეს გამოცხადებისა და მისი თარგმანების“ ტექსტს (1961) და თავის „ძველი ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიას“ (I, 1949, 1953, II, 1963); მ. კახაძემ — ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲს“ გამოცემას (1947); მ. ჭაბაშვილმა — ს. ყუბანეიშვილის „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის“ პირველ ტომს (1946), ი. ჭავთარაძემ — იმავე წიგნის მეორე ტომს (1949); ბ. საბაშვილმა, მ. ჭაბაშვილმა და პ. ვარჩილიძემ — ს.-ს. ორბელიანის თხზულებათა პირველ ტომს (1959); ი. ლოლაშვილმა — „ძველი ქართული მეხოტბენის“ პირველ (1957), „ჩვენი საუნჯის“ მეორე (1960) და ს.-ს. ორბელიანის თხზულებათა მესამე ტომებს (1963); ს. ენუქაშვილმა — ეფრემ მცირის თარგმანებს (1961); ალ. გვახარია და მაგ. თოდუამ —

¹ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1951, გვ. 337—383; შაპ-ნამეს, ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტ. აბულაძემ, თბ., 1916, გვ. 791—849; II, იუსტ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედ., თბ., 1934, გვ. 565—636; ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედ. იუსტ. აბულაძის ლექსიკონით, თბ., 1938, გვ. 347—408. იუსტ. აბულაძე ლ. კორტეიშვილთან ერთად მონაწილეობდა „წიგნი სააქიმოჲსა“ (თბ., 1936, გვ. 299—340) და იალიგარ დაუდის (თბ., 1938, გვ. 696—736) ლექსიკონების შედგენაშიც.

„ვისრამიანის“ ტექსტს (1962); მიხ. შენგელიამ — ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „კარაბადინს“ (1959)...

ცალკე უნდა აღინიშნოს ი. გრიშაშვილის დაკვირვებანი ძველი თბილისის მცხოვრებთა ლექსიკაზე, რაც გამოქვეყნებულია მის ნაშრომებში „საიათნოვა“ (1918) და „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (1927).

დასახელებული ნიმუშებიდან ყველაზე ვრცელი და სრული მასალის შემცველია პროფ. ი. იმნაიშვილის ლექსიკონები.

1962 წელს გამოვიდა ს. ბ. სერებრიაკოვის „ძველქართულ-რუსული ლექსიკონი (ოთხთავის ორი ძველი რედაქციის, მიხედვით)“. ნაშრომი შეიცავს დიდად საჭირო საცნობარო მასალას და მნიშვნელოვნად ამდიდრებს ქართულ ლექსიკოგრაფიას. 1952 და 1962 წ.წ. გამოიცა ი. მოლიტორის ლექსიკონები.¹

ქართულ ლექსიკოგრაფიაში დიდი ადგილი უჭირავს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონებს, რომლებიც რამდენიმე მკვლევარს აქვს შედგენილი. პოემის ტექსტის პირველი განმარტება-ლექსიკონი შეადგინა ვახტანგ VI-მ (§ 70) და დაურთო მის პირველ ბეჭდურ გამოცემას 1712 წელს. შემდეგ უფრო ვრცელი და საყურადღებო განმარტებანი მოგვცა პოემისა თეიმურაზ ბაგრატიონმა, რომლის ნაშრომი სრული სახით 1960 წელს გამოიცა.² „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონის შედგენაში დიდი დამსახურება მიუძღვით პროფ. იუსტ. აბულაძესა და, განსაკუთრებით, პროფ. ა. შანიძეს.

§ 81. თარგმნითი ლექსიკონები. თარგმნითი ლექსიკონი ჩვეულებრივ ორენოვანია (იშვიათად — სამენოვანი), რასაც პრაქტიკული დანიშნულება აქვს. ჩვენში ასეთი ლექსიკონების დიდი ტრადიცია არსებობს. მოგვეპოვება ქართულ-რუსული, ქართულ-ფრანგული, ქართულ-გერმანული, ქართულ-ინგლისური თარგმნითი ლექსიკონები.

1. ქართულ-რუსული. ნ. ჩუბინაშვილისა (§ 76) და დ. ჩუბინაშვილის (§ 77) შემდეგ ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენაზე ბევრ ავტორს უმუშავია. 1899 წელს გამოიცა კ. ბაგაევის სასწავლო ლექსიკონი³, 1942 წელს — გ. ახვლედიანისა და ვ. თოფურიას სასკოლო ლექსიკონი⁴, 1943—1948 წლებში — ქეთევან დათიკაშვილის „ქართულ-

¹ J. Molitor, Altgeorgisches Glossar zu Ausgewählten Bibeltexten, რომი, 1952; მისივე; Glossarium ibericum, 1, 2, Louvain, 1962.

² თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკლევითა და საძიებლით, თბ., 1960.

³ К. Багаев, Опыт грузино-русского словаря, для начальных училищ, Тб., 1899.

⁴ გ. ახვლედიანი და ვ. თოფურია, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1942; მეორე გამოც., თბ., 1950.

რუსული ლექსიკონი“, რომელიც დაახლოებით 50.000 სიტყვას შეიცავს¹. ამჟამად გამოდის უკანასკნელის მეორე, უფრო ვრცელი გამოცემა (ჭერჯერობით გამოსულია პირველი, ა-დ, თბ., 1953 და მეორე, ვ-ო, ნაწილი, თბ., 1959).

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ, როგორც ახლა გამორკვეულია, ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენა განუზრახავს პირადად ილია ჭავჭავაძესაც და ამ მიზნით დიდძალი მასალაც შეუგროვებია². სამწუხაროდ, მისი განზრახვა განუხორციელებელი დარჩა.

2. ქართულ-ფრანგული ლექსიკონის შედგენის პირველი ცდა ა. სულხანიშვილს ეკუთვნის. მან 1839 წელს გამოაქვეყნა სამეცნიერო — ქართულ-ფრანგულ-რუსული მეთოდური ლექსიკონი, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა³. გვიან დაიბეჭდა ი. ა. როტინოვის შემოკლებული ქართულ-ფრანგული ლექსიკონი⁴, რაც იმავე მიზანს ემსახურებოდა, ხოლო უკანასკნელად გამოვიდა ი. გვარჯალაძისა⁵ და ე. ოქროპირიძის⁶ მოკლე სასწავლო ქართულ-ფრანგული ლექსიკონები.

3. ქართულ-გერმანული ლექსიკონი რამდენიმე ავტორს აქვს შედგენილი. აქედან აღსანიშნავია რ. მეკელაინის⁷, ე. სირაძისა და დ. ნადარეიშვილის⁸, ნ. ადამიას⁹, კ. ჩხენკელის¹⁰ ლექსიკონები.

4. ქართულ-ინგლისური ლექსიკონები უკანასკნელ წლებში გამოიცა. აქედან უნდა დავასახელოთ თამარ და ისიდორე გვარჯალაძეებისა¹¹ და ე. ჩერკეზის ლექსიკონები¹².

¹ ქ. დათიკაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, I, ა-ი, თბ., 1943; II, კ-პ, თბ., 1948.

² ი. ჭავჭავაძე, სალექსიკონო მასალა, პუბლიკაცია და შენიშვნები შ. ძიძიგურიას, „მნათობი“, № 10, 1957, გვ. 172—182.

³ ა. სულხანიშვილი, მეთოდური ლექსიკონი ქართულ-ფრანციზულ-რუსული, მპყრობელი ლექსთა ყოველთა ნაწილთა სიტყვისათა, უმეტეს ხმარებულთა და განწყობილთა საგანთაებრ, რიცხვით ოთხი ათასთა, სპბ., 1839.

⁴ ი. ა. როტინოვი, შემოკლებული ქართულ-ფრანციზული ლექსიკონი, გამოც. მეორე, თბ., 1872.

⁵ ქართულ-ფრანგული ლექსიკონი (15000 სიტყვა), შედგენილი ი. გვარჯალაძის მიერ, თბ., 1946.

⁶ ე. ოქროპირიძე, ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, თბ., 1953.

⁷ R. Meckelein, Georgisch-Deutsches Wörterbuch, Berlin und Leipzig, 1928.

⁸ ე. სირაძე და დ. ნადარეიშვილი, ქართულ-გერმანული თემატოკური ლექსიკონი და საუბრის ნიმუშები, თბ., 1957.

⁹ ნ. ადამია, ქართულ-გერმანული ლექსიკონი, თბ., 1963.

¹⁰ K. Tschenkéli, Georgisch-Deutsches Wörterbuch, Amirani-Verlag, Zürich, fas. I (ა-ბ), 1960, II (ბ-გ), 1961, III (გ-დ), 1961, IV (დ-ე), 1962, V (ე-თ), 1962.

¹¹ თ. და ი. გვარჯალაძეები, ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, თბ., 1947.

¹² E. Cherkesi, Georgian-English Dictionary, Oxford, 1950.

თარგმნითი ლექსიკონებიდან ცალკე უნდა გამოიყოს რუსულ-ქართული¹, ფრანგულ-ქართული², გერმანულ-ქართული³, ლათინურ-ქართული⁴, ინგლისურ-ქართული⁵, არაბულ-ქართული⁶ და მისთ. ლექსიკონები, რომელთა ძირითად ნაწილს სასწავლო დანიშნულება აქვს.

ბეჭდურთან ერთად ჩვენ მოგვეპოვება რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების ხელნაწერი ნუსხებიც. XVIII-ის მეორე ნახევარსა და, განსაკუთრებით, XIX საუკუნის პირველ ნახევარში

¹ გ. ფ ი რ ა ლ ო ვ ი, თუმასწავლებელი, სპბ., 1820; Д. Чубинов, Русско-грузинский словарь, СПб., 1846; СПб., 1857; СПб., 1886; Тб., 1901; ლ. ა ღ ნ ი ა შ ვ ი ლ ი, უბის ლექსიკონი, თბ., 1887; К. Кипиани, Русско-грузинский словарь по астрономии, зоологии, минералогии, разных терминов и технических слов, Тб., 1896; თ. ს ა ხ ლ ო კ ი ა, რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1897; ი. ვ ე ზ ი რ ი შ ვ ი ლ ი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1919; П. Климовский, Русско-грузинский жарганный словарь, Тб., 1919; იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, რუსულ-ქართული ლექსიკონი, სალიტერატურო, საპოლიტიკო, სატექნიკო და უცხო სიტყვათა და ტერმინთა ჩართვით, I, თბ., 1927 (გამოვიდა მხოლოდ ეს ერთი ტომი, A-K); გ. ა ბ ვ ლ ე დ ი ა ნ ი და ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 1931, II, თბ., 1935 (გამოვიდა მხოლოდ ორი ტომი, A-H); რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოც., 1937; ე. თ ო ფ უ რ ი ა და ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, საშუალო სკოლებისათვის, მესამე გამოც., თბ., 1958 (პირველი გამოც., თბ., 1938, მეორე — 1940); ა. გ. ტ ო რ ო ტ ა ძ ე, ე. ა. ტ ო რ ო ტ ა ძ ე, მოკლე რუსულ-ქართული ლექსიკონი, პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., თბ., 1953; რუსულ-ქართული ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის გამოც., I, თბ., 1956, II, 1958, III, 1959.

² ფრანგულ-ქართული მეთოდური ლექსიკონი, მონთობანი, 1877; ი. გ ვ ა რ ჯ ა ლ ი ა ძ ე, ფრანგულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 1963.

³ ი. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, გერმანულ-ქართული სასკოლო ლექსიკონი, თბ., 1951; ნ. ქ ა დ ა გ ი ძ ე, გერმანულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1953; მ. გ ო გ ი ტ ი ძ ე, ნ. ქ ა დ ა გ ი ძ ე, გერმანულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961; R. Meckelein, Deutsch-Georgisches Wörterbueh (2 B.), Berlin, 1937 und Leipzig, 1943; მიხევე: გერმანული ენის სახელმძღვანელო ქართველთათვის, ბერლინი, 1931, გვ. 199—264.

⁴ რ. ე რ ი ს თ ა ვ ი, შემოკლებული ლათინურ-რუსულ-ქართული მცენარეთა ლექსიკონი, თბ., 1873., მიხევე: მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან, თბ., 1884; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961 (ახლავს ქართულ-ლათინური შესატყვისობანიც, გვ. 347—490).

⁵ თ. ლ ა ი. გ ვ ა რ ჯ ა ლ ა ძ ე ვ ბ ი, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1952.

⁶ გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951.

ბევრ ავტორს უცდია რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა. სპეციალისტ ლექსიკოგრაფოსებთან ერთად თავი გამოუჩინიათ რუსულ-ქართული ლექსიკონის ანონიმ მოყვარულებსაც. შექმნილა ხელნაწერ ლექსიკონთა მთელი სერია. ამ ხელნაწერთა მთავარი ნაწილი დღეს თავმოყრილია ჩვენს წიგნთსაცავებსა და არქივებში (საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკა, სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტი და სხვ.), მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო პირთა ხელშია. პირადად ჩვენ ხსენებულ არქივებში აღრიცხული გვაქვს რუსულ-ქართული ლექსიკონების 70-ზე მეტი ნუსხა, რომელიც სხვადასხვა მიზნითაა შედგენილი¹. ამ ნუსხებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა იოანე ბაგრატიონისა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 2328, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკა, № 272) და ნიკო ჩუბინაშვილის (ხელნაწერთა ინსტიტუტი H 1739, S 3712, 3713) რუსულ-ქართული ლექსიკონები, რომელთაც მნიშვნელობა დღემდისაც არ დაუკარგავთ².

§ 82. ენციკლოპედიური და უცხოურ სიტყვათა ლექსიკონები. ენციკლოპედია ჰქვია ლექსიკონს, რომელიც შეიცავს სისტემატურად დალაგებულ ცნობებს ცოდნის ყოველი სფეროდან. ენციკლოპედია შეიძლება იყოს ორი სახისა: ზოგადი — ამსახველი ცოდნის ყოველი დარგისა, კერძო — ყოველმხრით ამსახველი ცოდნის ერთი რომელიმე დარგისა.

ჩვენში იყო ცდები ენციკლოპედიური ლექსიკონების შედგენისა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოციან წლებში გ. ჩუგუნოვს რუსული ენიდან უთარგმნია ი. პოკლონცკის მიერ ფრანგულიდან გადმოღებული „ენციკლოპედია ანუ შეკრებილება ზნეობითთა სწავლათა პაზრ-

¹ ჩვენი: რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონების რედაქციებისათვის, „ცხინვალის სახელმწ. პედინსტიტუტის შრომები“, III, 1956, გვ. 279—314.

² ჩვენი: რუსულ-ქართული ლექსიკონები საქართველოში, „გორი“, № 182, 1954; ქართულ-რუსული ლექსიკონი იოანე ბატონიშვილის ხელნაწერთა ლენინგრადის კოლექციაში, „ცხინვალის სახ. პედინსტიტუტის შრომები“, II, 1955, გვ. 285—312; რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონების რედაქციებისათვის, „შრომები“, III, 1956, გვ. 279—314; წიგნი და ავტორი, „სახალხო განათლება“, № 52, 1961; ან. აბრამიშვილი, ერთი უცნობი ქართულ-რუსული ლექსიკონის შესახებ, „სახალხო განათლება“, № 52, 1952; ლ. ქუთათელიძე, იოანე ბატონიშვილის ავტოგრაფული ნუსხების მიმოხილვა, „საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, I, თბ., 1959, გვ. 217 — 238; ნ. კელენჯერიძე, რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII—XIX საუკუნეებისა, თბ., 1961.

თან, და განსჯანი სხუათა და სხუათა ნივთათესა, რომელიც გამოცემულა პეტერბურგს 1823 წელს.

1898—1899 წლებში ივ. როსტომაშვილის რედაქციით გამოიცა „სალარო ცოდნისა, რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (ოთხნაწილად), რომელმაც თავის დროზე დადებითი სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებრიობას.

უცხოურ სიტყვათა ლექსიკონიც რამდენიმე გზისაა გამოცემული. უცხოურ სიტყვათა ლექსიკონების შედგენა-გამოცემაში დიდი დამსახურება მიუძღვით მწერალ ი. იმედაშვილსა და პროფ. გ. ახვლედიანს. ი. იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ გამოვიდა 1904 წელს, პროფ. გ. ახვლედიანის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“ — 1933 წელს.

პროფ. გ. ახვლედიანის ეს ლექსიკონი ქართველი ინტელიგენციის უცვლელ სამაგიდო წიგნს წარმოადგენს დღესაც.

1906 წელს გამოვიდა „სახალხო უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გაზეთების და პოლიტიკურ-ეკონომიურ წიგნების კითხვის დროს სახმარებლად“.

1928 წელს გამოიცა „სპეციალური კომისიის კოლექტიური ნაშრომი — „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, რომელიც, ამჟამადაც დადებით სამსახურს უწევს მომხმარებელს. 1964 წ. „ნაკადულმა“ გამოსცა მ. ჭაბაშვილის „უცხო სატყვათა ლექსიკონი“.

§ 88. სიმფონიური ლემსნიკონებში. სიმფონია ნუსხაა ერთი რომელიმე ლიტერატურული თხზულების ლექსიკისა. მას უაღრესად დიდი საცნობარო მნიშვნელობა აქვს როგორც ამ ერთი თხზულების, ისე საერთოდ ენის ლექსიკის სიმდიდრის გამოსავლინებლად და შესასწავლად.

პირველი ქართული სიმფონიური ლექსიკონი შეუდგენია ს.-ს. ორბელიანს. ეს იყო ქართული ბიბლიის საკუთარ სახელთა კონკორდანსი, რაც ჩვენამდის ხელნაწერის სახითაა მოღწეული (A 51) და ასევეა დარჩენილი. მისი გამოცემა დიდი წვლილი იქნებოდა ქართულ ლექსიკოგრაფიაში. ძველი ქართული ხელნაწერებიდან ვტყობილობთ, რომ წინათ კიდევ ყოფილა ამისთანა ლექსიკონის შედგენის ცდა, მაგრამ ძველი ქართული ენის რომელიმე ძველის სრული სიმფონია ჩვენამდის არ შემონახულა.

პირველი ბეჭდური სიმფონიური ლექსიკონის ავტორი არის კ. ჭიჭინაძე, პოეტი და მკვლევარი „ვეფხისტყაოსნისა“. მან შეადგინა და დაურთო პოემის გამოცემას „სიმფონია, ვეფხისტყაოსნის სრული ლექსიკა“¹. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიმფონია ამჟამად ვერ პასუხობს

¹ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კ. ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით, თბ., 1934, სიმფონია, გვ. 419—657.

შეცნიერულ მოთხოვნებს და არსებითი ხასიათის ნაკლსაც შეიცავს, მისი გამოცემა მიიწვევს გამართლებული იყო. იგი პირველი ცდა იყო სწორ-უპოვარი ძეგლის სრული ლექსიკის გამოვლენისა.

შეცნიერული სიმფონიური ლექსიკონების ტრადიციას საქართველოში დაინერგა ა. შანიძის მეშვეობით. ჯერ პირადად მან დაუთმო მშვენიერად შედგენილი და გამართული სიმფონია ხანმეტი ლექციონარის გამოცემას¹, შემდეგ მისი რედაქციით ი. იმნაიშვილმა შეადგინა და გამოსცა ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის სიმფონია-ლექსიკონი², ბოლოს, მისივე ხელმძღვანელობით დამუშავდა და გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი სიმფონია³. ამ სიმფონიებს დაუფასებელი მნიშვნელობა აქვთ შეცნიერებისათვის.

ი. იმნაიშვილის „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ ძვირფასი, სამაგიდო წიგნია. მის წინასიტყვაობაში ა. შანიძე აღნიშნავს: „ვამბობთ ს ი მ ფ ო ნ ი ა ო, რადგანაც შიგ ყველა სიტყვაა შეტანილი, რომლებიც კი გვხვდება ოთხთავში: ამოკრებილია არა მარტო სრულმნიშვნელოვანი სიტყვები (სახელები, ზმნები, ზმნიწოდებები), არამედ აგრეთვე დამხმარებებიც (კავშირები, თანდებულები, ნაწილაკები) ყველა ადგილის ჩვენებით, სადაც კი ესა თუ ის სიტყვა გვხვდება; დავსძენთ ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ო, რადგანაც ახსნილია ყველა სიტყვა, რომლებიც უცნობია დღევანდელ ქართულში, ან ცნობილია, მაგრამ სხვა მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ოთხთავის ენაში“ (გვ. 05). „სიმფონიაში“ სიტყვები შეტანილია ოთხთავის ორივე რედაქციის (ადიშისა და ჯრუჟ-პარხლის) ტექსტიდან, ამასთან ჯრუჟ-პარხლის რედაქციიდან ამოღებულია ყველა სიტყვა, ადიშის რედაქციიდან — მხოლოდ განსხვავებული. სიტყვა, როგორც წესი, ამოწერილია ფრაზაში, რაც შედარებით სრულადაა წარმოდგენილი, ოღონდ „რთული წინადადება უმეტეს შემთხვევაში დაშლილია მარტივ წინადადებად და მაგალითი ამ უკანასკნელთაგან არის ამოღებული“ (გვ. 010). „სიტყვები დალაგებულია ფუძეთა მიხედვით“, „პრეფიქსებით ნაწარმოები სიტყვები თავისი ასოების რიგზეა დაწყობილი, მარტივი ფუძე კი ნაჩვენებია და მითითებულია, თუ რა სიტყვაა მისგან ნაწარმოები ოთხთავში“ (გვ. 013).

„სიმფონია“ სრულ წარმოდგენას იძლევა ძველი ქართული ენის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლების ლექსიკური მარაგისა და თავისებურების

¹ ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპირი რეპროდუქცია), გამოსცა და სიმფონია დაუთმო ა. შანიძემ, თბ., 1944.

² ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედ., თბ., 1948—1949.

³ ვეფხისტყაოსნის სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1956.

შესახებ და საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ძველი ქართული ენის ლექსიკის ძირითადი თავისებურებანი საერთოდ.

§ 84. ნიამო მარის ლექსიკომგრაფიული ურომეგი. ნ. მარის სახელთან დაკავშირებულია ქართულ-ქართველური ენების ლექსიკოგრაფიის განვითარების ახალი ეტაპი. თავისი მეცნიერული მოღვაწეობის დასაწყისიდან მოყოლებული სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდის იგი გულმოდგინედ იკვლევდა ქართულსა და მისი მონათესავე ენების ლექსიკას. მის მრავალრიცხოვან ნაშრომებში მოცემულია ასეულობით სიტყვის ბრწყინვალე ანალიზი და გონებამახვილური ეტიმოლოგია, რაც დღესაც ასე ცხოველ ინტერესს იწვევს და სანიმუშოდაც შეიძლება მივიჩნიოთ. ნ. მარის ეტიმოლოგიური ძიებანის ცალკე შესწავლა და მისი ეტიმოლოგიური ლექსიკონის შედგენა დღესაც ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანად რჩება.

ნ. მარი პირველ რიგში დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულის, მისი ცოცხალი დიალექტების, აგრეთვე სვანურის, ჭანურისა და მეგრულის ლექსიკონების შედგენა-გამოცემას. მას თავდაპირველად განზრახული ჰქონდა ქართული ენის დიდი ლექსიკონის შედგენა ფართო გეგმით. მისი წინადადებით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში მიიღო გადაწყვეტილება დიდი ქართული ლექსიკონის გამოცემის შესახებ. ლექსიკონში უნდა ასახულიყო ძველი ქართული სასულეო და საერო მწერლობის ძეგლების ლექსიკა ეტიმოლოგიური ცნობებით, ნავარაუდები იყო სიტყვათა არა მარტოდენ ადგილის ჩვენება, არამედ მათი წარმოდგენა ვრცელი ფრაზეოლოგიით. ამ მიზნით ნ. მარს ლექსიკონის რედაქციის შემადგენლობაში მიუწვევია ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ნ. აღონცი და ვ. ბენეშევიჩი.

თავისი მცირე „ძველქართულ-რუსული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში ნ. მარი ამის შესახებ 1913 წელს წერდა: „Академиею Наук предпринято составление, под моим руководством, большого словаря грузинского языка. Мною приглашены в состав редакции пр.-доц. Н. Г. Адонц, проф. В. Н. Бенешевич, прив.-доц. И. А. Джавахов и оставленный по кафедре армяно-грузинской филологии И. А. Кипшидзе. План этого словаря будет обнаружен, когда намеченные и начатые подготовительные работы будут исполнены и дадут возможность составить реальную программу с изложением конкретных требований. Тогда представится случай снабдить программу соответственным полным проспектом самого словаря. В нем будут указания и на систему расположения слов в каждом гнезде в историческом их развитии или в специальном их применении в различных стилях духовной и

светской письменности, равно в разных литературных родах по эпохам и писателям. Там же будут не только цитоваться всегда места нахождения слов, но и приводиться *in extenso* сами фразы-свидетельницы во всех характерных случаях. Там же, вероятно, заимствованные слова и собственные имена не будут выделены, причем те из них, которые не-яфетического происхождения, будут внесены в оформленном виде, т. е. с присущей им огласовкою. Там же, наконец, этимологические сопоставления, равно новые вульгарные и новые диалектические формы, имеющие значение для сравнительной грамматики яфетических языков, будут устранены или во всяком случае сильно сокращены, и их заменят ссылки на литературу этого специального предмета.¹

როგორც არქივიდან ჩანს, პირადად ნ. მარმა და მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა კომისიამ ერთგვარი მუშაობა გასწია ძველქართულის ლექსიკონის შესადგენად, მაგრამ დასახული მიზანი მაინც ვერ განხორციელდა. ნ. მარის არქივში მოპოვება ათასობით სალექსიკონო ბარათი. ამ მიზნით დაუმუშავებიათ რამდენიმე ძირითადი ძეგლიც, მაგრამ წამოწყება დაუმთავრებელი დარჩა.

ნ. მარის დაკვირვებანი ქართული ლექსიკის ნიმუშებზე გაბნეულია მის მრავალრიცხოვან ნაშრომში. მცირე ლექსიკონები ერთვის მის მიერ გამოცემულ ძველქართულ ძეგლებს. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „მეზობტეთა“ და გ. მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ მოკლე ლექსიკონები.²

ნ. მარმა 1913 წელს გამოსცა მცირე ძველქართულ-რუსული ლექსიკონი მარკოზის სახარების 1—2 თავისათვის, რომელშიაც ლექსიკური ერთეულები დალაგებულია თანხმოვნის ძირთა მიხედვით: ბღ — ბაღებ-ა; ზღ — ბაღჲ; დღღ > დ — დაბალ-ი; ვღრ — ედღრ-ება-ა; კრბ — კრება-ა; კრძ — კერძო-ა; ლც — ლოც-ვა-ა; პურ — პურ-ობა-ა; ქცვ — ქცევა-ა... ამის შესახებ ავტორი წერდა: „Слова расположены по корням, т. е. по согласным; но когда по отпадении слабого начального согласного слово начинается гласным, огласов-

¹ Н. Марр, Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам Евангелия Марка, СПб., 1913, IV—V.

² Древнегрузинские описцы, грузинский текст исследовал, издал и словарем снабдил Н. Марр, СПб., 1902, გვ. რაა — რაგ; Г. Мерчул, Житие Григория Хандзтнийского, грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшню и Кларджию, ТР., VII, СПб., 1911, LXII—LXX.

ყოი ილი იზჩეზნუშვიტო პერვო კორენიო ილი იზჩეზნუშვიტო სო-
გლსნო ელემენტო პრეფიქსო, თო იო ნომეშტე ი ვ სთლბე სო-
თვქსნენიო გლსნო ს სსილკო ი ნეზდო, გდე დეტსე იტო
თლქონიე. ვ რამეშენი სლოვ სჩიტატსე პრიქოდიტსე ს ნაიქ-
ნიმი სოგლსნიმი კორნი, ა ვოსტანავლივამე იკაზივანტსე ლიშ-
ვ სკობქაჲ“.¹

ამისთანა ლექსიკონის გამოცემა, უთუოდ, დიდი მოვლენა იქნებოდა-
ქართულ ლექსიკოგრაფიაში, მაგრამ წამოწყება მხოლოდ ამ მცირე
მონაკვეთზე შეწყდა და შემდეგ ავტორი ლექსიკონის შედგენას ველარ-
დაუბრუნდა.

ნიკო მარი ძველი და ახალი ქართული ენის ლექსიკონების შედგენასთან
ერთად არა ნაკლებ იყო დაინტერესებული დიალექტური, ჰანური,
მეგრული და სვანური ლექსიკითაც. ამ მიზნით მან რუსეთის მეცნიერე-
ბათა აკადემიის სისტემაში დააარსა სპეციალური სერია „Материалы по
Яфетическому языкознанию“, რომლის პირველი და მეექვსე
წიგნი² მიეძღვნა ქართულისა და მისი დიალექტების ლექსიკას. მესამე,
მეოთხე და მეშვიდე წიგნები — ჰანურისა და მეგრულის გრამატიკასა
და ლექსიკას³, მერვე, მეცხრე და მეთე წიგნები⁴ — სვანურ ტექს-
ტებსა და ლექსიკას.

განსაკუთრებით ძვირფასი მასალა შეტანილი ილია ჰყონიას „სიტყ-
ვის კონაში“. ავტორს განუზრახავს იმ სიტყვობრივი ფონდის შეკ-
რება-შესწავლა, რაც არ გვხვდება არც საბას „ქართულ ლექსიკონსა“
და არც დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“. ლექსი-
კური ერთეულები მას ამოუკრებია პრესის ორგანოებისა და დიალექ-
ტური მეტყველებიდან (ქართლური, ხევსურული, ფშაური, გურული,
იმერული, თუშური). ამ მასალას ნ. მარი სრულიად ახალს უწოდებდა
(წინასიტყვაობა, I).

¹ Н. Марр, Древнегрузинско-русский словарь к 1—2 главам Евангелия Марка, СПб., 1913, V—VI.

² ი. ჰყონია, სიტყვის კონა, საბა-სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვი-
ლის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები, ნ. მარის წინასიტყვაობით, МЯЯ,
I, СПб., 1910; გ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, МЯЯ, VI,
СПб., 1912.

³ Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и
словарем, МЯЯ, II, СПб., 1910; И. Кипшидзе, Дополнительные сведения
о чанском языке, МЯЯ, III, СПб., 1911; И. Кипшидзе, Грамматика мин-
грельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, МЯЯ, VII, СПб.,
1914.

⁴ ა. კონაძე, მეგმარიზი ბალხარე ეახნლე ხორავ, МЯЯ, VIII, Птр., 1917;
მისივე: ლუშნუ ამბკარ ლგლშხუ შუმი ნინშუ, МЯЯ, IX, Птр., 1917;
Н. Марр, Извлечение из сванско-русского словаря, МЯЯ, X, Птр., 1922.

§ 85. ტერმინოლოგიური ლექსიკონები. მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებამ მოითხოვა ფართო სატერმინოლოგიო მუშაობა. საქმარისი აღარ გახდა ერთეულ ავტორთა მიერ ნახმარი ტერმინები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მთავარ ამოცანად დაისახა ისეთი მეცნიერული და ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებდა თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას. ეს მეტად რთული და ძნელი საქმე იყო, რადგან რევოლუციამდის ჩვენში მეცნიერებისა და ტექნიკის მთელი რიგი დარგების ტერმინოლოგია სრულიად არ არსებობდა და თითქმის არავითარი ტრადიცია არ გვქონდა ამისთანა დარგების ტერმინოლოგიის შექმნისა.

რევოლუციამდელი ტერმინოლოგიური სიტყვარებიდან შეიძლება დავსახელოთ: „ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია, სილ. ხუნდაძის წინასიტყვაობით“ (ქუთაისი, 1887), „რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი“ (თბ., 1920), „რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ტექნიკური ლექსიკონი“ (თბ., 1920), ნ. ა. ბლოტოვი „მოკლე კომერციული სიტყვარი“ (თბ., 1920), რომელთაც იმთავითვე დაჰყვათ არსებითი ხასიათის ნაკლი: რაც მთავარია, მათში მრავალი ისეთი შეცდომა და შეუსაბამობა გვხვდება, რომ მათ მიღებას შეუძლებლად ხდის.

ტერმინოლოგიის მოსაგვარებლად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა ცენტრალური სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ცოდნის სხვადასხვა სფეროდან. კომიტეტს წლების განმავლობაში სათავეში ედგა პროფ. ვუკ. ბერიძე, რომლის სახელთან დაკავშირებულია შექმნა არა ერთი და ორი მშვენიერი ქართული ტერმინისა, ახლაც რომაა ხმარებაში. „სატერმინოლოგიო კომიტეტს თავის მუშაობაში, — წერდა 1935 წელს ვუკ. ბერიძე, — იმთავითვე (1926 წ.) სახელმძღვანელო პრინციპად ქმონდა: ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნა საჭირო არაა, უცხოური ფუძეების შემოტანა უფრო ამდიდრებს ქართულ ენას, ვინემ მათი თარგმნა.“¹

კომიტეტის ხელმძღვანელობით დამუშავდა და გამოიცა მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის ტერმინოლოგიური ლექსიკონები, რომლებიც ახლაცაა ხმარებაში. ამ ლექსიკონებიდან აღსანიშნავია: „მათემატიკის ტერმინები“ (1925), „მათემატიკური ტერმინოლოგია“

¹ ძველი წყაროებიდან ჩანს, რომ მხოლოდ გარკვეული დარგობლივი ტერმინოლოგია ყოფილა ადრე შემუშავებული (დ. მ. მშვენიერი, ტექნიკის ლექსიკონი მასალები ქართულ წერილობით ძეგლებში, თბ., 1961).

² ტექნიკური ტერმინოლოგია, ვ. ბერიძის წინასიტყვაობა, თბ., 1935, გვ. VI.

(პროფ. ვ. ბერიძის რედ., 1944), „ფიზიკისა და ელექტროტექნიკის ტერმინოლოგია, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული“ (1928), „ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია“ (1928), „საანგარიშო მეცნიერებათა ტერმინოლოგია“ (1928), „ნორმალური ანატომიის ტერმინოლოგია, ლათინურ-ქართულ-რუსული, ქართულ-რუსულ-ლათინური, რუსულ-ქართულ-ლათინური“ (1930), „ბიბლიოთეკონომიის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული წარმოების ტერმინოლოგია“ (1932), „ტექნიკური ტერმინოლოგია“ (ვ. ბერიძის რედ., 1935), „სამედიცინო ტერმინოლოგია“, შედგენილი პროფ. ზ. მაისურაძის მიერ (1947), „პროფესიათა ტერმინოლოგია“, შედგენილი გ. ჭულელის მიერ (1926), „საავიაციო ტერმინოლოგიური ლექსიკონი“ (1935), „სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, I, მემცენარეობა“, შედგენილი ალ. მაყაშვილის მიერ (1938), „სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, II, ენტომოლოგია“, შედგენილი პროფ. ლ. კალანდაძის მიერ (1938), „სოციალ-ეკონომიური ტერმინოლოგიის მასალები“ (პროფ. ვ. ბერიძის რედ., 1936), „გეოლოგიური ტერმინოლოგია“, შედგენილი გ. ლომთათიძის, მ. ფოფხაძისა და კ. ჭავჭავაძის მიერ (აკად. გ. ახვლედიანის რედ., 1941), „ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული მასალები გეოგრაფიის ტერმინოლოგიისათვის“, შედგენილი ა. კაპანაძის მიერ (პროფ. გ. გეხტმანის რედ., 1941), „რადიოტექნიკის ტერმინოლოგია“, შედგენილი ინჟ. ხშიადაშვილის მიერ (1945), „წამალთა ქიმიის ტერმინოლოგია“, შედგენილი პროფ. ი. ქუთათელაძის მიერ (1954), „მეტალურგიული ტერმინოლოგია“ (პროფ. რ. აგლაძის, პროფ. ვ. ბერიძისა და ინჟ. ნ. ქაშაკაშვილის რედ., 1949), „მეტალურგიის ტერმინოლოგია“ (პროფ. ნ. ქაშაკაშვილისა და დოც. რ. ლამბაშიძის რედ., 1959), „ავტო-ტრაქტორის ტერმინოლოგია“, შედგენილი ვ. ოშიაძის მიერ (1950), „ნიადაგმცოდნეობის ტერმინოლოგია“, შედგენილი ი. ბარათაშვილის მიერ (1950), „ეკონომიკის ტერმინოლოგია“, შედგენილი პ. გუგუშვილისა და პ. კუჭიაძის მიერ (1947), „აღრიცხვისა და სტატისტიკის ტერმინოლოგია“, შედგენილი ლ. კარბელაშვილის მიერ (1950), საბიბლიოთეკო ტერმინების ლექსიკონი, შედგენილი გ. გიორგიძისა და გ. კარტოზიას მიერ (1962), ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი, შედგენილი ა. ჭილაიასა და ო. შუშანიას მიერ (1957), მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი, შედგენილი თ. დაფქვიაშვილის მიერ (1955)...

ქართულ ენაზე მოგვეპოვება მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს ლექსიკონებიც, რის ტრადიცია ჩვენში ჯერ კიდევ ი. ბაგრატიონმა შექმნა. 1884 წელს გამოქვეყნდა რაფ. ერისთავის „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფო-

ებიდგან“, რასაც განუზომლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებისათვის საქართველოში.

ქართული ბოტანიკური და ზოოლოგიური სამყარო ასახულია ი. ჯავახიშვილის¹, ნ. კეცხოველას², ზ. ყანჩაველის³, ი. ჩხიკვიშვილისა⁴ და სხვათა ნაშრომებში. პირველი ვრცელი ქართული ბოტანიკური ლექსიკონი შეადგინა ა. მაყაშვილმა⁵.

§ 86. ხატოვან, ფიგურალულ სიტყვა-თქმათა ლექსიკონები. ხატოვან სიტყვა-თქმებს სიტყვის მასალებს, ან ფრთიან სიტყვებსაც უწოდებენ. ქართული ენა უალრესად მდიდარ მასალას გვაწვდის ამისთანა სიტყვათა ლექსიკონის შესადგენად. ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავდნენ ჯერ კიდევ პ. უმიკაშვილი⁶, ა. მირიანაშვილი⁷...

პირველი შედარებით სრული ლექსიკონი ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმათა შეადგინა თ. სახოკიამ და გამოსცა სამ ტომად.⁸ აქ თავმოყრილია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის მწერალთა თხზულებებში შეხვედრილი გამოთქმები და მოცემულია ცდა ზოგი მათგანის წარმოშობის გარკვევისა. ამგვარ იდიომატურ გამოთქმებში აღბეჭდილია ხალხის ცხოვრება, ყოფა, ურთიერთდამოკიდებულების რეალიები. მათი ძირითადი ნაწილი ხალხური გონებამახვილობისა და ფიგურალური სიტყვაობის ბრწყინვალე ნიმუშია. გარკვეულადაა ახსნილი „გორგასლის ხმალი“, „გულა-ნაბადის აკრეფა“, „ენის გაღესვა“, „თვალს წყალი დავალევიწო“, „სამარცხენო ბოძზე გაკრა“, „სულის მტერი“ და მრავალი სხვა. ზოგი ხატოვანი ნათქვამის ახსნა გულუბრყვილოა და დამაჯერებლობას მოკლებულია.

ცალკეა აგრეთვე გამოცემული ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული, შედგენილი თ. შავიშვილის მიერ⁹. აქ უფრო გულისყური გამახვილებულია ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებზე, რომლებიც არა მარტო ქართულში გვხვდებიან, არამედ საერთაშორისო გავრცელება აქვთ

¹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, II, 1934.

² ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბ., 1934.

³ ზ. ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი, ბოტანიკა, თბ., 1927.

⁴ ი. ჩ ხ ი კ ვ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ხერხემლიანთა ნომენკლატურა, თბ., 1926.

⁵ ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, ბოტანიკური ლექსიკონი (მცენარეთა სახელწოდებანი), თბ., 1949, მეორე გამოც., თბ., 1961.

⁶ პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ანდაზები, თბ., 1876.

⁷ ა. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფრთოვანი სიტყვები, „მოამბე“, № 4, 1903.

⁸ თ. ს ა ხ ო კ ი ა, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, I, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1950; II, III, გ. ჩ ი ტ ი ა ს რედაქციითა და ბოლოსიტყვაობით, თბ., 1954, 1955.

⁹ თ. შ ა ვ ი შ ვ ი ლ ი, ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული, თბ., 1957, მეორე

(„ავგიას თავლა“, „აღფა და ომეგა“, „არიადნეს ძაფი“, აქილევის ქუსლი“, „ბაბილონის გოდოლი“, „ბართლომეს ღამე“, „ბატებმა რომი იხსნეს“, „გათიშე და იბატონე“, განტევეების ვაცი“, „ღაფნის გვირგვინი“, „ოცდათი ვერცხლი“, „პანდორის ყულაბა“, „ყველა გზა რომში მიდის“, „ჰეროსტრატეს ღიღება“, „ჰომეროსული ხარხარი“...).

ანალოგიური სიტყვებია აგრეთვე გარჩეული ზ. ჭუმბურიძის წიგნში „როგორ გაჩნდა სიტყვა“,¹ რომელშიაც ამასთან ერთად სხვა, კარგად შერჩეული, ახალგაზრდობისათვის გონების სავარჯიშო, მასალა გამოყენებული.

გამოცემულია სინონიმთა ლექსიკონი, შედგენილი ალ. ნეიმანის მიერ (არის მისი ორი გამოცემა, 1951 და 1961 წწ.)—ძვირფასი საცნობარო წიგნი.

§ 87. **ორთოგრაფიული ლექსიკონი.** მოკლე ქართული ორთოგრაფიული ლექსიკონი პირველად შეადგინეს ვ. თოფურიამ და ი. გიგინეიშვილმა და ამჟამად არსებობს მისი სამი გამოცემა (1941, 1946, 1949). ლექსიკონი ძირითადად ითვალისწინებს საყოველთაოდ მიღებულ ორთოგრაფიულ ნორმებს და უსათუოდ დიდი პრაქტიკული დანიშნულების აა. მართალია, ის გამოცემულია „სასკოლო ლექსიკონთა სერიაში“, მაგრამ მეტად საჭირო საცნობაროა არა მარტოდღენ მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრეებისათვისაც. შემდგენელნი ლექსიკონის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში წერდნენ: ეს წიგნი „ფონეტიკურ-მორფოლოგიურ მოვლენათა სამოწმებელი უფროა, ვიდრე ჩვეულებრივად გაგებული ორთოგრაფიული ლექსიკონი, მოწოდებულია ერთგვარობა დაამყაროს ამა თუ იმ სიტყვისა თუ მისგან ნაწარმოებ ფორმათა მართლწერაში“.²

ქართული ორთოგრაფიული ლექსიკონისათვის საჭირო მასალა თავმოყრილი ნ. ბასილიასა³ და გ. შალამბერიძის⁴ დამხმარე სახელმძღვანელოებში, რომლებიც ორ-ორჯერაა გამოცემული.

გამოც., თბ., 1960; შდრ.: Л. Н. Толстой, Мысли мудрых людей, М., 1905; С. Займовский, Крылатое слово, М., 1930; Крылатые слова по толкованию С. Максимова, М., 1955; Эд. Вартаньян, Из жизни слов, М., 1960.

¹ ზ. ჭუმბურიძე, როგორ გაჩნდა სიტყვა, თბ., 1963, გვ. 51—61; შდრ.: Л. Успенский, Слово о словах, изд. 3-е, М., 1960.

² ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ორთოგრაფიული ლექსიკონი, მესამე გამოც., 1949, გვ. 3.

³ ნ. ბასილია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები, სოხუმი, 1956; მეორე გამოც., ქართული მართლწერის საკითხები, I, სოხუმი, 1960.

⁴ გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, თბ., 1958; მეორე გამოც., თბ., 1961.

§ 88. დიალექტთა ლექსნიკონები. ქართული დიალექტების ინტენსიური შესწავლა უკანასკნელ ხანებში დაიწყო. ჩაწერილია მდიდარი მასალა. გამოქვეყნებულია ათეულობით დიალექტოლოგიური გამოკვლევა და მონოგრაფია. შეჭვრებულია ყველა დიალექტური ერთეულის ძირითადი ფონეტიკური და გრამატიკული პროცესები, გამოცემულია დიალექტთა ლექსიკონები. მაგრამ ყველა დიალექტი ერთნაირი სიღრმით გამოკვლეული არ არის. შედარებით კარგადაა შესწავლილი ქართლურის, კახურის, ქიზიყურის, აჭარულის, ხევსურულის, თუშურის, იმერულის, გურულის, რაჭულის, ლეჩხუმურის, ინგილოურის ლექსიკა. შეკრებილი ლექსიკური მასალის დიდი ნაწილი ელოდება გამოქვეყნებას. უახლოეს ხანებში უნდა შედგეს და გამოიცეს ქართული დიალექტების ვრცელი ლექსიკონი.

დიალექტური სიტყვარი ერთიანი სალიტერატურო ქართულის ლექსიკის გამდიდრების უშრეტი წყაროა.

გამოქვეყნებული დიალექტური მასალიდან აღვნიშნავთ ძირითადს.

1. აჭარულის ლექსიკური მასალა შეტანილია თ. სახოკიას, ჯ. ნფლაიდელის, ს. მენტეშაშვილის, ი. სიხარულიძის, ა. მსხილაძის, შ. ნიქარაძის ნაშრომებში. ყველაზე მდიდრულად ამ კილოს ლექსიკა წარმოდგენილია შ. ნიქარაძის მონოგრაფიაში — „ქართული ენის ზემო აჭარული დიალექტი“ (პირველი გამოც., ბათომი, 1957, გვ. 131—163; მეორე გამოც., ბათომი, 1961, გვ. 231—279). მოკლე აჭარული ლექსიკონი, შედგენილი ვ. თოფურაძის მიერ, ერთვის ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურაძის, ი. ქავთარაძის „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველ ტომს (თბ., 1961, გვ. 655—662).

2. გუდამაყრულის ლექსიკა ცალკე არ გამოცემულა. მის ნიმუშებს ეპოულობთ ა. შანიძის (თხზ., I, თბ., 1957, გვ. 3—19), ს. მაკალათიას (მთიულეთი, თბ., 1930) და ა. ბექაურის (გუდამაყრული ლექსიკის ნიმუშები, „თბ. უნივერსიტ. სტუდ. შრ.“, I, 1941) ნაშრომებში. გუდამაყრულის მოკლე ლექსიკონი (350 სიტყვა), შედგენილი ი. გიგინეი-

¹ თ. სა ხო კ ი ა, მოგზაურობანი: გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი, თბ., 1950; ჯ. ნ ფ ლ ა ი დ ე ლ ი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარულთა ყოფა-ცხოვრებიდან, ბათომი, 1935; მისივე: აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათომი, 1936; აჭარის ხალხური სიტყვიერება, I, ბათომი, 1936, II, ბათომი, 1940; აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათომი, 1941; ს. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, აჭარის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმკის მოამბე, II, 1941; ი უ რ ი ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, ბათომი, 1958, II, ბათომი, 1959; ა. მ ს ხ ი ლ ა ძ ე, მაქახელის ხეობის ტოპონიმოქსათვის, „რუსთაველის სახელობის ბათომის სახელმწიფო პედაგოგიკის სტუდენტთა შრომები“, I, 1954; შ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, ზემო აჭარულის თავისებურებანი, ბათომი, 1957; ქართული ენის ზემო აჭარული დიალექტი, ბათომი, 1961.

შვილის მიერ, ერთვის დასახელებულ კოლექტიურ ნაშრომს (ქართ. დიალექტ., I, გვ. 570—576).

3. გურული ლექსიკის ნიმუშები დოკუმენტირებულია ე. ნინოშვილის, ნ. ნაკაშიძის, ა. მამულაშვილის (ლალიონი) და სხვ. მწერალთა თხზულებებში. როგორც ი. გიგინეიშვილმა დაადასტურა, ამ კილოს ლექსიკის საინტერესო მასალა ყოფილა შეტანილი საშუალო ქართულის შესანიშნავ ძეგლში „რუსულანიაში“ (ილ. აბულაძისა და ი. გიგინეიშვილის გამოც., თბ., 1947, გვ. V—XXXI, 701—799).

გურული კილოს პირველი ლექსიკონები ეკუთვნით გ. შარაშიძეს („ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, თბ., 1938, გვ. 1—96) და ს. ულენტს (გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1936). ე. ნინოშვილის თხზულებებში დამოწმებული გურული სიტყვების ლექსიკონი შეადგინეს თ. კიკვიძემ (მწერლის თხზულებათა 1924 წლის გამოც., აგრეთვე 1930—1932 წლის გამოც., ს. ხუნდაძის რედ., I და II) და ქ. ლომთათიძემ (ე. ნინოშვილი, პარტახი, ა. შანიძის რედ., თბ., 1935). ასევე მცირე ლექსიკონი ახლავს ამ სტრიქონების ავტორის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებს (გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937, გვ. 276—292). მოკლე ლექსიკონები გამოქვეყნებული აქვთ აგრეთვე ნ. საბაშვილს (გურული დიალექტური ლექსიკა ქართულ პროზაში, ავტორეფერატი, 1954), პ. ჯაჭანიძეს (მასალები გურული ლექსიკონისათვის, „ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები“, XVII, 1957) და ი. გიგინეიშვილს (ქართ. დიალექტ., I, გვ. 662—668).

4. თუშური ლექსიკის საინტერესო ნიმუშებს ვპოულობთ ი. ბუქურაულისა (თუშური ლექსები, „ძველი საქართველო“, II, 1911—1912, განყ. V, გვ. 1—63) და ს. მაკალათიას (თუშეთი, თბ., 1933; თუშური ლექსები, თბ., 1937) მიერ გამოქვეყნებულ ტექსტებში. ი. ბუქურაულის ტექსტებს ახლავს თუშური სიტყვების განმარტება, შედგენილი დ. კარიჭაშვილისა და ი. ბუქურაულის მიერ („ძველი საქართველო“, იქვე, გვ. 129—144).

ვრცელი თუშური ლექსიკონი ერთვის თ. უთურგაიძის მონოგრაფიას—„თუშური კილო“; რომელიც გამოიცა ა. შანიძის რედაქციით (თბ., 1960, გვ. 189—223). მოკლე თუშური ლექსიკონი შეუდგენია ვ. თოფურაიასაც (ქართ. დიალექტ., I, გვ. 576—588).

5. იმერულის მდიდარი ლექსიკა რამდენიმე მკვლევარის სპეციალური ძიების საგანს წარმოადგენდა. გამოცემულია იმერულის ორი დამოუკიდებელი ლექსიკონი: ვუკ. ბერიძისა—„სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ (სპბ., 1912) და ბ. წერეთლისა—„ზემოიმერული ლექსიკონი“ (სერიაში: „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, თბ., 1938, გვ. 99—135). იმერულ სიტყვათა მცირე ლექსიკონები შედგენილი

აქვთ აგრეთვე ილ. ქუონიას („სიტყვის კონა“, სპბ., 1910), მ. ალავე-ძეს (დავით კლდიაშვილის ლექსიკონი, „ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები“, VI, 1946, გვ. 47—62; დ. კლდიაშვილი, თხზ., I, II, თბ., 1952; ოკრიბული ლექსიკონი, „ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები“, X, 1950—1951), ზ. ჭუმბურიძეს (მევენახეობის ტერმინოლოგია ქვედა სიმონეთში, „თბ. უნივერსიტ. სტუდენტთა შრ.“ III, 1948; მისივე: მასალები პურეულის ლექსიკონისათვის ქვემო იმერეთში, იქვე, V, 1950), ლ. ლეჟავას (მევენახეობის ტერმინები ჭიათურაში, იქვე, III, 1948), პ. ჯაჭანიძეს (მასალები იმერული კილოს ლექსიკონისათვის, „ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები“, IX, 1949, X, 1950—1951) და ი. ქავთარაძეს (ქართ. დიალექტ., I, გვ. 668—674). ი. ქავთარაძემ ცალკე გამოსცა აგრეთვე „მასალები იმერული ლექსიკონისათვის“ („ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, III, 1963, გვ. 109—160).

6. იმერხეულის შესწავლა დაკავშირებულია ნიკო მარის სახელთან. ჯერჯერობით ხელთა გვაქვს მხოლოდ მის მიერ გამოქვეყნებული ტექსტები და ლექსიკონის ნიმუშები. ნ. მარმა იმოგზაურა მდ. იმერხევის მიდამოებში — კლარჯეთსა და შავშეთში და მოგზაურობის „დღიურები“ დაურთო „გრიგოლ ხანძთელის ცხორების“ ტექსტის გამოცემას (სპბ., 1911). „დღიურებში“ წარმოდგენილია ადგილობრივი მეტყველების გრამატიკული სტრუქტურა და ლექსიკონის ნიმუშები (გვ. 1—202). ნ. მარის მიერ ჩაწერილი მასალა უნიკალურია: მხოლოდ ამ ერთადერთი წყაროს საშუალებით მოხერხდა ქართული ენის ამ მეტად საინტერესო კილოს სტრუქტურისა და ლექსიკონის თავისებურებათა გათვალისწინება ქართულ ისტორიულ დიალექტოლოგიაში. ამჟამად კლარჯეთის ქართული მოსახლეობის მეტყველება ჩვენთვის უცნობია.

6. მარის მიერ გამოქვეყნებული ტექსტების მცირე ლექსიკონი შეუდგენია ი. ქავთარაძეს (ქართ. დიალექტ., I, გვ. 653—655).

7. ინგილოური ლექსიკა პირველად მ. ჯანაშვილმა შეისწავლა და ვრცელი ლექსიკონი დაურთო თავის მონოგრაფიას („საინგილო“, „ძველი საქართველო“, II, 1911—1913, განყ. IV, გვ. 238—276). ინგილოურის მოკლე ლექსიკონები გამოაქვეყნეს აგრეთვე ა. შანიძემ (რეცენზიაში მ. ჯანაშვილის „საინგილოზე“)¹ და ი. ქავთარაძემ (ქართ. დიალექტ., I, გვ. 612—627).

8. კახური დიალექტი ფართოდაა განლაგებული და მისგან გამოყოფენ შიგნი კახურს, გარეკახურსა და ქიზიყურ თქმებს. ქიზიყური

¹ Записки восточного отд. имп. русск. археологического общества, XXII, ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 1—14.

უფრო მსხვილი დიალექტური ერთეულია და მკვლევარებს შესაძლებლად მიაჩნიათ მისი ცალკე კილოდ გამოყოფა (ა. ჩიქობავა, ს. მენთე-შაშვილი, გ. შალამბერიძე, პ. ხუბუტა, ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი). ქიზაყურის ლექსიკონი გამოაქვეყნა სტ. მენთეშაშვილმა (თბ., 1946), კახურისა კი — შესულა ა. მარტიროსოვისა და გ. იმნაიშვილის მონოგრაფიაში — „ქართული ენის კახური დიალექტი“ (თბ., 1956, გვ. 175—186). კახურ-ქიზაყურის მცირე ლექსიკონი შედგენილი აქვს ი. გიგინეიშვილსაც (ქართ. დიალექტ., I, გვ. 603—612).

9. ლეჩხუმური ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია არა დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად, არამედ „უფრო იმერულის კილოკავად“. მაგრამ ლექსიკისა და ონომასტიკის მიხედვით, რასაც უნდა დაემატოს ზოგიერთი მეტად თავისებური ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესიც, ლეჩხუმურა უსათუოდ დამოუკიდებელ დიალექტს წარმოადგენს. ყველაზე უკეთ ამ კილოს ლექსიკა და ტოპონიმიკაა შესწავლილი, გრამატიკული სტრუქტურა — უფრო ნაკლებად. ლეჩხუმურის ლექსიკისა და ტოპონიმიკის შესწავლაში დიდი შრომა გასწიეს მ. ჩიქოვანმა და მ. ალავეძემ. მ. ალავეძემ 1938 წელს გამოაქვეყნა „ლეჩხუმური ლექსიკონი“ („ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, თბ., 1938, გვ. 139—164). მანვე დაბეჭდა „მასალები ლეჩხუმური ლექსიკისათვის“ („ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები“, XIV, 1955) და „ლეჩხუმური ტოპონიმიკური სახელწოდებანი“ (იქვე, XVIII, 1958). მ. ჩიქოვანმა ლეჩხუმურ ლექსიკას სამი ნაშრომი მიუძღვნა: „ტოპონიმიკური ლექსიკონი“ („თბ. სახ. უნივერსიტ. შრ.“ IX, 1939), „ლეჩხუმური ლექსიკონი“ („ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედინსტიტუტის შრ.“ I, 1941) და „ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით“ (იქვე, VII, 1949). მოკლე ლეჩხუმური ლექსიკონი შედგენილი აქვს ვ. თოფურიას (ქართ. დიალექტ., I, გვ. 671—680).

10. მესხური ლექსიკა არასაკმარისადაა შესწავლილი. მისი ნიმუშები გამოქვეყნებული აქვთ ი. მაისურაძეს („მასალები მესხური ლექსიკიდან“ („შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედინსტიტუტის შრომები“, IV, 1954, გვ. 64—99), შ. ძიძიგულს („ძიძიანი“, თბ., 1954, გვ. 131—146) და ვ. თოფურიას (ქართ. დიალექტ., I, გვ. 650—653).

11. მთიულურ-გუდამაყრულის მცირე ლექსიკონები გამოქვეყნებული აქვთ ა. ბეჭაურს („გუდამაყრული ლექსიკის ნიმუშები“, „თბილ. უნივერსიტ. სტუდენტთა შრ.“, I, 1941), ე. ვირსალაძეს (ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, თბ., 1958, გვ. 578—586), ვ. თოფურიას (ქართ. დიალექტ., I, გვ. 566—570) და ი. გიგინეიშვილს (იქვე, გვ. 571—576).

12. მოხეური ლექსიკის ნიმუშები პირველად დოკუმენტირებულია ალ. ყაზბეგის თხზულებებში. ყაზბეგის ლექსიკას სპეციალური ნარკვევები მიუძღვნეს: ი. ქავთარაძემ („მოხეური კილო ყაზბეგის ენაში“, „თბილ. უნივერსიტ. შრომები“, XXXV B, 1949), შ. ძიძიგურმა („მოხეური ლექსიკა ალ. ყაზბეგის ნაწერების მიხედვით“, „ძიებანი“, თბ., 1954, გვ. 124—130; „ალ. ყაზბეგის ლექსიკონი“, ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, I—IV, თბ., 1948—1950), შ. ლლონტმა („ალ. ყაზბეგის პროზის ლექსიკა“, „ნარკვევები ქართველი მწერლების მხატვრული ენის საკითხებზე“, სოხუმი, 1955, გვ. 50—72). მოხეურის ლექსიკონები შედგენილი აქვთ აგრეთვე ო. ქაჯაიას (ქართული ენის მოხეური კილო, ხელნაწერი, 1954) და ი. ქავთარაძეს (ქართ. დიალექტ., I, გვ. 560—566).

13. რაჭული ლექსიკის მასალა პირველად გამოაქვეყნა ვუკ. ბერიძემ — „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ (სპბ., 1912), რომელმაც დასაბამი დაუდო ამ კილოს ლექსიკის შესწავლას. 1957 წელს დაიბეჭდა მ. ალავედის „ქვემორაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი“ („ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები“, XVII). მოკლე რაჭული ლექსიკონები შედგენილი აქვთ შ. ძიძიგურსა („ძიებანი“, გვ. 200—219) და ვ. თოფურაძის (ქართ. დიალექტ., I, გვ. 681—692).

14. ფერეიდნული მეტად თავისებური დიალექტია, რაზედაც მეტყველებს ირანში გადასახლებული ქართველობა. სამანახევარი საუკუნეა, რაც ფერეიდნში მოსახლე ჩვენი თანამემამულენი მოწყვეტილი არიან ქართული ენის გარემოცვას და მოქცეული არიან ირანული ენის გავლენაში. ამ გარემოებაში მკაცრი ბეჭედი დასვა კილოს განვითარებასაც. ფერეიდნულის შესწავლას ეძღვნება ა. ჩიქობავას სპეციალური ნარკვევები.¹ კილოს მცირე ლექსიკონი შედგენილი აქვს ვ. თოფურაძის (ქართ. დიალექტ., I, გვ. 627—633).

15. ფშაური დიდებული ვაჟას დედა კილოა და მისი ლექსიკის ნიმუშები ყველაზე მდიდრულად სწორედ ვაჟასა და აგრეთვე მისი ძმების, ბაჩანასა და თედო რაზიკაშვილის, თხზულებებში გვხვდება. ვაჟას ლექსიკონი, შედგენილი ა. შანიძის მიერ, ერთვის დიდი პოეტის თხზულებათა გამოცემებს (1922, 1928, 1930—1956 წწ.). ფშაურის

¹ ა. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, „თბ. უნივერსიტ. მოამბე“, XII, 1926; მისივე: ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, „ჩვენი შეცნობები“, № 2—3, 1923; ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, „წელიწადული“, I—II, თბ., 1923—1924; აგრეთვე: ვ. თოფურაძე, ნიმუში ფერეიდნის ქართული ენისა, „ლომისი“, № 16, 1922.

მცირე ლექსიკონი შედგენილი აქვს ი. გიგინეიშვილსაც (ქართ. დიალექტ., I, გვ. 589—596).

16. ქართლური ჩვენი სალიტერატურო ენის მთავარი საფუძველია. დიალექტი მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის, თუმცა მის სტრუქტურასა და ლექსიკას რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა. ქართლურის ლექსიკონი შეადგინეს ნ. კეცხოველმა, შ. ძიძიგურმა და პ. ხუბუტიამ (ვ. თოფურიას რედაქციით), კიდევ დაიბეჭდა რამდენიმე თაბახი, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ჯერ არ გამოსულა. ქართლურის მცირე ლექსიკონი შედგენილი აქვს ი. გიგინეიშვილსაც (ქართ. დიალექტ., I, გვ. 633—649).

ქართლურ ლექსიკაზე ფრიად საინტერესო დაკვირვებანი გამოაქვეყნა ნიჭიერმა ბელეტრისტმა გ. შატბერაშვილმა — „თვალადური ქართულის ჰაშივი“ („მნათობი“, № 8, 1963, გვ. 160—181; № 11, 1963, გვ. 154—178).

17. ხევსურული დიალექტის სტრუქტურისა და ლექსიკის შესწავლა ა. შანიძის ნაშრომებით იწყება (თხზულებანი, I, თბ., 1957, გვ. 4—19). 1924 წელს ა. შანიძის რედაქციით გამოიცა ბ. გაბუურის „ქვესურული მასალები“ („წელიწადული“, I—II, 1923—1924), რასაც ახლავს ა. შანიძისავე ვრცელი „ლექსიკონი“ (გვ. 259—330). ხევსურულის დარგობლივი ლექსიკა შეტანილია ალ. ჭინჭარაულის მონოგრაფიაში — „ხევსურულის თავისებურებანი“ (თბ., 1960, გვ. 193—311, 441—481). ხევსურულის მოკლე ლექსიკონი შედგენილი აქვს ვ. თოფურიასაც (ქართ. დიალექტ., I, გვ. 549—560).

18. ჭავჭავაძის ლექსიკა ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი, გამოქვეყნებულია მხოლოდ მისი მცირე ლექსიკონი, შედგენილი ვ. თოფურიას მიერ (ქართ. დიალექტ., I, გვ. 646—650).

§ 89. **ბანური ლექსიკონები.** ბანური ლექსიკონი ცალკე არ გამოცემულა, ერთიან აღნიშნული ენის გრამატიკულ მიმოხილვებს. პირველი ცნობები ბანური ლექსიკის შესახებ უცხოურ ენებზეა გამოქვეყნებული. ამ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გ. როზენის¹, ერკერტისა² და პ. აჰარიანის³ სპეციალური ნაშრომები, რომლებშიც გარკვეული ადგილი ლექსიკასაც ეთმობა.

¹ G. Rosen, Über die Sprache der Lazen (Philologische und historische Abhandlungen der Königlich Akademie der Wissenschaften zu Berlin, aus dem Jahre 1843, Berlin, 1845, 1—38.

² Erckerl, Die Sprachen des Kaukasischen Stammes, Wien, 1895, I, 1—204, II, 347—353.

³ H. Adjarian, Étude sur la langue laze (Extrait des Mémoires de la Société de linguistique de Paris, X, 1899).

ჭანურისა და მისი ლექსიკის მკვიდრ მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ნიკო მარმა. 1910 წელს გამოქვეყნდა ნ. მარის ჭანური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ¹, რომელიც პირველი ყოველმხრით სანდო მონოგრაფიაა ამ ენის სტრუქტურასა და ლექსიკაზე. ნაშრომში დიდი ადგილი უჭირავს ჭანურ-რუსულ ლექსიკონს (გვ. 125—240), რაც ჭერჭერობით ჭანურის ყველაზე ვრცელი ლექსიკონია. ნ. მარის მონოგრაფიას მოჰყვა ი. ყიფშიძის „დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ“ — ჩხალური კილოს მიმოხილვა და ლექსიკონი (გვ. 24—33)², გამოიცა აგრეთვე ი. ყიფშიძისა (1939) და ს. ქლენტის (1938) მიერ ჩაწერილი ტექსტები მცირე ლექსიკონითურთ.

ჭანურის ლექსიკისა და გრამატიკული წყობის საკითხებს სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა ა. ჩიქობავამ. 1929 წელს გამოქვეყნდა ა. ჩიქობავას „ჭანური ტექსტები“, რასაც 1936 წელს მოჰყვა „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“, ხოლო 1938 წელს — „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“.

„ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ ფრიად საყურადღებო ნაშრომია. აქ გაანალიზებული მასალა წარმოდგენას გვაძლევს ქართველურ ენათა ლექსიკის წარმოშობისა და განვითარების საერთო ტენდენციებზე.

1964 წელს გამოიცა გ. კლიმოვის მიერ შედგენილი ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი — პირველი ეტიმოლოგიური ლექსიკონი ამ ენებისა.³

§ 90. მიგრული ლექსიკონები. მეგრული ლექსიკით მრავალი მეცნიერი იყო დაინტერესებული როგორც ძველად, ისე ჩვენს დროში, მაგრამ სრული მეგრული ლექსიკონი ჯერ კიდევ მაინც არ მოგვეპოვება. მეგრული ლექსიკის ნიმუშებიც პირველად უცხოურ ენებზეა გამოქვეყნებული. მხედველობაში გვაქვს XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების⁴, XVIII საუკუნის რუსი მოგზაურის ი. გიულდენშტედტის⁵, XIX საუკუნის მოღვაწეთა ი. კლაპროთის⁶ გ. რო-

¹ Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, МЯЯ, II, СПб., 1910.

² И. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке, МЯЯ, III, СПб., 1911.

³ Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. М., 1964.

⁴ С. Джикия, *Georgica-Turcica*, I, Евлия Челеби о мингрельском и грузинском языках, «Советское языкознание», II, Л., 1936, 109—128.

⁵ J. A. Güldenstädt, *Reisen durch Russland und im Kaukasischen Gebirge*, herausgegeben von P. S. Pallas, St. Petersburg, I, 1787, II, 1791.

⁶ I. Klapproth, *Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807—1808*, II, Halle und Berlin, 1814.

ზენისა¹ და სხვ. პუბლიკაციები. აქედან ქრონოლოგიურად ყველაზე ძველია ევლია ჩელების მიერ ადგილზე შეკრებილი მასალა. ს. ჯიქიას გამოკვლევით, თურქ მოგზაურს ბევრი მეგრული სიტყვის ჩაწერაში შეტდომები მოსვლია, მაგრამ მთლიანად ამ მასალას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს მეგრულის ლექსიკის ისტორიის შესასწავლად.

რამდენიმე მეგრული სიტყვა, რაოდენობით 107, როგორც აღინიშნა (§ 75), შეტანილია მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში, რომელიც 1787—1789 წლებში გამოიცა.²

პირველი ვრცელი მეგრული ლექსიკონი შეადგინა ი. ყიფშიძემ და დაურთო თავის კაპიტალურ „მეგრული ენის გრამატიკას“.³ ამ ლექსიკონის ღირსება ისიცაა, რომ მეგრული სიტყვები თარგმნილია რუსულად, ალაგ-ალაგ ქართულადაც. მცირე მეგრულ-რუსული სიტყვარები ახლავს ი. პეტროვის, ს. გროზდოვისა და სხვათა მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ მეგრულ ტექსტებს⁴.

§ 91. სვანური ლექსიკონები. ქართველურ ენათა ლექსიკიდან სვანური ლექსიკა ყველაზე სუსტადაა შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ სვანურის ინტერესი მეცნიერებაში დიდი ხნის წინათ გაჩნდა და მისი გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის საკითხებზე უაღრესად მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა შეიქმნა, სვანური ლექსიკონი მაინც არავის შეუღდენია. ცნობილია, რომ სვანური ლექსიკონისათვის მასალებს აგროვებდნენ ნ. მარი, ბ. ნიჟარაძე, ი. ნიჟარაძე, ა. შანიძე, ვ. თოფურია, კ. დონდუა და სხვ. ნ. მარის მიერ შეგროვებული მასალის შეჭერებასა და გამოცემას ხელი მოჰკიდა კ. დონდუამ, მაგრამ მას არ დასცალდა ამ დიდი საქმის შესრულება. ვ. თოფურია 1931 წელს წერდა: „სხვა ნაშრომებში, განსაკუთრებით კი სვანურ-ქართულ ლექსიკონში, ჩვენ შევეცდებით ვრცლად წარმოვადგინოთ ყოველი თავისებური ზმნა ყველა დიალექტის მიხედვით“.⁵ სამწუხაროდ, ეს დაპირებული ლექსიკონი, რასაც სპეციალისტები ასე დიდი ინტერესით ელოდებიან, ჯერ კიდევ არ გამოცემულა. მცირე სვანურ-რუსული ლექსიკონი

¹ G. Rosen, Über die Sprache der Lazen, იქვე; აგრეთვე მისივე: Ossetische Sprachlehre nebst einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische... Berlin, 1846.

² ჩენი: ქართული მასალები მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში, „შრომები“, II, 1955, გვ. 244.

³ И. Кипшидзе, Грамматика мянгрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, МЯЯ, VII, СПб., 1914, გვ. 191—423.

⁴ СМОМПК, X, Тб., 1890, განვ. II, გვ. 292—310; XVIII, Тб., 1893, განვ. I, გვ. 33—58.

⁵ ვ. თოფურია, სვანური ენა, თბ., 1931, გვ. 260.

ახლავს ბ. ნიქარაძის, ი. ნიქარაძის, ა. სტოიანოვის, ა. გრენის მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ ტექსტებს.¹

სპეციალისტები იმთავითვე გრძნობდნენ სვანური ლექსიკონის შედგენის სიძნელეს. სიძნელეს, უწინარეს ყოვლისა, ქმნის ამ ენის სიტყვობრივი ფონდის რამდენადმე ნარევი ხასიათი, დიალექტებისა და თქმეების სიმრავლე, ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე, უმლაუტი, თანხმოვანთა მრავალფეროვნება, სანდოდ ჩაწერილ ტექსტთა უკმარობა.

სვანურ-რუსული ლექსიკონის ერთი ნიმუში გამოსცა ნ. მარმა 1922 წელს². აქ სიტყვები ძირებისა და ბუღეთა მიხედვითაა გაწყობილი და განმარტება-თარგმანს საინტერესო შენიშვნებიც ერთვის. თავდაპირველად ნ. მარს განზრახული ჰქონია სვანურ-რუსული ლექსიკონის გარკვეული გეგმით გამოცემა, შემდეგ ეს გეგმა შეუცვლია, რასაც, ცხადია, მოუთხოვია მასალის გადაჯგუფება და შევსება. ამიტომ გამოცემულა ლექსიკონის საცდელი ნიმუში, ისიც ლექსიკური მასალის შემგროვებელთა დასახმარებლად. ლექსიკონის წინასიტყვაობაში ნ. მარი წერდა: „В виду накопления большого лексического материала в печатных текстах, я вынужден был прервать печатание своего Сванско-русского словаря на букве г, последнем звуке из гласных, чтобы выполнить и переработать проверенный или собранный мною вновь за четыре поездки в Сванию лексический материал. Академию Наук было постановлено издать набранную часть словаря „как specimen, чтобы использовать ее как руководство для собирателей“³.

ქრონოლოგიურად სვანური ლექსიკონის შესახებ უძველესი ცნობები შემონახულია უცხოურ წყაროებში. 109 სვანური სიტყვა შეტანილია მსოფლიოს ენათა შედარებითს ლექსიკონში⁴, ხოლო სვანური გრამატიკის ცალკეულ საკითხებთან ერთად სვანური ლექსიკონის ათეულობით ნიმუში გაანალიზებულია გ. როზენის, ერკერტის, პ. უსლარის, ფ. მიულერის, ნ. მარის, მ. ზავადსკის, ი. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, ვ. თოფურაის, ა. ჩიქობავას, კ. ღონდუას, ს. ელენტის, მ. ქალდანის, თ. შარაძენიძის, ა. ონიანის, ვ. ბარდაველიძის, რ. ხარაძისა და სხვათა სპეციალურ ნაშრომებში.

რუსულ-სვანური ლექსიკონი შეადგინა და 1910 წელს გამოსცა ი. ი. ნიქარაძემ.

¹ СМОМПК, X, Тб., 1890, განყ. II, გვ. 5—8; 34—65; 115—143; 196—241; XXX, Тб., 1902, განყ. IV, გვ. 70—110.

² Н. М а р р, Извлечение из Сванско-русского словаря, МЯЯ, X, Петрогр., 1922.

³ Н. М а р р, Извлечение из сванско-русского словаря, МЯЯ, X, Петрогр., 1922, გვ. III.

⁴ ჩვენი: ქართული მასალები მსოფლიო ენათა შედარებითს ლექსიკონში, „შრომები“, II, 1955, გვ. 244.

პირთა საძიებელი

ბ

აბაშელი ა., 61.
 აბრამიშვილი ან., 185.
 აბულაძე ილ., 35, 53, 149, 150, 162, 181, 196.
 აბულაძე იუსტ., 178, 181, 182, 184.
 ავლაძე რ., 192.
 ადამია ნ., 183.
 ადელუნგი ი., 168.
 ადონცი ნ., 188.
 აკაკი, 17, 31, 46, 57, 67, 70, 71, 135, 5. წერეთელი აკ.
 ალაიძე შიხ., 60, 119, 136, 188, 198, 199.
 ალექსანდრიელი კირილე, 122, 150.
 ანტონ პირველი, 49.
 არჩოლი ი. ვ., 105.
 აღნიაშვილი ლ., 184.
 აქარიანი პ., 200.
 ახვერდოვი ნ. ი., 168.
 ახვლედიანი გ., 46, 135, 182, 184, 186, 192.

ბ

ბაბუნაშვილი ე., 40.
 ბაგაევი კ., 182.
 ბაგრატიონი ვახუშტი, 46, 63, 135, 136, 137, 138, 139, 140.
 ბაგრატიონი თეიმურაზ, 135, 182.
 ბაგრატიონი იოანე (ბატონიშვილი იოანე), 163, 185, 192.
 ბაკმიისტერი ლ., 167.
 ბალი შ., 14.
 ბარათაშვილი ი., 192.
 ბარათაშვილი ნიკ., 55, 67.
 ბარამიძე ალ., 53, 154, 160, 163, 165, 181.
 ბარდაველიძე ვ., 203.
 ბარნაბიშვილი გ., 176.

ბარნაველი თ., 130.
 ბარნოვი ვ., 68.
 ბასილაია ნ., 111, 194.
 ბაქრაძე დ., 135, 137.
 ბეილი პ., 161.
 ბენეშევიჩი ვ., 188.
 ბერიძე ვუკ., 46, 49, 59, 61, 175, 178, 190, 191, 192, 196, 199.
 ბერძენიშვილი ნ., 117, 133, 135, 136, 137, 158, 181.
 ბესიკი, 181, 5. გაბაშვილი ბესარიონ.
 ბეჟაური ა., 195, 198.
 ბლეჯი რ., 150.
 ბლოტოვი ნ. ა., 191.
 ბოგოროდიცკი ვ. დ., 105.
 ბრეალი მ., 20.
 ბროსე მ., 135, 136, 152.
 ბუღაგოვი რ. ა., 11, 12.
 ბულახოვსკი ლ. ა., 48, 76, 105.
 ბულიჩი ს. კ., 167, 168.
 ბურჯანაძე შ., 117, 124.
 ბუქურაული ი., 196.

ბ

გაბაშვილი ბესარიონ, 163, 5. ბესიკი.
 გაბაშვილი ეკ., 39.
 გაბური, 200.
 გალაქტიონი, 17, 31.
 გამრეკელი ვ., 136.
 გამსახურდია კ., 53, 68.
 გაჩეჩილაძე პ., 178, 181.
 გაგეშიძე შ., 136.
 გეწაძე დავ., 10.
 გეხტმანი გ., 192.
 გვარამაძე კ., 135.
 გვარჯალაძე თ., 183, 184.
 გვარჯალაძე ი., 183, 184.
 გვანხარია ალ., 181.

გიგინეიშვილი ი., 59, 60, 61, 111, 194,
195, 196, 198, 200.
გიორგიძე გ., 192.
გულდენშტედტი ი., 167, 168, 201.
გლისონი პ., 86, 108.
გოგიბერიძე მ., 49.
გოგიტიძე მ., 184.
გორგაძე სერ., 135, 178, 181.
გორგოჯანიძე ფარსადან, 151, 152, 153.
გრენი ა., 203.
გრიშაშვილი ი., 31, 163, 182.
გროზდოვი ს., 202.
გუგუშვილი პ., 192.
გულაბერიძე ნ., 127.
გურამიშვილი დავ., 31, 59.

დ

დადიანი ნ., 135.
დავითის ძე სუმბათ, 127.
დათიკაშვილი ქეთ., 162, 183.
დაფქვიაშვილი თ., 192.
დე გროტი ა. ვ., 13.
დეეტერსი გ., 98.
დიკენზანი ე., 105.
დიომედესი, 12.
დოზა ა., 105.
დონდუა ვარ., 141, 158.
დონდუა კარ., 154, 202, 203.
დუმბაძე მ., 158.
დუმბაძე ნ., 36.

ე

ემესელი ნემესიოს, 181.
ენუქაშვილი ს., 35, 78, 181.
ერისთავი გ., 69, 175.
ერისთავი რ., 158, 159, 160, 165, 174,
184, 192.
ერისთავ-შერვაშიძე ნ., 163.
ერკერტი, 200, 203.

ვ

ვანდრიესი ე., 14, 18, 109.
ვაჟა, 17, 137, ნ. ფშაველა-ვაჟა.
ვართანანი ე., 194.

ვასილევსკაია ე. ა., 87, 105.
ვანაძე ს., 178.
ვახტანგ VI, 135, 151, 153, 154, 159, 181,
182.

ვეზირიშვილი ი., 184.
ვინოგრადოვი ვ. ვ., 15, 87, 105.
ვინოკური გ. ო., 105.
ვირსალაძე ელ., 61, 198.

ზ

ზაქარაძე მ., 203.
ზაქარაძე ს., 194.
ზარიძე გრ., 131.
ზოსიმე, 160, ნ. ორბელიანი ზოსიმე.
ზურაბიშვილი თ., 90, 141.

თ

თალაკაძე მ., 27.
თამარაშვილი მ., 151.
თაყაიშვილი ა., 77, 78.
თაყაიშვილი ე., 117, 133, 135, 151, 152.
თეიმურაზ I, 181.
თეიმურაზ II, 182.
თოდუა შაგ, 181.
თოფურია ვ., 59, 60, 61, 81, 98, 111,
178, 181, 182, 184, 194, 195, 196,
198, 199, 200, 202, 203.
თრაქიელი დიონისე, 12.

ი

იბერიელი პ., 35; 78, 88.
იესპერსენი ო., 11, 20.
ილია, 17, 34, 36, 46, 57, 63, 65, 67, 70,
71, 88, 135, ნ. ჭავჭავაძე ილია.
იმედაშვილი გ., 182.
იმედაშვილი ი., 186.
იმნაიშვილი გ., 60, 198.
იმნაიშვილი ივ., 35, 51, 52, 55, 56, 90,
181, 182, 187.
ინგაროყვა პ., 123, 132, 135, 154, 178,
181.
იოვანე ზოსიმე, 148.
იორდანიშვილი ს., 40, 160, 165, 174,
181, 184.

ირბახი ნიკიფორე, 152, ნ. ჩოლოყაშვილი ნიკ.

კ

კაკაბაძე ს., 117, 124, 129, 133, 135, 152.
კალანდაძე ლ., 192.
კარბელაშვილი ლ., 192.
კარიჭაშვილი დ., 196.
კარტოზია გ., 192.
კაჭარავა გ., 8, 145.
კახაძე მ., 181.
კახაძე თ., 178.
კეკელიძე კორნ., 79, 80, 122, 126, 135, 138, 151, 158, 163, 169, 178, 181, 185.
კელენჯერიძე მ., 185.
კეცხოველი ნიკ., 193, 200.
კეპელმაძე ნ., 149.
კვაპაძე ლ., 10.
კვიციანიძე პ., 13.
კიკვიძე თ., 196.
კიკნაძე ლ., 97, 98.
კირიონი, 177.
კლაპროთი ი., 152, 167, 201.
კლდიაშვილი დავ., 59, 72, 73, 197.
კლიშოვი გ., 201.
კლიშოვსკი პ., 184.
კოსტომაროვი ნ. ი., 115.
კოტეტიშვილი ლ., 181.
კუქიაძე პ., 192.

ლ

ლევკოვსკაია კ. ა., 12, 105.
ლუონიძე გ., 116, 120, 181.
ლუქაძე ლ., 197.
ლოლაშვილი ივ., 181.
ლომთათიძე გ., 192.
ლომთათიძე ქ., 178, 196.
ლომონოსოვი მ., 104.
ლომთურთი თ., 136, 137, 181.
ლორთქიფანიძე კ., 64, 110.
ლოსი ი., 105.

მ

მაისურაძე ზაქ., 192.
მაისურაძე ილ., 60, 129, 130, 136, 198.

მაკალათია ს., 116, 119, 124, 125, 195, 196.

მარი გ., 154.

მარი ნიკო, 35, 41, 53, 60, 98, 117, 122, 133, 135, 138, 179, 188, 189, 190, 197, 201, 202, 203.

მარტიროსოვი ა., 27, 60, 198.

მაქსიმოვი ს., 194.

მაყაშვილი ალ., 192, 193.

მგალობლიშვილი ს., 39, 59, 72, 73.

მეგრელიძე ი., 49, 135, 137, 138, 175.

მეკელაინი რ., 183, 184.

მელიქიშვილი გ., 135, 158.

მელიქსეთ-ბეგი ლ., 135.

მენთეშაშვილი სტ., 62, 178, 195, 198.

მერჩულე გ., 30, 187.

მესხია შ., 158.

მესხი სერგეი, 175.

მესხიშვილი მ., 178.

მეტრეველი ელ., 53, 154, 158, 160, 165, 181.

მეშჩანინოვი ი. ი., 16.

მთაწმიდელი გიორგი, 17, 30, 39, 148, 149, 180.

მთაწმიდელი ეფთვიმე, 148.

მირიანაშვილი ა., 193.

მირიანაშვილი პ., 70.

მიულერი მ., 17.

მიულერი ფ., 203.

მოლიტორი ი., 182.

მორერი ლ., 161.

მოროშკინი მ., 121.

მოსხი ი., 150, 181.

მოურავოვი ა. ვ., 168.

მრეველიშვილი მზ., 112.

მროველი ლ., 41, 42, 51.

მსხილაძე ა., 195.

მურგი, 20.

მშენებელი დ., 191.

მცირე ეფრემ, 17, 35, 46, 78, 148, 149, 150, 163, 181.

ნ

ნადარეიშვილი დ., 183.

ნაკაშიძე ნინო, 39, 196.

ნემიანი ალ., 37, 194.

ნიკოლაძე ნ., 46, 49, 56, 175.

ნინოშვილი ეგნ., 20, 34, 59, 72, 73, 74,
75, 196.
ნიჟარაძე ბ., 135, 202.
ნიჟარაძე ი., 202, 203.
ნიჟარაძე შ., 59, 195.
ნორეინი, 20.
ნოლაიდელი ჯ., 195.

წ

ოშიაძე ე., 192.
ონიანი ა., 190, 203.
ორბელიანი გრ., 67.
ორბელიანი ე., 67.
ორბელიანი ზოსიმე, 160, 161, 164, 165.
ორბელიანი ს.-ს., 35, 40, 41, 46, 53, 54,
55, 57, 64, 106, 121, 132, 152, 153, 154
155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162,
163, 164, 165, 166, 168, 169, 170, 171,
172, 174, 181, 186, 190.
ოსიძე ეკ., 100.
ოქროპირიძე ე., 183.

პ

პალასი პ. ს., 166, 167.
პაული პ., 109, 111.
პაულინი სტ., 151, 152.
პეტერსონი მ. ნ., 11.
პეტრიწი იოვანე, 17, 30, 46, 148, 149,
163, 181.
პეტროვი ი., 202.
პეშკოვსკი ა. მ., 108.
პოტებნია ა. ა., 13, 15.
პროკლე, 149.
პრიკლონსკი ი., 185.

ჟ

ჟორდანიას თ., 117, 127, 133, 150.
ჟურული ვ., 31.
ჟღენტის ს., 29, 196, 201, 203.

ჩ

ჩაზიკაშვილი თ., 199.
ჩატიანი პ., 158.
ჩეფორმატსკი ა. ა., 12.

ჩოხენი გ., 200, 201, 203.
ჩოხტომაშვილი ი., 186.
ჩოტინოვი ი. ა., 183.
ჩუსთაველი შოთა, 17, 35, 47, 101, 102,
103, 113, 154, 163, 164, 181, 186, 198.

ს

საბანიძე ი., 126.
საბაშვილი ბ., 181.
საბაშვილი ნ., 196.
სახოკია თ., 177, 184, 193, 195.
სეისი, 20.
სეპიბი ი., 14, 105.
სერებრიაკოვი ს. ბ., 52, 182.
სენიძე ალ., 135.
სინაელი ისანე (ზოსიმე), 148.
სირაძე ე., 183.
სიხარულიძე იური, 136, 195.
სმირნიცკი ა. ი., 11, 12.
სობოლევსკი ა., 121.
სოკოლოვი ა., 115, 121.
სრეზნევესკი ი. ი., 105.
სტოიანოვი ა., 203.
სულხანიშვილი ა., 183.

ტ

ტატიშვილი ი., 184.
ტოლსტოი ლ. ნ., 194.
ტოროტაძე ა. გ., 184.
ტოროტაძე ე. ა., 184.
ტუპიკოვი ნ. მ., 121.
ტფილელი იოსებ, 181.

უ

უელბი, 20.
უნაძე დ., 49.
უთურგაიძე თ., 59, 196.
უმიკაშვილი პ., 193.
უსლარი პ., 203.
უსპენსკი თ. ი., 137.
უსპენსკი ლ., 194.
უშაკოვი დ. ნ., 82.

ფ

ფანასკერტელი-ციციშვილი ზაზა. 182.
 ფეშანგი, 181.
 ფირალოვი გ., 184.
 ფორტუნაოვი ფ., 11.
 ფოფხაძე გ., 192.
 ფოცხიშვილი ალ., 8, 29.
 ფუთურიძე ვ., 152, 153.
 ფშველავაძეა. 61, 72, 175, 199.

ძ

ძადაგიძე ნ., 184.
 ძავთარაძე ი., 59, 60, 61, 181, 195, 197, 199.
 ძავთარია მ., 160.
 ძალდანი მ., 203.
 ძაშაკაშვილი ნ., 192.
 ძაჭაია ო., 61, 199.
 ძიაჩელი ლ., 64.
 ძუთათელაძე ი., 192.
 ძუთათელაძე ლ., 158, 160, 164, 165, 185.

ღ

ღამბაშიძე ვ., 178.
 ღამბაშიძე რ., 192.
 ღლონტი ალ., 18, 40, 49, 65, 140, 169.
 ღლონტი შ., 31, 101, 199.

ყ

ყაზბეგი ალ., 175, 199.
 ყანჩაველი ზ., 193.
 ყაუხიშვილი ს., 80, 117, 122, 126, 133, 135, 169, 175, 181, 184.
 ყიფიანი კ., 184.
 ყიფშიძე გრ., 71.
 ყიფშიძე ი., 106, 135, 145, 155, 156, 158, 159, 162, 165, 178, 188, 190, 201, 202, 162, 165, 178, 188, 190, 201, 202.
 ყუბანიშვილი ს., 35, 52, 53, 181.

შ

შაფიშვილი თ., 193, 194.
 შალაშბერიძე გ., 49, 73, 111, 194, 198.
 შანიძე ა., 25, 27, 28, 29, 39, 46, 49, 52, 61, 62, 84, 85, 86, 88, 89, 90, 91, 92,

93, 95, 96, 97, 98, 99, 100, 104, 105, 111, 112, 122, 128, 135, 136, 141, 142, 143, 144, 145, 149, 153, 154, 155, 156, 158, 159, 162, 165, 178, 179, 180, 181, 182, 187, 195, 196, 197, 199, 200, 202, 203.

შანსი ნ. მ., 105.
 შარაშიძე გ., 59, 196.
 შარაშიძე ქრ., 117.
 შარაძენიძე თ., 178, 203.
 შატბერაშვილი გ., 200.
 შახმატოვი ა., 87.
 შენგელია დ., 64.
 შენგელია შიხ., 182.
 შუშანია ო., 192.
 შჩერბა ლ. ვ., 11, 87.

ჩ

ჩახრუხაძე, 47:
 ჩელები ევლოა, 201, 202.
 ჩერქეზი ე., 183.
 ჩეჩულინი ნ., 115, 121.
 ჩინალაძე მ., 27.
 ჩიტია გ., 193.
 ჩიქობავა ი., 12, 27, 29, 38, 40, 51, 98, 106, 178, 198, 199, 201, 203.
 ჩიქოვანი შიხ., 136, 143, 144, 145, 198.
 ჩიჩავოვი კ. ე., 115.
 ჩოლოყაშვილი ნიკ., 151, ნ. ირბახი ნიკოფორე.
 ჩუბინაშვილი დ., 40, 46, 52, 53, 105, 106, 135, 172, 173, 174, 175, 176, 182, 184, 190.
 ჩუბინაშვილი ნ., 35, 40, 46, 49, 52, 53, 54, 55, 56, 57, 64, 65, 82, 94, 105, 106, 135, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 182, 185.
 ჩუგუნოვი გ., 185.
 ჩხეიძე ო., 64.
 ჩხენცელი კ., 183.
 ჩხიკვიშვილი ი., 193.

ც

ცაგარელი ალ., 145, 158, 169, 173.
 ციციშვილი ნ., 181.
 ცურტაველი იაკობ, 181.

ძ

ძიმიგური შ., 8, 10, 18, 28, 38, 39, 40.
48, 82, 183, 193, 198, 199, 200.

წ

წერეთელი აკ., 56, 175, ნ. აკაკი.
წერეთელი ბ., 196.
წერეთელი გ. ე., 135.
წერეთელი გ. ვ., 178, 184.

ჭ

ჭაბაშვილი მ., 178, 181, 186.
ჭავჭავაძე ალ., 67.
ჭავჭავაძე ილ., 34, 55, 175, 176, 177,
183, ნ. ილია.
ჭარაია პ., 177.
ჭილაია ა., 192.
ჭინჭარაული ალ., 200.
ჭიჭინაძე კ., 186.
ჭონჭაძე დ., 175.
ჭუმბურიძე ზ., 194, 197.
ჭყონია ილ., 181, 190, 197.

ხ

ხარაძე რ., 203.
ხახანაშვილი ალ., 135.
ხშიადაშვილი ინე., 192.
ხუბურტია პ., 198, 200.
ხუნდაძე სილ., 71, 191.
ხუნდაძე სიმ., 74, 196.

ჯ

ჯავახიშვილი ი., 39, 80, 122, 135, 138,
149, 152, 178, 180, 188, 192, 193, 203.
ჯავახიშვილი მიხ., 17, 34, 39.
ჯაფარიშვილი კ., 192.
ჯაკობია გ., 181.
ჯანაშვილი მ., 60, 135, 136, 152, 177,
197.
ჯანაშია ს., 135.
ჯაჭანიძე პ., 196, 197.
ჯიქია ს., 82, 135, 136, 201, 202.
ჯულელი გ., 192.

ღ

ღეგელი, 44.

რედაქტორი ე. გელაშვილი
ტექნოლოგიური ა. კაციაძე
კორექტორი ე. ტაბუკაძე

გადაეცა წარმოებას 5/11 64 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/11-64 წ.
ანაწყოების ზომა 6 $\frac{1}{4}$ X 10. ქალაქის ზომა 60 X 90. ნაბეჭდი თაბახი 13,25.

საარტიკულო-საგამომცემლო თაბახი 12,86.

უე 03739. ტირაჟი 2.000. შეკვ. № 369.

ფახი 62 კაპ.

გამომცემლობა „ცოდნა“. თბილისი, კამოს ქ. 18.
Издательство «Цодна», Тбилиси, ул. Камо, 18.

სტამბა № 1. თბილისი, ორჯონიძის ქ., № 50.
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50 .

Александр Андреевич Глonti
Грузинская лексикология
(на грузинском языке)
Издательство «Цодна»
Тбилиси— 1964